„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ ვიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№9 (237)
სექტემბერი
2018 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეოცე წელი “LITERATURULI MESKHETI” “ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ”

სპეციალური გამოშვება

დიდი სახალხო დღესასწაული

შოთაობა-2018

მოგესალმებით!

მინდა ასპინძელებს, მესხებს და მთელ საქართველოს მივულოცო შესანიშნავი სახალხო დღესასწაული „შოთაობა-2018“, რომელიც ყველა ქართველისა და საქართველოში დაბადებული ადამიანებისათვის საამაყოა და მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლის, XII საუკუნეში მოღვაწე ქართველი გენიალური პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველისადმია მიძღვნილი.

შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ქართული კულტურის გვირგვინია, რომელშიც ზედმიწევნითაა ასახული ქართველი ერის სიყვარული უფლის, ქვეყნის და მოყვასის მიმართ.

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა, ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა, ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა, მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა.“

„ვეფხისტყაოსანი“ მეგობრობის, სიყვარულის და ტოლერანტობის საუკეთესო ლიტერატურული ნიმუშია მთელს მსოფლიოში.

„შოთაობის“ სახალხო დღესასწაულის აღნიშვნა ასპინძის მუნიციპალიტეტში შემთხვევითი არაა, რადგან პოეტი „ვეფხისტყაოსანში“ მიგვანიშნებს მის მესხურ წარმომავლობაზე – **„ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“; „მე რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი“.** სიტყვა „რუსთაველი“ უკავშირდება მესხეთის რუსთავს, რომელიც მდებარეობს ასპინძის მუნიციპალიტეტში.

1966 წელს მესხეთში, ციხე-ქალაქ ვარძიაში, მსოფლიო მასშტაბით, საზეიმოდ აღინიშნა გენიალური ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილე. იმავე წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დაწესდა „პოეზიის სახალხო დღესასწაული – შოთაობა”, რომელიც აღიარებული იქნა როგორც ქვეყნის უპირველესი სახალხო დღესასწაული და ამ დღიდან მოყოლებული, იგი ყოველწლიურად იმართება ჩვენს მუნიციპალიტეტში.

კიდევ ერთხელ გილოცავთ მნიშვნელოვან სახალხო დღესასწაულს „შოთაობა-2018“-ს და გისურვებთ მშვიდობას.

როსტომ მაგრაძველიძე,
ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი

გალაკტიონ ტაბიძე

ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის

ძველ სასახლეში ვეფხის ტყავებით
ფარავდა ვინმე გობელენს, მანდილს,
შვენოდა იგი ფერ აყვავებით
აქ სადარბაზოდ მოსულ ავთანდილს.

ელავდა, როგორც ზმანება წუთის,
ზურმუხტი, ლალი და იაგუნდი,
ძველი ნანგრევი ვნახე გეგუთის
და, უხმო დროო, შენ მომაგონდი.

გამოჩნდა მაღალ სვეტთან თამარი,
რეტროსპექტივი, ლანდივით ჩუმი,
გამშრალთა ცრემლთა ნაწამწამარი,
მოეფინება მთელი სამუმი .

არაბეთიდან მოსული მონა
სდგას, მოიტანა შორით ფარისი
და სპარსეთიდან ლექსების კონა,
მიმოდის როგორც ტოტი ქარისი.

შორეულ დღეებს მახლობლად უზის
მცოდნე ჰაფიზის, მცოდნე გაზელის,
ცივი ოცნება შხეფავს აუზის,
ჩვენი დროც ისევ რუსთაველს ელის.

განცხადება

მიმდინარე წლის **29 სექტემბერს** ციხე-ქალაქ ვარძიაში გაიმართება ტრადიციული სახალხო დღესასწაული

„პოეზიის დღე - შოთაობა”

სახალხო დღესასწაულზე მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი ანსამბლები, რეგიონის შემოქმედებითი კოლექტივები, მოეწყობა ხალხური რეწვის ოსტატთა ნამუშევრების, მხარის მხატვართა ნახატების, ახალი წიგნების გამოფენა-გაყიდვა, სპორტული სანახაობები, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მიერ გამოცხადებულ ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება, ასევე წიგნის – „მესხეთი ქართულ პოეზიაში“ წარდგინება და სხვა.

დასაწყისი 12 საათზე. გთხოვთ მობრძანდეთ.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია

„ამოა, რომე კაცი კაცს ამოსა ეუმნიმოდეს!
მან გაუგონოს, რაცა თქვას, არ ცუდად წაუხდემოდეს,
ცოფად ეგრეცა დაუვსემს, ცეცხლი რაზომცა ხდემოდეს.
დიდი ლხინია ჯირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდემოდეს“

შოთა რუსთაველი

ძველი მეტყველების კულტურის (უზუსის) ელემენტები „ვეფხისტყაოსანში“

მურმან თავდიშვილი,
პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქართულ ხალხურ ზღაპრებში შემორჩენილია ძველი მეტყველების კულტურის (უზუსის) მკაფიოდ გამოხატული მყარი ფორმულა. იგი ასე გამოიყურება: იყო და არა იყო რა.

ამ ფორმულით იწყება ყველა ზღაპარი.

ჩვენი ეროვნული ეპოსის თხრობითი ნაწილიც ამ ფორმულით იწყება: **„იყო არაბეთს როსტევან...“** *(რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, გვ. 23).*

ეს ბუნებრივიცაა. თუ გავითვალისწინებთ, რომ პოემაში ზღაპრის არაერთი ხერხი და კომპონენტია გამოყენებული. მაგალითად, უმცროსი გამარჯვებული ძმის მოტივი (ნესტანს ეძებს უფროსი ძმა ტარიელი. მას არაფერი გამოსდის; შემდეგ შუათანა ძმა ფრიდონი ცდის ბედს. არც მას გამოუვა რაიმე. ბოლოს **„ჯერთ უწვერული“** მესამე, უმცროსი, ძმა წავა ნესტანის საძებრად და წარმატებას იზეიმებს); დევისა და დევის ქვაბის მოტივი (ტარიელი და ასმათი დევებს ამოხოცავენ და დევის მღვიმეში დაიდებენ ბინას; ავთანდილი აქ გაიცნობს ასმათს. ქალი დაეხმარება სტუმარს სახიფათო „დევის“, ტარიელის, გულის მოგებაში და ა.შ.); კიდევ ერთ ელემენტს დავასახელებთ: ქართულ ზღაპრებში ერთმანეთზეა გადაწნულ-გადახლართული წყვილის დაქორწინება და სახელმწიფო ტახტზე დაჯდომა. ასეა პოემაშიც: რაწამს დაქორწინდება ავთანდილი, იმწამსვე მეფედ ცხადდება; ტარიელი რაწამსაც იქორწინებს ნესტანზე ინდოეთში, იმწამსვე ტახტზე ადის; შვიდ სამეფოდ გაშლილ ინდოეთს ბატონ-პატრონად ევლინება და ა.შ.

ძალიან საინტერესო უზუსური მოვლენაა გამოთქმა ადგა.ეს ერთგვარი სასიგნალო ტერმინია, რომელიც სულ არ გულისხმობს იმას, რა შინაარსსაც ატარებს. ესე იგი, სადაც წერია ადგა, ყველგან და ყოველთვის როდი აღნიშნავს ამგვარ მოქმედებას. უფრო სწორად, იგი გამოხატავს სიგნალს, ძახილს, შეტყობინებას. რომელიღაც ზღაპარში ასე უცნაური უზუსური ფორმულაც კი წამიკითხავს: ადგა და ადგაო.

ეჭვი არაა, პირველი ადგა სასიგნალო ერთეულია, წმინდა წყლის უზუსია, ხოლო მეორე მართლა მოქმედებაა, მართლა წამოდგომაა.

ქართველი იტყვის: ადგა და უთხრა. საგულისხმოა, რომ წინ არსად არის ნაჩვენები, რომ მოქმედი პირი ზის, და, თუნდაც იჯდეს, რაიმეს თქმის წინ რა საჭიროა ადგომა? ოღონდ აქ „ადგა“ უზუსური ელემენტია და სიტყვის პირდაპირ მნიშვნელობას როდი გულისხმობს.

ამის კარგი პარადიგმული მაგალითი მოიპოვება რუსულ მეტყველებაში. „ადგა და უთხრა“ რუსულად ასეთ სახეს მიიღებს: „взялисказал“. დააკვირდით, რუსულ უზუსში „ადგა“ ჩაანაცვლა სხვა ზმნამ. ეგ არის „взял“.

მაშ, ასე: „აიღო და უთხრა“ ან კიდევ „აიღო და მოკლა“, „აიღო და ესროლა“.

სინამდვილეში კი არავინ არაფერს იღებს.

ამ მხრივ საინტერესო მაგალითი გვაქვს ავთანდილისა და ასმათის პირველი შეხვედრის ეპიზოდში. სპასპეტს აქვს დიდი სათხოვარი: ასმათი მას ტარიელის ამბავს უნდა მოუყვეს. ამტომაც „ჯერთ უწვერული“ ქალს დაუჩოქებს, მუხლმოდრეკილი ევედრება. ფრაზა ამჟღავნებს უზუსურ მოვლენას:

ცრემლ-დენილი შეეხვეწა, ადგა, მუხლნი მიუყარნა(რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, გვ. 246).

ჯერ ერთი, იმ დროს ავთანდილი არც იჯდა და არც იწვა; მეორეც, რომც მჯდარიყო, თუ მუხლის ჩოქებზე იყო დასადგომი, ადგომა რაღა საჭირო იქნებოდა?! მაგრამ საქმეც ის არის, რომ უზუსურმა მოვლენამ ეგ ლოგიკა არ იცის, ის მყარი სამეტყველო ადათია, წესია, რაც საუკუნეების წიაღ შეიმუშავა ენამ და ემსახურება მეტყველების გახალისებას, გამრავალფეროვნებას, გაცოცხლებას.

მაშასადამე, „ადგა, მუხლნი მიუყარნა“ წმინდა წყლის უზუსია!

ამგვარი ფორმალური, „ლიტონი“ ადგა სხვაგანაც გვხვდება. პოემაშია: „ადგა, მითხრა“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, გვ. 378).

რუსულად რომ გვეთარგმნა ეგ ადგილი, ასეთი რამ გამოგვივიდოდა: „взялисказал“.

ახლა მოვიყვან შემთხვევას, სადაც ავთანდილი ფეხზე დგას, მაგრამ ავტორი მაინცასე გვემეტყველება:

ავთანდილადგა, დაუწყო თხრობა სიტყვისა მქისისა (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, გვ. 1349).

საგულისხმოა მუხლმოყრის სხვა სცენა: „ადგა, მუხლნი დაუყარნა“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, გვ. 1522).

ეს უზუსური ფორმულა ჩანს ე.წ. „ინდო-ხატაელთა ამბავშიც“, რომელიც პოემის ორგანული ნაწილია. ინდოეთიდან მომავალი მგლოვიარე ვაჭრები ტარიელის, როგორც მეფეთ მეფის, წინაშე ფეხზე დგანან, მაგრამ ფრაზა მაინც ასეთ სახეს იღებს: „ზე ადგეს და მოახსენეს. . .“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, სოლომონ ყუბანეიშვილის გამოცემა, თბილისი, 1956, გვ. 1796).

ერთობ საინტერესოა პოემაში ნახმარი ტერმინი ლახვარი.

ყველაფრიდან ჩანს, რომ XII-XIII საუკუნეებში ლახვარი მოძველებული იარაღია და მას არავინ ხმარობს. პრაქტიკულად იყენებენ შუბს. მართლაც, შეტაკებებში ყველგან ეგ სახელი ტრიალებს: „კაცს შუბი ვჰკარ, ცხენი დავეც“ და ა.შ. მაგრამ სასაუბრო მეტყველებაშია ლახვარი.სხვათა შორის, დღესაც, ავტომატ „კალაშნიკოვისა“ და ატომის ეპოქაში ქართველი ასე მსჯელობს: „კაცმა ფარ-ხმალი არ უნდა დაყარო“. არადა, ამის მთქმელ დღევანდელ ქართველს არც ფარი და არც ხმალი ხელში არასოდეს სჭერია! სწორედ ასე მოძველებულია რუსთველის დროს ლახვარი და იგი სიტყვის მასალად, უზუსის ელემენტად ქცეულა.

ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: თუ შუბი პრაქტიკულ ბრძოლაში ისხენიება, ლახვარი გამოიყენება მხოლოდ პიროვნების სულიერ-ფსიქიკური მდგომარეობის ასასახავად.

ნახ. მიხაილ ზიჩისა

ვნახოთ საამრიგო მაგალითები:

რუსთველს თამარ მეფის საქებრად დაუწერია სახოტბო „ქებანი“. იგი ისე კეთილხმოვანი და ძლიერი ყოფილა, რომ „ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, გვ. 4). სხვაგან მითითებულია, რომ რაღაც მოვლენა (ღმერთი) კაცს ლახვარს მოაშორებს: „მას ლახვარსა მოაშორებს“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, გვ. 636); არის ვითარება, სადაც ირკვევა, რომ გულის სიყვარულით დასაჭრელად საჭიროა ალმასის ლახვარი და არა ხის ჭოლოკი: „ალმასისა ხამს ლახვარი“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, გვ 344); ტარიელი ასე მსჯელობს: „ლახვარი მეცა ცნობასა და გულსა“ (შანიძე აკაკი, ვეფხისტყაოსნის სიმფონია, თბილისი, 1956, გვ: 344); ასევე, გულსა და გრძნობათა კორიანტელთან არის დაკავშირებული ეს ლახვარიც: „რა ლახვარი გულსა მეხოს“ (შანიძე აკაკი, ვეფხისტყაოსნის სიმფონია, თბილისი, 1956, გვ: 532); ერთ პერსონაჟს გული ისე ექცა, „ვითამც რამე ჰკრეს ლახვარი“(შანიძე აკაკი, ვეფხისტყაოსნის სიმფონია, თბილისი, 1956, გვ: 845); სწორედ ამგვარი ვითარებაა სხვაგანაც: „შენ ლახვარი სხვა გესობის“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, გვ. 1017).

სიტყვის მასალადაა გამოყენებული ეგ ცნება ამ შემთხვევაშიაც: „დადვა კეშანი ლახვარმან“ (შანიძე აკაკი, ვეფხისტყაოსნის სიმფონია, თბილისი, 1956, გვ: 835); იგივე ვითარებაა აქაც: „დღეს საწუთრომან ლახვარსა მიმცა“ (შანიძე აკაკი, ვეფხისტყაოსნის სიმფონია, თბილისი, 1956, გვ: 715); „კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჭრელად“ (შანიძე აკაკი, ვეფხისტყაოსნის სიმფონია, თბილისი, 1956, გვ: 162); ერთ-ერთ მნათობს, მარსს, ავთანდილი ეაჯება: „დამჭერ ლახვრითა შენითა!“ (შანიძე აკაკი, ვეფხისტყაოსნის სიმფონია, თბილისი, 1956, გვ: 960); სხვაგან წერია: „ლახვარნი ეგე ვით დაგაღონებენ“ (შანიძე აკაკი, ვეფხისტყაოსნის სიმფონია, თბილისი, 1956, გვ: 365); არის სხვა მაგალითები. ყველას ვერ გამოვეკიდებით. მსგავსი არაპრაქტიკული ლახვარი გამოყენებულია კომპოზიტებშიც: ლახვარდაუსობელი (შანიძე აკაკი, ვეფხისტყაოსნის სიმფონია, თბილისი, 1956, გვ: 583); ლახვარსობილი (შანიძე აკაკი, ვეფხისტყაოსნის სიმფონია, თბილისი, 1956, გვ: 3); ლახვარხებული (შანიძე აკაკი, ვეფხისტყაოსნის სიმფონია, თბილისი, 1956, გვ: 522).

ამრიგად, ომში – შუბი ან ლახტი, ხოლო სულიერი ჭრილობების მისაღებად – ლახვარი.

სიტყვის მასალად, ანუ უზუსის ელემენტად, მივიჩნევთ გამოთქმას მოდი, რომელიც ბევრგან სულაც არ აღნიშნავს მის ნამდვილ შინაარსს. ის არ გულისხმობს, რომ ვინმეს მართლა იწვევენ თავისთან. მაშ, ეგ გახლავთ რიტორიკული მოწოდება, რომელიც აღსრულებას არც კი გულისხმობს (იმთავითვე არ გულისხმობს).

გავსინჯოთ საამრიგო მაგალითები:

ავთანდილი მნათობებს ხშირად ასე მიმართავს: „მოდი, ასპიროზ, მარგე რა... “ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, გვ.962).„მოდი,მარიხო, უწყალოდ დამჭერ ლახვრითა შენითა!“(რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, გვ. 961).„მო, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა!“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, გვ. 959).„მო, მთვარეო, შემიბრალე!..“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, გვ. 964).

ნამდვილ მისვლა-მოსვლაზე არც აქ არის ლაპარაკი: „მიდი, უთხარ: ნუ გამწირავს“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, გვ. 964). ასევე, არავითარ მისვლა-მოსვლას არ გულისხმობს ეს ფრაზა: „შენთვის ხელქმნილსა ტარიელს ამბვითა, მო, ალხენიე!“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, გვ. 1271).

ზუსტად ამავე ფუნქციას ასრულებს ზმნა „მომკალ“. ამ სიტყვა-მოწოდების წარმოთქმისას სიკვდილს არც ვინ აპირებს. ესეც ერთგვარი რიტორიკული შეკითხვაა.

გავსინჯოთ ამ რიგის ნიმუშები:

„მომკალით,ლარი დავლიოთ ან აკიდებით, ან ტენით“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, გვ. 621).„მომკალ, კაცსა სიცოცხლისა სწორად რაცა მოეხმაროს!“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, გვ. 745).„ინდო-ხატაელთა ამბავშიც“ იგივე ხერხია მომარჯვებული, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ესარის ერთი და იმავე ავტორის სტილი: „მომკალ, ქალსა თავ-მოხდილსა თუ მზე ვითა ეურჩოსა“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, სოლომონ ყუბანეიშვილის გამოცემა, თბილისი, 1956 გვ. 1790).

ამ ვითარებაში მომკალ სიტყვის მასალაა და უნდა წავიკითხოთ ასე: მომკალით, თუ მართალი არ ვიყო!

ქართველებს გვაქვს ერთი უცნაური ფიგურა, რომელიც, ეჭვი არაა, უზუსის ფარგლებში შემოდის. ეგ ჰიპერბოლური თქმა ასე ჟღერს: ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა - ქალამნად.

ერთი პირობა, კაცი იფიქრებს: რაც აქ წერია, მართლაც ასეა, რომ აქ უარყოფითი წინადადება გვაქვს.

სინამდვილეში ეს გახლავთ ფორმალური (ფორმობრივი) უარყოფა, რაიც საწინააღმდეგოს გულისხმობს: ისე გათამამებულია, რომ ცა ქუდად დაუხურავს და დედამიწა ქალამნად ჩაუცვამსო. კიდევ მეტი, ჰიპერბოლა მოითხოვს პლუსის ნიშნის მიმატებასაც. ისე გათამამებულია, რომ ცაც კი აღარ მიაჩნია ქუდად და დედამიწა – ქალამნადო!

მაშასადამე. სინამდვილეში გვაქვს ასეთი გაგება: ეს კაცი ისე გათამამებულია, რომ ქუდად ცაც კი ეცოტავება და ქალამნად – დედამიწა. მაშ, შინაარსობრივად წინადადება დადებითია, არა უარყოფითი, თუმცა ფორმით უკუთქმითსა ჰგავს.

სწორედეს ქმნის დიდ ეფექტს, დიდ მხატვრულობას, მოულოდნელობის განცდას.

ამთარგზე ააგო რუსთველმა ოთხი ფრაზა, რომელთა ფორმობრივ-შინაარსობრივი „შეუთანხმებლობა“ ბევრ ცნობილ მეცნიერს დაუძლეველ პრობლემად ექცა.

ტარიელმა ნესტანის მიერ ნაჩუქარი ოქროს სამკლაური მოიხსნა, აკოცა და გულიც წაუვიდა, მკვდარს დაემსგავსა. აქ ავტორი მიაყოლებს ძალიან საინტერესო ფრაზას:

ასრე წვა, რომე არ ჰგვანდა მკვდარი სამარის კარისა.

პროზის ენაზე: ტარიელი ისე იწვა, რომ მას არ ჰგავდა სამარის პირას დასვენებული დასამარხავი მკვდარი.

მაშ, წინადადების ფორმა უარყოფითია, ოღონდ შინაარსი არის არა მხოლოდ დადებითი, არამედ დადებითი პლუსით. ესე იგი, ტარიელი ისე მაგარი მკვდარი იყო, რომ ჩვეულებრივ მკვდარს, სამარის პირას დროებით დასვენებულსაც კი, არა ჰგავდაო. სხვაგვარად, იგი მკვდარზე უფრო მკვდარი იყოო.

მეორე შემთხვევა ამგვარია:

საჭიროა დაიხატოს მომაჯადოებელი სილამაზის ნესტანი, რომლის სახეც უნდა დაამახსოვრდეს ტარიელს, რაკიღა ეს იქნება ღამაზმანის ბოლო ნახვა. ამის შემდეგ 10 წელიწადს ვეღარ იხილავს. რუსთველი წერს, რომ ნესტანსაო „არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, გვ. 525).

თქმულის უარყოფითმა, უკუთქმითმა ფორმამარ უნდა მოგვატყუოს.აქ მითითებულია: ქალიშვილი ისე ლამაზი იყო, რომ მის სი-

გაგრძელება 25-ე გვ.

კლარა გელაშვილი

რამეთუ მაღალ...

...კატამონის თბილი ქარი
ჯვრის მონასტრის ეზოს სჭვრეტდა,
– ჩოქვად იდგა მონა ვინმე,
– სადაურ არს, უცხო, ნეტა?!
სახე-ნეტარ, მეტად მშვიდი,
არ დამღვრელი მდუღარ ცრემლთა,
მუნ კაცთაგან დანაკლები
შეუვსია ყოვლივ ღმერთსა!...
მომლოცველთან ახეს რაი, –
ფრესკა იმა მონასტრისა,
ჩოქვად ადგას, ხელთაპყრობით,
შემთხოვნელი მონა ღვთისა.
რასა შესთხოვს ნეტავ იგი,
მუხლთა კვეთით მართლის მთქმელთა –
იოანე დამასკელს და
აღმსარებელ მაქსიმესა?!

იქვე არს რამ მინაწერი,
გადამტანი ავთა ჟამთა,
მათგან ერთი სახსოვარი,
შეგვრჩენია დღემდე რამცა:
-შეუნდოსო, დამხატველსა,
ამისასა, შოთას, ღმერთმან!
მიწერილი არის – „ამინ!''
და – „რუსთველი,'' – იმავ ხელთა.
რა შეენდოს, თავს რას ჰყვედრის
მარგალიტი მესხეთისა?!
იქნებ ხილვით გახდა მსხვერპლი
გრძნობით ნაშალ მეწყერისა?!
დრო და ჟამის ულმობელი
სრბოლა იცის კაცმან ბრძენმან,
განირიდა კუშტი სახე
ამა სოფლის ამომთქმელმან..
მეგობრობის, სიყვარულის,
ხიდი გასდო ზღვათა შინა,
მასზე ვისაც ასცდა ფეხი, –
თავსა ხელი წაიშინა!...
ნება ვით აქვს, ამის მთქმელსა,
რუსთაველზე ლექსი წეროს?!
დაჯდეს ფიქრად, მისდა მსგავსად, –
ან აწუხდეს, ან იმღეროს?!...
უნდა ეპყრას, შებედვისას,
ხელში რამე მჭრელი კირქვა,
თუცა, მოკვდავს უკვდავისთვის,
საქებარი ეთქვას, ვინ სთქვა?!
ერთი კუთხის, ერთი მიწის
შვილები ვართ, გულს მყოფს რაცა,
ჩვენს სოფლებს რომ ერთი მთა ყოფს,
იწოდები ორფოლადა...
როს რუსთველის სიბრძნეს ვწოვდით,
კითხვას ვსვამდით, – იდგა სადა?
– ა, იმ მთას რომ გადაივლი,
საათიც კი უნდა, რადა?!
ასპინძას ხვდა ესე მადლი, –
ზე დაარწო აკვანს შიდა
და სამყარომ მწუხრი სული,
მესხეთიდან დაიმშვიდა!...
მეც იქიდან აყოლილი,
ხილვა დღემდე დამსდევს თანა,
ხან იყალთოს ჩრდილში ვნახე,
დამაჩოქა ხან გრემთანა!...
შევითვისე, შევიხორცე,
აქ დავტევდი მეტსა, რადა?
ამოთქმა მით დავიჭირვე, –
ვერვინ მიცნო დაჭრილადა!..
მერე კოხტაგორას ვნახე, –
ცოტნეს ეჯდა შოთაც გვერდსა,
თავდადებით, სიყვარულით,
უტოლდება კაცი ღმერთსა!...
ქვაბისხევის მონასტერში
ფრესკა ადევს კედელს ქვისას,
გვერდით უდგას შოთა ნათელს, –
ია ჯაყელს, – დედას მისას...
ჯაყელები ტაშისკრამდე
ბატონობდნენ სამცხე-კლარჯეთს,
მფარველობდნენ მამით ობოლს, –
შოთა იდგა ბიძის კარზე...
რა, დეიდაც, გადმოცემით,
ქვაბისხეველს ჰყავდა ქმარსა, –
ხშირად იყო მოშაირე,
დეიდასთან, მისსა კარსა.
ამად იდგნენ ქვაბისხევსა
შვილით ია, მხევალ ღვთისა,
ვინაც შემწე იყო ტაძრის, –
ღირს ხდებოდა მოხატვისა...
საქართველოს აღზევების
და ზეობის იდგა ხანა,
ბიზანტიით მადლცხებული
კარს ამშვენებს თამართანა.
არაკრაკდა წყარო სიბრძნის,
ოქროს კვეთით ტაეპს ტეხდა,
გონს მოჰყავდა არეული,
წუხარეს ხამს, ნუგეშს სცემდა.
გრძელი სიტყვის მოკლედ თქმადა
შაირს დასდო დიდი ფასი,
მარგალიტი აბნია და
გვაკრეფია სიბრძნის ზღვაში.

...რა დაწერა, დაასრულა,
მყის მნათობთან წარსდგა ასე,
შემოიკრბნენ დიდებულნი,
დარბაზ იყო ასე სავსე...
საუკუნის ღია კარში
დიად სულის იდგა მნათე, –
კითხულობდა სიმთა რხევით, –
შენივ თქმისებრ, მსგავსს ჰყავს მტერი!
კვლავ მიიღო დიდებულთა
ნაბოძები ერთი სხვა რამ, –
გულთ კარნახით მიართმევენ
ძვირფას თვლებში ჩასმულ კალამს!..
საუკუნის ავტოგრაფი
მდუმარებით იდგა ერთხანს,
რადგან გულსა შიგგან მწველი
ვერც პოემით ამოეთქვა!..
იმა ტაეპთ შეაფარა
გრძნობაც, სულიც, ნდომაც, რწმენაც,
„ჭირსა შიგგან გამაგრებულს“.
შეეჭირვა აღმაფრენა!...
ზემო ქართლის სანახებზე
დრომ ვერ იცნო პირმშო თვისი,
ტვირთი მისცა მეტად მძიმე,
არ ისმინა ღაღადისი!...
დაჯდა ფიქრად, ცხადყო რაც კი
ღვთისა ნებით დუღდა შიგგან,
ახლა იქნებ გაცლა სჯობდეს,
სად არა სჯობს, კაი ყმისგან?!
დრო ვალშია! – დაუბრუნებს,
ახლა გულს აქვს ჭმუნვა სხვაი,
მისი ბედი არ ემგვანა,
ვით გასრულდა პოემაი...
...და ორი გზის გასაყარზე,
ვარძიასთან კვნესდა ქარი,
მარჯვნივ უფლის სახე ედგა,
მარცხნივ კიდე, მზის სადარი...
ერთი დაწვას პირდებოდა,
მაშ ილტვოდა მისდა, რადა?!
გულს რად სურდა ტანჯვის გზაი,
მიზეზ იყო ძნელი, თქმა და...
მეორე კი, სასოებით
გულს რომ იკრავს უძღებ შვილთა, –
მოლოდინით სავსე თვალით
მოპყრობილი იყო მისდა...
სიყრმიდანვე რწმენა ღვთის და
ჰქონდა, პყრობდა მისდა შიში
და გზა ნეტარ, იყო ესე,
არცა უცხო, არცა სხვისი...
ჯერდებოდა აზრი სხვათა,
მეფეთ-მეფეც ბჭობდა მასზე,
დაისერა ღამე ჭმუნვით
და გადაწყდა ესე, ასე:
სამსახური ქვეყნისაი
უმჯობეს არს, რაი, ღვთისად?!
დაუბრუნოს ვალი იგი,
რაიც, ნიჭად, მუნვე მისცა..

დადგა დიდი, თეთრი ღამე,
სული ახლა სონეტს შექმნის,
გული თუ კვლა სხვასა სჭირვობს, –
სულ ნეტარ არს, ზეცად შერთვის...
წმინდა ნინოს განმანათებ
მიწას ელვამ წყლულ ქმნა მეხით,
ნიშან იყო, გამოკვება
მხარემ ღირსი, არა ერთი!...
თავს ეტყოდა: – გრიგოლ ხანძთელს
უღვაწია აქა თანა,
თორნიკეც ხომ ათონს ზედა,
მესხთ დიდებად წარიგზავნა!..
შავ მთას მდგარი ეფრემ მცირე,
თუნდ, პეტრიწი იოანე!...
მესხურ ფესვზე ამოყრილთა
კვირტ ვავსე, არ შევამცირე!..
მადლი უფალს, შემძლემ ქნა რა,
ცხად შევმდგარვარ გზასა მისსა,
და კვლავ იტყვი, ღმერთი მადლყოფს,
კაცს, უღვთოდგან განაწირსა..
არც როსმე რამ გაუხუნდეს!..
ავთა და კარგთ არა ოდენ

დღემდე აქვთ კვლადა ცილობა,
ყვავი ვარდს კვლავ ეტანების, –
ბულბულ ქმნადა აქვს პირობა.
მოეფინების რა, კიდე,
მზე ვარდთა, ნეხვთა, თანაბრად,
საუკუნეთა აღლუმზე,
კვლა რუსთველია თამადა!

ბედი მდევარი

ბარათაშვილის მიხედვით

მოვედ მტკვრის პირას, საუკუნის შიშით დაზაფრულს,
მსურდა, მეხილა... ო, ამაზე ფიქრიც აღარ ღირს!..
რას ვიფიქრებდი, თვითონ დროის გამფლანგველ სოფელს
წუთისოფლისგან გაძარცვულს თუ დავინახავდი!..

მოვედ, მეგონა, კვლავ მელოდა ძველი ადგილი,
თუმც ლბილი მდელოს პოვნა იყო არც თუ ადვილი,
აქ მოშიშვლებულს და ფერშეცვლილს ვეფერე მდელოს,
ვაკვირდებოდი, მაგრამ არ-რა მე არა მეცნო!

ჯირკს გადანაკაფს დასტიროდნენ სხვანი კუნძები:
– ეხ, მტკვარო, მტკვარო, ასეთ ყოფას რით გაუძელი?!
შენ ისევ დუმხარ, რად მეგონა გნახავდი მეტყველს?!
ვაჟას კლდესავით, სცადე, ენა აიდგა ერთხელ!...

ნუთუ ამდენის თვითმხილველი კვლავ დუმილს შესძლებ!..
რატომ მეგონა ეგ ტალღები მე ყოვლის შემძლე?!
როცა მტანჯავდა, იქ, საფლავში, მე ქართლის ბედი,
ყოფნა-არყოფნა, ყოველივე ერთია შენთვის?!

მტკვარი შეჩერდა, გაფერმკრთალდა, შექანდა, შედრკა,
მერე აზვირთდა, აიქოჩრა, მოაწყდა ნაპირს,
შეათამაშა, შეარხია სხეული ერთობ, –
მოთქმა დაიწყო შვილდაკარგულ დედისებრ განცდით:

– უტყვი მიწოდე, საუკუნის წინათაც, მახსოვს,
ამაოებას დასცინოდი სოფლისას, მაშინ,
მაშ რა გეგონა, აღუვსებელ მოდგმათა შორის
გამოჩნდებოდა საწყაულის აღმსები კაცი?!

ანდაც მეფენი, სხვათ დიდების მნატრნი და მრტაცნი,
შეშინდებოდნენ მიწად ქცევის შიშით და განცდით?!
კვლავ მტკვარი მქვია და რადგანაც თქვენსა ხელს იცვლით,
სწორედ ამიტომ ჩემზე უკეთ ირეცხავთ სირცხვილს!!!

... მტკვარი ბორგავდა, ვერ ვისმინე, კიდევ რა ითქვა,
თუმც მის წისქვილზე ჩვენი ყოფა მაინც დაიფქვა.…
შემრცხვა, ადამის მოდგმის ცოდვებს ვყვედრიდი რადა?
ჩვენ, გონიერნი, მის დინებას მივყვებით სადა?!

ზარების ხმაზე შეფრთხიალდა გუმბათზე მტრედი,
ადევნებია ტატოს მერანს ქართლისა ბედი!...

სანდრო ბერიძე

საით?

ყოველთვის უნდო
ქართველთათვის, ყოველთვის ურგი,
ყოფილა,
არის
და იქნება სპარსი და თურქი.
რა არგო თვალბასრს
ბრმის ქველობამ, წყალობამ ყრუსმა?...
ქრისტეს სახელით გვაბალახა,
გვაძოვა რუსმა.
დავპატარავდით,
დავჩიავდით,
დავდნით,
ვიკელით.
უარესს ველი მე უსულო ამერიკელით.
როცა ამას ვწერ,
ორიათასშვიდი წელია,
დაიმახსოვრე,
ჩვენი სახით ლუკმას ელიან.
საით?
მაშ, საით?
ვის მივენდოთ? ვინაა მცველი?...
ეს უპასუხო კითხვები გვჭამს შვიდასი წელი....
თუკი არ გვექნა ერთი პირი და ერთი ჭკუა,
ვიქნებით ასე გაკვეხილი ვეშაპებს შუა.

საყვედური

ფიქრი სამიწე და სატიალო,
ლენგის ლაშქარივით მომესია.
პროფან-პორტალებზე დავყიალობთ,
მე და მიამიტი პოეზია.
ჟამის იარაა თუ ჭრილობა,
ტკივილს ვერ აშუშებს ნარ-ეკალი.
მხვდება რეკეტივით გულგრილობა,
მკვლელი, მძარცველი და წამლეკავი.
ახლა სატირალშიც არ ტირდება
ცრემლი, თვალზე წყალად მიღვარული.
გონიერებისკენ ნაპირდება,
გასულელებული სიყვარული.
დიდი დასაბამის იქეთიდან,
პოეტს რა ამაოდ უდავია.
კვერთხი ზნეობის და სიკეთისა,
ხელში უზნეობას უკავია.
მართალს უსამართლო მემართლება,
ლამის გავგიჟდე და შევიშალო.
გულო, რა სიკვდილი გემართება,
გულო, ცრემლები არ შეიმშრალო.
კენტად გახიზნულა სამართალი,
ბედშავს დევნილობა არ აცილდა.
ღმერთო, შენი დიდი სადარდელი,
რაღა პოეტებზე განაწილდა.
რაღა-ღველფს და ხანძარს მიმაჩრდილე,
რაღა-ცრემლის ტბაში დამასახლე...
ცაო, მიწას რატომ მიმაშვილე,
მიწავ, რატომ გა-მა-მა-მა-ძაღ-ლე.
აწი ცოდვებისგან ვერ დამიცავ,
(არც მსურს ცოდვილისგან სამაგისო).
ამ შენს საგიჟეთში, დედამიწავ,
მეტი რაღა უნდა გამაგიჟო.
წილი ნაყარია უცილობლის,
რკინის აბიბინდა გზად ჯეჯილი.
ლექსო, მოფრინდი და გულცივობის,
გული დამანახე გაგლეჯილი.

ჭლექიან თოვლზე

ჭლექიან თოვლზე
გაწოლილა უჟმური ჟამი,
შავი დღეები მოჯარულან ბოროტ ჯინებად.
ბაგეებიდან
წვიმებივით მომსკდარი შხამი,
თეთრი ღიმილის წასალეკად მიედინება.
დამძიმდა მზერა უცნაური დარდუბალასი,
ყოფაც დამძიმდა სიმშრალეთი,
როგორც ცხოვრება.
მე დავიღალე იმედებით მშიერ ქალაქში,
სადაც ზეიმზე
მპატიჟებდა გამათხოვრება.
დრო მდინარეა უთავბოლო, სივრცე-ხიდია,
ხან ვეურჩები,
ხან საშველად უფალს ვუძახი.
სადღაც...რატომღაც...
მეც იმგვარად მოვდი-მივდივარ,
ჩემამდე ვინაც ამ სამყაროს იყო ტუსაღი.
ვხვდები სახეებს,
აუხსნელი ფიქრით ნათოვარს,
ვხვდები სიცრუის დირიჟორთა
დადგმულ არიებს.
ვინ... ვინ მიხედავს..
ვინ უშველის ამდენ მათხოვარს,
ვინ კიდევ ამდენ გზაარეულს შეიფარიებს?...

სამყარო–საკანი

თერმობირთვული
შემოდგომის ყვავის კორდები,
ელექტროხალათგადაცმული პირს იბანს
დილა...
ყოველდღე თითო
მოკლულ სურვილს ვუახლოვდები,
უხმო ტირილი კუბოებს რომ გადამხობილა.
გაზიდეს ფიქრი,
ნება-ნება, რკინის ყორნებმა,
შეღამებია ზეცის კართან ატუზულ იმედს.
ნეტა, ვის გულში
ჩემი სევდა აინონება?...
საყურესავით
მსუბუქი და...მიწაზე მძიმე.
ვითვლი თითებზე სიხარულში გაცვლილ
იარებს,
მეგონა
რწმენის ნაკვერჩხალი აალდებოდა.
ნუთუ იმიტომ
მორჩილივით ღმერთს ვეზიარე,
რომ ამ პროგრესში უღმერთობა დამბრალებოდა?...
სხვები სხვების ბედს,
როგორც ჩემსას, სიცილით წერენ,
სიკვდილი ისევ მდევარია...
სიცოცხლე გარბის...
ვდგავარ წრიულზე,
წაგებული ომების მერე,
საწყლად გატეხილ გულითა და...
გადახსნილ წარბით.
შეუცვლელობით
სიკვდილია მხოლოდ შექების,
ყრუთათვის ყრუა იესოსი ჩამოძახილი.
თქმა საძნელოა,
უთქმელობა არც არ ეგების,
ცხოვრება ხმელი ჩალა გახდა, ხალხი – ნახირი.
გინდ მაუზერი დაიხალე, გინდა – ნაგანი,
არც გა-სამება სრულია და...
არც გაორება.
მამღვრევს სამყარო, შმორიანი,
როგორც საკანი,
გისოსს გარედან ენას მიყოფს კახპა ცხოვრება.
მასკარადთაგან
ცრემლის წვეთად არ ღირს არც ერთი,
ხარობს ხორხოცი, მყრალი ფსკერის ფსკერზე
დასულთა.
მე ეს გარემო,
საფარსე და საჯამბაზეთი,
დასანახადაც აღარ მინდა...
ისე გამძულდა.

ტელევიზორი – ტროას ცხენი

ჟესტები ყველა,
ცივილური, გვერდზე მივყარე,
ქცევას მოგონილს, ეგუება ველარც ეთიკა.
მე ურბანიზმის

სულს მიხუთავს უკვე სიმყრალე
და ზომბირებით ტვინს მიბურღავს
ტელეტექნიკა.
ნეტა, ამ წუთში,
პირველყოფილ ტყეში მამყოფა,
ანკარა ფიქრით,
დროის ცელით ვერაცელილით.
ტელევიზორი – (ეშმას ყუთი),
სულის სამხობად,
შემოპარული
ჩემს ოთახში ტროას ცხენივით.
ტელე-დაცინვა,
ტელე-ლექსი,
ტელე-პოეტი,
ტელეა...ირგვლივ, ყველა სიტყვა სუნთქავს
ტელეთი.
ტელე-ტერორი,
ტელე-სექსი,
ტელე-პორტრეტი...
დამძიმდა ყოფა ამდენ ტელე-სისულელეთი.
მოწყენილ ცაზე
ატომური ნისლი ირწევა,
მონუსხულ ჰაერს მოწამლული
აყრია მტვერი.
დიდებულია მიშვებული გონის მიღწევა...
მაგრამ მე ვიცი,
რისი ანდა, ვისი ვარ მტერი.

სასაფლაოზე

ამ შავ ლოდის ქვეშ მეფე მარხია,
იმ შავ ლოდის ქვეშ – ურჩი თავადი.
ლოდზე ისვენებს ვიღაც ლაქია,
ჯერ ცოცხალი და თავისთავადი.
ვიდრე ზვიადთა იწვოდა მნათი
და გაჰყვებოდნენ ქარონს გვიანდელს,
აზანზარებდა ქვეყანას მათი
ძალმოსილება და სიდიადე.
უჩინმაჩინმა გათიბა ჭალა,
ძლეულს და მძლეველს ერთად უყელა.
მიშალ-მოშალა, მიჩალ-მოჩალა
და ნაცნობ-უცნობ გზას გაუყენა.
საუბრობს ძუნნად საფლავის აბრა,
მიეხუტება ხსოვნაში ქარი.
იყო. იცხოვრა. წავიდა. გაქრა.
იყო. იცხოვრა. და... აღარ არი.
მავანის გულში კვლავ ალაგია
კითხვა, იჭვის და ყოყმანის ტოლი,
სჯობია ვინ-ვის: ლოდზე ლაქია
თუ მეფე, შავი ლოდის ქვეშ მწოლი?
ჟამი შლის ყოველს და ატიალებს
ქრება უდროო, ქრება დროული.
ბრუნავს, ტრიალებს, ბრუნავს, ტრიალებს,
იდუმალება სანუთროული.

უჭირთ პოეტებს

უჭირთ პოეტებს-სულით ეულებს,
სიცივემ ზეცის კარი მიქოლა.
ჟამი ისე ხვრეპს ათასწლეულებს,
თითქოს იყო და არა იყო რა.
დადის ბირთვული ნისლი ძუნძულით,
შენდება ნელა ოზონის ოდა.
დგას კითხვისნიშნის ქვეშ მობუზული,
ზნეობა – დროის მარადი მოდა.
გახუნდა ხიბლი სხივთა კიაფთა,
ალიონს კვამლის ასდის ალ(მური).
კახპა ქალივით ჩამოიაფდა,
მთვარე – ბებერი და ბანალური.
გულს ალიყური გონმა აჭამა,
წევს კამეჩივით ჟამი აშართა.
რა დროს მთვარეა...მთვარეს ადამმა,
დაადგა ფეხი და...დააშარდა.
ობოლ რომანტიზმს გზა აერია,
სასაცილოა ფიქრი ლექსებზე.
ახლა სხვა დროა...სხვა ჰაერია,
ესეებს წერენ მერსედესებზე.
დგას ბაირამი ახირებულთა,
უფერო ფერით ცა შეფერადდა.
ერთჯერადობა – გაღირებულდა,
ღირებულება – გაერთჯერადდა.
თითქოს ნაცნობი გზები აკეცეს,
სათუთი ნერვის თრთოლვა გახევდა.
ავტოსტრადებში უფალს დაეძებს,
გაშვილებული პოეტის სევდა.

ტანგო

(ნ. გ.)

დროს ხელის გულზე
სილიკონის უდევს ეპოქა,
ბირთვულ ღრუბლებში მიჭიხვინებს
ვერცხლის პეგასი.
კლასიკურ პროფილს
კლონის კლიშე გადაებოგა,
ბამბის ფიფქივით თოვს ღიმილი სტატუეტკასი.
ახლა ცელოფნის ქარში ფრიალს
ჰქვია მშვენება,
ჭორფლიანმა მზემ
მკრთალი სხივით ზეცა შებოლა.
იშვიათობა,
შენეული,
ღირს აჩემებად,
რა საჭიროა მადრიგალი ან ჰიპერბოლა...
შენ ეს სამყარო შეგიძლია
მზერით მიბანგო,
დადიხარ მოდა, –
ყველა დროის სტილი რომ ერქვა.
მოდი, მე და შენ, ძველმოდური ვიცეკვოთ ტანგო,
ვიდრე ცალ-ცალკე მოგვიწევდეს
სიკვდილთან ცეკვა.
შენში ნიამორს ენაცვლება შავი ავაზა,
სინაზეს – ჯინი,
დამპყრობელის გზას რომ მიუშვი.
რადგან ცხოვრებამ
პოდიუმი შემოგთავაზა,
ნუ გეშინია, უფალია თავად ჟიურში.
წაიღო ოხრად
ბედისწერამ სიცოცხლის მანკო,
წასასვლელ დღეთა, (ჰორიზონტზე),
რიგი თხელდება.
მოდი,
მე და შენ,
თავხედურად ვიცეკვოთ ტანგო,
ვაჩვენოთ სიკვდილს, როგორ უნდა გათავხედება.

ვახტანგ ღლონტს

დაგჩემდა ცრემლი და სატირალი,
გზაზე მოლაყბე ყბები გელიან.
არ გაგიკვირდეს გასაკვირალი,
შური ჭორივით ძველზე-ძველია.
ნუ გაექცევი ჭირს და ვაიმეს,
სევდის მინდორზე მაინც დათბება,
დაგაბრალებენ ისეთ რაიმეს
რომ გიჟად ყოფნა მოგენატრება.
ტკივილმომყვანი დღეთა ძეგლები
მაინც ჩაყლაპა ლეთას მდინარემ,
ინანებ, ბედს თუ არ გაეცლები,
გაეცლები და მაინც ინანებ.
ჯერ გადარჩენა როგორ გახარო,
მომკლა იმედმა გრძელი მერეთი.
დაითოვლება მალე სამყარო
ამდენი მწარე სისულელეთი.
სიკვდილით ხსნაში რაა ხეირი,
ეს ნაცნობი გზაც გაცვდა ძირძველი,
ქაჯებმა მაშინ ნახონ სეირი
ბოლომდე თმენა თუ შეიძელი.
ტანჯვაში მოსკდა გრძნობა იმხელა,
წაილეკება ფიქრის ტყე-ტევრი.
ცაზე ფარფატებს სევდის სიმღერა,
სულის ყველაზე დიდი შედევრი.
ურჩი არ უყვართ ნეტარ გადიებს,
შლეგს უნდობარად უმზერს უფალი.
ცხოვრება მაინც არ გაპატიებს
ყველა ტკივილი თუ დაუფალი.
ბედისწერას ვინ დაემალება,
ეშმას ბორბალი ტრიალებს ნელი.
ლექსის კოცონზე წვა და წვალება
ნეტარებაა აუტანელი.
სიკვდილი მზეზე ცეკვავს ამაყად,
ნათელს იმედი ნელა უქრება.
ეს მერამდენედ გული ამაღამ
ნერვების ხევში ჩაიჩუმქრება.
ყველა წასული წყვდიადში გაქრა,
წაუსვლელებიც რიგში არიან.
მწამს მოტირალის ტირილი, მაგრამ
ნეტა, სიხარულს რა უხარია?
დაგჩემდა ცრემლი და სატირალი,
გზაზე მოლაყბე ყბები გელიან.
არ გაგიკვირდეს გასაკვირალი
შური ჭორივით ძველზე-ძველია.

დედი

უსუსურობას ქვეყანას ვუმხელ...
რა უნდა ვნახო ამაზე მეტი.
დედი, ბავშვივით გეძახდი წუხელ
და ჰაერივით გეძებდი, დედი.
შენს სამყოფელთან ვიდექ ქანდაკად
და გულის ნაცვლად ქვა მიყვაოდა.
რაც ხანი გადის, დედი, თანდათან,
აღარ მეძახი სასაფლაოდან.
მიდის ცხოვრება მდორე დინებით,
მახრჩობს სიმწარე – ეკლად მომხვევი.
ვერ შეგისრულე დანაპირები,
დედი, საფლავში ვერ ჩამოგყევი.

ზოგჯერ

ვინ ვიღაცის ტარიგია,
ვინ ვიღაცის ბელზებელი.
სხვა კი არა, თავიც კია
ზოგჯერ მოსაბეზრებელი.
იყო ჭირი – ღობის ჩხირი,
იყო შორი გზა იმედად.
ვის რაც სურდა იმნაირი
მადლი სხვისთვის გაიმეტა.
ამოდ ოხრავ, ამოდ ხვნეში,
არის ღია ორი კარი,
გინდა წადი სამოთხეში,
გინდა თავი მოიკალი.
ვინც თავისთვის იდიადა
ბრმის თვალითაც დანახულა.
სული უფლის ჩიტია და
ხორცი – მიწის ხარახურა.
არ ღირს ხვეწნა, არ ღირს დავა,
ცოდვის ორივეა ფარდი.
კარგია ვინც ლოცვად წავა,
არ წავა და... აი, დარდი.
ბნელის ვიყავ მეც ამკლებად,
მაჩეჩებდა დრო იარებს.
ცხოვრობს ყველა მეტ-ნაკლებად,
ცოდვა-მადლით მსხმოიარე.

ქეთევან ჯაყელი

ქეთევან დედოფალს

ეს რა ჯოჯოხეთს გაუძელ,
იყავი ნეტავ რისაო,
ქვისაო, კლდისაო...
მტკიცედ იდექი, განაგდე,
რწმენა უსჯულოთ, სხვისაო,
ქეთევან!
მტერი მზაკვარი, ცბიერი
შენს ღიმილს ვერ ეღირსაო,
უგანე მთვარეს, ერთგული
დარჩი ბოლომდე მზისაო,
ქეთევან!
გფარავდა, წინ მიგიძღოდა
შენ დედოფალი ცისაო,
მუნ გაგიმზადეს სავანე
და შარავანდი ღვთისაო,
ქეთევან!
მით შარავანდით გვინათებ,
ჩვენ უკუნს, რა გვეღირსაო?!
წარმართთა წარმმართველი ხარ,
მზისკენ,
ვით დედა ღვთისაო,
ქეთევან!
ჩვენც ქვა და რკინად გვაქციე,
მაგალითს გვაძლევ ძვირსაო,
სიტყვა დაგვიგდე მეფური,
ძუ ლომის, არ ლაჩრისაო –
„საწუთრო ისე მოკლეა,
ღალატად არა ღირსაო“,
არ ვართ ჩვენ შენი ღირსები,
ბუნებამ არ გვაღირსაო,
ილოცე სულთა ჩვენთათვის,
ღვთის აგვარიდე რისხვაო,
ქეთევან!

* * *

ქ ა ლ კ ი დ ო ბ ა ნ ი
მე ვარ ანი და ბანი
ნოეს ქალკიდობანი
სამყაროს დედო-დედა
სამყაროს დედო-ზარი,
მაშინ მოგივედ მხსნელად,
როს მოიწია ჟამი
და როს ინანა ღმერთმა
სამყაროს შექმნის წამი.
ის არს ანი და ჰოე,
შენ ხარ ვინი და განი,
მან თავს დაგხურა ზეცა,
მე გაგიმრავლე ბანი,
შენ ხარ კანი და დონი,
უსასრულობის მდომი,
თანაც ნამეტურ ურცხვი
და უხიაკიც მგონი,
ისე მორჩილიც ვერ ხარ,
რომ მის განგებას მიჰყვე,
ვერ გაიაზრე რადგან
მისი სიმაღლის სიღრმე,
ცის უსასრულო სივრცე,
უცხო ნაპირის მქონე,
სამყაროს ჩუმი გმინვა,
ზღვა სიყვარულის დონე,
შენ ხარ ანი და განი,
მისი დიდების მოწმე,
მე ვარ ინანა ღმერთი,
ის კი ანი და ჰოე!..

***

ქალის მკერდივით გაყრია ბორცვები,
ზღვად აღელდები, ცქერით მოცდები,
ზედ საყდრებია, ძუძუს კერტები,
მეტისმეტები, თავის რეტები“,
გამოქანდები, ფრას გაჰკრავ ზეცას,
ჩამოუქროლებ მთვარეს გულმეცარს,
შეხედავ მყინვარს,
ცა და დედამიწა,
ისევ შემაჟრჟოლა,
თავბრუ დამახვია,
გულში ჩამიკრა და...
დედა დამაფიცა.
თუ ძალა მეყოფა,
თუ ღმერთი შემეწევა,
ავი ფიქრები
მინდა შევაჩერო,
კვლავ შენზე ვილოცო,
კვლავ შენზე ვიოცნებო,
კვლავ თავი შევაფარო
შენი კალთის ჩეროს!
მინდა ეს ეჭვები
გაქრეს, გადიყაროს,
კვლავ იმედებით
ღამე გავათენო,
როდის დამშვიდდები,
როდის დაწყნარდები,
როდის აყვავდები
ჩემო საქართველოვ!

***

წყალმა წაიღო წასაღები,
რაც რამ მებადა.
თავქვე დავეშვი,
ვერ მაჩერებს
ქვეყნად ვერავინ,
გული ჩამწყდა და
წინ კლდეები წამომემართა,
ზღვა ხმაურობს და
მაფრთხობს ისევ
ზღვათა ღელვანი.

***

მე ხომ გითხარი
წადი-მეთქი, –
მომწყდი თავიდან,
ვერ გავიხსენე,
რას ვფიქრობდი
ან რა ვთქვი გუშინ,
არ შემიძლია,
ვერ დავიწყებ ისევ თავიდან,
წყალმა წაიღო წასაღები,
გახმა ის ნუშიც.
აჰა, შეხედე, ჩამოთოვა, –
ამ მთებზე ისევ
ქარიც ზრიალებს,
კისრისტეხვით
დაეშვა ხევზე,
მე აღარ ძალმიძს, –
უკვე ვხედავ,
არავინ მისმენს
და შეუძლებელს
მე უშენოდ ვერასდროს შევძლებ!
წავიდა ის დრო...
დაიფარა ნისლებით მთები,
მტკვარიც დაწყნარდა,
აღარ არის
ცელქი, თავნება,
ვერ გავრკვეულვარ,
გადის დრო და
ვერაფერს ვხვდები:
სად დაიწყო და
ეს გზა გრძელი –
სად გათავდება!

მოგონება

აქ განთიადზე მოვალ თამამად,
კვლავ შენი ნახვა გულით მწყურია,
მე ის თილისმა უბით თან დამაქვს,
შენ რომ მაჩუქე დიოსკურიას.
მწყობრად ტალღები მოდიან ისევ,
და ვგრძნობ, რაოდენ ძვირფასი იყავ.
ზღვა მოლივლივე თვალებით მიმზერს, –
ზღვას ვეფინები დაკარგულ ფიქრად.
და ვგრძნობ არასდროს დაგკარგავ, არა,
მე ის თილისმა შენს სახედ მიმზერს,
ზღვას გამოვგლიჯავ – ფიქრების
მპარავს,
და კვლავ შენ ჩემთან გაჩნდები ისევ.
აქ, განთიადზე მოვალ თამამად,
კვლავ შენი ნახვა გულით მწყურია...
მე ის თილისმა უბით თან დამაქვს,
შენ რომ მაჩუქე დიოსკურიას.
არწივს მთად მყივანს
და გაოცდები“,
და გარეტდები“,
იტყვი: – რად უკვირთ,
რომ ამ ტურფასთვის,
ქართველთ თავი გვაქვს განამეტები.

ვაჟაის ამოძახილი

შენამც მოგიკვდი, სამშობლოვ,
ცვედან ქართველთა ხელში ხარ,
ერთმანეთს ხრავენ, ბედშავნი,
მტერი ძმასავით გვერდში ჰყავთ.
ამათ სიბრიყვეს უმზერენ,
ჰკვირობენ ყორან-ყვავები,
დაუქინდრიათ არწივებს,
სირცხვილიანი თავები.
შენამც გამზევდი, მინდიავ,
გულთმისანი ხარ გრძნეული,
მითხარ, – რაობით ვისჯებით,
თქვი, – ვისგანა ვართ ძლეული?
წამოაფრინა ზეზვაი,
ან რა აოკებს მთის გულსა,
დაუშხუილოს მათრახი,
ქართველს მტერივით მამხდურსა!
რა დამრჩი დედა-სამშობლოვ,
ხელის გულს დაედარები,
უფალსამც ებარებოდე,
ვინძლო დაგიდგეს დარები.

დურმიშხან ბერიძე

მესხეთს

ცას ავხედავ და, –
უძიროა!
მთები, –
მოფანტული გირჩებია!
მტკვარი, –
კლდეებში ჩაჭედილი
მიყვარს და
ყველაფერს მირჩევნია!
ჩემი სამესხეთო
ბედდამწვარი
სხვისთვის საჯიჯგნი და
ჩემთვის საიმედო!
ღმერთო, ძალა მომეც,
ღმერთო, დამიცავი,
რომ ძველი საქართველო
არვის დავანებო!
შენ ჩემი კერპი ხარ,
სათაყვანო!
ათას წლებს ატყვია
შენი კვალი!
მენდე,
მომეფერე,
მიპატრონე,
წუხილიც შენი გამიყავი.

მამულს ნუ ვტოვებთ უქართველებოდ!

ისევ წამძლია
ფიქრმა გულისამ,
ბრძოლებით განვვლეთ
წლები რამდენი,
დრო-ჟამს გავუძელით, –
ჰაი, დედასა! –
აქამდე მოვედით, –
ჰაი დედასა!
რა ვართ ქართველები?!
ნუთუ წარსული
ჩაბარდა წარსულს,
ბოღმამ დაგვახრჩო,
გულით არ ვმთელდებით,
ნუთუ ეს ჩვენი დასასრულია?!
მამულს რომ ვტოვებთ
უქართველებოდ,
თუკი სიცოცხლე ისევ გვწყურია,
დავითის სისხლით
ვხარობთ და ვმთელობთ,
თვალნი ახილეთ,
გულით გამთელდით,
მამულს ნუ ვტოვებთ
უქართველებოდ!

ჩემო საქართველოვ

ისევ მოიღრუბლა,
ისევ მოიქუფრა,
ისევ ატორტმანდა



შენ და ზღვა

ზღვა იყო ისე წამოქოჩრილი
როგორც ქალწულის მკერდი ანკარა,
ვერ მოვაცილე თვალები ჩემი,
წაველ და გული ნეტავ ჩამწყდა რად?
ზღვა იყო ისე წამოქოჩრილი,
ზღვა იყო ისე მიუკარები,
ელავდა ლურჯად
მზე გაბადრული,
მე მიყვარს მზე და
შენი თვალები...
ზღვა იყო ისე წამოქოჩრილი,
ზღვა იყო ისე
კერპი,
თავნება,
მელანდებოდა
ვით შენი მკერდი,
ისე იძროდა და
ტორტმანებდა!

საქართველოს

მე რომ არ გითხრა,
არ იცი, რა ხარ? –
ხელგაშლილი და
სტუმრისთვის ღია,
ყოფნა-არყოფნის
მიჯნაზე დგახარ,
მაგრამ წარბიც კი
არ შეგიხრია.
გაივლის წლები, –
ვიცი,
წვალებით,
გულიც გაივსო
სევდით
პირამდე,
და ეს მორევიც
ღვარძლის გაივლის,
დღეს რომ გაგქელეს,
გაგატიალეს!
შენი ჭრილობა
ძნელად შუშდება,
თუკი მახვილი
ჩაგცეს ბოლომდე,
უნდა გაუძლო, –
იყავ მედგარი,
რადგან იმედად
დამრჩი მხოლოდ შენ!
ვიცი, ჩაივლის
დღეის გრიგალი,
გინდ ნაბადივით
მჩეჩონ,
გამთელონ,
ერთ მუჭა მიწას
ნუ დამაყვედრი,
ღმერთო, ნუ მომკლავ
უსაქართველოდ!

8 აგვისტო, 2018

თამაზ ზერეკიძე

სინდისო, შე უსინდისო!

წადი, დამეხსენ სინდისო,
სულ თან რას დამდევ კუდშია?!
სად გაგონილა მარადჟამს,
კაცს თავი ჰქონდეს ქუდშია?!

ამომასუნქე ხანდახან,
რას მომეწებე სულშია,
ტყუილი მეც მათქმევინე,
ბორკილი ამხსენ გულშია.

მიმიშვი, მეც გავერიო
უნამუსოთა გუნდშია,
კაცსა რომ დავაღალატებ –
არ ვაგდო აინუნშია.

როდემდე ვიყო ამ მგლებში
უტვინო ბაიყუშია,
თვალის მოხუჭვა მაცალე,
ნუ მახრჩობ საყვედურშია.

„აბა, შენ იცი, არ შეცდე!" –
სულ ნუ ჩამჩხავი ყურშია,
ბევრი აშენდა უშენოდ,
მე კიდევ ვზივარ ჭურშია
(გგონია მე ვერ ვიცურებ
ქონებასა და ფულშია?)

პატარა მეც დამასვენე,
რამდენ ხანს ვეგდო ხნულშია,
ხანდახან გავინავარდო,
გავმართო ტაში - ტუშია.

ჩამოვჯდე მოზრდილ სკამზედა,
ოქრო - ვერცხლ ვზიდო ზურგშია,
ამბობენ – სულ სხვა გემოა
აკრძალულ - მოპარულშია.

– მომშორდი-მეთქი, – შენ გითხარ,
ნუ მომდევ ნაფეხურშია!
(ხმას აღარ იღებ, გაყუჩდი?
ჩაეფალ სინანულშია?!)

მართლა წასულა ოხერი,
არა ვარ ბაიბურშია,
ალბათ, იმიტომ გავმხეცდი,
შევტოპე უკაცურშია!

ახლავე უკან დაბრუნდი!
გინდა მაცხოვრო ფურთხშია?!
ცოტა თუ დააგვიანე,
ეშმა მიპოვის მრუშია.

გეხუმრე შე უსინდისო, –
ვარ ცოტა გადაკრულშია!

შენს დროშას ვეამბორები!

წარსულის ძგერა ვიგრძენი,
დიდგორის სუნთქვა მომესმა,
წინაპრის მზერით მონუსხულს
ვერცა-რა დამაღონებსა!
ჩემო ტანჯულო სამშობლოვ,
გადინეს სისხლის ტბორები,
ნახანჯლარ - ნაიარევო,
შენს დროშას ვეამბორები!
ოქროს აკვანში გაზრდილო,
ვერ გიფარავდნენ გორები,
სვავთაგან ტანდაკორტნილო,
განაწამებო ქორებით!
ფხიზლად იყავი, არ შეცდე,
მსტოვართა მონაჭორებით, –
დახედე, მკერდზე გატყვია
ნადირთა დანატორები!
როცა არ იყავ მოღლილი
შუღლებითა და ზმორებით,
ნაზირ-ვეზირთა სტომაქის
გავსება-ამოყორებით.
ცრუ ბრძენთა ფლიდი ლაქლაქით,
ჭკვა-ბრტყელი ორატორებით,
მრუდედ ნავლები ხნულების,
ნიადაგ ფარცხვა-სწორებით,
სოფელს განდგომით, მხარ-თეძოს
ნებიერ წამოგორებით, –
ტურები ვერას გაკლებდნენ
გარბოდნენ ვითარც ხბორები!
ნუ მოგიშლია იმედი
ნაოხრის გამოსწორების,

ნახ. ნელი ბერიძისა

მკლავით, გულით და გონებით,
არა მოლაყბე მძორებით,
შოთას, საბას და ილიას
მუდამდღე გამეორებით!
რა თავში ვიხლი სიცოცხლეს,
კეხი თუ მადგას ჯორების,
თუ ამომშანთეს ნაბეჭდი
ღვთისმშობლის ნაამბორების.
ასჯერაც მომკლან, დამახრჩონ
სისხლის უმაძღარ მორევით,
ჰაი, ჰაი, რომ კვლავ მოვალ
ათასჯერ, განმეორებით.
ადექ, გაშალე მკლავები,
ადექ, ჩავიცვათ თორები!
ჩემო ლამაზო სამშობლოვ,
შენს დროშას ვეამბორები!

მონა თუ ბატონი?

თავისუფლება ალია წმინდა,
არც რამ სხეულს ჰგავს,
არც ძვირფას ლითონს,
თავისუფლებას დახსნა სჭირდება,
სვავებს ჰყავთ იგი, დათვსა თუ პითონს.
გაჩენის დღიდან ერთ ადგილს ვტკეპნით,
ცოდვილთა ჯადო დაფლეს აქ თითქოს,
ჩანს ვერ გავიგეთ ეს მწარე წესი, –
ეძებ მარჩენალს? ჰპოვებ არქიფოს!
როდესაც მესმის – „ეგ თუ გვიშველის,
ეგ არის მხსნელი, ჩვენი პატრონი"!
მარად მიჩნდება მე კითხვა ერთი: –
ჯერ მონა გაჩნდა თუ ჯერ ბატონი?
პური თუ გინდა, უნდა დათესო
ყანები პურის, – დაფქვა ხორბალი,
თავისუფლების შექმნას სჭირდება
ცოდნა, გარჯა და ზოგჯერ, კომბალიც!
„თავისუფლება ლომთა ხვედრია" ! –
ლომი არ ეძებს მოწყალე ბატონს,
და თუ ლომი ხარ, მაშინ ვინ გეტყვის –
„რა გეშველება, ვაი შენს პატრონს!"

გვალვა

საქმე ისე თუ არ მომდევს,
როგორც მინდა იყოს უნდა,
სულ პატარა – რბილი თუნდაც,
მარცხის მხვდება როცა გუნდა...
ასე არის, იყო მუდამ –
თავი მიღირს უბირ კუნძად,
გვალვა სულში მისახლდება,
დავატარებ ბორკილ-ხუნდად.

ოი, რარიგად მომწყურებია!

შხამის წვეთების კაკუნი მესმის,
ქვითინებს ტოტი ობოლი ჭერმის,
ჭაობი პირთან მოსულა უკვე,
შიშით შევყურებ დაწყევლილ მერმისს.
უდაბნო მჯაბნის, ქვესკნელში ურევს
ნაღვლის ჯაგნებით თავმობმულ ურმებს,
უკუნეთს მიღმა წერტილი ბჟუტავს,
ვაი, რომ ისიც მშორდება თურმე!
ახოში ჩიტის გუნდი რომ ბუდობს,
ობობა ცოცხალს უქსოვდა კუბოს,
ღმერთებს ეძინათ, უკვირდათ ვერხვებს –
ეს კაცი მაინც რატომ არ ჩხუბობს?!
დასვრიათ ბარტყებს ჯერ თოთო ბურტყლი,
ვერ ავარიდე სიყალბის ტურტლი,
მე ხევისბერი მეგონა თავი,
ბრიყვი ვყოფილვარ, ლაჩარი, უტყვი!
ნიშნისმოგებით ეშმა ბჟირდება,
(რად არა ვჩნდებით ნეტავ გიჟებად?!)
ჯოჯოხეთს ხახა დაუფჩენია, –
შემობრძანდითო! – მეპატიჟება!
თავი გამექცა, ვერ ვიჭერ წყეულს,
გველის წელია, ეტყობა წლეულს,
ყრანტალი გესმით? – სვავები კენკენ
ჩემს გაოგნებულ, დაფლეთილ სხეულს.
ნუთუ დამღალა სულ ომმა, ღელვამ?
ქრება სანთელი, მძვინვარებს ელვა,
ოი, რარიგად მომწყურებია
ამ ჩემი ლეშის წიხლით გათელვა!
წარსული ჩემი მოვიხმე ურცხვად,
– მიხსენი-მეთქი, – ვაპირებ, ვუთხრა,
იმანაც ზიზღით ასწია წარბი,
არც მომისმინა – შემომაფურთხა!
ახოში ჩიტის გუნდი რომ ბუდობს,
ობობა ცოცხალს უქსოვდა კუბოს,
ღმერთებს ეძინათ, უკვირდათ ვერხვებს –
ეს კაცი მაინც რატომ არ ჩხუბობს?!

ჩაუქინდრიათ თავი ზამბახებს

ჯანყი განელდა, კოცონიც ცხრება,
დარჩა მარტოდენ გრილი ნაცარი,
ოი რამდენი, ოი რამდენი,
კაცი მინახავს მე ნაკაცარი!
წინ მეწყერია, ბილიკი წყდება,
ვერ გამოვდექი მეგზურ - გამყოლად,
ეტყობა, ჩემი არ იყო საქმე,
წუწკი ტურების ამქრის აყოლა.
თემიდა თვალებს მიმალავს განზრახ,
თან მხრებს იჩეჩავს – „მე რას გიშველი,
ამ ნიღბოსანთა ტიალ - ქალაქში
რამ გაგიყვანა ეგრე შიშველი?!"
მიწისქვეშეთიც გადავაქოთე –
ქვეწარმავალებს სორო ბევრი აქვთ,
თეთრი ყვავების საბუდარს ვეძებ,
აღარსადაა, დაურბევიათ.
დიოგენს ფარანს უკან ვუბრუნებ:
– ფარა რად მინდა ბალახის მძოვი,
ადამიანი დღისით ვერ ნახე,
ამ უკუნეთში მე რას ვიპოვი!
სიზმრად ტყეს ვხედავ, ალბათ იქაა,
ჩემი ფიქრის და გულის ადგილი;'
უნდა მოვსინჯო მგლებთან ცხოვრება,
იქნება არის უფრო ადვილი.
სიცარიელის ჩანჩქერი მავსებს,
გაუცხოებამ ეშვი ჩამასო,
ვერავინ ვნახე სოფელში მცნობი,
თუმცა, ვინა ვარ, თავად არ მახსოვს.
ზართა გუგუნი კლდეებს ასკდება,
მოთქმა დაუკრავთ მოცარტებს, ბახებს,
არწივსაც კეხზე ცრემლი ჰკიდია,
ჩაუქინდრიათ თავი ზამბახებს.

ერთ მესაფლავეს მოსვლია ბრაზი

სიცოცხლეს როცა ასაფლავებდნენ,
სიკვდილი წუხდა ყველაზე მეტად:
– მეც ხომ გავქრები მაგასთან ერთად,
სიკვდილ - სიცოცხლე არ დადის კენტად.

სიმართლეს როცა მიასვენებდნენ,
ტყუილი დუღდა ყველაზე მეტად:
– შენით გამქონდა ყოველთვის თავი,
რა მეშველება უშენოდ ნეტავ!

სიყვარულს როცა დაჰქვითინებდნენ,
სიძულვილს უთქვამს ძალიან მწარედ:
– უსიყვარულოდ ვერ გავიხარებ,
ბარემ მეც აქვე დამასამარეთ.

პატიოსნებას როცა კრძალავდნენ,
უნამუსობას სიტყვა მოსწყურდა:
– თქვენ არ იფიქროთ, მაგისი მშურდა,
პატიოსნება ყოველთვის მსურდა.

მაშინაც, როცა ხელმრუდი მოკვდა,
კანონდამცველის ისმის გოდება:
– ბოძი წამექცა, იმედი მტოვებს,
მე უშენობა რომ მაგონდება.

ფარისევლები როცა გლოვობდნენ: –
დავკარგეთ კაცი, რა ბუმბერაზი!
– თქვე წუპაკებო, თქვენ არ მოკალით? –
ერთ მესაფლავეს მოსვლია ბრაზი.

მას შემდეგ თურმე, სასაფლაოზე,
წესი და რიგი სულ არეულა,
გონიერება რომ გარდაცვლილა,
სიბრიყვე, თურმე, გადარეულა:
– ახლა ჩემია ეს არემარე,
ქვეყანა უკვე გვეკუთვნის ბრიყვებს,
გონიერება ჩავდეთ სამარეს,
სხვა კი ვერავინ ვერ დაგვიბრიყვებს.

სამართალს როცა ხანჯლით სერავდნენ,
უსამართლობას ფეხზე ეკიდა,
უკვირდა მხოლოდ – ჩემგან რა უნდათ,
ეს ხალხი რატომ გადამეკიდა.

როცა სიკეთეს თვალს უხუჭავდნენ,
და ბოროტების ხითხითი ისმის:
– სახე მაჩვენა ნეტავი იმის,
ვისაც სჯეროდა შენი თილისმის.

როცა სიხარულს პირს უმუწავენ,
თვით მწუხარებაც თავს აღარ იდებს:
– ბედნიერებას თუ აკუწავენ,
მთლად უკეთესი, შურს ამარიდებს.

როცა გლოვობდნენ ფარისევლები:
– დავკარგეთ კაცი, რა ბუმბერაზი,
– თქვე წუპაკებო, თქვენ არ მოკალით?! -
იმ მესაფლავეს კვლავ მოსდის ბრაზი.

ციური მესხიშვილი

ამფორა

მეც მომხიბლა, გაზაფხულის, ლურჯმა ზეცამ,
თეთრ ღრუბლებს რომ თუთუნივით აბოლებს,
მზე თვალს მიკრავს, ეტყობა რომ თვალი მეცა,
ხელი ვტაცე ყელტიტველა ამფორებს...

ხევის იქეთ მეგულება ერთი წყარო,
წყალწითელას ეძახოდა ბებია: –
ღამ-ღამობით, იცი შვილო, პაემანზე
გოგო-ბიჭი, იქ ერთმანეთს ხვდებიან!...

პაპაშენმაც, იმ წყაროსთან დამიჭირა,
დამაბნია შავი, შავი თვალებით!
მე კი კიდევ, მე კი კიდევ, რით მოვხიბლე? –
თვალის შიგნით პაწაწინა ხალებით!

ეგ ამფორაც, ახლა, ხელში რომ გიჭირავს,
მზითვში, შვილო, ჩემი მონატანია!
თრიალეთში შემიძინა მამაჩემმა,
როცა უკვე ავიყარე ტანია...

განა, შვილო, მართლა ასე უძლურ ვიყავ?–
ხელ-ფეხი რომ ვეღარ ამიტანია!...
ეჰ, რას იზამ? – ყველაფერი სიბერის და
კიდევ, შვილო, წუთისოფლის ბრალია!

გამახსენდა ყველაფერი, უცებ შემრცხვა! –
ბებოსი და ყელმაღალი ამფორის,
ტუჩებზე რომ შერჩენოდა იმ წყაროსგან,
პაპას - ბაბოს უნაზესი ამბორი!...

არჩევანი

იხურება და იღება,
ბებოს ნამზითი კარადა,
თითქოს მზე ეთამაშება:
„არჩევანსა და არადანს.“

გოფრე ჩაცმული ქოლგები,
იკეცება და იშლება,
ძველ ზარდახშიდან თვალს მიკრავს:
ოქროს ბეჭედი გიშერა!...

კართან მთხოვნელი მოსულა,
ბიჭია, – ვითომ, ისე- რა!...
ისე-რა, ბიჭი უძახე,
გული კი გამომისერა!...

ამაღამ, ჩემს ფანჯარასთან,
ამოვა სელის თოკებით
და ჭორიკანა გოგონებს,
შევხედავ ნიშნის მოგებით!

ახლა, მე მეთამაშება,
მზე – „არჩევანს და არადანს“,
არადა, სულ სხვა მიყვარდა! –
სულ სხვა მიყვარდა – არა და!!!...

ჩემი ნანალო

აყვავებულა ტირიფი,
ქარი დაღლილა ნანწალით,
ხის ძირში წამოწოლილა,
მზე, როგორც მთვარის წაწალი...

ქარმა, გადიხსნა საკინძე,
ვაითუ, მზემაც ეს სცადოს,

ვაითუ, ტირიფს ფოთლები,
კოცნისგან შემოეცალოს...

ისე მიყურებ თვალებში,
თითქოს, რაღაცა გეწადა,
მზის და ტირიფის ალერსი,
ჩვენც ხომ არ გამოგვეცადა?!...

პაპას წყარო

ხან ვიღვიძებდი ჩიტებზე ადრე,
ხან შუადღემდე ვხედავდი სიზმარს,
ისე ჩავიდა წუხელი მთვარე,
მზე რომ ამოდის ზღაპრულად ცისმარს!

დიდედაჩემი იტყოდა ხოლმე:
„პირი უშრება საბრალო იფანს,
გაიქე, კოკით წყალი მიუტა, –
დილაადრიან, მზე პირს რომ იბანს“!...

მეც გავშპებოდი კუნტრუშ-კუნტრუშით,
გადავიცმევდი უმოკლეს კაბას
და გულის პირზე დავიმაგრებდი,
პეპლების ნაცვლად ფოთლიან ბალბას.

ის მთვარე იყო, მე კი მზის სხივი,
კოკაში მეგდო კენჭი პატარა,
პაპას დაედგა იქვე წისქვილი , –
გადმოდიოდა წყარო, ანკარა...

ნეტავ, კვლავ შევხვდეთ, იმ ნაკადულთან,
(გახსოვს, ხორბალი ერთად რომ დავფქვით?!)
კოკას ესროლო კენჭი პატარა
და ახლა მითხრა, რაც მაშინ არ თქვი!...

სალაღობო

ჭრელი კაბა შრიალა,
მე რომ მეცვა სკოლამდე,
ო! იმდენი იარა,
მომყვა შემოდგომამდე!...

მერე, როცა ბავშვობა,
მორჩა, დამითავთავდა,
შევიცვალე კაბა და
გავეშურე ჭადართან...

იქ ჭაბუკი დამიხვდა
ჭორფლისფერი ჩოხითა,
სარკეს ვეკითხებოდი:
ვინ ვის უფრო სჯობნიდა?

დედამ, დათვლა მასწავლა,
განა ბევრი? – ორამდე...
ჯვარს დავიწერთ ორივე
გვიან შემოდგომამდე!...

საშიში ჰაშიში

მზემ გაიღვიძა, დაკვესა თვალი,
ყაყაჩოსფერი ჩაიცვა კაბა,
მთვარე, საშიში, ჰაშიშით მთვრალი,
ჩილიმბარებში ცეკვავდა სამბას.

ცივ ნაკადულებს ეძინათ ისევ,
ტყე იღვიძებდა ზმორებ-ზმორებით,
სამაგიეროდ მტერს არ ეძინა,
შემოსულიყვნენ გრემში მსტოვრები...

შემოსილიყვნენ გრძელი კაბებით,
ჩრდილების სხვენში კრთოდნენ თავშლები,
და გამახსენდა ძველი ამბები:
ხრესილის ბრძოლა, დანა-დაშნებით....

წამოიშალა მწვანე მინდორიც,
ყველა ფრინველი ცისკენ ალაგდა
და გამახსენდა: დიდი დიდგორი,
ბასიანი და ძველი მარაბდა!

ჰო! – გამახსენდა გოლიათებიც,
ამირანივით ჯაჭვს რომ გაწყვეტდა,
ღმერთო! მაჩვენე, ვინმე მოძღვარი,
საქართველოსთან ჯვარს ვინც დამწერდა!...

ფოლკლორი

ამირანის ჯღაპარი

ამირანი პატარა რომ იყო, ქრისტე-ღმერთმა მონათლა. დაარქვა ამირანი. ქრისტემ თორმეტი კამეჩის ძალა მისცა. ამირანი რომ გაიზარდა, შემოიარა ქვეყანა და ვერავინ გაუძალდა, ერთი მონადირე შეხვდა ტყეში, ამირანმა უთხრა:

– ხომ არაფერი იცი ისეთი, რომ საშიში იყოსო?

– აპაო, ამ ორ თას რო გადაივლიო, იმის შემდეგ არისო ერთი კოშკიო.

წავიდა ამირანი. იპოვნა ის კოშკი. კარები არ ქონდა. უარა გარშემო, ადგა მერე და შემოკრა მუჭი და გაიღო კარები; შიგ ნახა, ერთი კვდარია გასვენებული.

თითებსა და თითებს შუა ქაღალდი ედო წიგნისა.

წაიკითხა და შიგ ეწერა: მე ვარ უსუპის ძმისწულიო.

სანამ ვიყავი მტერი არ გაუშვიო.

ერთი ბაყბაყ-დევი დამრჩა, ჩამყვა იმისი ჯავრიო.

ვინც იმას მომიკლავს, ჩემი ფარი, ჩემი ხმალი ალალ მისიო.

მოუარა ამ მიცვალებულს. დამარხა. წავიდა იმ დევის საძებნელად. ერთი დღე იარა, ვერ იპოვნა, მეორე დღეს ერთი მთა გადმოიარა და ნახა, რო ქვაზე ზის. ამირანმა გახედა, ბაყ-ბაყ-დევი იჯდა ქვაზე და თვლემდა. ამირანმა იფიქრა: მძინარეს რო დავეტაკო, ეს რა ვაჟკაცობა იქნებაო. ამირანს ხმა ქონდა იესო ქრისტესგან ისეთი, რომ დაიყვირებდა, ყველას გულს გაუხეთქავდა. თითონ თავი რო არ გახეთქოდა, რკინის ლახტი გაიკეთა თავზე და დაიყვირა. რო ეძინა, შეხტა ეს ბაყბაყ-დევი და გაუსკდა გული. ადგა. გავიდა, კვდარია ეს დევი. იფიქრა, დაუყარაულებ: ან შვილი ეყოლება, ან ძმა. ადგა და ქალმა დაუწყო დევს ძებნა. ამირანი იყო დევს დაყარაულებელი. წავიდა. შეაბა ლომები მარხილში. მოიყვანა და, როგორც იყო, კვდარი დაასვენეს მარხილზე. ცალი ხელი დაურჩა მიწაზე. ამირანიც მივიდა. ქალმა უთხრა: ამირანო, თუ ძმა ხარ, ეს ხელი ჩაუდე მარხილშიო. დაიხოცნენ ლომები. მიწას ხნავსო.

ამირანმა ხელი ვერ აუწია, ვერ ჩაუდო, ვერ მოერია. მაშინ თქვა ქალმა:

– ახ, ამირან, ამირან, შორიდან გაქებდნენ ხმითაო,

თორემ ახლოს მოსულიყავი, რას იზამდი ძალითაო.

ადგა და გაბრაზებული წამოვიდა ამირანი. მივიდა თავის ნათლიასთან:

– მე რა შენი მონათლული ვარ, ხელი ვერ აუწიე, იმდენი ძალა არ მქონდა, ახლოს რო მივსულიყავი, რას უზამდი!

ადგა, შენ ხარ ჩემი ბატონი და ქრისტემ დაუმატა თურმეტი უღელი კამეჩის ძალა. ამირანმა მოიარა ქვეყანა, რო ვეღარავინ მოერია, ნათლიას უთხრა მერე: შენ დამეჭიდეო. ნათლიას ეწყინა, როგორ თუ ეს შემკადრეო, მაგრამ მაინც უთხრა:

– კარგიო. გადავაბამ ყანას ყანაზე, დავასობ პალოს, მოვაბამ ზედაო, მოგაბამ კისერშიო.

ამირანმა გაიცინა:

– ქვეყანაზე ვერავინ მამერიაო და ყანა რა�ა!

ქრისტემ ასე გააკეთა. ამირანმა გაიწია და გადაიქცა სხვილ ჯაჭვათა. გაიწია, მაგრამ ვერ გაწყვიტა. ნათლიას უთხრა, მიშველეო. ქრისტემ უთხრა:

– გადიყარე სამჯერ მიწა და მერე გიშველიო.

ადგა, შენ ხარ ჩემი ბატონი, გადიყარა მიწა და გადაიქცა კოხტა გორათ (ბაკურიანის მთა რო არის). ადგა და ასე დაწერა ქრისტემ:

– შვიდ წელიწადში ერთხელ გაეღება კარი.

ერთხელ მეცხვარე შეესწრო, რო ამირანის კარი გაღებულიყო. ამირანმა დაუძახა:

– მოდი, მოდი აქაო.

მეცხვარე რო შევიდა, ამირანმა უთხრა:

– აბა, შენი პური მაჩვენეო.

აჩვენა. პურს მოუჭირა ხელი და გამოადინა სისხლი; მერე თავისი პური ამოიღო და მოუჭირა ხელი და რძე გამოადინა:

– აი თქვენ როგორი სისხლი ჭამის დროში ყოფილხართო; მე რო ვიყავი, ასეთ პურს ვჭამდითო, რო რძე გამოდიოდაო. – მერე უთხრა: – ეს ხმალი მამითრიეო.

ის მეცხვარე რას მიერეოდა. მერე უთხრა ამირანმა:

– შენაო, მოკიდე ხელი ხმალსაო და მე ფეხებიდან გამაგითრევო.

მეცხვარეც ასე მოიქცა. გამოათრია ამირანმა, მაგრამ კინაღამ გაწყდა ის კაცი. გაუშვა ხელი. უთხრა:

– წადი შენაო. ღვედი რო იციანო, გუთნებს რო აბამენო, ის ღვედი მამიტანეო, ისე, რომ უკან არ მიიხედოო. ვინც გინდა გიყვიროს, უკან არ მიიხედოო.

წავიდა ეს კაცი. აიღო ღვედი. მოაქვს. ქალი, ხო იცი, ეშმაკია, რო არ შეგაცდინოს, არ იქნება. გამოუდგა. დია, დია და უძახდა:

– რა მიგაქ და რათ გინდა, რა მიგაქ და რათ გინდაო? – არ მოეშვა ქალი. მან არ მიიხედა, მაგრამ რო აღარ მოეშვა, მიიხედა და გაუწყრა. მივიდა მეცხვარე და კარები დაკეტილი დახვდა.

ამირანს ერთი ფინა ყამსო. ის ჯაჭვს ტლანკამს, ტლანკამს, გალემს ისე, რო უნ გაწყდეს; ამ დროს, დიდ ხუთშაბათ, მჭედელი დგრემლს დაკრამს ჩაქუჩს. ჯაჭვი ისევ გამთელდება. ამირანი ემტერება ქალსა და მჭედელს.

მთხრობელი *ივანე ლაზარეს ძე თედიაშვილი*, სოფ. დაბა, ჩაწერილია 1965 წელს *გიორგი ზედგინიძის* მიერ.

***

სოფელო იეთ მოეთო,
საბრუნავისა მახეო,
ამ ერისთვინი ხელშია
სიკეთე ვერა ვნახეო.
მოვიდნენ ბედის მწერლები,
ავდექ და უკან გავყეო,
მიმიყვანეს ჯოჯოხეთში,
ბოლი ამოდის მჭახეო,
მამა ჩემი იქა ვნახე,
სულ გამოსცლოდა სახეო,
შვილო, აქ რამ მოგიყვანა,
შენ გენაცვალე, გნახეო,
მე რომ ვენახი დაგიგდე,
ხო კარგად შეინახეო?

მთქმელი სოსიკა ქარელაშვილი, საქართველოს რეპუბლიკური არქივის ფონდიდან

კახაბერ ჯაყელი

ჯავახეთის გზა რომ მგლის ბილიკი იყო, იცოდა სელჯუკთა სარდალმა ულუ-სიქარმა, რომელსაც, დიდი ლაშქრობებისაგან დასვენების დროს, უყვარდა მარბიელი ცხენოსანი ჯარით უცხო მიწაზე უეცარი სტუმრობა.

– საუკეთესო ცხენები დიდხანს დგომას არ მიაჩვიო, შვილო სიქარ, – ხშირად ჩაესმოდა ყურში მამამისის, გარდაცვლილი სულთან მარაშის ხმა. რაც მამა დაკარგა, მას შემდეგ აისხა იარაღი სიქარმა და ურწმუნოთა წინააღმდეგ რამდენიმე ომში ჭეშმარიტი მაჰმადიანის ერთგულებითა და გულმოდგინებით იომა.

სიქარის ძმა, ქარიაფა, მამის გარდაცვალების შემდეგ სულთნად რომ დაჯდა, წერილს წერილზე უგზავნიდა ულუ-სიქარს, – დამიბრუნდიო! – და მზად იყო მისთვის ნახევარი სასულთნო გაეყო. მზეთუნახავი ქიაფირებითა და მხევლებით შემორტყმული ქარიაფა, სასახლესაც გაუყოფდა ერთადერთ ძმას, თუ იგი დაბრუნდებოდა და სულთნის სასახლეში მეორე კაცად დაბრძანდებოდა.

ძმის სასახლის წარმოდგენისას იღიმებოდა ულუ-სიქარი, ეხლა ამ წუთას, თავისი ათასეულით რომ მიუყვებოდა ჯავახეთის გზას უკუნ ღამეში. – „მშვიდობის მოყვარული ნითელ-ნვერა ქარიაფა ზის ეხლა თავისი ცოლებით გარშემორტყმული და მიირთმევს, ალბათ, ცხელ კახვეს ტუჩების დაფუფქვამდე, ამ დროს შემოაქვთ მის მრავალრიცხოვან ბავშვებს უთვალავი ტკბილეული და ბრძენი ფარიზ ად-დინი, სულთნის მარჯვენა მხარეს რომ გადაწოლილა, ხმამაღლა უკითხავს მათ ისკანდერიზის ლექსებს: – ოჰ, ჩემო სულო, ოჰ, ჩემო ვნებავ. – მოიცა, როგორ არის?.. იქნებ გავიხსენო. ლაშქრობებმა მოვკრეფ, ძალას მოვიკრებ და მარაშში ძმას ვეახლები, მისი სასახლის გვერდით, ფირუზისფერ, აივნებიან სასახლეს დავდგამ მშობლების მავზოლეუმთან ახლოს. ხშირად მივალთ მე და სულთან ქარიაფა მამისა და დედის საფლავზე. იქვე შადრევანი რომაა, ჩამოვჯდებით, ბრძენი ისკანდერიზის ლექსებს წავიკითხავთ, სპარსული პოეზიის ასპარეზობებს გავმართავთ, თურქ პოეტს იქ არ გავაჭაჭანებთ, ვიქნებით წყნარად, გავრზდით შვილებს – ჩემს მირზას მეცნიერად აღვზრდი, ეყო ჩემს გვარს, რაც იომა და სისხლი ღვარა, რა სჯობს იმის მიღწევას, რასაც დიდი საყდარში. თუხარისის ერისთავი დიდი დავით მეფის უახლოეს კაცად ითვლებოდა ერისთავებს შორის. არადა, მეფე და ერისთავი არც ერთად გაზრდილან და არც ასაკით იყვნენ ტოლ-სწორნი. დავით IV ბაგრატიონი დიდად აფასებდა თუხარისის ერისთავს. მის ერთგულებას, თავდადებას და ჭკუას ყოველთვის გამოარჩევდა ხოლმე. სამხედრო თამაშების დროს, მხოლოდ ბეშქენს შეეძლო დიდი მეფის სამხედრო ამოცანის ზედმიწევნით შესრულება და, როგორც ჩანს, მისმა ჩანაფიქრმა, განზრახვაზე მომართულმა გონებამ, მცირედით კმაყოფილებამ, ლაშქრობის

ანი ზაბახა და გაკვირვებული სახით მიუახლოვდა ბეშქენს.

– აი, თქვენს წინაშე ვარ, მე, როგორც დუშმანი. ამოიღე სატევარი და დამარტყი. ვნახოთ, თუ ხარ მზად დიდი ომისათვის! – თქვა წაბლისფერ წვერულვაშიანმა ბეშქენმა და ზაბახას თვალი თვალში გაუსწორა.

არ ელოდა ჭაჭკრელი პატრონისაგან ამგვარ გამოწვევას, გაკვირვებით გადახედა სხვა აზნაურებს და როცა თავად სახლთუხუცესის მდუმარე თვალებს შეეყარა, მიხვდა, რომ უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა, თითქოს ზანტად დაიდო ხელი სატევარზე, მაინც უეცრად წამოხტა და პატრონს მივარდა. თავისი ძალის იმედი მუდამ ჰქონდა, სისწრაფეც არ აკლდა და მთელი სიმძლავრით რომ დაესხა თავს, ამგვარს მაინც არ მოელოდა. იმ წამს ბეშქენმა უკან გადადგა ნაბიჯი, ზაბახამ თავი ვერ შეიკავა, თუხარისის ერისთავის მძლავრმა მარჯვენამ მას ხელი ზურგს უკან მოუქცია და იგი მიწაზე წამოაჩოქა.

– „დააგდე სატევარი, არ ხარ მზად, ომისათვის, ზაბახა ჭაჭკრელო, მინდა ყველამ გაიგოს ის, რაც დავით მეფემ დამაბარა თქვენთან: გონს მოეგეთ, აზნაურნო, მარტო პირობის მიცემა არაფერს არგებს ჩვენს სამეფოს, თუ არ გაინვრთენით, თუ არ შეითვისეთ, არ ისწავლეთ, იცოდეთ, ასე სელჯუკს ვერ დავამარცხებთ.

– რა უნდა ვისწავლოთ, ბეშქენ ბატონო, ხმალსა და სატევარს ბალღობიდან ვსწავლობთ, – იხუმრა სახლთუხუცესმა.

აქ სატევარზე არ არის საქმე, თურქის დამარცხება არ არის იოლი, მეფეს სამი წელი დასჭირდა იმისათვის, რომ ჩვენი მხედრობა, ველზე, სელჯუკთა ლაშქართან გაეტოლებინა. ლასურისძევ, შენ იცი, თურქთა შეძახილზე შიში ეპარებოდა გიორგი მეფის სპას და მთისაკენ გარბოდა, რადგანაც ველზე დგომას არ იყვნენ

თავდასხმა აღდგომის ღამეს – ბეშქენ II

(ნაწყვეტი რომანიდან)

ლამისაა, გამომაშტეროს:

ოჰ, სულო ჩემო, შემოიძარცვე შენი სამოსი,
ძუძუთა შორის რომ ხევია, იქ შემახედე,
წესად არა მაქვს რომ აგხადო ძალად ნამუსი,
ძუძუთა შორის ხევი როა, იქ შემაფერხე...

აღიღინდა თეთრჩალმიანი რაინდი და ცხადად წარმოიდგინა, თუ როგორი მოთენთილობით მიმოდიან ვეზირები მარაშის სულთნის კარზე და ყველა, – დიდი თუ პატარა, ელოდება დაღამებას, რათა ბნელი ცის კამარის ქვეშ, თავის საყვარელ მხევალთან განმარტოვდეს და ბოლომდე მიიყვანოს საქმე დაწყებული წინა ღამეს, როდესაც თბილი თაფლი გაზავებული გურჯისტანის მოტკბო წითელ ღვინოში ძუძუს თავებზე ჰქონდათ ნაპკური ალებსატრივით თეთრ-ბეჭიან ქალებსა თუ კაკაბივით მოგოგმანე სპარსელ ღულამებს, რომელთა დამღუპველი სინარნარე გონებას ურევდა მარაშელ მრავალ დიდგვაროვანს.

– ოჰ, შაითან, აი ეს არის, რომ გვასუსტებს და ძალას გვაცლის, მოთენთილობა, ქიმმიშნარევი კაჰვეთი ტუჩების გამოფუფქვა, ტკბილი ფლავით მუცლის გაბერვა, გურჯების ღვინით თრობა, სომხის, ბერძნისა თუ ებრაელი ქალებით მოყირჭვა, დაირის ხმაზე როკვა და ცხელი შადრევნის პირას დაძინება, მეორე დილას საკუთარი თავის ვერ ცნობა და პირით იმის ღებინება, რაც წყეულმა გვაჭამა და გვასვა – ჩურჩულებდა ძმის წარმოდგენისას ულუ სიქარი და გახარებული იყო იმით, რომ წმინდა ჯიჰადის ერთ-ერთი მძლავრი სარდალი იყო და ეხლა სწორედ ურწმუნოების ქვეყნის გულისაკენ... – ჯავახეთისაკენ მიემართებოდა.

რა იცოდა სიქარმა ჯავახთა შესახებ, ეს უკვე საკითხავი იყო. ხალიფას კარზე აღზრდილი ვაჟკაცი თავისუფლად ფლობდა არაბულსა და სპარსულ ენებს, თურქულთან ერთად ჭადრაკისა და კილიჯის (თურქული ხმალი) შეთვისება, ბავშვობიდან გავლილი ფათერაკიანი გზის გაადვილების წინაპირობა იყო.

– მამის კარზე ჭადრაკი რომ ძალით არ ესწავლებინათ ჩემთვის, განა მოვიგებდი კი იმ ბრძოლებს, რომელთა გამარჯვება ჩემთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, ან კი, კილიჯის შეუთავსებლად, აქამდე ათასამდე ბრძოლას, ლაშქრობასა და წმინდა ჯიჰადის სამსახურში ყოფნას ხომ საეჭვოდ გადავაქცევდი?“ – ფიქრობდა სიქარი და ახსენდებოდა განჯაში დატოვებული შვიდი წლის ერთადერთი ვაჟი, რომელსაც, სალაშქროდ მიმავალმა, დამშვიდობების ღამეს, კიდევ ერთხელ დახედა. მოწითალო თმიან, გასაოცარი სილამაზის მირზას, რომელსაც დედის გვერდით ეძინა. სიქარმა ინდური ქვებით მოჭედილი, მცირე ზომის ჭადრაკის ყუთი სასთუმლის ქვეშ ამოუდო, შუბლზე აკოცა და... უეცრდად გამოღვიძებულ ლურჯთვალა ფატმან ხათუნს თვალი ჩაუკრა და უმალ დასტოვა სიმამრის – ალი-მორდალის სასახლის კარი.

– ჯავახეთში გავინადირებთ, ნადავლს ბრძენი ეწოდება. თუ მირზამ წიგნი შეიყვარა და კილიჯი (გრძელი მოხრილი სელჯუკური ხმალი) შეიძულა, ბედნიერი კაცი ვიქნები, ანი ჩემი ძმის შვილებმა, სულთნის ძეებმა, იქნიონ თავისი ხმალი, საკუთარი სასულთანოს დასაცავად, მე კი, თუ მირზა გამომყვა, თუ ფატმან ხათუნმა არ აიყოლია, ჩემი უსაყვარლესი მირზას მსახური ვიქნები, სადაც ის წავა, მეც თან წავყვები ლანდივით, – ხორასანში გინდა, შვილო, განათლების მიღება, კი ჩემო ბეი, სასახლეს აგიგებ ხორასანში და მე, მამაშენი, მცველად დაგიდგები; ბუხარაში გინდა ექიმობის ხელოვნების შესწავლა, მე შენი დერვიში ვიქნები, ჩემო ერთადერთო, ისფაჰანში მოისურვებ ალ-ჯებრისა (ალგებრა) და ალ - მუკაბალას (გეომეტრია) შეთვისებას, მე შენი მუსტასიბი ვიქნები, ამ გრძელ ხმალს – სუფიას ჯოხში საფუძვლიანად დავმალავ და მოგყვები, ჩემო ვარსვლავო“... – ჩურჩულებდა სელჯუკთა სარდალი, ჯავახეთის მთებს რომ მიუყვებოდა და მოკიაფე ვარსკვლავებს შორის, საკუთარი ვაჟის მომავალ ბრწყინვალებას შეჰხაროდა.

***

აღდგომის წირვის წინ, საზეიმოდ გამოეწყო ჯავახეთი. დიდი მარხვა დასასრულს მიახლოვებულიყო. მეწამულის ფერი ცა ქუდივით ეხურა დედამიწას, ბუნება თითქოს სთვლემდა იმ მხარეში, რომელსაც დიდი მესხეთი ერქვა. ჯავახეთი ხომ მესხეთის განუყოფელი ნაწილი იყო და უამრავი სისხლისმღვრელი ბრძოლების მნახველი.

ჩვენი წელთაღრიცხვით მე-3 საუკუნეში, ჯავახეთი წმინდა ქართული მხარე იყო, მაგრამ მისი დიდი ნაწილი, იმხანად, დაპყრობილი იქნა სომეხთა მიერ. „დიდი ჰაიქის“ შემადგენლობაში ჯავახეთის ზოგიერთ თემს მანამდე გაუძლია, სანამ არშაკუნების სომხური დინასტია სრულიად არ იქნა განადგურებული. იმ დროსა და მის შემდგომად ჯავახეთის დიდ ნაწილს ვარძავუნთა გვარის ფეოდალები მართავდნენ. მე-10 საუკუნეში, ჯავახეთის ნაწილი, დროებით, ისევ სომეხი ბაგრატუნების სამფლობელოში მოექცა. მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში – მთელი ჯავახეთი და, მათ შორის, სომეხთა მიერ დაპყრობილი თემები, ძალით დაიმორჩილეს ადგილობრივმა ჯაყელებმა, რომელთა ხმლის ძალამ გადასძლია ვარძავუნთა ნაშიერებს. დაბა ზრესკის მიდამოებში, ჯაყელებმა პირწმინდად გაანადგურეს ახალ ვარძავუნთა სომხური მხედრობა და მხარე მანამდე ჩაიგდეს ხელთ, სანამ მათ საქართველოს მეფე, მათ ამ კუთხეს საერისთავო უფლებით დაუკანონებდა. დაბა ზრესკის მიდამოებში არსებული სომხური სასულიერო კერა, გამარჯვებულმა ჯაყელებმა, შეუნარჩუნეს დაყმევებულ სომხებს და ეხლა სწორედ იქით მიაგელვებდნენ ისინი თავიანთ ბედაურებს.

***

ბეშქენ ჯაყელს ელოდნენ მესხები ზრესკის

დროს სულიერმა სიმშვიდემ და განსწავლულობამ, ბეშქენ ჯაყელს განსაკუთრებული ადგილი მოუპოვა დავით აღმაშენებლის თვალში.

–აი ამგვარი მეომრები და ამგვარი სარდლები მინდა ყველგან და მთელ სპარსეთს, ხორეზმსა და ჩინმაჩინის იმპერიებს საქართველოს ყმადნაფიცად გადავაქცევდიო! – უთქვამს ერთხელ დავით მეფეს თავისი ამალის წევრთა გასაგონად.

მათაც, გაუგიათ რა მეფის ეს სიტყვები, ბეშქენ ჯაყელის მოსპობა განუზრახავთ.

***

ზრესკის საყდარში, ეპისკოპოსის საზაფხულო რეზიდენცია იყო. სწორედ იქ ელოდა ბეშქენი თავის მესხებს და სახლთუხუცესს. ჩირაღდნებით იყო განათებული ეზო, როდესაც ლასურისძე შემოუძღვა მესხ აზნაურებს. ისინი შედგნენ და ბეშქენ ჯაყელს გადაეხვივნენ. ლასურისძე მიეტევა ჯერ თავის აღზრდილ ერისთავს და დიდი ხნის უნახაობით მოიკითხეს ერთურთი ბეშქენმა და ლასურისძემ.

– მნიშვნელოვანი საქმე მაქვს, თქვენთან, – ბრძანა დავით მეფის ამალიდან საიდუმლოდ შემოქცეულმა ბეშქენმა და აზნაურები მის გარშემო შემოიკრიბნენ.

– დიდი ომი გველის? – იკითხა ერთმა. ბეშქენი უმალ შემოტრიალდა და, იმას, რომელიც ომი გველისო, კითხულობდა, უთქმელად თვალებში ჩააცქერდა.

– ბეშქენს რკინისებური მზერა ჰქონდა, მაგრამ, თითქოს, შეცვლილა, უფრო დადინჯებული გამხდარა“, – გაიფიქრა გამზრდელმა ლასურისძემ და – „თუხარისის ერისთავის წინ, ხის ტახტზე დაბრძანდითო, – უთხრა აზნაურებს.

***

– დიდი ომი გველისო, რომელმაც იკითხა, მოვიდეს ჩემთან! – თქვა უეცრად ბეშქენ ჯაყელმა. წამოდგა ჭაჭკრის ერის მამასახლისი, არგვიანი ზაბახა და გაკვირვებული სახით მიუახლოვდა ბეშქენს.

– აი, თქვენს წინაშე ვარ, მე, როგორც დუშმანი. ამოიღე სატევარი და დამარტყი. ვნახოთ, თუ ხარ მზად დიდი ომისათვის! – თქვა წაბლისფერ წვერულვაშიანმა ბეშქენმა და ზაბახას თვალი თვალში გაუსწორა.

არ ელოდა ჭაჭკრელი პატრონისაგან ამგვარ გამოწვევას, გაკვირვებით გადახედა სხვა აზნაურებს და როცა თავად სახლთუხუცესის მდუმარე თვალებს შეეყარა, მიხვდა, რომ უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა, თითქოს ზანტად დაიდო ხელი სატევარზე, მაინც უეცრად წამოხტა და პატრონს მივარდა. თავისი ძალის იმედი მუდამ ჰქონდა, სისწრაფეც არ აკლდა და მთელი სიმძლავრით რომ დაესხა თავს, ამგვარს მაინც არ მოელოდა. იმ წამს ბეშქენმა უკან გადადგა ნაბიჯი, ზაბახამ თავი ვერ შეიკავა, თუხარისის ერისთავის მძლავრმა მარჯვენამ მას ხელი ზურგს უკან მოუქცია და იგი მიწაზე წამოაჩოქა.

– „დააგდე სატევარი, არ ხარ მზად, ომისათვის, ზაბახა ჭაჭკრელო, მინდა ყველამ გაიგოს ის, რაც დავით მეფემ დამაბარა თქვენთან: გონს მოეგეთ, აზნაურნო, მარტო პირობის მიცემა არაფერს არგებს ჩვენს სამეფოს, თუ არ გაინვრთენით, თუ არ შეითვისეთ, არ ისწავლეთ, იცოდეთ, ასე სელჯუკს ვერ დავამარცხებთ.

– რა უნდა ვისწავლოთ, ბეშქენ ბატონო, ხმალსა და სატევარს ბალღობიდან ვსწავლობთ, – იხუმრა სახლთუხუცესმა.

აქ სატევარზე არ არის საქმე, თურქის დამარცხება არ არის იოლი, მეფეს სამი წელი დასჭირდა იმისათვის, რომ ჩვენი მხედრობა, ველზე, სელჯუკთა ლაშქართან გაეტოლებინა. ლასურისძევ, შენ იცი, თურქთა შეძახილზე შიში ეპარებოდა გიორგი მეფის სპას და მთისაკენ გარბოდა, რადგანაც ველზე დგომას არ იყვნენ ჩვეულნი.

– მართალი ხარ, შვილო! – თქვა ლასურმა და, ამ დროს, გულზვიადად ამოიღეს ხმა დანარჩენმა აზნაურებმა:

– რა ვისწავლოთ და სად, ჩვენ მზად ვართ, მეფისთის მოვკვდეთ, ბეშქენ ბატონო! – თქვა სათლის ერისთავის შვილმა გიორგიმ, რომელიც თვალებს ხშირ-ხშირად ახამხამებდა და, როგორც ჩანს, ჩირაღდნის შუქზე მხედველობა უჭირდა.

– დაშოშმინდით და მომისმინეთ, თუ რას მესაუბრა დიდმა მეფემ, – ბრძანა ბეშქენ ჯაყელმა და დარბაზში სიჩუმე ჩამოწვა.

რასაც ბეშქენი უამბობდა თავის რჩეულ აზნაურებს, ეს ამბავი ათიოდე დღის წინ ოქროს ქვაბში მოხდა, ტაბაწყურის ტბის პირას.

***

დევის ქვაბულის განაპირას, ტბის ნაპირზე, ასიოდე მხედრით გარშემორტყმული, ლოდზე ჩამოჯდა დავით მეფე და თავის ყველაზე გამოცდილ და გაბედულ ერისთავს დაელოდა, რომელსაც მისთვის მთავარი ამბავი უნდა ეცნობებინა. ამ მთავარი ამბის გაგებას ისე მიელტვოდა დავით მეფე, რომ მას წაღვრლის ციხეში ან გეგუთის სასახლეში გული აღარ უდგებოდა და შესახვედრად, ბაკურიანისა და ციხისჯვრის მიმართულებით, თავად გამოსწია.

ციხისჯვრელი ფეოდალები გაფრთხილებულები იყვნენ, რომ მეფე მათ სამფლობელოში შეუმჩნევლად გადაადგილდებოდა და ისინიც გულის ბაგაბუგით ელოდნენ დაძახებას დავითისაგან. სანამ იგი მათ არ დაუძახებდა, მანამდე, თავიანთი მხრიდან, ყოველგვარ ქმედებას, მიუღებლად სთვლიდნენ.

თორელნიც ელოდნენ მეფეს, მაგრამ დავითი იდუმალი მბრძანებელი იყო, ამიტომაც ისინიც გულდინჯად მიელტვოდნენ მეფისაგან მოვლინებულ მალემსრბოლს, რომელიც არ ჩანდა. თორის

ჯაყელის თურქთაგან მოკვდინება

ციხეებზე გუშაგები არემარეს გადაჰყურებდნენ, თუმცა ჩქამიც კი არ იძვროდა.

დავითი კი, ამ დროს, ტბის პირას იჯდა და ბერძნულ წიგნს კითხულობდა ეპიმონდას სტრატეგიის შესახებ და ხანდახან ცას აჰხედავდა ხოლმე.

მეფის ლურჯი თვალები, ცის შუქზე კიდევ უფრო გადაკრიალდებოდა და მაღალი მთების თავანკარა ტბებს ემსგავსებოდა ხოლმე. დავითი მუდამ რაღაცას იწერდა, მისი ხელწერა, უნაგირსა და ფარზე გადაშლილ პერგამენტს უეცარი აზრებით ავსებდა და იმდროინდელ კაცთათვის ერთნაირად მისაბაძს ხდიდა.

ჩუხჩები გაფრთხილებულები იყვნენ, რომ მეფესთან ბეშქენ II ჯაყელი შემოეშვათ. მკაცრი იყო ჩუხჩთა ათასეულისთავი გაბრიელი და იგი ზედმიწევნით ასრულებდა მეფის სურვილებს.

დიდმარხვის ჟამი იდგა და ჯვალოს სამოსიანი, მარტოოდენ მოკლე ხმლისა და სატევრის ამარა მორთული ბეშქენ ჯაყელი, მისთვის დამახასიათებელი სიდინჯითა და თავმდაბლობით მიუახლოვდა ლოდებს შორის ჩასაფრებულ სამეფო ჩუხჩებს. გაბრიელი მიუახლოვდა ბეშქენს, ისინი ერთმანეთს თავის დაკვრით მიესალმენ და, შემდეგ, ჩუხჩებმა გაბრიელის ნიშანზე, ერისთავისათვის გზა გახსნეს.

იარაღი ჩუხჩების ფეხებთან დააწყო თუხარისის ერისთავმა და მარტო ერთი წიგნის ამარა ეწვია, დევის ლოდზე მჯდომ, მაღალ, გამხდარ, სახეაწითლებულ, წაბლისფერ წვერულვაშიან, უბრალო ბიზანტიურ ლაბადაში გახვეულ მამაკაცს, რომელსაც ჭაღარა უკვე საფუძვლიანად შეჰპარვოდა.

– მობრძანდი, ბეშქენ ჯაყელო, მოდი, გადაგეხვიო, ჩემო მესხო, განსნავლულობითა და აზრით მდიდარო კაცო! – უთხრა დავით მეფემ,

– ყურადღებით მომისმინე, ბეშქენ, – თქვა დავით მეფემ და მისმა მოლურჯო ფერის თვალებმა საოცარი სიმშვიდე იგრძნო იმ დროს, – არწივისებრი გაუხდა მზერა და, თითქოს, ყოველივე იცვალა მათ გარშემო და დრო გაჩერდა. დარჩნენ მარტო მეფე და ერისთავი. აღარც ჩუხჩები იყვნენ გარშემო, არც ტბის ტალღები ელამუნებოდნენ ნაპირს ზარმაცად, მხოლოდ მეფის ხმა-ღა ისმოდა.

– ვისაც დავით მეფესთან საუბრისას სამყაროს ამგვარი გარინდება განუცდია, ისინი კვლავ და კვლავ მიილტვიან მისკენ. თუნდაც ერთ სიტყვას მეფისას, ჩაეძიონ ისინი. ღვთის კაცია, მესიაა ქართველთათვის მოვლენილი! – გაიფიქრა ბეშქენ ჯაყელმა და მეფის სიტყვებში ჩაიკარგა.

დავით IV ბაგრატიონი „აღმაშენებლად“ წოდებული და მისი ერისთავი

– გადამწყვეტი გამარჯვების მისაღწევად დიდი უპირატესობის მოპოვება გვჭირდება ჩვენ. თუ უპირატესობა ვერ მოვიპოვეთ, მაშინ დღეს, შესაძლოა, მოვუგოთ ბრძოლა თურქებს, ხვალ კი, ვინ იცის, ყველაფერი შეიცვალოს სხვაგვარად. ამიტომაც სამხედრო უპირატესობას უნდა ძიება.

ეხლა რა არის სამხედრო უპირატესობა? ამაზე ჩვენს სამეფოში არავის უფიქრია, როგორც ჩანს. ამიტომაც მე და შენ უნდა ვიფიქროთ, ბეშქენ ჯაყელო. უპირატესობა გადამწყვეტია ომის მოგებისათვის. აი, დაფიქრდი, რომის არმია მაკედონურ ფალანგასაც ამარცხებდა და კართაგენის მრავალრიცხოვან სპილოთა წყობასაც, მაგრამ მას შემდეგ, რაც პართიელებმა ცხენზე შეჯავშნული კაცი შესვეს და მას საყრდენად ახალი ტიპის უნაგირი მისცეს, რომლითაც ცხენზე დაამაგრეს. პართიელებმა შეჯავშნულ კაცს ხელთ დიდი მშვილდისარი დააკავებინეს და სწრაფ სროლაში განვრთნეს. მას წინ დიდხანს ვერავინ დაუდგა. „პართიული ისარი“ სწორედ მაგედან მოდის, აპობს ყველაფერს. ჯავშანი ვერ აღუდგება წინ, ცხენიდან არის ნასროლი თუ ზევიდან ქვევით. ხუთი ათასი შეჯავშნული ცხენოსანი რომ ამგვარ ფოლადის თავიან ისარს დაგახლის, რა უნდა განაწყო. შეუტევ? უკან დაიხევენ და გაიფანტებიან, დაიღლები და გაჩერდები, ისევ შემოგეჯარებიან და გააგრძელებენ ისრების დაშენას. სწორედ ასე დაამარცხეს პართიელებმა რომის ლეგიონი, მაგრამ დაუფიქრდი – ამგვარი ომისათვის, ერთის მხრივ, განწვრთნილი ცხენოსან-მშვილდოსნების რაზმებია საჭირო, მაგრამ მათ გამარჯვებას საწინდარი მაშინ აქვს, როცა ისრების ნაკადი, როგორც ქარიშხალი, სეტყვა, მათგან თავს მუდმივად ატყდება.

– რატომ სხვამ არ მოიფიქრა, ეომა ამგვარად? – დააჯინე ათასი კაცი ცხენზე და მიეცი მშვილდი. მაგრამ არ არის ასე ადვილი საქმე, ყველას გამორჩა მთავარი რამ, – ისრების ქარავანი! ამგვარ ლაშქარს სჭირდება განუწყვეტელი მომარაგება ისრებით. არ უნდა დაიცალოს საისრე, არასდროს. ისრების უსასრულობა და სისწრაფეა საჭირო.

რაც პართიელებმა შექმნეს და მსოფლიოს დაანახეს, იგივე მიმართულება გააგრძელეს – სპარსელმა სასანიდებმა. მათ მთლიანი რკინა შეასხეს თავიანთ ცხენებს. ძლიერი ცხენოსანი ჯარი შექმნეს და ერთხელ რომის იმპერატორიც კი დაატყვევეს.

ჩვენი მტრები, სელჯუკები, ბევრი რამით გვანან სასანიდებსა და პართიელებს. უწინდელ ომის სიყვარულს მათ კიდევ ერთი დიდი უპირატესობა წაუმატეს – ისინი კი არ ემალებიან, არამედ ეძებენ სიკვდილს.

როდესაც არაბებმა ბიზანტიას პირველად შემოუტიეს, იცი, რომ გაცილებით უფრო კარგად შეიარაღებულ ბიზანტიელებს არ ძალუძდათ მათი შეჩერება. უფრო მეტიც, მაჰმადიანთა ჯარმა 12000 მეომრით არნახული დამარცხება არგუნა ბიზანტიელებს, მათ ფლოტს, მათ სარდლობას.

შემდეგ კი უფრო მეტი უბედურება მოხდა, 1071 წელს მანაცკერტის ბრძოლაში მუსლიმანები ბევრად ნაკლები იყვნენ, ვიდრე ქრისტიანები, მაგრამ ისინი „ნახევარმთვარედ„დაეწყვნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ თავიანთი სულიერი სიმტკიცე გამოამჟღავნეს და ქრისტიანებს გვითხრეს – „ამ ნახევარმთვარით ალყას შემოგარტყამთო“. არადა, ჩემო ბეშქენ, ქრისტიანები 400 ათასნი იყვნენ, მუსლიმები კი – მათი ნახევრის ნახევარი.

– ეხლა მითხარი, შენ მე, როგორ უნდა შემოერყათ მუსლიმანებს ალყა ქრისტიანებისათვის?

– თუ ქრისტიანები სულიერად დაეცემოდნენ და ერთ ადგილს, მათ კარავს, მათ სანოვაგეს მიეჯაჭვებოდნენ, იქნებ მაშინ მაინც შემოერტყათ ალყა ოთხასი მხედრისათვის – მათზე გაცილებით ნაკლებ სარკინოზებს, – თქვა ბეშქენმა, რომელიც, იმას ფიქრობდა, თუ საით მიჰყავდა იგი მეფის ღრმა განსჯასა და გონებას.

– ასეა ბეშქენ, შენ იცი, მე მიყვარს სიმართლე, ისიც იცი, რომ სიმართლეს პირში ვეუბნები ყველას. ჰოდა, თუ ვეებერთელა არმია შიშისაგან ვერ ინძრევა და მას პატარა ჯარი არხეინად არტყამს ალყას, ეს ჩემთვის იმას ნიშნავს, რომ რწმენისაგან დაცლილია ხალხი, რომელიც ამ ალყაში თვითონვე ახვევს თავს.

– შემდეგ რა მოხდა, მეფეო? – ბეშქენი მიწაზე ჩამოჯდა, მეფეს ახედა და გააკვირვა მისი ცრემლებით სავსე თვალების დანახვამ. დავითი ქვითინს ძლივს იკავებდა და მის უპეებს ცრემლის ბურთულაკები ეკიდა.

– ამ ბრძოლის შესახებ რაც ვიცი, დიდმა მამამ, გიორგი ჭყონდიდელმა მიამბო, რომლის მამას ქართველებთან ერთად უომია ამ სასტიკ ბრძოლაში. მოხდა ის, რომ სელჯუკების ცხენოსანმა მშვილდოსნებმა მარჯვენა და მარცხენა მხრიდან ისრები დასცხეს ბიზანტიელებს, მათ შორის ქართველთა, სომეხთა და სხვათა მხედრობას. ჩვენ შეგვიტევია, ბიზანტიელებმა ფეხი წინ წადგეს და, როდესაც მზე შუბისტარზე დადგა, ბერძენთა ჯარმა ალფ-არსლანის კარავი ხელში ჩაიგდო.

– დიდება მაგათ, – წამოიძახა ომის წარმოსახვით აღგზნებულმა ახალგაზრდა ერისთავმა.

– არა, არა, დიდებამდე ჯერ შორია! სწორედ ალფ-არსლანის კარავში შევარდნილი ქართველები და ბერძნები მოაქცია ალყაში სელჯუკთა

მხედრობამ. ისრებს გვაყრიდნენ, საცრებს დაამსგავსეს ჩვენი ფარები, სელჯუკებმა. როგორც ჩანს, ისრების ქარავნები ედგა ზურგში სელჯუკთა სპას. იმპერატორმა რომანოზმა უკან დახევა ბრძანა. წარმოიდგინე, ბეშქენ, ოთხასი ათასი კაცის უკან დახევა, ერთმანეთის გადათელვა, მოუმზადებელი ქმედებები და ამ დროს ხდება ყველაზე მთავარი – მეფემ ხელი აიღო.

ბეშქენი მდუმარედ უსმენდა, მაგრამ მის თვალწინ იდგა ის საშინელება, რაც მანაცკერტის ველზე დატრიალებულა.

იმპერატორი რომანოზი მისმა მარცხენა ფლანგმა მიატოვა, მარჯვენა ფლანგს და ცენტრს სელჯუკებმა სწრაფად შეუტიეს. ალბათ, მოენე ყავდათ იმპერატორის კარავში, რომელიც მათ რაღაცნაირად ატყობინებდა – „რომანოზი აქ არის და მოდითო“. სწორედ რომანოზ კეისრის მიმართულებით შემოუტიეს მაჰმადიანმა მხედრებმა, თავისი პატარა მშვილდებით უამრავი ისარი დააყარეს ბიზანტიელებს და როდესაც მათ რიგებში შიში და ძრწოლა დათესეს, მაშინ შევარდნენ ბიზანტიელთა წყობაში და იმპერატორი რომანოზი დაატყვევეს. აი, მოხდა ყველაზე გულსატკენი ამბავი, აზიაში ხმა დაირხა, ქრისტიანების ბოლო დღე დადგაო! – მეფეს ხმა უკანკალებდა.

ბეშქენმა მეფეს ახედა და მიხვდა, რომ მეფე ამ მოვლენებზე, როგორც გრძნეული, ისე ფიქრობდა გულის სიღრმეში, ალბათ მოივლიდა მანაცკერტის ველზე უპატრონოდ მიმოფანტულ, უსარდლოდ დარჩენილი ჯარისკაცების, ბერძენთა, ქართველთა, სომეხთა გვამებს.

– მუსულმანთა ჯარის წინააღმდეგ თუ გამარჯვება გსურს, მუდამ სიკვდილი უნდა ეძიო, ბეშქენ! – სადღაც, ზეციდან გაისმა თითქოს, დავით მეფის ხმა და როდესაც ბეშქენმა დევის ქვაზე მჯდომ მეფეს გადახედა, მოეჩვენა თუ ცხადი იყო, არავინ იცის, გარკვევით შეამჩნია ცის კაბადონიდან დაშვებული ხელის მტევანი, რომელიც მეფის თავს ზემოთ ლივლივებდა.

მესხი აზნაურები და ერისთავი

– აზნაურებო, საჭიროა მოვემზადოთ თურქთა დასამარცხებლად. ზაბახას ჯანი და ღონე არ აკლია, მაგრამ მიწაზე მისმა გაუწვრთნელობამ დასცა. სელჯუკთა ჯარი, როგორც გარეული ტახი, მაშინ შემოგიტევს, როდესაც გამარჯვებაში დარწმუნებულია, მაგრამ თუ ამგვარად არ ფიქრობს, სელჯუკი, მაშინ იგი, შველივით მუდამ გაგირბის და დიდი სისწრაფით გტყორცნის ისარს, რომლის შემაჩერებელი დღეს მხოლოდ თქვენი გულია. უნდა ეძიოთ სიკვდილი, რომ გაიმარჯვოთ. თუ ისრის აცილებაზე იფიქრეთ, მაშინ უფრო მეტი ქეიბური მოგხვდებათ. სადავეების გარეშე დააჭენებს სელჯუკი, როდესაც ისარს ამზადებს, თქვენც სადავეების გარეშე უნდა იჭენოთ, რათა დაასწროთ და ორჯერ მეტი ისარი დაუბრუნოთ უკან

– აბა, ციხესიმაგრე რად მინდა, თუ წყეულ თურქს თავი ველზე მოვაკვლევინე! – სიცილით თქვა ზაბახამ და სხვა ერისთავებს გადახედა.

– ციხე-კოშკებამდე როცა მივა საქმე, წაგვიგია ომი და ეგაა! – მხნედ უთხრა ბეშქენ ჯაყელმა და გაოცებულმა გადახედა ზაბახას, რომლის

წამოიმართა და თუხარისის ერისთავი გულში ჩაიკრა.

გაბედული და თავგანწირული მეფე წრფელი გულით უყვარდა ახალგაზრდა ბეშქენ ჯაყელს, რადგანაც საკუთარი მამა მურვანი გვერდით აღარ ჰყავდა, დავით მეფეს, როგორც მამას ისე უმზერდა. მეფემაც იცოდა ბეშქენ ჯაყელის ერთგულებისა და სიყვარულის ამბავი და ამიტომაც მას ახალგაზრდებს შორის ყველაზე მეტად ენდობოდა.

– რომელი სახელგანთქმული წიგნით მომიხველ, ბეშქენ ჯაყელო? – იკითხა დავითმა და ერისთავის ხელში არსებულ წიგნს ცნობისმოყვარეობით შეხედა.

– პლუტარქესია „დიდი ალექსანდრე მაკედონელი“, რომელმაც შემუსრა სპარსნი და ჰინდონი, ბაბილონი და დარუბანდი, ჩემო მეფეო.

– მართლაც რომ სამაგალითო ხარ, ჩემო ბეშქენ, ესე იგი, მაკედონელი არა? მესმის შენი, „წყობათა შინა საუბარი“, მრავალი კაცით კი არა, მწყობრი ბრძოლით უნდა გავიმარჯვოთ, ქართველებმა. 1104 წელს, ერწუხის ველზე, მამაშენი მახლდა, როდესაც ეპამონონდას სტრატეგია და ტაქტიკა შევთავაზეთ მაგ საქმეში ჭიპმოჭრილ სელჯუკებს მე და გიორგი ჭყონდიდელმა, სხვანაირად გამარჯვება არ გამოდიოდა. თურქნი დაგვამარცხებდნენ, ამიტომაც „ვქმენით წყობანი დიდნი“ და იდუმალი იდაყვებიდან დარტყმებით დავამარცხეთ სარკინოზნი, როლებიც ამას ჩვენგან არ მოელოდნენ.

– მეფეო, თქვენ არ ჰგავხართ სხვა მხედართმთავრებს, რომლებიც ლაშქარს უკან უდგანან და იქიდან განკარგავენ მეომრებს. თქვენ, ალექსანდრე დიდის მსგავსად, ლომივით შეუძახებთ და თქვენებრი ხმით ამხნევებთ მონა სპებს, შემდეგ კი გრიგალივით ატყდებით თავს მოწინააღმდეგეებს ხან მარჯვნიდან და ხანაც მარცხნიდან და ესაა, რომ თრგუნავს სელჯუკებს, რომელთა სარდლები შემაღლებულზე განისვენებენ.

– ჰოდა, სწორედ ამაშია ჩემი სისუსტე, თუხარისის ერისთავო. მეფე არ უნდა წირავდეს თავის თავს განუწყვეტლივ. არათუ საკუთარი თავისთვის, არამედ სახელმწიფოსთვისაც არ უნდა შერბოდეს მეფე ხმლით ხელში, მოწინააღმდეგის რაზმში, ერთ ომში ათჯერ და ოცჯერ. გაგონილა, კაცო? სარდალი, სპასპეტი, სპასალარი, ამირათ-ამირა, ჩუხჩათა სარდალი, წინ გყავდეს და მაინცდამაინც შენ მირბოდე იქ, სადაც ომის ბედი შეიძლება არც კი წყდებოდეს. ომის ბედი აი აქ წყდება, – თქვა დავითმა და საჩვენებელი თითი შუბლზე მიიდო და ჩაფიქრებულმა თუხარისის ერისთავს შეხედა და თავისი აზრი გააგრძელა – კი, მართალი ხარ, ალექსანდრე დიდი ომობდა ასე, სხვანაირად გავგმელასთან ვერანაირად ვერ დაამარცხებდა მტრის ძალას, მაგრამ ეხლა შეხედე სელჯუკებსა და სპარსებს, ისინი ჭკუით გვებრძვიან, უპირატესობას ფლობენ და ეს უპირატესობა ხელიდან უნდა წავართვათ.

მდუმარე იყო ბეშქენი, მაგრამ ვეღარ მოითმინა და უეცრად იკითხა: – რა უპირატესობას გულისხმობთ, ჩემო მეფეო?

– ბეშქენ ჯაყელო, ჯერ კიდევ ჩვენმა დიდმა პაპამ, იოანემ, ხაზარეთში აღზრდილმა, ასწავლა ქართველებს ამხედრებული ომი მშვილდითა და შუბით, შეტევისა და უკან დახევის მონაცვლეობით, მაგრამ ასეთი რამ მოითხოვს დიდი რაოდენობით ისრისა და შუბის ბრძოლის ველზე მიტანას განსაკუთრებული სახელოსნოების სიახლოვედან, ამიტომაც უკუაგდეს ბრძოლის ეს მეთოდი ქართველთა და დარჩა მარტო „უგრძნობლად შეტევა“, მასთან ერთად გული, მკლავი და სიმამაცე. სელჯუკებთან ბრძოლისათვის მეფე თურქულ ტაქტიკას მოითხოვს და თუ არ დავეუფლებით მას, მაშინ უკიდურეს ნაბიჯს გადადგამს იგი.

– რა ნაბიჯია ეს? ჰკითხა სულა ციხისჯვრელმა.

– ამ საიდუმლოს მაშინ გაიგებთ, როცა მოსახდენი მოხდება! – უპასუხა ბეშქენ ჯაყელმა.

ახალი ფორმის მშვილდები შემოიტანა დარბაზში ბეშქენმა, – მოკლე, სხდადასხვა მასალისაგან აწყობილი. ტყავი, რკინა, ხე და ძვალი იმგვარადაა შენივთული ერთმანეთში, რომ

გაგრძელება მე–10 გვ.

თავდასხმა აღდგომის ღამეს – ბეშქენ II

ერისთავები საგონებელს მიეცნენ, როცა ბეშქენი მათ ამ მშვლდების შექმნის მეთოდის გამოსაცნობად კითხვებს უსვამდა.

ბეშქენმა მათ წინ გაშალა მშვილდები, ერისთავებს აჩვენა მათი დამზადების ხერხი, მეთოდი, მასალა და შემდგომ ბრძანება გასცა, სწორედ ამგვარი მშვილდები დაამზადონ და მათ გამოსაცდელად იგი მომავალ თვეს ესტუმროს კვლავ ჯავახეთს.

– დიდი მადლობა, ბიძაშვილო, მადლობა იმისათვის, რომ მეფის სიტყვა გადმოგვეცი, შენთან გვიგულე ყოველთვის. ჩვენ, ციხისჯვრელები და თქვენ, ჯაყელები, ერთი სისხლი და ხორცი ვართ, გახსოვდეს – უთხრა სულა ციხისჯვრელს ბეშქენმა.

ბეშქენმა და სულამ მოიკითხეს ერთმანეთის ნათესავები, მერე ერთად დატოვეს ზრესკის საყდარი. ცხენზე ამხედრებულმა ჯაყელმა საკუთარი კოშკისკენ აიღო გეზი. საცაა უკვე გათენდება.

***

ულუ-სიქარმა რაზმი დააჩქარა: – უკეთუ საუზმე გსურს, მზეს ადგომა უნდა დაასწრო! – შეუძახა არაბულად თავის თურქ მხედრებს, რომლებსაც არაბული მოწოდება კარგად ესმით, ზეცას ახედეს და ცხენებს შეუძახეს.

– აღდგომა ღამეა, ყველა გიაური ეხლა საყდარში იქნება, იესოს აღდგომის საზეიმოდ, დილას კი სუფრებს გაშლიან. საყდრიდანვე სუფრაზე დაჯდებიან. რა სჯობს, სუფრაზე მივუშვათ და ღვინისაგან გამობრუჟებულებს დავესხათ თუ, ეხლავე წამოვადგეთ თავს და თავიანთ საყდარში შეკეტილებს, თავი გარეთ არ გამოვაყოფინოთ, ისე გადავბუგოთ? – შეეკითხა სიქარი ქეჰა აბდულას.

ცალთვალა აბდულა, რომელიც მუჰამედის რაინდია, ფიქრობდა – ჭამის დროს კაცი არ უნდა სდევნო და შეაწუხო, რას მეკითხება სიქარ-აღა. რა, თავად არ იცის ეს ჭეშმარიტება, მცდის ნამდვილად, წყეული, თუ.

– ჩემო ბეი, ეხლავ შევუტიოთ, გიაურებს თუ ჭამა-სმა ვაცადეთ, შემდეგ – მონელება, რა გამოვა ამით? ეხლავ შევუნთოთ ცეცხლი ყოველი მხრიდან და მერე სოფლებიც დავარბიოთ.

– ჭეშმარიტებას ღაღადებ და, ალბათ, დროა, ვიჩქაროთ, საცაა წირვა დასრულდება! – შეჰყვირა ულუ-სიქარმა და მისი ხმა მოედო კლდეებსა და ხეობებს, მდინარეებსა და ტყეებს.

***

ტყის გადაღმა, მინდორზე, პატარა ალუბალა დასეირნობს. იგი ექვსი წლის ჯავახი გოგონაა, პაპამ დაარქვა ალუბალა. რომ გაიზრდება და თავის სასურველ ბიჭს გაიცნობს, მაშინ რა უნდა უთხრას? ბიჭი რომ კითხავს, რა გქვიაო, როგორ უნდა უპასუხოს – ალუბალა მქვიანო? ამაზე ბრაზობს ალუბალა, ამიტომაც გამოექცა პაპას საყდრიდან. ვეღარ მოითმინა სიცხე და პაპის გამოჯავრება – ალუბალა, ალუბალაო!

– სახელი მაინც დაგერქმიათ, საქალბატონე, – ფიქრობს თავისთვის ალუბალა და ბალახებს წიწკნის. – უუჰ, როდის დამთავრდება წირვა? დედიკომ უგემრიელესი ხაჭაპური დააცხო, მამამ, წითელი ღვინო დოქებში ჩამოასხა, მწყერს შეწვავენ, შემდეგ კი ტახის ბარკალი. აუ, რა მწვადი იცის, მამამ? დედიკოს ხაჭაპური ხომ განთქმულია მთელს წუნდის სოფელში. სტუმრები მოვლენ, პაპას მეგობრები ჩამოჯდებიან და შორეული ლაშქრობების ამბებს გაიხსენებენ. პაპა იტყვის: – ეს, იმ ბიჭებს გაუმარჯოს, რომლებიც, ღვთის ქალაქის, კონსტანტინოპოლის კედლებთან დაიღუპნენო. – ჯავახი ბიჭებიო!.. – იტყვის ბებო და ატირდება. მას ხომ ორი ძმა ჰყავდა, რომლებიც სწორედ პაჭანიკებთან შებრძოლებისას ახლდნენ დიდებულ გმირს, პაპა რომ ახსენებს, აბაზა ბაკურიანისძეს. შემდეგ მამა იმღერებს. დედა და მამა საოცრად მღერიან. პაპა აცეკვდება და ალუბალას გამოიწვევს საცეკვაოდ. მაშინ ალუბალაც არ დაიდებს თავზე ხელს და უმალ გარონინდება, შემდეგ კი, როცა პაპა და მისი ბიჭები აცეკვდებიან, ალუბალა დოლს დასცხებს, შემდეგ კვლავ შევარდება წრეში და პაპასთან ერთად ცანგალა და გოგონას იმღერ-იცეკვებს. შემდეგ პაპა ბებიას გამოიწვევს, ბებია კი დედას, თავის რძალსაც აიყოლიებს, თან დააკვირდება, კიდევ ორსულად ხომ არ არისო. მერე მამა შემოვარდება წრეში და ჩემს ძამიკოს – მამუკას, შემოაბანცალებს. მამუკამ ხომ ფეხი ეხლა აიდგა, სად ის და სად ცეკვა-თამაში, ძლივს დადის, მაგრამ მამუკას ხმაზე, შუათანა ძმა – ყარამანი აყვირდება, ხოლო ყარამანის ბოხ დაძახილს, ჩვენი აკვნის ბალღი – ოთო, შეუერთდება და იქნება მხიარულება. აბა, ჯერ ოთხნი ვართ, მაგრამ მამას და დედას კიდევ ბევრი ეყოლება ჩვენნაირი. დედას თორმეტი უნდივართ. ერთხელ თქვა: თორმეტნი მინდიხართო. მამამ დედიკოს მაშინ ისეთი სახით გადახედა, რომ მეც უმალ მომინდა მამასავით ქმარი, მისნაირი სანდომიანი, მოსიყვარულე, პატივისცემით განმსჭვალული, საქმიანი, გამრჯე, ოჯახისა და ერის შვილი. ეეეჰ, ალუბალა, ალუბალა, ეხლა საყდარში უნდა იყო, აქ რა გინდა? აღსარებები ხომ არ დაიწყო? მე პირველი ვარ რიგში, ნუთუ მღვდელი სერაფიმე ჩემზე წინ ვინმეს გაუშებს? მამა სერაფიმე დიდი ხანია მიცნობს, მე მისი აღზრდილი ვარ. – ამ საყდრის გუმბათქვეშ ხარ გაზრდილიო, ხომ მითხრა, ამას ნინათ, ასეა, ასე, – ფიქრობდა ალუბალა, მაგრამ, უეცრად, რაღაც შეიცვალა.

– პაპაა, პაპაა! – აკივლდა ალუბალა და სერზე წამომართული ტაძრისკენ გაიქცა. – პაპაააა... მამა�ა... დედააა!.. ვაიმე, დედააა! – მაგრამ, უკვე გვიანღა იყო. ცხენზე ამხედრებული ჩალმიანი შვილდოსნები საყდარს გარს შემოერტყნენ. მცირე ხანს გულუბრყვილო სახეებით უსმენენ იქედან გამოსულ საოცარ ჰანგებს, მაგრამ როდესაც საყდარში ჩოჩქოლი ატყდა, მშვილდოსნებმა მოკაკვული კილიჯები იშიშვლეს და საყდრის კარებთან მიჯარდნენ. ამასობაში სხვებმა ფიჩხი და საყრდენები მოიტანეს.



ალუბალა ისევ აღრიალდა, ის ხომ ყველაფერ ამაზე მიხვდა, სიზმარში რომ ნახა ერთხელ, ესენი ხომ წყეული კაციჭამიები არიან, ისინი იმ ზღაპრიდან მოვარდნენ, რომელზედაც ერთხელ მას პაპამ მოუყვა.

– პაპაააა!.. დედააა!.. მამაააა!.. მამაااااااა!.. სული გაუწყდა სასულეში პატარა ალუბალას და, ამ დროს, შეამჩნია, რომ მისკენ მოტრიალდა ერთი ჩალმიანი, რომელმაც ერთი გაიცინა და გოგონას ხელი აუქნია – წადი, აქედანო, – ანიშნა.

ალუბალა კვლავ აღრიალდა და დაინახა, რომ ტაძარს ცეცხლი მოედო, ალები გუმბათს უმალ მისწვდნენ. სელჯუკებმა სიცილი ატეხეს და კარები უფრო გაამაგრეს. შიგნიდან ისევ გაისმა სიმღერა.

ცეცხლის ალმა ააწითლა საყდარი. სელჯუკები მოწყენილი სახეებით იდგნენ... შეძახილის ხმაზე მათი ნაწილი ცხენებს მოახტა“ ნაწილი კი საყდრის კარს დაუდარაჯდა. ერთ-ერთმა ალუბალას მხარეს გაიხედა და კაპარჭიდან ისარი ამოიღო. წვეროსანმა სელჯუკმა მშვილდში სტაცა ხელი და, „არაო!“ – ხელის აქნევით ანიშნა. ალუბალა კი იდგა სელჯუკების წინ და ხმამაღალი ტირილით იქაურობა აიკლო. და, ამ დროს, საყდარი ზრიალითა და ზათქით ჩამოიქცა. ამას ელოდნენ სელჯუკებიც, მერე სწრაფად მოსხლტნენ იქაურობას და გეზი მთავრის სასახლისაკენ აიღეს.

***

ტბელთა ასული ასმათი ესვა ცოლად ბეშქენ ჯაყელს. მეფის მარზაპანი (მესაზღვრე ერისთავი) ციხე-კოშკს გოდერძის უღელტეხილიდან თუ გადმოხედავდა ხოლმე. მასზე აფრიალებული ბალახისფერი ალამი ნიშნავდა იმას, რომ ოჯახში სიმშვიდე სუფევდა, თუ ალისფერ ალამს ააფრიალებდა ასმათ ტბელი, მაშინ ერისთავს ოჯახში მოელოდნენ. მიზანი მრავალი შეიძლება ყოფილიყო, როგორც სამხედრო თვალსაზრისით, ასევე სხვა გარემოებების გამო.

იდუმალ ალისფერ ალამს ელოდა ბეშქენ ჯაყელი და ნათესავ ციხისჯვრელებთან საუბრის შემდეგ, ალიონზე თუ ჩაასწრებდა საკუთარ სამოსახლოში. რამდენჯერმე დაათხა ცხენი მესაზღვრე ერისთავმა და მთის წვერზე აიჭრა, რათა შორიდან ციხე-კოშკისათვის შეეხედა.

სიბნელეში ძნელი გასარჩევი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ბალახისფერი ალამი ფრიალებდა ჯაყელთა შუბის ტარზე.

დანაღვლიანებული მიუყვებოდა გზას ერისთავი და ძალიან გულდამძიმებული ჩანდა. დავით მეფის ბოლო დავალებაზე ფიქრობდა. შეეძლო აღეჭურვა მისი აზნაურები, მაგრამ მათგან იმგვარ სისხარტეს და გონებამახვილობას არ მოელოდა, როგორსაც დრო და ომის ის ახალი მეთოდი ითხოვდა, რაც მუსლიმანმა მეომრებმა დაადგინეს, თავიანთ ჯვაროსან მოწინააღმდეგებთან შეტაკებებისას.

თურქ-სელჯუკები სხარტად იბრძოდნენ. მთავარ ცხენოსან ჯარს მთებში მალავდნენ. შემდგომ უეცრად დაეცემოდნენ დაბლობზე მდგარ ევროპელ მხედრებს, ისრებს დაახლიდნენ და კვლავ გორაკებისაკენ გააჭენებდნენ ცხენებს.

ქართველი მხედრების აღკაზმულობა რომ ბიზანტიელებისას წაგავდა, დავით მეფისათვის მიუღებელი იყო სელჯუკებთან ბრძოლაში და ამიტომაც ძირეულ შეცვლას ფიქრობდა. რადგანაც ბიზანტიელებმა ომების უმეტესობა წააგეს მუსლიმანებთან, დავით მეფეს საფუძვლიანად გამოეკვლია მათი დამარცხების მიზეზები.

პირველი მიზეზი ბიზანტიელთა მარცხის საიდუმლოსა, შიდა ღალატი და გამცემლობაა, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი იმ ცოდნისათვის.

მეორე მიზეზი, რასაც დავით მეფე ნათლად ხედავდა, გახლდათ ის, რომ ბიზანტიის ჯარი ურთულესი სამართავი იყო. არქონტები, სტრატეგოსები, ათასისთავები სტრატეგიულ აზრს არ ფლობდნენ და ბრძოლის ველზე მხოლოდ ბრძანებებს ემორჩილებოდნენ.

მათგან გასხვავებით, მუსლიმანური მხედრობა გამარჯვების იმედით იყო გაჯერებული. ჯიჰადი, საღვთო ომი, რწმენისათვის სიკვდილი ან გამარჯვება,.. თვალებში უელავდა ომებისაგან დაუღლელ და მუდამ მომღიმარ სელჯუკ თუ არაბ მეომრებს.

– განიგმირებიან თუ არა, იმავე წამს ჯენეტში ამოჰყოფენ თავს, ქალწულებით გარშემორტყმულნი, ღვინოს დალევენ, – უთხრა ერთხელ ერთმა დატყვევებულმა თურქმა დავით მეფეს, რომელმაც ეს უკანასკნელი სიკვდილს გადაარჩინა და თავის დაცვას ჩააბარა.

– მოგეკალი და ჯენეტს ვიქნებოდი ეხლა! – შესძახა მეფეს თურქმა დამშვიდობებისას. დავით აღმაშენებელმა თავი გააქნია და ბეშქენ ჯაყელს გადახედა. მეფის თვალებში კითხვა და აზრი ერთმანეთს შესჭიდებოდა: – „როგორ?“ – ეკითხებოდა თითქოს მეფე თავის მესაზღვრე ერისთავს.

ეს „როგორ“ ბეშქენს დიდხანს გამოჰყვა. ქართველთა და აფხაზთა მეომრები დავითს ხანგრძლივი, სტრატეგიული ომისთვის აფიქრებდა. მესხები ომების ოსტატებად მიაჩნდა, მაგრამ რთველის დროს მესხთა რაზმები სოფლებში უნდა დაებრუნებინა, ხილისა და ყურძნის მოსავალს პატრონი სჭირდებოდა.

აზნაურთა პირადი რაზმებიც აფიქრებდა დიდ დავით მეფეს. მათი საბრძოლო გამოყენება, მათივე ბინიდან, ოცი დღის სავალზე იყო შემოსაღზვრული. ომი კი, თანაც, სელჯუკებთან, სამხედრო სტრატეგიის განფენას მოითხოვდა მთელს ამიერკავკასიაში, ანატოლიაში, სომხეთში, არდებილში, ირანის ზეგანზე, ვაჰანის ტბის მიდამოებში, შემდეგ კი, აუცილებლად, მესოპოტამიასა და წმინდა ქალაქ ერუშალაიმში.

– თურქებთა გამარჯვება თუ გინდა, სიკვდილი ეძებე და სიცოცხლეს იპოვი! – გონებაში ამოუტიტივტივდა დაფიქრებულ ბეშქენს მეფის სიტყვები და, უეცრად, შორიდან, კივილის ხმა შემოესმა, დამწვრის სუნიც მოდიოდა ტყიდან. გამოერკვა მესაზღვრე ერისთავი ფიქრებიდან და ცხენს სადავე მოუმარჯვა, ეკალბარდებიან გორაკისკენ გაქანდა, რათა არემარესათვის თვალი მოევლო. სამხედრო ცხენი გადაევლო ეკლიან ბუჩქებს, მწვერვალზე ენერგიულად ავარდა და გაშეშდა...

ჯაყელთა ციხე -კოშკი ცეცხლის ალში იყო გახვეული.

***

გამალებით რეკდნენ ზარები თუხარისის სამრეკლოზე. ციხე-ქალაქს მტერი შემოსეოდა. აღდგომის ღამეს, საყდარში შეკრებილ მესხებს, ჩირაღდნიანი თურქები, თავს წამოადგნენ, ტაძარი და ისლით დახურული შენობები ხალხითურთ დაენვათ. ცეცხლის ალი სასახლესა და ციხეს მოედო. ფეხმძიმე ასმათ ტბელი „მაღალ კოშკში“ გამაგრდა თავისი სეფექალებით. ულუ-სიქარი ჯიუტ ქალბატონს დანებებას ურჩევდა და კოშკიდან გამოსროლილ ისრებს ათვალიერებდა.

– არ ჰგავს, თითქოს, ქალის ნასროლს – მშვილდი მთელი ძალით არის მოზიდული, – უთხრა მან აბდულას, რომელიც კოშკის გარშემო განლაგებულ მშვილდოსნებს რაღაცას ასწავლიდა და ულუ სიქარს გულში ათას წყევლას უთვლიდა.

– ყიზლარ-გოგონები! – ჩაილაპარაკა აბდულამ და დადუმდა, რადგანაც მათგან უკვე დაპყრობილი ციხესიმაგრის შემოსასვლელში, გზაზე, არეულობა მოხდა, სელჯუკები მათკენ მორბოდნენ.

***

გამოქცეული სელჯუკები ყვიროდნენ, რომ მათ, ტყიდან, შეითანი დაესხა თავს. ტყის კორომიდან იგი უმალ გამოჭრილა და პირველსავე თავდასხმისას, მისთვის, ათი მეომარი მოუკლავთ.

– აბდულ-აღა, მიდი, ნახე და მოჰკალი თავდამსხმელი, ვინმე გიაური იქნება, წაიყვანე ასი საუკეთესო მებრძოლი, – უბრძანა ულუ სიქარმა გაბრაზებით და შეშინებულ სელჯუკ მეომრებს სახედრის ასოსაგან გამოქნილი მათრახი გადაუჭირა.

შავმა აბდულ-აღამ შუბი მოიმარჯვა. ხელთ მრგვალი ფარი იპყრო და რაზმეულს ციხე-კოშკის შემოსასვლელისაკენ გაუძღვა.

ვიჩქაროთ, საცაა წირვა დასრულდება! – შეჰყვირა ულუ-სიქარმა და მისი ხმა მოედო კლდეებსა და ხეობებს, მდინარეებსა და ტყეებს.

***

ტყის გადაღმა, მინდორზე, პატარა ალუბალა დასეირნობს. იგი ექვსი წლის ჯავახი გოგონაა, პაპამ დაარქვა ალუბალა. რომ გაიზრდება და თავის სასურველ ბიჭს გაიცნობს, მაშინ რა უნდა უთხრას? ბიჭი რომ კითხავს, რა გქვიაო, როგორ უნდა უპასუხოს – ალუბალა მქვიანო? ამაზე ბრაზობს ალუბალა, ამიტომაც გამოექცა პაპას საყდრიდან. ვეღარ მოითმინა სიცხე და პაპის გამოჯავრება – ალუბალა, ალუბალაო!

– სახელი მაინც დაგერქმიათ, საქალბატონე, – ფიქრობს თავისთვის ალუბალა და ბალახებს წიწკნის. – უუჰ, როდის დამთავრდება წირვა? დედიკომ უგემრიელესი ხაჭაპური დააცხო, მამამ, წითელი ღვინო დოქებში ჩამოასხა, მწყერს შეწვავენ, შემდეგ კი ტახის ბარკალი. აუ, რა მწვადი იცის, მამამ? დედიკოს ხაჭაპური ხომ განთქმულია მთელს წუნდის სოფელში. სტუმრები მოვლენ, პაპას მეგობრები ჩამოჯდებიან და შორეული ლაშქრობების ამბებს გაიხსენებენ. პაპა იტყვის: – ეს, იმ ბიჭებს გაუმარჯოს, რომლებიც, ღვთის ქალაქის, კონსტანტინოპოლის კედლებთან დაიღუპნენო. – ჯავახი ბიჭებიო!.. – იტყვის ბებო და ატირდება. მას ხომ ორი ძმა ჰყავდა, რომლებიც სწორედ პაჭანიკებთან შებრძოლებისას ახლდნენ დიდებულ გმირს, პაპა რომ ახსენებს, აბაზა ბაკურიანისძეს. შემდეგ მამა იმღერებს. დედა და მამა საოცრად მღერიან. პაპა აცეკვდება და ალუბალას გამოიწვევს საცეკვაოდ. მაშინ ალუბალაც არ დაიდებს თავზე ხელს და უმალ გარონინდება, შემდეგ კი, როცა პაპა და მისი ბიჭები აცეკვდებიან, ალუბალა დოლს დასცხებს, შემდეგ კვლავ შევარდება წრეში და პაპასთან ერთად ცანგალა და გოგონას იმღერ-იცეკვებს. შემდეგ პაპა ბებიას გამოიწვევს, ბებია კი დედას, თავის რძალსაც აიყოლიებს, თან დააკვირდება, კიდევ ორსულად ხომ არ არისო. მერე მამა შემოვარდება წრეში და ჩემს ძამიკოს – მამუკას, შემოაბანცალებს. მამუკამ ხომ ფეხი ეხლა აიდგა, სად ის და სად ცეკვა-თამაში, ძლივს დადის, მაგრამ მამუკას ხმაზე, შუათანა ძმა – ყარამანი აყვირდება, ხოლო ყარამანის ბოხ დაძახილს, ჩვენი აკვნის ბალღი – ოთო, შეუერთდება და იქნება მხიარულება. აბა, ჯერ ოთხნი ვართ, მაგრამ მამას და დედას კიდევ ბევრი ეყოლება ჩვენნაირი. დედას თორმეტი უნდივართ. ერთხელ თქვა: თორმეტნი მინდიხართო. მამამ დედიკოს მაშინ ისეთი სახით

თუხარისის გვირაბი

ბეშქენ ჯაყელის გული სელჯუკებზე სწრაფ შეტევას ლამობდა, მაგრამ იგი უმალ მიხვდა, რომ თუხარისის ციხის მარბიელი რაზმი, ჯიჰადის მხედრობის ის ათასეული იქნებოდა, რომელსაც ზავი სძულდა და მხოლოდ ომს აღიარებდა. სელჯუკების ოდენობას ორას-სამას კაცამდე წარმოიდგენდა. მესაზღვრე ერისთავი, რომელიც გრძნობდა, რომ საკუთარი სასახლის დაცვა მარტო მოუწევდა თუ უსწრაფესად არ იმოქმედებდა. საზარელი შედეგი იქნებ დამდგარიც იყო, რომელიც აუცილებლად განხორციელდებოდა. ამიტომაც ბეშქენი ცხენიდან გადმოხტა და ალმოდებული თუხარისისაკენ მიმავალი ციცაბო კლდიდან გადაუხვია და ტყეს მისცა თავი. ტყის კორომში, ერისთავს, საიდუმლო გვირაბის ერთ-ერთი ყელი ეგულებოდა, რომელშიც ჩასული ადამიანი ციხის გოდოლებზე უჩუმრად ამოყოფდა თავს.

ჯერ კიდევ ჯაყელთა ერთგული შურტა, ორასი წლის წინ რომ ცხოვრობდა ჩორჩანელ-ბაჰლაუნდ-ჯაყელ-კალმახელ-ლაკლაკთა კარზე, ისიც ეძებდა თუხარისის კლდის ქვაბებში იმას, რასაც ირანის შაჰთა განძი ერქვა. არავინ იცოდა, გაანდო თუ არა თუხარისმა საიდუმლო ცეცხლთაყვანისმცემელ შურტას, რომელიც საათობით იჯდა ამ მთის ფერდობებზე და თავისი უცხო მოწყობილობებით მასში ხვრელებს ზვერავდა.

სწორედ შურტას დროს იყო, რომ ეს გამოქვაბული აღმოაჩინეს ბეშქენ დიდი ჯაყელის ქვის-მკვეთველებმა და გააფართოვეს კიდეც, – გააგრძელეს ქვაბულის ყელი და ციხესიმაგრის მშენებლობისას გამოიყენეს მისი მნიშვნელობა.

სწორედ ეხლა, ამ ქვაბულში ჩაეშვა მესაზღვრე ერისთავი და გაჰყვა ქვაბულებს მთის მწვერვალამდე მიმავალს. ერთ ადგილას, შურტას მოსასმენი და მისაყურადებელი არხები რომ ჩაეშენებინა, სწორედ იქ შეჩერდა ბეშქენი და ზემოთ მყოფთა მოძრაობა დაზვერა.

შურტას ხელსაწყოები კვლავაც კარგად მუშაობდა 200 წლის შემდეგაც და მის ზევით, სიმაგრის ალაყაფის სამხედრო ბაქანი გამოქვაბულში მყოფთა ბრძანებით ერთ წამში შესაძლოა ჩამოშლილიყო.

ბეშქენი იმ დიდი დოლაბის ქვას მიადგა, რომელსაც ალაყაფის კარის

ჯაყელის თურქთაგან მოკვდინება

ქვეშ გაყვანილი გამოქვაბულის საბრჯენით – ბლისკინების ჩამოშლა შეეძლო. დაჰკრა დოლაბს წიხლი, მაგრამ ძვრა ვერ უყო. შემდეგ გამწარებული შეეჭიდა დოლაბს და ქვაბულის კედლიდან მთელი ძალით რომ დაახტა, მაშინ შესძრა იგი და დააგორა. თითები გადაეყვლიფა ერისთავს, მაგრამ ტკივილიც კი ვერ იგრძნო, გააფთრებული მისდევდა დაგორებულ დოლაბს და დაქანების ძალას მატებდა. როდესაც დოლაბი მეორე საბჯენ ქვას დაეჯახა, სასაწულებრივი ხმა გამოსცა.

მიწისძვრას გავდა, რაც ამის შემდეგ მოხდა, – ალაყაფის კოშკი შეინძრა და მასზე ამხედრებული სელჯუკები შიშმა მოიცვა, რადგანაც მიწისძვრა მათთვის სამყაროს განრისხებას უდრიდა. შემდეგ, როცა კოშკის ნაწილი ჩამოიშალა და მასში რამდენიმე სელჯუკი მოჰყვა, მაშინ

შეწრიალდნენ დამპყრობლები და კოშკიდან გარეთ გაიჭრნენ, რაც ასე ადვილი არ იყო.

კოშკის ბილიკებით მორბენალი სელჯუკები პატარა კარისაკენ დაეშვნენ, სადაც მათ ბეშქენ ჯაყელის ვარანგული ფართო მახვილი ელოდებოდათ.

პირველად ასან უზბაშმა იგრძნო, მუცელი რომ ჰქონდა გამორღვეული და ნაწლავების გადმოკიდებას უჩურმად დააკვირდა, შემდეგ მაჰმუდ ბუხარელმა შეიტყო, რომ მისი კუჭი უცხო ძალას, დაეჩხვლიტა და დაეხია, შემდეგ მორბენალმა იუნალ ოსამმა შეითვისა სიბრძნე სიკვდილისა, როდესაც ბეშქენ ჯაყელის მახვილს მკერდით დაეგო და გაიღიმა.

– ჩვენი შურტა მართლაც დაჰმანი ყოფილა! – გაუელვა გონებაში მესაზღვრე ერისთავს, რომელიც ეხლა კოშკის გარეთ მყოფ გაოცებულ სელჯუკებს დაესხა თავს და რადგანაც თითბრის „გლივარიუმი“ ემოსა, ამომავალი მზის შუქზე ცეცხლისფერი შეიქმნა.

– შაითან, შაითან... შაითან კალა, შაითან კალა ... – შესძახეს სელჯუკმა მხედრებმა, რომლებმაც ჯერ „მიწისძვრა“, შემდეგ მათი მოძმეების საოცარი გარდაცვალება იხილეს და ეხლა „ცეცხლისფერ“ გააფთრებულ „ეშმაკს“ გადაეყარნენ.

***

კედლის უკან მდგარმა ულუ სიქარმა, ფორთხვით მომავალი შავ აბდულას მოჰკრა თვალი. ქვეშ გაყვანილი გამოქვაბულის საბრჯენით – ბლისკინების ჩამოშლა შეეძლო. დაჰკრა დოლაბს წიხლი, მაგრამ ძვრა ვერ უყო. შემდეგ გამწარებული შეეჭიდა დოლაბს და ქვაბულის კედლიდან მთელი ძალით რომ დაახტა, მაშინ შესძრა იგი და დააგორა. თითები გადაეყვლიფა ერისთავს, მაგრამ ტკივილიც კი ვერ იგრძნო, გააფთრებული მისდევდა დაგორებულ დოლაბს და დაქანების ძალას მატებდა. როდესაც დოლაბი მეორე საბჯენ ქვას დაეჯახა, სასაწულებრივი ხმა გამოსცა.

მიწისძვრას გავდა, რაც ამის შემდეგ მოხდა, – ალაყაფის კოშკი შეინძრა და მასზე ამხედრებული სელჯუკები შიშმა მოიცვა, რადგანაც მიწისძვრა მათთვის სამყაროს განრისხებას უდრიდა. შემდეგ, როცა კოშკის ნაწილი ჩამოიშალა და მასში რამდენიმე სელჯუკი მოჰყვა, მაშინ

შეწრიალდნენ დამპყრობლები და კოშკიდან გარეთ გაიჭრნენ, რაც ასე ადვილი არ იყო.

კოშკის ბილიკებით მორბენალი სელჯუკები პატარა კარისაკენ დაეშვნენ, სადაც მათ ბეშქენ ჯაყელის ვარანგული ფართო მახვილი ელოდებოდათ.

პირველად ასან უზბაშმა იგრძნო, მუცელი რომ ჰქონდა გამორღვეული და ნაწლავების გადმოკიდებას უჩურმად დააკვირდა, შემდეგ მაჰმუდ ბუხარელმა შეიტყო, რომ მისი კუჭი უცხო ძალას, დაეჩხვლიტა და დაეხია, შემდეგ მორბენალმა იუნალ ოსამმა შეითვისა სიბრძნე სიკვდილისა, როდესაც ბეშქენ ჯაყელის მახვილს მკერდით დაეგო და გაიღიმა.

– ჩვენი შურტა მართლაც დაჰმანი ყოფილა! – გაუელვა გონებაში მესაზღვრე ერისთავს, რომელიც ეხლა კოშკის გარეთ მყოფ გაოცებულ სელჯუკებს დაესხა თავს და რადგანაც თითბრის „გლივარიუმი“ ემოსა, ამომავალი მზის შუქზე ცეცხლისფერი შეიქმნა.

– შაითან, შაითან... შაითან კალა, შაითან კალა ... – შესძახეს სელჯუკმა მხედრებმა, რომლებმაც ჯერ „მიწისძვრა“, შემდეგ მათი მოძმეების საოცარი გარდაცვალება იხილეს და ეხლა „ცეცხლისფერ“ გააფთრებულ „ეშმაკს“ გადაეყარნენ.

***

კედლის უკან მდგარმა ულუ სიქარმა, ფორთხვით მომავალი შავ აბდულას მოჰკრა თვალი.

– ნავარნაი ოქ აღა იმ – იკითხა სიქარმა.

– ალაყაფის კოშკი დაინგრა. მიწა თუ იძრა, მაშინ აქ, თქვენ, რატომ ვერ იგრძენით, ეფენდი? – იკითხა აბდულამ და მაღალ ბატონს ახედა.

– რაებს როშავ, წყეული „შარაფი“ ხომ არ დაგილევიათ, რა მიწისძვრა, მომგვარეთ ის, ვინ გაბედა თავდასხმა ჩემზე, – სიქარმა გაბრაზებით შეხედა აბდულ-აღას.

– ჩემი აზრით, ტყის მხრიდან ასიოდე კაცი დაგვესხა თავს, ოცდაათამდე ჩვენიანი მოკლული დევს ალაყაფის კართან, ერთი მაგდენი კი კოშკის ჩამონგრევისას დაილუპა. თუ ასი გურჯი დაგვესხა თავს, მაშინ იმასაც უნდა ველოდოთ, რომ გამთენიისას დიდი ძალებით გადმოვლენ შეტევაზე. აქედან გასაღწევი გზა ვიწროა. ამიტომ ან ეხლავე უნდა დავიძრათ, რომ რაზმი სამშვიდობოს გავიყვანოთ, ან დავრჩეთ და სიკვდილს დაველოდოთ, – ჩაილაპარაკა აბდულამ.

– უკუღმა საუბარს თავი დაანებე, აბდულაღა. რა გურჯი, რის გურჯი, მაგათ ეხლა მთელი ლაშქარი გარდაბანთან ჰყავთ მოგროვებული, აღდგომას დღესასწაულობენ. მეფეც იქ არის. დღეს ყველა გურჯი შარაფის სმითაა გართული. რომელი ასი მეომარი. რას ამბობ! შესაძლოა რამდენიმე გლეხი გვიტევს და მაგათი შეგეშინდა, გამოცდილ მხედარს?

– გლეხები ყველა იმქვეყნად გავამგზავრეთ, – ზოგი სოფლის ტაძარში გამოვბუგეთ, ხოლი დანარჩენი – აქ.

– აბა, ვინ უნდა იყოს. ქედზე მზვერავი უნდა დაგვეყენებინა. საყდართან მხოლოდ პატარა გოგო დავინდეთ ცოცხალი, ის ასე სწრაფად ვერავის ნახავდა. აბდულა რაღაცას იმეორებდა, მაგრამ ულუ სიქარი მას აღარ უსმენდა, რადგან უჩვეულო რამ ხდებოდა, – სელჯუკი მეომრები რაღაცას გაჰყვიროდნენ და სასახლის გუმბათისკენ მიუთითებდნენ, სადაც ბეშქენ ჯაყელის ალამი კვლავაც ფრიალებდა.

– ალამი ხომ მოვანგრიეთ? – იკითხა ულუ-სიქარმა.

– ვიღაცას კვლავაც აღუმართავს, – დაასკვნა აბდულამ.

***

ულუ-სიქარმა, სასახლის კედელზე აღმართული ჯავახეთის ერისთავთა მოლივლივე ალამი შეათვალიერა და აბდულ-აღას იმ გამოცდილი კაცის თვალით შეხედა, რომელსაც საქმის სწრაფი მოთავება ერჩივნა.

– აბდულ-აღა, კარების შენგრევას ვარჩევდი, მაგრამ, რადგანაც ვიღაც უჩინარი გვებრძვის, ჩვენც გავაგულისოთ იგი და უეჭველი გამოჩნდება.

– ეგრეა, პატრონო, ეგრე, – ჩაიჩურჩულა აღამ

– იმ კოშკის გარშემო, სადაც ეგ დედაკაცი შეკეტილა, მშვილდოსნები დააწყე და ცეცხლი გაუჩინეთ მაგ წყეულის ბინას.

– ერისთავის ცოლის ტყვედ წაყვანას ვაპირებდით, – თქვა აბდულ-აღამ.

– ეხლა მაგის დრო აღარ არის, სწრაფად იმოქმედეთ. შალით ბეი ამასობაში სიმდიდრეს შეაგროვებს, ცხენებს აჰკიდებს და დავიძრებით. სასწრაფოდ დაწვით სასახლე და კოშკი იმ დედაკაციანად.

– ეფენდი, ორსული დედაკაცია, – ხმადაბლა თქვა აბდულ-აღამ, რომელსაც დაზვერვისაგან მიღებული ინფორმაცია კარგად ჰქონდა შეთვისებული.

– აღა, იმოქმედე, როგორც გიბრძანე! – შუბლი შეიკრა ულუ სიქარმა, ჩალმა მოიხადა აბჯარმტვირთველ ალის მორთმეული ფარშევანგისფრთებიანი რვალის მუზარადი თავზე მოირგო და ალისაკენ ზურგით შეტრიალდა, რათა იემენელ არაბს მძიმე მუზარადის ტყავის ხუნდები ერთმანეთზე გარდაეჭდო და კარგად დაემაგრებინა. ამ მუზარადს განსაკუთრებულ ხიფათიან შემთხვევაში იხურავდა ულუ სიქარი.

ომის ველზე ყოველთვისაა სასტიკი წუთების მოლოდინის გრძნობა. სარდლები ამ გრძობას უკეთესად ფლობენ, ვიდრე მათი ხელქვეითნი. როცა სასტიკი წუთები გადაივლის და თანამებრძოლთა მხოლოდ მცირე დანაკარგი ექნება, მაშინ ხარობს სარდალი.

– მუზარადი დაიხურა, მარაშაში უნდა რომ ცისფერთალიანი შადრევნების გვერდით, თეთრი მოხუცის მსგავად, იჯდეს და წაბლისფერთმიანი, თაფლისფერთვალება ფარსი ბიჭის მიერ წაკითხულ ხაიამის რობაებს ისმენდეს, ჩემთვის კი სიკვდილიც არ ემეტება, – ჩაილაპარაკა აბდულამ, თავისი ცოლი – მწვანეთვალება ახაბე გაიხსენა, მისი ტუჩების სიტკბო გაახსენდა და ჩუმად ამოიკვნესა.

– „გედირსა, ულუმ ბაჰადირ, ჰაირ, ჰაირ, გედირსა, ბაჰადირლერ ...“ – აყვირდა აბდულა და მშვილდოსნების დაწყობას შეუდგა. ცეცხლი კვლავ დაანთეს, ნავთით სავსე თუნგებიდან ტილოს გრაგნილი ამოიღეს და ისრებს სწრაფად შემოახვიეს. თავად აბდულა უკიდებდა ცეცხლს ამ ისრებს და მხედრებს მითითებებს აძლევდა.

სელჯუკები შესანიშნავი მშვილდოსნები და მხედრები არიან, მშვილდის ლამბაზე გაყრილი მათი ისრები შხუილით მიფრინავდნენ კოშკის თავზე. რამდენიმე ისარმა თუხარისის ერისთავის სარკმელშიც მოახერხა შეფრენა და იქიდან ქალების კივილის ხმა მოისმა.

ისრების მეორე წყებამ უფრო მეტი ზიანი მიაყენა კოშკის ბინადართ, ცეცხლის ალები მოედნენ იქაურობას და აბდულამაც პატრონს მოხედა.

– მესამე წყება შეაგდეთ! – ბრძანა ულუ სიქარმა.

– ცოცხლად წვავს, ქალებს, შაითანია ნამდვილი, აი ბედი კაცისა! – ჩაილაპარაკა აბდულამ და უსიცოცხლოდ აიქნია ხელი – აი ბედი კაცისა, ნეტავ სად არის ამათი წყეული მარზაპანი? – გაიფიქრა აბდულამ და მშვილდოსნებმა მესამე წყება ისრები დაუმიზნეს ასმათ თუხარელის ოვალურ სარკმელს, თუმცა წამიერად შეყოვდნენ, რადგანაც ვიღაცამ თურქულად შესძახა, – შეჩერდითო. მშვილდოსნებმა აბდულას მიაპყრეს მზერა, რომელიც ჩამონგრეული კოშკიდან მომავალ კაცს უმზერდა.

– შეჩერდით ! – კვლავ გაიმეორა მომავალმა უცნობმა.

– ვინ ხარ, კაცო, – იკითხა გაღიმებულმა ულუ სიქარმა.

– ბეშქენ ჯაყელი ვარ, პატრონი ჯავახეთის და დიდი დავით მეფის მარზაპანი! – თქვა წაბლისფერ წვერიანმა კაცმა და ულუ სიქარს განრისხებული მზერა მიაპყრო.

– მასპინძელი ყოფილხარ და შენთან მოვსულვართ! – ხუმრობის ხასიათზე დადგა ულუ სიქარი.

– მართალი ხარ, ბეი, ვერ დაგხვდით სათანადოდ, – თავადაც მწარედ იხუმრა ჯავახეთის ერისთავმა.

– ჩვენნაირ ხალხს სათანადო დახვედრა უნდა, მაგრამ, არა უშავს, გეპატიება, – გადაუგდო სიტყვა ულუმ ერისთავს, აბდულას გადახედა და წამიერად თავისი მშვილდოსნებიც შეათვალიერა.

– თუ შევძელი, მომავალში არ გაგიშვებთ „პატივისცემის“ გარეშე! – უთხრა თურქულად ბეშქენმა ულუს და მისკენ მიმავალი აბდულა შეათვალიერა.

– იარაღი მოგვეცი და დაგვნებდი! – სიტყვა არ დაამთავრებინა აბდულამ და გაიცინა.

– უიარაღოდ რა მასპინძლობა გამოვა, როდის იყო სტუმარი მასპინძელს ხრმალს ართმევდეს, – გაიცინა ბეშქენმაც.

– ჩააბარე ყოველი საჭურველი აბდულას! – ბრძანა ულუ სიქარმა და, – მიდიო, შესძახა აღას.

– ნუ გეშინია, ქოფაკო, ნუ გეშინია! – თქვა აბდულამ და ბეშქენისაკენ დაიძრა, მაგრამ, უეცრად, ერისთავმა იღლიაში ამოჩრილი ორი სატევარი ესროლა აბდულ აღას, რომელმაც ხმამაღლა დაიკვნესა და პირდაპირ ხორხში გარჭობილი სატევრების მოვერცხლილ ტარებს, სასიკვდილოდ დაჭრილი დათვივით დაეცა.

სელჯუკები მირბოდნენ აბდულასაკენ, მაგრამ უკვე გვიანი იყო, – სარდალ-აღა სისხლში ცურავდა, ხოლო მისი მტერი, ისევ უკან, ხის კიბეზე არბოდა და იქედან სატევრის სასროლ მანძილზე მიახლოვებულ მტერს ათვალიერებდა.

***

ულუ სიქარი, დარწმუნდა რომ სასტიკმა წამმა თვალწინ ჩაურბინა, აბდულ-აღას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ეხლა უკვე გამარჯვებაც ახლოს იყო, თუ, შესაბამისად, სწორად იმოქმედებდა.

– ჭადრაკს გავს ეს ომი. აბდულა, წავაგეთ, მაგრამ ლაშქრობა უნდა მოვიგოთ! – ფიქრობდა იგი და თავისი მშვილდოსნები წამით შეაყოვნა, წინ წაინია და საჯინობოს მიმართულებით დასძრა ცხენი, თავისი მუზარადის იმედით კიბეს მიუახლოვდა და კედლის უკან მდგომ ერისთავს მიუგო:

– ერისთავო, რად გამოგვეცხადე ასე მუხანათურად, მრავალი კაცი მოგვიკალი, აბდულა, შენი სატევრით სიცოცხლეს გამოასალმე. ან ჩვენ დაგინვავთ ორსულ ცოლს, ან ახლავე ჩაგვბარდი.

– ტყვედ დანებებას არ ვაპირებ, მარბიელო, გამოვალ და შემებრძოლე! – მრისხანედ განუცხადა ბეშქენ ჯაყელმა და წამოიმართა.

***

ასაკში იყო შესული ულუ-სიქარი. ჯანზე კი იყო, შებრძოლებას არასოდეს არ გაურბოდა, მაგრამ ეხლა, ოცდაშვიდი წლის კაცთან ერთიერთზე გასვლა სირცხვილად მიიჩნია მარბიელთა სარდალმა და მანაც არ დააყოვნა და ბეშქენს მიუგო:

– ხალიფას ხმლისა და მისი ჯანის პატრონიც რომ ვიყო, თავად ჯიბრაილი რომ მიმაგრებდეს ზურგს, მაინც არ შეგებრძოლებოდი ჭაბუკს, რომლის ციხე-კოშკი უკვე ხელთ მაქვს ჩაგდებული და რომლის სასახლის ნახანძრალზე ხელებს ვითბობ. შეხედე, საქმე მოთავებულია, შენი კოშკი იწვის. ამიტომაც, შვილო ჩემო, ან შენ გადმოდგამ რამდენიმე ნაბიჯს და სიცოცხლეს გამოესალმები, ან ჩვენ გადავბუგავთ შენს ერთადერთ კოშკს, ცოცხლად დაგინვავთ ცოლს და გავუყვებით გზას ჩვენი საზაფხულო იალაღებისაკენ.

– ჩემს თავსაც გაიყოლიებთ, არა? – სიცილით იკითხა ბეშქენმა.

– არა! თუ დაგვნებდები, თავს შეგინარჩუნებთ, ისრებით დაგხვრიტავთ და მეომრულ სიკვდილს გაზიარებთ. შენს ხათუნს არ შევეხებით. კოშკიდან გამოსვლაში მივეხმარებით და ცხენსაც ვუბოძებთ, რომ გაეცალოს აქაურობას. სიტყვას გაძლევ!

***

ისრებმა ერთდროულად სეტყვასავით გაიზუზუნეს. ბეშქენის გახურებული სხეული ალაგ-ალაგ სასიამოვნო ყინულებმა დაფარეს თითქოს. ცოტა ხანს კიდევ იდგა, მაგრამ დასუსტებული შემდეგ ცალ მუხლზე დაეშვა. ისრების მეორე წყებას თვალი ვეღარ გაუსწორა და მესხეთის მიწაზე სამუდამო დასაძინებლად დაწვა.

ქარმა მძლავრად დაუბერა და თმები შეურხია ერისთავს, ქალებმა კივილი ატეხეს, ერთი ხმა საოცრად ნაცნობი იყო, სხვა ხმები კი ამ ხმის ექოს მიაგავდნენ.

მეფე წარმოუდგა თვალწინ – თითქოს სალაშქრო საბჭოზე ისხდნენ, ხელთ ბაგრატიონთა შურდული ეჭირა და ბეშქენს რაღაცას უხსნიდა. ჯავახეთის ერისთავს ელიმებოდა, შურდულის დაჰმანი იყო, მაგრამ მეფეს მოწიწებით უსმენდა და ბაგრატიონთა შურდულს დაკვირვებით ათვალიერებდა. მასზე ამოტვიფრულ წარწერებს უკვირდებოდა და უხაროდა, რომ ამ უცხო წარწერების მიღმა მყოფ სხვა მეფეებს ხედავდა.

***

1118 წელს დავით აღმაშენებელი იდგა ნახიდურში, რახსის პირას და აღდგომას დღესასწაულობდნენ. მოახსენეს, რომ თურქები ჯავახეთს დასცემიან და მოუკლავთ ბეშქენ ჯაყელი, – თუხარისის ერისთავი. დავითი მაშინვე ამხედრდა, რახსის პირას იპოვნა თურქთა ბანაკი, ელვასავით დაეცა თავს და მოსრა სიმრავლე მათი.

ვერც ულუ სიქარი დაურჩა ქართველთა სამეფო სპას. ფარშევანგის ფრთიანმა რვალის მუზარადმა რამდენიმე მახვილის შემოკვრას გადაარჩინა მისი პატრონი. გაცეცხლებულ ჩეხვაში ვის დაინდობდნენ ქართველნი? კი იცოდა სიქარმა თავისი ხვედრი და ამიტომაც, ბრძოლის ველზე კალიასავით დახტოდა, მთელს თავის მონდომებას და გამოცდილებას იყენებდა იმისათვის, რომ მტრისათვის შიში შთაეგონებინა. რამდენჯერმე მოუტრიალდა იგი მდევარ ქართველებს და თავისი ბედი სცადა, მაგრამ, ამაოდ. – სასტიკი და გამოცდილი იყო ამგვარ ბრძოლებში დავით მეფის პირადი სპა.

– აბდულა, უბადლო ლაშქარ-მთავარი არ იკმარო და ამ უღიმღამო დღეს ჯიჰადის მთავარი მეთაურიც რომ შეიწირო, ნუთუ ეს იქნება სამართალი? ვეღარ ვნახავ ჩემს ოჯახსა და მარაშის სულთანს ვეღარ ვეწვევი, ნუთუ ჩემს ვაჟსაც ვერ შევუქებ მუსლიმობას და აზიის მუსთასიბად ვეღარ აღვზრდი, ნუთუ ვაჟის სიცელქით ვეღარ დავტკბები? ....ჰმ.....ჰმ.....გაცეცხლებულან ეს გურჯები... დღეს შავი დღეა... ჰმ. ჰმ.....ოოხ....მმმჰ.

ამ აზრებში ჩაძირული განიგმირა ულუ სიქარი, რომელსაც დავით მეფის ყონაღმა და ბაჰადურმა – არიშიანმა ჩამოუქროლა და იტალიაში გამოჭედილი ჯავაროსნული მახვილი – „ფერერო“, პირდაპირ გულში გაურჭო.

ბრძოლის ველზე დაღლილმა, უეცრად, თითქოს დაისვენაო – ულუ სიქარმა ორივე ხელი გაშალა და ზეცისაკენ აღაპყრო და, უეცრად, მახინჯი მანქანებით, სისხლიან მიწაზე მოადინა ზღართანი.

***

მეფე და არიშიანი, ბრძოლის დამთავრებისას შეხვდნენ ერთმანეთს. არიშიანი სისხლიან მახვილს წმინდავდა და ულუ სიქარის ფარშევანგის ფრთებიან მუზარადს დაჰყურებდა. ნისლი მიუყვებოდა არაქსის ნაპირს, როდესაც მთაკაცის გარეგნობის მქონე მეფე ჩაფიქრებულ არიშიანს მიუახლოვდა.

– გამოგადგა იტალიური ხრმალი „ფერერო“, ჩემო არიშიანო? – თბილად ჰკითხა დავით მეფემ თავის მეხრმლეს.

– ამით ეშმაკსაც დავამარცხებთ, ჩემო მეფეო! – ბრძანა არიშიანმა და ტახის ქონით გაპოხილი მახვილი ქარქაშში სათუთად ჩაასრიალა.

***

ამ სისხლიანი დღიდან ხუთი თვის თავზე, ასმათ ტბელმა შობა ვაჟი, რომელსაც ჯაყელებმა მამის სახელი დაარქვეს და ნათელ-მირონობისათვის თავად დიდ მეფეს ეწვივნენ, რომელიც ამ დროს ნაღვრისკარიდან დიღმისკარამდე გაშლილ თავის ლაშქარს წვრთნიდა.

იდგა 1118 წელი...

ზღაპარი ტარიელისა, ანუ

(გაგონილი და ჩაწერილი დ.ხ-ლის მიერ)

იყო და არა იყო რა – ღვთის უკეთესი რა იქნებოდა!

იყო შაშვი მგალობელი,
ღმერთი ჩვენი მწყალობელი;
ერუსალიმი ღმერთთანა,
ღმერთის წყალობა ჩვენთანა,
ჩამოვარდა ფურცელი,
ლეკებს გაუსკდა მუცელი.

ასე დაიწყო თიანეთის მაზრის სოფელ არტანში მცხოვრებმა გეჯურა პაპუაშვილმა აქ ჩემგან ხალხურ „ვეფხის-ტყაოსნად“ დასათაურებული „ტარიელის ზღაპარის“ თქმა მარიამობის თვის ოც-და-ცხრა, 1888 წელსა)[1].

იყო ერთი ხელმწიფე „ბედნიერი და გონიერი“. ხელმწიფესა ჰყვანდა ერთი თავისთან დაახლოებული ვეზირი, რომელსაც სახელად ერქვა მირი.

მირისა და იმის ხელმწიფეს დიდხანს შვილი არ ეყოლათ; ეგონათ, უძეოდ გადავეგებით და მემკვიდრე არ დაგვრჩებაო, მაგრამ ბოლოს ღმერთმა ორივეს მოჰხედა. მაშინ ხელმწიფემა და მირომ ერთმანეთს სიტყვა მისცეს: თუ ერთს ჩვენგანს ბიჭი ეყოლოს და მეორეს – ქალი, მაშინ ქალი ვაჟს შევრთოთო; ხოლო თუ ქალები გვეყოლოს ორივეს, ორივენი დებსავით უნდა დავზარდოთ და ძმებს შევრთოთო; თუ ორივეს ვაჟები გვეყოლა, ძმები უნდა იყვნენ ერთგულები, როგორც ჩვენ ვიყავითო.

მოვიდა ჟამი, დაებადა ხელმწიფის ცოლს ქალი და ვეზირის ცოლს – ვაჟი. ქალს სახელად დაარქვეს – „ნესტორ“ – დარეჯანი, ხოლო ვაჟს – ტარიელი. როცა ტარიელი და დარეჯანი ცამეტი წლისანი შეიქმნენ, მაშინ ტარიელს დედ-მამა დაეხოცა და დარჩა მხოლოდ ერთი მამიდა. ტარიელი გაიზარდა ლამაზი, ჭკვიანი და მხნე მეომარი; ამისთვის მეფემ ტარიელს მამის ადგილი უბოძა. ლამაზი გაიზარდა დარეჯანიც.

როდესაც ქალ-ვაჟი „თავს მოვიდნენ“, ესე იგი, სრული წლოვანები გახდნენ, ტარიელმა, მამის ანდერძისამებრ, თავის მეფეს ქალი სთხოვა ცოლად, მაგრამ მეფემ უარი უთხრა, არ იკადრა თავისი ქალი ვეზირისათვის მიეთხოვებინა; ამაზე ლაპარაკი იყო მათ შორის მხოლოდ გაკვრით, რადგან არ შეიძლებოდა ტარიელს პირდაპირ გაებედნა ხელმწიფისთვის ქალის თხოვნა. ხელმწიფე თავის ქალსაც ატყობდა ტარიელის სიყვარულსა და მოინდომა, რომ როგორმე ერთმანეთისაგან გაეშორებინა. ხატაველები ტარიელის მამისა და მისის გვარის მოსისხლე მტრები იყვნენ. ხელმწიფემ უბრძანა ტარიელს: შენ ეხლავე ხატავეთს წადი, მამის ცხენი წაიყვანე, მისივე იარაღი წაიღე და ხატაველებისაგან ბეგარად აიღე: ოცი ლიტრა ოქრო, ოც-და-ათი ლიტრა ვერცხლი და სხვა-და-სხვა ძვირფასი ნივთეულობაო; მეფეს იმედი ჰქონდა, რომ ხატაველები მოჰკვლენ ტარიელსაო, რადგან მირის ცხენ-იარაღს იცნობდნენ და თავის ვინაობას არც თვით ტარიელი დაჰმალავსო. არ დაჰმალავს იმიტომ, რომ არც-კი იცის, თუ ხატაველები და იმისი მამა მოსისხლე მტრები იყვნენ.

ტარიელი არ ეურჩა მეფის ბრძანებას, წავიდა ხატავეთს თავისი მამის ცხენითა და იმისისავე იარაღით შეჭურვილი. როდესაც ტარიელი ლაშქრით ხატავეთს მივიდა, მეფემ იდროვა და „ნესტორ“-დარეჯანი სხვაზე დანიშნა. ის-ის იყო ქორწილს ამზადებდნენ და ქალს წაყვანას უპირებდნენ, როდესაც ტარიელი დაბრუნდა ხატავეთიდან გამარჯვებული, თან მოიტანა ბაჟად აღებული ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი ნივთეულობა და მიართვა მეფეს. სასახლეში ნახა, რომ ქორწილია, ურიცხვი სტუმარია მოწვეული და ქორწილის შესაფერი ლხინიცა აქვსთ გამართული, მაგრამ პატარძალი-კი ჯერ ვერ გამოუყვანიათ; მეფე და იმისი მხლებლები ჩამოჰკიდებიან ქალსა, რომ სადედოფლო ტანისამოსი ჩაიცვიო, მაგრამ ის უარზე დგა, არც ტანისამოსს იცვამს, არც ყაბულია გათხოვებაზედ. სწორედ ამ დროს შედის იმათთან ტარიელი, როდესაც ქალს ატყუებენ, რომ ტარიელი ხატაველთ მოუკლავთო; ტარიელი მიხვდა, როგორც იყო საქმე და ამბის დაწვრილებით შესატყობად მამიდასთან გაეშურა. მამიდასაგან შეიტყო, რომ მეფეს „ნესტორ“-დარეჯანის გათხოვება მტკიცედ გადაუწყვეტია. ტარიელი მოვიდა მეფესთან და მოახსენა:

ბატონ, ხატაეთს გამგზავნე,
ბეგარა ამაღებინე;
სისხლი ქინქლაველთ მეფისა
თავზედ მე დამადებინე;
ქალი დარეჯან სხვას მიეც,
შური მე ჩამადებინე.

ამაზედ მეფემ უპასუხა:

ტარიელ, დაგსვი ვეზირად,
სიტყვა შენ გაგაბჭობინე;
თუ ჩემი ქალი გინდოდა,
რატომ არ შემატყობინე?

როცა დაინახა ქალმა ტარიელი, მოეგება და უთხრა:

– *თუნდა მიდე (ესე იგი, დად მიმიღეო), თუნდა მექმარე, შენის მეტის ნურავის ხელში ჩამაგდებო.*

ტარიელმა უპასუხა:

– *და-კი მე ღმერთმა არ მომცა, მაგრამ ცოლად – კი, შენი თავი ჯერ ღმერთმა მომცა, მერე მამაშენისა და მამაჩემის აღთქმამა.*

ნახ. მიხ. იაძისა

ამოიღო ხმალი, დაემუქრა მეფიონს და უთხრა:

ტარიელ ხატაეთიდან
მგზავრად მოვედი დილითა;
ხმალი მრტყავ მამისეული
წელზედა ელვის პირისა.
შინ წადით, ვაჟის მაყრებო,
მაკმარეთ გულის ტკივილსა,
თორემ ხალხს ვაყურებინებ
თქვენის ცოლ-შვილის ტირილსა.

ვაჟის მაყრები დარწმუნდნენ, რომ ტარიელთან ძალით ვერაფერს გააწყობდნენ და დაბრუნდნენ შინ ხელცარიელები; მეფეს ამ დროს ეძინა: ტარიელი აღარ დაერიდა, მივიდა იმასთან, გააღვიძა და უთხრა:

თუ ძილი გეძინებოდა,
თავი დაგედო რად არე?
თუ გულში გედვა ღალატი,
შემატყობინე რად არე?

ამაზე ტარიელს ხელმწიფემ უპასუხა გაჯავრებულმა:

მართალსა, შვილო, ტარიელ,
ღალატსა გაგაგებინებ:
არც მაგათ მივცემ, არც სხვათა,
შენაც ხელს აგაღებინებ;
ქაჯუეთელსა ხუროებს
კიდობანს ავაგებინებ,
შიგ ჩავსვამ
„ნესტორ-დარეჯანს,
ზღვას მივცემ, წავაღებინებ.

დაღამდა ის დღე. ტარიელი მამიდასთან წავიდა, ხოლო მეფემ ღამე მოუწოდა ხუროებს, გააკეთებინა კიდობანი, შიგ გატიტვლებული „ნესტორ“-დარეჯანი ჩასვა და თანვე ჩაუსო კიდობანში სამი მწივანი გველი: ერთი თეთრი, ერთი წითელი და ერთი შავი.

ხუროთ კიდობან ააგეს
ქებითა, არაკებითა;
შიგ ჩასვეს „ნესტორ“- დარეჯან
ძალითა, არა ნებითა;[1]
შიგ სამი გველი ჩაუსვეს
ჯავრით, არ შანანებითა.
შავმა გველმა სთქვა: შავჭამოთ,
წითელმა – შემოქმენითა;
თეთრმა გველმა სთქვა: ნუ შევჭამთ –
ტარიელისა მზევითა.

ჩასვეს თუ არა ნესტორ-დარეჯანი კიდობანში, აიღეს და ზღვაში გადუშვეს. ზღვაში ქაჯები მოცვივდნენ, ამოიყვანეს დარეჯანი კიდობნიდან და მოიტაცეს. ტარიელმა დაინახა, როცა ქაჯებმა დარეჯანი მოიტაცეს, მაგრამ ზღვაში ვერ მიეშველა, დაბრუნდა მამიდასთან და უთხრა:

ცხრა ქაჯთა მონადირეთა
მზე ჩააკლიეს ნავითა;
ტარიელმ ცხენი შევკაზმე,
წართმა გავბედე ძალითა;
წყალმა ამყარა აბჯარი,
დავრჩი უშტოო ხე ვითა;
შუბნი-დ ჩაჩქანნი ზღვას მივცენ,
მოვბრუნდი მარტო ხმალითა.
ხო იცი, მამიდავ ჩემო,
გული სავსე მაქვს ჯავრითა,
ქაჯუეთისა ციხენი
ნეტავ მაჩვენა თვალითა:
ფერ ხომ არ წაუვიდოდა
„ნესტორ“-დარეჯანს ჯავრითა!

ადგა ტარიელი და წავიდა; რა ზღვაში ქაჯები ნახა, სულ იმ ზღვის პირ-პირ იარებოდა თავისი რაშითა და მწარედ სტიროდა. იმისი ცრემლი მიწას მიჰნამავდა. ერთ ადგილას ცრემლი მდინარე წყალს მიემატა და ზედ გადებული ხიდი წაიღო. ეს მოხდა სხვისა სახელმწიფოში. ხელმწიფეს იმ დროს ნადიმი ჰქონდა გამართული და ერთი კოჭლი მონა იმ ხელმწიფემ ტარიელის სამშობლოში გაჰგზავნა დასაპატიჟებლად, მაგრამ იმ ქვეყანაში ვეღარავინ იპოვნა, გარდა ტარიელის მამიდასი და ტარიელის მამის ძმად ნაფიცების ფრიდონისა; ხელმწიფე თავის ერითურთ სხვის ქვეყანაში გაქცეულიყო. კოჭლი მონა მივიდა წყლის პირას, რომელიც იქვე ახლო ზღვას ერთვოდა და რო სცნა, რომ ხიდი აღარა სდევს, წყალს წაუღიაო, დაუძახა ტარიელს: ცხენი მათხოვე, რომ წყალში გამოვიდეო. ტარიელი ამ დროს წამოწოლილი იყო და დაქანცულს ჩასძინებოდა. ცხენის აღვირის ტარი ხელით ეჭირა მაგრა; მონას ძახილმა ძლივს გააღვიძა ტარიელი, მაგრამ ცხენი არ ათხოვა, გაშალა მკლავი წყალზე, გადო ხიდივით, კოჭლმა მონამ ზედ გაიარა ტარიელის მკლავზედ მშვიდობიანად, მივიდა თავის ხელმწიფესთან და მოახსენა:

ერთი კაცი ზღვისა პირსა
ნამტირალსა ჰგვანდა გმირსა;
ზღვის კიდენი შეათრთვილნეს
ცრემლსა იმისა ნადინსა;
ხელთ ეჭირა თავის რაში,
მკვიდრად დაემაგრა გმირსა;
უხდებოდა მარგალიტი
იმის ცხენის უნაგირსა;
ცხენი ვთხოვე, არ მათხოვა, –
წყალი მაილიკებს ძირსა;
თავის მკლავი გამოშალა,
გადო, როგორც ხიდი ხისა;
ზედ გამოველ უვნებლადა,
გვარი ვკითხე, არ მასწავლა,
ნუღამც მიეცემა ლხინსა,
სახელი სთქვა: ტარიელი,
გაბრუნდიო, მკადრა პირსა.

ამ სახელმწიფოში სცხოვრობდა ტარიელის დედის ძმა ავთანდილი, მეფესთან ისევე მიღებული, როგორც ტარიელის მამა იყო თავის მეფესთან. ავთანდილის გარდა ამ ხელმწიფესა ჰყვანდა კიდე ორი კაცი, თითო ათას-ათას კაცად დაფასებული, სახელად ედემ და ომარე. მეფემ რა მოისმინა კოჭლი მონის მოხსენება, უთხრა თავის კაცებს:

ადექით, აიყარენით,
ძმანო ედემ და ომარე;
ის კაცი აქ მამიყვანეთ,
ვინ არის ველთა მდგომარე.

ედემმა და ომარემ მოახსენეს მეფეს:

ბრძანება იყოს, ბატონო,
შენთა ბაგეთა ბროლთაგან;
ადვილი სამსახურია
ერთის მოყვანა ორთაგან.

წავიდნენ და წაიყვანეს კოჭლი მონაც გზის მაჩვენებლად. რა მიუახლოვდნენ და დაინახეს ტარიელი, გაოცებულები დარჩნენ. თავის დღეში არ ენახათ ისეთი მშვენიერი ახალგაზრდა, როგორიც იყო ტარიელი; ახლოს მისვლა ვერ გაბედეს და შორიდამ დაუძახეს:

შენ კაცო, კაცო, ვინ ხარო,
შენი სახელი გვითხარო?
ბატონ გიბრძანებს, აქ მოდი,
გულ-ჩახურული ნუ ხარო.

გაიღვიძა ტარიელმა და დაინახა, რომ გარშემო ვიღაც კაცები მოსდგომოდნენ „სამტერო“ იარაღით შეჭურვილები და ახლოს მისვლასა ვერ ჰბედავდნენ. მაშინ ტარიელმა დაუძახა:

ლარის მინდორზე სერებსა
გარშემო უდგა თასები...
ახლოს მოდექით, მიჯნურნო,
შორით არ დავიფასები.

ტარიელის საყვედურისაგან ედემსა და ომარეს შერცხვათ და ამის გამო არ შეიძლებოდა, რომ არ შეჰბმოდნენ; მისცვივდნენ ტარიელსა, მაგრამ ტარიელმა ისეთი დღე დააყენა, რომ მტრისგანაც შესაბრალად დახადა. ერთს მათგანს ფეხებზედ ხელი მოავლო, ცისაკენ შეისროლა, მეორეს მხარი მოსწყვიტა, კოჭლ მონას კისერზე დაჰკიდა და უთხრა: წადი, შენს ბატონს მიართვი, სტუმრებისთვის გამოადგებაო. კოჭლი მონა მეფესთან წავიდა და რა მიუახლოვდა იმ ადგილსა, საცა მეფე იყო, მეფის მსახურებმა დაინახეს, მიეგებნენ, გამოჰკითხეს უცნობი გმირის ამბავი; კოჭლმა მონამ დაწვრილებით უამბო, რა უბედურებაც დამართა ტარიელმა. მხლებლები წავიდნენ და მოახსენეს მეფეს:

კოჭლი მონა მოხინხილებს,
თავში მოიშენდა ქვითა!
ედემ ცისას გაგვიგზავნა,
ჯერეც არ მოსულა ცითა;
იმის ჩოხის ნაგლეჯები
მესამეს დღეს ჩამოდისა;
ომარე მინდორთ გაგვიკრა,
ბრუნავს როგორც ჯარა ხისა.

ხელმწიფეს ამ დროს ნადიმი ჰქონდა და როდესაც თავის რჩეული მეომრების ასეთი უბედურება შეიტყო, დაშალა ლხინი:

მეფემ თასნი გადაღვარნა,
აღარ არის ამ თასთ სმისა;
ვინც მე ყმანი დამიხოცნა,
არ იქნება კაცთაგნისა!
სადა მყავის ავთანდილი,
მეომარი დევებისა?
ჯილდო ბევრი უთავაზო,
მარგალიტი, ოქრო-რკლისა,
ჩემ ყავარჯენ გავუგზავნი,
რომელიც რომ მჯობი არი.
მავიდეს ის ტყვეთა მხსნელი,
თურქთაც სალოცავი ჯვარი,
ლახტი დასცეს ტარიელსა,
ზეცას მიდიოდეს ჩქამი.

ავთანდილი წარსდგა მეფის წინაშე და მოახსენა: მე მზად გახლავარო. მეფემ აუხსნა თავისი მწუხარების ამბავი, უბრძანა, რომ ტარიელი უეჭველად შეეპყრა და მიეყვანა მასთან. იმავე დღეს ავთანდილმა ბრძანება გასცა, რომ მეორე დღისთვის ჯარი მოემზადებინათ. ტარიელი სულ ტიროდა. იქნამდისინ დაოსდებოდა, რომ ბოლოს „ერთისთვის ძილს“ დაიძინებდა,[3] როდესაც ავთანდილი მივიდა ტარიელთან ჯარით, ამ დროს იმას „თვის ძილით“ ეძინა. ჯარები შორი-ახლოს დააყენეს და დაიწყეს იქიდგან ისრების სროლა ასე, რომ მირტყმული ისრები ტარიელს აასხეს ნაბადზედ, რომელიც ძილის დროს ეხურა, მაგრამ სხეულამდე ვერც ერთმა ისარმა ვერ უწივა. ტარიელი არ ინძრეოდა და ამის გამო ეჭვი აიღეს, იქნება მკვდარი იყოსო, მაგრამ ახლოს მაინც ვერ „მისწონეს“, რადგან ასე ჰფიქრობდნენ: შეიძლება ცოცხალი იყოს, ახლო მიგვიტყუოს, წამოგვიხტეს და დაგვაზიანოსო; ამის გამო გააფრინეს ორბი იმ განზრახვით, რომ თუ მკვდარია, ზედ დააჯდება და ჭამას დაუწყებსო, ხოლო თუ ცოცხალია, არ მიეკარება და ამნაირად ტარიელი ჩვენს ახლო მიტყუებას ვერ მოახერხებსო. ორბი გაფრინდა და დიდხანს თავს დასტრიალებდა ტარიელს მაღლიდგან, მაგრამ ახლოს კი ვერ გაბედა მისვლა.

რა ნახა ტარიელის რაშმა, რომ იმის პატრონს ისრებს ესვრიან და ეომებიან, დაუწყო

მ ი წ ა ს

1. ჩვენ ბევრს ვეცადეთ, რომ სწორედ ისე დაგვეწერა ზღაპარი, როგორც თვით გლეხმა გვიამბო, მაგრამ ვერ მოვახერხეთ და ჩვენის სიტყვებით ჩავწერეთ მოთხრობა, როგორც გლეხმა სთქვა.
2. „თვის ძილით“ შეპყრობილ, გმირებს ბევრს შეხვდება კაცი ფშაურს ზღაპრებში
3, ზოგთა თქმით: „შიშვლად ნაშობი დედისა“.

ხალხური ვეფხისტყაოსანი

ფეხით თხრა და ააბექა ის ალაგი, სადაც ტარიელს ეძინა, რომ ტარიელი ბექიდან გადავარდნილიყო და გაჰღვიძებოდა. მართლაც ასე მოხდა. გაღვიძებულმა ტარიელმა წინდაწინ მაღლა მფრინავი ორბი დაინახა, ესროლა ისარი, ორბი მოჰკლა და ჩამოაგდო მიწაზედ; ორბს ისრისათვის ფრთები ააძრო და ხურჯინში ჩააწყო. მერე მიიხედ-მოიხედა და დაინახა, რომ გარშემო ჯარი შემორტყმია. განრისხდა ტარიელი, გამოუნასკვა ცხენს ძუა, შეჯდა მარდად ცხენზედ და უთხრა, რომ ამ ქვეყანაში ერთი დედის ძმა მყავს, სახელად ავთანდილი, იმას ნიშანი აქვს შუბლზედ ერთი ვარსკვლავი, იმას-კი ტოტს ნუ ახლებ, ხოლო სხვა ჯარზედ ნება გაქვსო. ამოიღო ხმალი, შევარდა ჯარში, მრავალი დახოცა, მაგრამ დედის ძმას ავთანდილს-კი არაფერი დაუშავა, მხოლოდ ასე უთხრა, რომ თუ „დედის ძმა“ არ იყო ჩემ, მაშინ შენც იმ დღეს დაგაყენებდი, რაც შენს ჯარს დავაყენეო. გაიგო თუ არა ავთანდილმა, რომ ტარიელი იმისი დისწული ყოფილა, გამობრუნდა მაშინვე, მივიდა შინა და ცოლს უთხრა: ტარიელი, რომელმაც მე ლაშქარი თითქმის სულ ამომიწყვიტა, ჩემი დისწული ყოფილა, ჯავრისგან ჩაჭკავებული იყო და დევთ უბნისკენ წავიდაო, საშიშია, ვაი თუ დევებმა მოჰკლანო. ცოლმა უთხრა ავთანდილს: რაკი ისეთ საფრთხიან ალაგისკენ წავიდა, იქ, საცა დევთ უბანია, შენც მოვალე ხარ შორი-ახლო მაინც გაჰყვე და თუ რამე დევებმა დაუშავეს, მიეშველეო. ავთანდილს ცოლის რჩევა არ მოეწონა, ეჭვში შევიდა, იმას ეგონა, რომ ჩემი ცოლი სახლიდან გამიტყუებს და თვითონ კუროებს გაიჩენსო. ამისთვის უთხრა:

ჰაი, შე ბოზო, თინათინ,
ცელქო და აუგიანო!
უწყალ-უღვაროდ წისქვილნი
მთაზედ ვის აუგიანო?
მოყვარეების[4] გულისთვის
სახლნი ვის წაუგიანო?

ამ საყვედურზედ თინათინმა ასეთი პასუხი მისცა ავთანდილს:

ხატი რისხავდეს თინათინს,
ღმერთი ყოველთა რჯულისა,
თუ შენს მეტ მე ვინ მინდოდეს,
ან მყვანდეს ვინმე გულისა,
მაგრამ წესია მოძებნა
კაცისა დაკარგულისა.
გულს ვერ მაცინებ ავთანდილ,
არ შევალ მეზობლისასა;
თუ შევალ, ისევ გამოვალ
როგორცა ქალი ძმისასა.

ავთანდილმა დაუჯერა თინათინსა, აიღო შვილდ-ისარი და გამოუდგა ტარიელს ცხენით.

ციხით თინათინმ იძახა:
ავთანდილ გაიპარაო,
სამოცდა-სამი ისარი
ქარქაშში ჩაიტენაო.

ტარიელმა დევთ უბანზე გაიარა, დევების ნახნავებზედ; დევებმა დაინახეს და შარი აუტეხეს: მაგ ნახნავებზედ ნუ მისდიხარ, ნუ აფუჭებო, მაგრამ ტარიელმა ყური არ უგდო. ერთმა გუთნის დედამ არ დაიშალა, შაება ტერიელსა; ტარიელმა წიხლი დასცა დევს და თოფივით გატყვრა დევი. ამაზე დიდი ხნის გაუცინარს ტარიელს გაეცინა და იმის კბილების შუქმა მაღლა მთას უწია; შემდეგ წინ შაეჩეხა დევების ხარ-გუთანი. ტარიელმა ფეხი ამოჰკრა და შორს გაისროლა. ტარიელმა დევთ უბანში მშვიდობიანად გაიარა. ავთანდილი შორი-ახლო მიჰყვებოდა, მაგრამ დევთ უბნის საზღვარზე მაინც ვერ მიეწია. ავთანდილს ერთი ძმობილი დევი ჰყვანდა და იმასა ჰკითხა:

დევო, შენ ჩემო ძმობილო,
კარზე ვინ ჩამოგიარა?

დევმა უპასუხა:

ერთმა პირ-ტუქსმა მოყმემა
ცხენ-ხეთქით ჩამაიარა,
ხარ-გუთანს წიხლი ამაჰკრა,
ზღვის გაღმა გაასრიალა;
ბებერსა წიხლი დაგვიცა,
კუნელმა ამაიარა;
ღბინი[5] ქნა, კბილი აჩინა,
შუქმა მთა გადაიარა!
ნუ მისდევ, ძმაო ავთანდილ,
თვარ შენ სიცოცხლე კი არა,
შენც მოგკლავს, თავსაც მიაკლავს,
ბევრი სხვა დააზიანა!
ბევრი ვთქვით, ხმაცა არ გაგვცა,
ეგრე რამ დააჭკვიანა.

ავთანდილმა დევების თხოვნა და ლაპარაკი არ შეისმინა, კვლავ გამოეკიდა ტარიელს. გზაზედ ერთს ალაგას სამი ძმა იდგა, გამვლელ-გამომვლელს ატყვევებდნენ, იარაღს ართმევდნენ და ტანისამოსსა ჰხდიდნენ, ჰყარაულობდნენ გზას ჯერ-ჯერობით და ტარიელის გავლის დროს უმცროსის ძმის ჯერი იყო გზის დარაჯობა. ეს უმცროსი ძმა სხვა ძმებზე უფრო ღონიერი იყო. რაკი ტარიელი დაინახა, სხვა ძმებს უთხრა: წავალ, შევიპყრობ, იარაღი და ტყვე თქვენა და იმისი რაში მეო. სხვა მცველებმა თანხმობა გამოუცხადეს გამბედავს ძმას; იგი მიეგება ტარიელსა და გზაზედ წინ გადაუდგა, ტარიელმა ცხენი აარიდა და გაცდენა დაუპირა, მაგრამ გზის მცველმა არ გაუშვა. მაშინ ტარიელი ჩამოხტა ცხენიდან, მებაჟე დაიჭირა, ფეხზე ხელი მოავლო, მეორე ფეხზედ ფეხი დაადგა და შუაზედ გახია, გადააგდო გზის პირსა და გასწია. როცა ტარიელი და გზის მცველი ამ ამბავში იყვნენ“ ავთანდილი შორიახლოს მისულიყო ტარიელთანა, ტყეში შველი მოეკლა, ცეცხლი დაენთო და მწვადსა სწვავდა სამის შამფურით; ერთი შამფური თხილისა გაეკეთებინა, ერთი – ასკილისა და, ერთიც – დუდგულისა. პურის ჭამას აპირებდა, ტარიელმა როდესაც ერთი მებაჟე მოჰკლა, ცოტა რამ მანძილი გაიარა და ახლა დანარჩენი ორი ძმა შაება და გაუმართეს ომი, მაგრამ ტარიელმა ორივე ცოცხლები დასტოვა და ისე დააღწია თავი იმათგან, რადგან მათ ტარიელის სიმძლავრე სცნეს და თითონაც შეეშინდათ; ტარიელი რომ გასცილდა, ახლა ავთანდილი დაინახეს და იმის შესაპყრობლად გაეშურნენ ორივენი; ავთანდილმა ეს ამბავი მალე შენიშნა, მაშინვე შეჯდა ცხენზედ, მაგრამ, რადგან ძალიანა ჰშიოდა, მწვადიანს შამფურს წაეტანა ასაღებად, ჯერ დუდგულისასა, მერე ასკილისასა, მაგრამ ორივე გაუტყდა. ბოლოს თხილისა აიღო და შეჭამა, ხოლო ასკილი და დუდგულა დასწყევლა, დასწყევლა აგრეთვე ის ადამიანიც, რომელიც ამ ხეების შამფურებს იხმარებს. ამის გამო დედამიწის ზურგზედ ასკილისა და დუდგულის შამფურს არავინ აღარ ხმარობს, ავთანდილის დაწყევლილიაო. ავთანდილსაც შაებრალა გზის მცველები, არ დაჰხოცა, ცხენი გააჭენა და ისე მოარიდა თავი. რა დარწმუნდა, რომ ტარიელის გზასა და სიარულს დასასრული არა აქვს, შორიდან დაუძახა:

შავი ხარ და შავად მიხვალ,
შავად რასმე დაბურვილხარ,
სად მისდიხარ, მაინც მითხარ,
რატომ შინ არ მიბრუნვილხარ?

ტარიელმა უპასუხა:

თეთრი ხარ და თეთრად ზიხარ,
თეთრად რასმე მოკმაზულხარ,
იქით წადი, აქ ნუ მოხვალ
თორემ დღეზედ გასწურვილხარ.
ჯერ შენ მოგკლავ, მერე ცხენსა,
თუ აქით არ გაბრუნვილხარ.



„ჯავრისგან“ გონება-მიხდილი ტარიელი მაშინ-ღა მოვიდა გონზედ, დაბრუნდა იმ ალაგას, სადაც თავისი მამიდა ჰყვანდა და უთხრა: ჩემის დედის ძმის ავთანდილის მსგავსი ვიღაცა მომდევს, მე სანადიროდ წავალ და შენ შინ დაუხვდი. ბანზედ დაჯექი, მატყლს რთვა დაუწყე და როცა მოვიდეს, სახლში შემოვიდეს, ეგ ნართის გორგალი, რომელიც შენ დაგირთავ, ბანიდან ჩააგდე. თუ მოერია და იმისი ისევ ბანზედ ამოტანა შესძლო, მაშინ უეჭველად ავთანდილი იქნება, შინ დააბრუნე, ნუ გაუშვებ სხვაგან, მეც მოვალ ნადირობიდან და ერთმანეთს ვინახულებთო. წავიდა ტარიელი ტყეში სანადიროდ, ნახა, რომ ქორს ერთი შროშანი დაუჭერია და უნდა წაიღოს, ესროლა ისარი და მოარტყა ქორს; ქორი მოჰკლა, შროშანი ცოცხალ-მკვდარი კალთაში გამოახვია, ავიდა ერთს მთაზედა და ნახა, რომ ერთ ვეფხვსა და ლომსა გაცხარებული ომი აქვთ, ის-ის არი ლომმა უნდა სძლიოს ვეფხვსა და მოჰკლას, ტარიელმა ხანჯალი იშიშვლა, შეუტია ლომსა და ვეფხვი გააშვებინა, მაგრამ ლომი ახლა ტარიელს შეება, ტარიელმა სძლია და შუაზედ გასჭრა ხანჯლით.

ლომსა და ვეფხვსა გახდია (ჩხუბი)
ჩადიან გამწარებულნი,
ლომი რად მოჰკლავს მაგ ვეფხვსა,
ეგ სიყმით დაშავებული?
მობრუნდა ლომი, შამება
დღე იყო დაღამებული;
სამი დღე-ღამე ვიომეთ,
სამნივე მაისისანი,
სანამ არ გასჭრა ორპირმა,
ხან იყვნეს წაქცევისანი.
ღმერთი ვახსენე, შემოვკარ
ხანჯარი გაფხაგებული;
კალთაში შროშან მამიკვდა,
მეც დავრჩი გამწარებული;
დავჯე და ბევრი ვიტირე,
წაველ ვით დაბარებული;
შროშანმა სული ჩაიდგა
ღვთისაგან ჩაბარებული.

რაკი შროშანი გაუცოცხლდა ტარიელსა, მაშინვე გაუშვა თავისუფლადა, წამოვიდა შინ, ავთანდილი იქ დაუხვდა, იცნეს და მოიკითხეს ერთმანეთი; ტარიელმა ყოველი თავისი თავ-გადასავალი ავთანდილს დაწვრილებით მოუთხრა. ავთანდილმა ბევრი დასცინა, ტარიელს კი იმისი დასაცინი არ მოსწონდა და უთხრა:

ღმერთს გეფიცები, ავთანდილ,
მე არას მეცინებიან;
ერთი მზე მყვანდა, მიყვარდა,
ქაჯნი მას მეცილებიან;
დავდივარ გამწარებული,
რო დავჯდე, მეტირებიან;
დავშავდი ჭაბუკობიდან,
სიბერენ მელირებიან;
ლაშქარნი ზღვისა ქაჯთანი
მოკვლასა მეპირებიან.

ამაზე ავთანდილმა უპასუხა:

ნუ გეშინია, ტარიელ,
დრო მე ვიცი ქაჯებისა;
ეხლა ქორწილს ამზადებენ;
ქაჯნი გამართავენ ლხინდა;
ცხენი მომე, ტარიელო,
ჩემ ცხენ ზღვაზედ ვერ დადისა.

ტარიელმა თავისი ცხენი-კი არ მისცა ავთანდილსა და ფრიდონსა სთხოვა ცხენი: *„ცხენი მომეც, ჩემო ბიძაო“*. რადგან ფრიდონი ტარიელს მამასთან ძმად იყო გაფიცებული, ამიტომ არამც თუ ცხენი მისცა, თვითონაც თან გაჰყვა საშველად:

ცხენსაც მოგცემ, კაც გაგყვება,
მაშ რათ გინდა თავის ბიძა?
თუნდ ცალა-რქა დაიჭირეს
თვალთ უმალვე ნიავქრისა;
აიყარნენ და წავიდნენ
სამნივ ქაჯუეთის გზითა.
ფრიდონმა სთქვა:
არ მეგონა, ავთანდილო,
ზღვაზედ ვლევა ცხენებისა;
„თვალთ უმალეს“, არ მოგცემდი,
ჩემი სიცუდკაცე გითხრა.

ფრიდონს ცხენი დაუვარდა და უკან დაბრუნდა, ავთანდილი და ტარიელი კი ნავიდნენ ორნი. მივიდნენ ქაჯეთის ციხესთან. ციხე იყო მაღალი და მიუდგომელს კლდეზე აშენებული. ციხის მახლობლად თონეში ორი ქალი ლავაშს აკრავდა. ტარიელსა და ავთნდილს თბილი ლავაში უთავაზეს; ორივენი თონეს ახლოვე ჩამოსხდნენ და ლავაშს ჭამა დაუწყეს. ციხიდან სიმღერა ისმოდა და ამის გამო ჰკითხეს პურის მცხობელ დედაკაცებს: რა ამბავია ციხეში, რათა მღერიანო? დედაკაცებმა უპასუხეს: ქაჯებმა ერთი მზეთ-უნახავი ქალი მოიყვანეს, სახელად „ნესტორ“-დარეჯანი და იმისი ქორწილი აქვთო. მაშინ დედაკაცებს სთხოვეს ორივემა: შედით ერთ-ერთი ციხეში და შეგვიტყვეთ, რა ამბავიაო. ერთი დედაკაცი შევიდა და, რომ გამოვიდა, უთხრა ტარიელსა და ავთანდილს: ეხლა ნეფე-დედოფალს საჩუქარს აძლევენო. კარები ციხეს რკინისა ჰქონდა ყოველი მხრითა და შიგნიდან ყველა კარები „რკინის“ ურდულებით მაგრა ჩაკეტილები იყო. გარეშე კაცს არ უშვებენ ციხეში, ხოლო დედაკაცებს-კი, ნება ჰქონდათ, რადგან მათი პურის მცხობლები ისინი იყვნენ. შესვლა არ შეიძლებოდა არას გზითა. ამის გამო ტარიელმა განიზრახა, რომ ციხეს უნდა მივადგე და გარედან ნგეევა დავუწყოვო, მაგრამ ავთანდილმა დაუშალა, მოხსნა ცხენს თოკი და სთქვა:

საწყალი ჩემ დედ-მამანი
სალაღებლითა მზრდიდიან;
ციხითა ციხის წვერზედა
თოკები გამიკიდიან;
მე ის მეგონა-კი, თუ მკვლენ,
თურმე-კი, მასწავლიდიან;
ისე გავიდე თოკზედა,
თვალნიც-კი ვერ მამკიდიან;
იქ მდგომი ჩემებ სწორები
ჩემ ცდასა დანატრიდიან.

ციხეს მაღლა პატარა სანათური ჰქონდა. გააბა თოკი, ავიდა და სანათურიდან ციხეში გადავიდა, თან ჩაიყოლა ტარიელის ბეჭედი. ავთანდილი სტუმრებს ისე გაერია, როგორც მიწვეული. საჩუქარის მიცემა იმასაც მიერგო და ტარიელის ბეჭედი „გადაულოცა“. „ნესტორ“-დარეჯანმა ბეჭედი იცნო და მაშინვე ჰკითხა ავთანდილს, რომ ამ ბეჭედის პატრონი სად არისო. ავთანდილმა უპასუხა: ციხეს გარეთ არისო. გახარებული ქალი მსწრაფლად წამოხტა და კარებისკენ გაექანა, მაგრამ საიდგან გავიდოდა, კარები ცხრავე რკინის იყო და კლიტით დაკეტილები. რაკი გაიგეს ქაჯებმა, რომ ავთანდილი იმათთან საკეთილოდ მისული არ არის, დაეხვივნენ: ზოგი იარაღით ეომებოდა, ზოგნი წურბელასავით სისხლსა სწოვდნენ. ავთანდილმა იმდენი ქაჯები დახოცა, რომ მთელი ციხე ივსებოდა სისხლის გუბეთი, მაგრამ ქაჯების რიცხვი-კი მაინც არა მცირდებოდა. მაშინ შეამჩნია, რომ ციხის ბურჯებზე მაღლა ერთი ბებერი ზის, სტვირს უკრავს და თან ფეტვს გადმოჰყრის ციხეშია. ყველა ფეტვის მარცვალი ქაჯად იქცევა და ავთანდილს ეომება. ავთანდილმა ის ბებერი ისრით მოჰკლა. მასუკან ქაჯების რიცხვი აღარ მატულობდა, რადგან ფეტვის სწყვეტასთან ქაჯების რიცხვის მატებაც შესწყდა, მაგრამ რაც ცოცხალი ქაჯები იყვნენ, ისინი კიდევ იბრძოდნენ და ომს მაინც ბოლო არ უჩანდა. თუ სულ ამოსწყვეტამდა, მაშინ, იფიქრა, ციხე სისხლით იქამდე აივსებოდა, რომ მე და „ნესტორ“-დარეჯანიც ორნივე სისხლში დავიხვრჩებითო. ამისთვის ტარიელს დაუძახა – საჭირო ხარ, მომეშველეო:

მიშველე, ძმაო ტარიელ,
დამჭირდა შენი გმირობა,
დამათასსირეს ქაჯებმა
ჩემზედ აქვთ ზედ მოკლილობა.

ტარიელი ამ დროს ციხის მახლობლად ზღვარზე იყო, მივიდა მალე და ციხის კარებს მიაწვა:

ტარიელმა სთქვა, რა არის
ეს ციხე, ვისეულია?
ცხრა კარი, კლიტე რკინისა,
სულ ჩემგან დანგრეულია.
ტარიელ გასაჭირშია,
სულ ეგრე დაჩვეულია,
დარეჯნის ქაჯთად მიმცემი
სულითამც დაწყევლილია!

ტარიელმა და ავთანდილმა ქაჯები ამოწყვიტეს, გატეხეს ქაჯთა ციხეცა და გაანთავისუფლეს ქაჯთაგან ტყვედ შეპყრობილი „ნესტორ“-დარეჯანი. ტარიელი და „ნესტორ“-დარეჯანი დაქორწინდნენ და იცხოვრეს ბედნიერად.

ჭირი იქა, ლხინი აქა;
ქატო იქა, ფქვილი აქა,
მთას ურემი ავაშენე
ბარს წავიდა გორებითა;
სააქაოს მართალ ვიყვნეთ,
საიქიოს – ცხონებითა.
ელასა, მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსა და მაყურებელსა
ჯვარი გეწერის ყველასა.

გაზეთი „ივერია“, № 229-230, 1888 წ.

4. სიყვარული
5. ღიმილი

ჯავახეთი

(ისტორიული ნარკვევი)

ნიკოლოზ ალელიშვილი

ჯავახეთი თავისი რელიეფით და ფლორით, საქართველოს ულამაზესი კუთხეა. იგი მდებარეობს ზღვის დონიდან 1700-2000 მეტრის სიმაღლეზე. მრავალფეროვან და უმშვენიერეს მთებს შორის გადაშლილია საკმაოდ ფართო ვაკე ზეგანი. „მხარის ჰავა მკაცრი, მაგრამ ჯანსაღია, მძიმე სნეულებანი აქ იშვიათი მოვლენაა, ბუნების სილამაზით თვალები ნებივრობენ“, – ასე ახასიათებს ჯავახეთის ბუნებას ერთ-ერთი უცხოელი მოგზაური. მხარის მთებთაგან გამორჩეულად თვალწარმტაცია იანეთის უმაღლესი მწვერვალი აბული თავისი პირამიდისმაგვარი პიკებით.

დიდი ქართველი გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილის აღწერის მიხედვით, ჯავახეთს აღმოსავლეთით საზღვრავს ქართლის საზღვარი, სამხრეთით მთა ნიალის ყურისა, ხავეთიდან ყარსის მთამდე, ანუ ფსოს წყაროს თავამდე, ხოლო ჩრდილოეთით პირველი საზღვარი არს კოდიანის მთიდამ წარსული მცირე მთა ნუსხამდე და მერმე ხაზი მის გასწურივ მტკურამდე და აწ კოხტის მდინარის აქეთი სამხრის კერძოს მცირე მთა, ნიჯგორის თავამდე და კოდიანამდე“.

ტერიტორიულ-ეთნიკური თვალსაზრისით ჯავახეთი მოიცავს ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებს და ბორჯომისა და ასპინძის რაიონების ნაწილს. მხარეში შემავალი პუნქტებია: ფოკა, ფარავნის ტბის სამხრეთ ნაპირი, განძანი სამხრეთით, ჩრდილო-დასავლეთიდან – ღრტილა, ახალქალაქი, ხერთვისი, კუმურდო, წუნდა, თმოგვი, ვარძია, წყაროსთავი, ერუშეთი, ყველი, ღლივი. ჯავახეთი, რომელიც ისტორიულად ზემოქართლში შედის, ძველად მჭიდროდ დასახლებული იყო და მაღალი კულტურით ხასიათდებოდა. ამაზე მიუთითებენ უამრავი უძველესი ისტორიული ძეგლების ნაშთები. მხარის გამოჩენილმა ადამიანებმა საქართველოში ფეოდალური მონარქიის პერიოდში შექმნეს მდიდარი, კულტურული მემკვიდრეობა. ამ მიწაზე ეწეოდნენ მოღვაწეობას ფეოდალური საქართველოს მწერლები, ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, კათალიკოსები – კირიონი, არსენ პირველი დიდი, სტეფანე და იოანე მტბევრები, ექვთიმე მთაწმინდელი, ეფრემ მცირე, გრიგოლ ათონელი, სარგის თმოგველი, იოანე შავთელი, დიდი რუსთაველი და სხვ. ეს კუთხე თავისი გეოგრაფიული მდებარეობით გარეშე მტრებისთვის მიუდგომელ ბუნებრივ ზრუდეს წარმოადგენდა. დიდი ილია ბრძანებდა: „ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს აქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა, თითქმის იგია ჩვენის სულის აღმატებულების აკვანი და იგივეა სამარეც ჩვენი ყოფილის ადამიანობისა. სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთ დროს“. სულმნათი ვაჟა სიტყვებით რომ ვთქვათ: „დიდებულია იგი ქვეყანა, იქ გაფანტული კულტურის ნაშთები სულია ჩვენი ერისა“.

ცნობილი ისტორიკოსი **მოსე ჯანაშვილის** კი წერდა: „მესხეთ-ჯავახეთმა საქართველოსათვის განათლების საქმეში ისეთივე როლი შეასრულა, როგორიც საბერძნეთმა კაცობრიობისთვის“.

მხარის სახელწოდების წარმოშობის თაობაზე სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს, რომ ქვეყანას, რომელიც ჩვენს წინაპარს ქართლოსს ერგო, მისგან ეწოდა ქართლი, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ „ცოლმან მისმან, განყო რა ძენი თჳსნი, და მისცა უხუცესსა ძესა თჳსსა მცხეთოსს.... და ფანავრის ტბის დასავლეთის ქვეყანა... ტაოსა და კლარჯეთს შორისის მთამდე... და ფანავრის დასავლეთს ზღუამდე უწოდა ზემო ქართლი, და განყო იგივე ქართლოსის საჴელი ესრეთ... ხოლო მტკურის აღმოსავლეთი, ვიდრე თავადმდე მტკურისა, მისცა მცხეთოსს ძესა თჳისსა ჯავახოსს, და ამის მიერ ეწოდა ამ ადგილებთა ჯავახეთი. და არიან ამათ ადგილთა შინა ჯავახეთი, არტანი, ერუშეთი, კოლა და მტკურის აღმოსავლეთი“.

უძველესი დროის ისტორიკოსებმა ჯავახეთის შესახებ დაგვიტოვეს არაერთი მოგონება და ცნობა. ურარტული წარწერების მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ.აღ.-ით XII-XI საუკუნეებში არსებობდა ქვეყანა „დიაოხისა“, რომლის მეზობლად იმყოფებოდა ქვეყანა „ძაბახი“ (თანამედროვე ჯავახეთი). ერთ-ერთ ურარტულ მეფე მენუამ (ძვ.წ. აღ.-ით IX საუკუნის ბოლოს და VIII საუკუნის დასაწყისში) დაიპყრო მძლავრი ქვეყანა „დიაოხისა“. ქვეყანა „დიაოხი“ ნახსენებია აგრეთვე წარწერებში, სადაც იუწყებიან ურარტუს მეფის არგიშტის ლაშქრობების შესახებ ჩვენს ერამდე 786-764 წლებში), აქვე მოხსენებულია აგრეთვე ქვეყანა „ძაბახი“ (ჯავახეთი).

ქალაქ მცხეთის მახლობლად, არმაზის ხევში, არქეოლოგებმა უძველეს საფლავში მიაკვლიეს სარტყელს, რომლის ოქროს ბალთაზე გამოსახულია მამაკაცისა და დედაკაცის ბარელიეფი, ქვემოთ კი ბერძნული წარწერა: „ჯავახ - ჩემო სიცოცხლევ - კარპაკი“ (III-II სს. ჩვ. წ.აღ.-მდე). აქვე, აკლდამაში, აღმოჩენილია მეორე წარწერა, რომელიც გვაუწყებს, რომ საფლავში დაკრძალულია სერაფიტი – პიტიახშ ჯავახ მცირეს ქალიშვილი.

ჯავახეთში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ასევე დადგენილია, რომ აქ, ჯერ კიდევ ქვემო პალეოლითის ეპოქაში, პირველყოფილო ადამიენებს ღია ცის ქვეშ, ხოლო რიგ შემთხვევაში – მღვიმეებში უცხოვრიათ. ასეთი მღვიმე ნაპოვნია ახალქალაქის ტერიტორიაზეც; აქვე აღმოჩენილია მრავალი არქეოლოგიური მასალა და ა.შ. წინაფეოდალურ ეპოქაში ჯავახეთს განაგებენ ერისთავები (თავადები). როგორც სარწმუნო წყაროებიდან ირკვევა, ადრე ჯავახეთის ცენტრი წუნდა ყოფილა, შემდეგ, IX-X საუკუნეებიდან, სიმაგრე ყველი, ხოლო XI საუკუნიდან – ახალქალაქი.

როგორც ცნობილია, ურარტუს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, საქართველოსთან ერთად ჯავახეთი სხვადასხვა პერიოდში დაიპყრეს სპარსელებმა, ბერძნებმა და რომაელებმა, მოგვიანებით აქ კვლავ სპარსელები გაბატონდნენ, ხოლო მეშვიდე საუკუნის მეორე ნახევრიდან – არაბები, IX საუკუნის დასაწყისში არაბთა ხალიფატის შესუსტების შედეგად საქართველოში ძლიერდებიან ცალკეული სამთავროები, რომელთაგან განსაკუთრებით დაწინაურდა სამხრეთ საქართველოს სამთავრო – ტაო-კლარჯეთი, რომელიც შექმნა აშოტ კურაპალატმა. ამ დროს სამთავრო იმყოფებოდა ბიზანტიის ზეგავლენის ქვეშ და ოლქის მმართველები იყვნენ ბაგრატიონთა საგვარეულოს ჩამომავლები. აშოტ კურაპალატმა საგრძნობლად გააფართოვა თავისი სამთავრო, რომელიც ბრძოლას აწარმოებდა არაბების წინააღმდეგ. იმხანად ჯავახეთის ტერიტორია შედიოდა ტაო-კლარჯეთის შემადგენლობაში. არაბთა მრავალრიცხოვან ლაშქართან ერთ-ერთ უთანასწორო ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ, აშოტ კურაპალატი დაატყვევეს და არაბთა ლაშქრის მთავარსარდლის ხალილ იზიდის ძის – არაბელას ბრძანებით, სიკვდილით დასაჯეს. ქართველებმა თავისი მამაცი მთავრის წამებით სიკვდილი არ აპატიეს მტარვალს და არაბთა მესამე შემოსევის დროს ჯავახეთში მოკლეს ხალილ იზიდის ძე.

სისხლიანი იყო ჯავახეთისთვის ამირა აბულკასიმის შემოსევა. მაშინ ციხეს ალყა მოხსნა და შემოდგა ყველს, რომელიც გააფთრებული ბრძოლის შემდეგ აიღო. ქალაქის მამაც დამცველთა შორის იყო ჭაბუკი გობრონი. მტერმა ტყვედ ჩაიგდო იგი და წამებით ამოხადა სული. გობრონმა სიკვდილი არრია სარწმუნოების შეცვლას. ეს ნაღვლიანი ისტორია თავის ნაწარმოებში აღწერა მწერალმა და ეპისკოპოსმა სტეფანე მტბევარმა.

1074 წელს საქართველოში დაიწყო თურქთა მასობრივი შემოსევები. 1080 წელს მათ მთლიანად გააუკაცურეს სამცხე-ჯავახეთი, გადაწვეს ბაღები, დაანგრიეს სოფლები. მემატიანის ცნობით მხარეში ადამიანების ნაცვლად მხეცები დაწანწალებდნენ, არ იხვნებოდა, არ ითესებოდა, არ იმკოდა მიწა...

თურქთა ბატონობა აღმოსავლეთში შესამჩნევად შესუსტდა ჯვაროსანთა ლაშქრობების შემდეგ. გამოიყენა რა შექმნილი ხელსაყრელი ვითარება, საქართველოს მეფრემ დავით აღმაშენებელმა, შეუპოვარად დაიწყო ომით დანგრეული ქვეყნის და სახელმწიფოს აღდგენა. ამ პერიოდში აღდგა ჯავახეთიც,

სამხრეთ საქართველო, ასევე ჯავახეთი, წამყვან როლს თამაშობდა დიდი თამარის მეფობის ხანაში. ამ მხარეს ენიჭებოდა განსაკუთრებული პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა, იგი წარმოადგენდა საქართველოს პირველ სადროშოს. მას ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაშიც. ეს მხარე იყო საქართველოს დამაკავშირებელი სავაჭრო დარგში (მდინარე მტკვრისა და არეზის ხეობით) სომხეთთან და ირანთან, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით – ჭოროხის ხეობის მეშვეობით უკავშირდებოდა საბერძნეთს და მცირე აზიის პროვინციებს. მტკვრისა და ჭოროხის ხეობით საქართველოში ვრცელდებოდა განათლება და კულტურა დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან, რამაც ხელი შეუწყო საქართველოში კულტურის მაღალ დონეზე აყვანას. ისე, როგორც საქართველოს ყველა რეგიონმა, ჯავახეთმაც მძიმედ განიცადა თათარ-მონღოლთა ბატონობა. 1249 წელს მათ საქართველოში ტახტი გადასცეს ორ მეფეს, რითაც, ფაქტიურად, ქვეყანა ორ ნაწილად გაყვეს. ამ პერიოდში მონღოლებს დიდი ბრძოლები ჰქონდათ თურქეთთან. ქართველები მაშინ მათ მხარეზე იდგნენ, რის გამოც მიიღეს გარკვეული უფლება ხელისუფლებაზე. განსაკუთრებით გაძლიერდა მესხეთ-ჯავახეთის გამგებლის სარგის ჯაყელის უფლებები, რომელმაც მიიღო სამცხის ათაბაგის ტიტული. ათაბაგი ემორჩილებოდა უშუალოდ მონღოლთა ყაენს. მე-14 საუკუნის დასაწყისში მონღოლთა ურდოში იფეთქა უთანხმოებამ, რაც კარგად გამოიყენა საქართველოს მეფემ გიორგი მეხუთემ (1314-1346) და შეუდგა ქვეყნის მონღოლ-დამპყრობელთაგან ქვეყნის გათავისუფლებას.

1386 წელი საქართველოსათვის დიდი უბედურების წელი იყო. ქვეყანა ცეცხლითა და მახვილით გაანადგურა ვერაგმა დამპყრობელმა თემურ-ლენგმა. კალიასავით შემოსეულ მტერს წინააღმდეგობა ვერ გაუწია სამცხის ათაბაგმა ბექამ და საქართველოს მეფეს გადაუდგა, უომრად ჩაბარდა მტერს. განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდა დამპყრობელი ქართველებს. ახალქალაქის რაიონში, სოფელ ორჯის ტერიტორიაზე არის ადგილი, რომელსაც „თემურის კალოს“ ეძახიან, სადაც, როგორც ჩანს, სიკვდილით სჯიდა ქართველებს შეუბრალებელი თემური.

მის მიერ აოხრებული მესხეთ-ჯავახეთი თურქეთ-სპარსეთს შორის ატეხილი ომის ასპარეზად იქცა. 1545 წელს თურქეთსა და საქართველოს შორის ბასიანში მოხდა ბრძოლა, რომელიც თურქთა გამარჯვებით დამთავრდა. საქართველოს მეფე იძულებული გახდა ხელი აეღო მესხეთ-ჯავახეთზე, რომელიც თურქეთის სულთნის სრულ გამგებლობაში გადავიდა. თურქეთის მიზანი იყო ამ მხარეში უზრუნველეყო თავისი ჰეგემონია და ყველა საშუალებით გაევრცელებინა ისლამი, რაც ერთ-ერთი ვერაგული მეთოდი იყო ხალხის დასამონებლად. მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა თუმცა მიიღო ისლამი, ნაწილმა მაინც შეძლო შეენარჩუნებინა ეროვნული თვითმყოფადობა, ზოგმა კი, იძულების წესით, დატოვა ეს მხარე და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაიფანტა. დარჩენილი ქართველობა არ წყვეტდა ბრძოლას დამპყრობელთა წინააღმდეგ. თურქებმა მხარის მოსახლეობა დაბეგრეს სულადობრივი გადასახადით, შეღავათები ვრცელდებოდა მხოლოდ მათზე, ვინც ისლამს აღიარებდა. აღნიშნულმა პოლიტიკამ ეს მხარე ეკონომიურ და კულტურულ დეგრადაციამდე მიიყვანა. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ (1595) მიხედვით მესხეთ-ჯავახეთში 296 დაცარიელებული სოფელი იყო. 344 სოფელში ცხოვრობდა ერთი ან ორი მოსახლე. მხარეში მოისპო ინტენსიური სოფლის მეურნეობა – მევენახეობა, მეაბრეშუმეობა.

მხარის მოსახლეობის მდგომარეობა განსაკუთრებით გაუარესდა მას შემდეგ, რაც 1625 წელს სულთანმა ახალციხეში შექმნა საფაშო. ფაშას მთლიანად ემორჩილებოდა ჯავახეთიც. ახალციხის ფაშა ყოფილი ქრიატიანი იყო, გამუსლიმანებული მმართველი უაღრესად მკაცრი მეთოდებით ეწეოდა მხარის ისლამიზაციას. ამ მიზნით მან ახალციხეში აღმართა სახრჩობელა, სადაც საჯაროდ სჯიდა ქართველ პატრიოტებს. მაღალი რანგის პირები პირველები იღებდნენ ისლამს, შემდეგ მათ გლეხობაც მიჰყვა, შემოღებული იქნა თურქული ტიტულები: „ფაშა“, „ბეგი“, „აღა,“ ნაცვლად ქართულისა – „მთავარი“, „თავადი“, „აზნაური“. შემოიღეს ახალი ადმინისტრაციული დაყოფა. მხარეს ეწოდა „ვილაიეთი“, რომელიც ასევე დაიყო ლივებად (სანჯაყებად), ისინი, თავის მხრივ – ნაიებად. ამ უკანასკნელში შედიოდა რამდენიმე სოფელი.

შექმნილი გარემოება დიდად აღელვებდა ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე მეორეს, ამიტომაც იგი ყველანაირად ცდილობდა მესხეთ-ჯავახეთის შემოერთებას. 1771 ნლის 30 დეკემბერს იგი ეკეტერინე მეორეს სწერდა: „გთხოვთ გამოსტაცოთ თურქეთს ახალციხე და შეუერთოთ იგი საქართველოს, ხოლო თუ ზავი დაიდება თურქეთთან, მაშინ არ დატოვოთ ახალციხე ქვეყნის გარეთ, რომელიც შედიოდა საქართველოში და აქვს ქართული ენა, მათ შორის ძალიან ბევრია ქრისტიანი, ბევრს კი ძალადობით მიაღებინეს ისლამი“...

ერეკლე მეორეს კარგად ესმოდა მესხეთ-ჯავახეთის შემოერთების პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა საქართველოს დამოუკიდებელი არსებობისათვის, მაგრამ საქართველოს გმირმა მეფემ ამის განხორციელება ვერ შესძლო. მართალია 1770 წლის აპრილში ასპინძასთან სასტიკი დამარცხება აგემა თურქსელჯუკთა ლაშქარს, რის შედეგადაც იმედი ჩაისახა სამცხე-ჯავახეთის დედა საქართველოსთან შეერთებისა, მაგრამ ამ ბრძოლიდან მხოლოდ „ასპინძის ომის“ დიდი სახელი შემორჩა და მეტი არაფერი.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად, 1828 წლის 24 ივლისს გათავისუფებული იქნა ქ.ახალქალაქი, ხოლო 16 აგვისტოს – ახალციხე. რუსეთ-თურქეთის საზავო ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს დაუბრუნდა ისტორიული სამცხე-საათაბაგოში შემავალი რამდენიმე თემი, კერძოდ, აბასთუმნის (ოცხე), ასპინძის, ახალქალაქის, ახალცხის, აწყურის, ქვაბლიანის, ფოცხოვის, ჭაჭარაქის, ხერთვისისა და ჩილდირის თემები. თითქმის სამასი წელი ზიდა მხარის მოსახლეობამ თურქთა ბატონობის უღელი.

სამცხე-ჯავახეთის გათავისუფლებამ ქართველი ერის აუწერელი სიხარული და აღტაცება გამოიწვია, მაგრამ რუსეთს სულაც არ აინტერესებდა საქართველოს ამ რეგიონში ქართველთა მომძლავრება და ეროვნული სულის აღზევება.

„1828 წლითგან მოყოლებული, როდესაც ქართველი მაჰმადიანებით დასახლებული სამცხე-ჯავახეთი, ერუშეთი და პალაკილი რუსეთმა ოსმალეთს წაართვა, – წერდა დიდი ივანე ჯავახიშვილი, – და მცხოვრენი ისეთ სულიერ განწყობილებაში ჩაადგო, რომ ქართველმა მაჰმადიანებმა თავიანთი მამა-პაპისეული სამოსახლოდან აყრა და ოსმალეთში გადასახლება არჩიეს. გრაფმა პასკევიჩმა (კავკასიის მთავარსარდალი და მთავარმართებელი 1827 წლიდან) ქართველებს ლიხთიმერეთიდან გადმოსახლების ნება არ მისცა და მათ მაგიერ მესხეთში ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომეხთაგან 30 000 მცხოვრები ჩაასახლა, სადაც, 1829 წლამდე, ქართველი მოსახლეობა 90%-ს აღემატებოდა. 1930 წელს უკვე რუს მოხელეთა წყალობით უმრავლესობად სხვა ერისანნი იქცნენ“, ხოლო, თუ როგორი იყო მხარის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, ვიდრე თურქეთის მიერ გატარებული ქართველთა გამაჰმადიანების პოლიტიკა მთელი თავისი სიმკაცრით ამოქმედდებოდა, ამის გასარკვევად მოვუსმინოთ მემატიანეს: „კაცნი და ქალნი არიან მგზავსნი ქართველთანი,... მოუბარნი, ტანოვანნი, მჴნენი, შემმართებელნი, შუენიერნი, ცოდნა-ხელოვანების მოყუარენი, არამედ აწ, მაჰმადიანობის გამო, არღარა...“ („ქართლის ცხოვრება“).

არ შეიძლება არ ითქვას ისიც, რომ ქართველმა ხალხმა უაღრესად დიდი დახმარება გაუწია ლტოლვილ სომეხ მოსახლეობას. ერთხელ კიდევ უნდა შევნიშნოთ, რომ „სამცხე-საათაბაგომ“ პოლიტიკურ გართულებათა შედეგად დიდი და გამანადგურებელი, ეროვნულად დამაკნინებელი მთელი რიგი ძნელბედობანი განიცადა. ამ გართულებათა შედეგი იყო მოსახლეობის გათურქება და გამაჰმადიანება, ემიგრაცია და მიგრაცია, თურქულის გამოცხადება ოფიციალურ ენად. განსაკუთრებით დაზარალდა ეროვნული და გეოგრაფიული სახელები, ტოპონიმები...

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარს“ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამცხე-საათაბაგოს ისტორიული, გეოგრაფიის და ტოპონიმიკის შესასწავლად, რომლებიც უაღრესად მდიდარსა და ამომწურაც ცნობებს შეიცავენ. „დავთრის“ მესამე წიგნის შესავალში აღნიშნულია, რომ დამახინჯებული ქართული გეოგრაფიული სახელები სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე იმდენია და იგივე სახელი ზოგჯერ იმდენნაირადაა შერყვნილი და შებღალული, რომ ამ დამახინჯებათა და ცვლილებათა მიზეზების კვლევა ძალიან შორს წაგვიყვანდა. მართალია ბოლო ხანებში ამ დამახინჯებულ ტოპონიმებს დაუბრუნდათ ძველი ქართული სახელები, მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ეს სამუშაო უნდა იკისროს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ.

ამ ისტორიული ნარკვევის განხილვისას წარმოგიდგენთ ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებს ჯავახეთში.

როდესაც ვიკვლევდით თურქების მიერ „დავთარში“ აღწერილ სამცხე-ჯავახეთის სოფლების მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას, მამაკაცთა სახელებს, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით იმ უტყუარ ფაქტებზე, რომ იმ პერიოდში მხარის აბსოლუტური უმრავლესობა ქართული მოსახლეობა იყო. აი ზოგიერთი ამ სახელთაგანი: თევდორე, მერაბი, ბადილა, გიორგი, გოგიჩა, მამუკა, შოთა, ღვინია, ზაზა, კაპანა...

თურქების მიერ აღწერილ ათასობით სახელში მხოლოდ რამდენიმეა ისეთი, რომლებიც, შესაძლოა, თურქული წარმოშობისა იყოს. ასე მაგალითად: ბაირამ. ულუშეხ, შაჰ-მურად...

როგორც ითქვა, სამცხე-ჯავახეთის თურქთაგან გათავისუფლებას სიხარულით შეხვდა მთელი საქართველო (ეს აქტი გაფორმდა 1829 წლის 2/14 სექტემბერს, ადრიანაპოლში დადებული საზავო ხელშეკრულების საფუძველზე). ეს დღე იქცა ქართველი ხალხის სახალხო დღესასწაულად. მხარის განთავისუფლების აღსანიშნავად თბილისში გაიმართა მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია.

აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ საქართველოს დაუბრუნდა დაკარგული ტერიტორიის მხოლოდ ერთი ნაწილი, თურქების მიერ დაპყრობილი მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორია უდრიდა 34.230 კვადრატულ კილომეტრს. აღნიშნული ფართობიდან დღეისათვის საქართველოს ფარგლებში მოქცეულია მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი, ანუ 7.115 კვადრატული კილომეტრი, მათ საზღვრებში კი დარჩა 27.115 კვადრატული კილომეტრი (პ.ინგოროყვა – „გიორგი მერჩულე“).

თურქ-დამპყრობთაგან განთავისუფლებული სამცხე-ჯავახეთის ეკონომიკური და კულტურული ღონისძიებებისათვის ბევრის გაკეთება ვერ შეძლო ქართველმა ხალხმა. ცარისტული რუსეთისთვის ნამდვილ კოლონიას წარმოადგენდა საქართველო და ამიტომ ხელსაც უშლიდნენ ეროვნული კულტურისა და სულიერების განვითარებისათვის. უფრო მეტიც, იკრძალებოდა ქართულ ენაზე ლაპარაკი. ამას ემატებოდა ეროვნული შუღლის გაჩაღება. 1918 წლის გაზაფხულზე ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ უაღრესად გაძნელდა თურქთა მხრიდან ჯავახეთის დაც-

ჯავახეთი

ვა. ბედის ანაბარად იქნა მიტოვებული ეროვნულად ჭრელი მხარე. ჯერ თურქებმა, ხოლო შემდეგ გერმანელებმა და ინგლისელებმა, დიდი ზარალი მიაყენეს სრულიად საქართველოს. სულ რომ არაფერი ვთქვათ, სწორედ ამ პერიოდში ჯავახეთის მოსახლეობამ განიცადა მწვავე შიმშილობა და გავრცელდა ისეთი საშიში დაავადება, როგორიც ტიფი იყო და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი – 50 000 ადამიანი შეიწირა, ლტოლვილთა რიცხვმა ბაკურიანის ტყეებში 100 000 კაცს მიაღწია, ხოლო ახალქალაქის მაზრის 70 სოფელი მთიანად დაინგრა და განადგურდა.

ძალზე ძნელია ჯავახეთში 1918-21 წლებში დატრიალებული უბედურების გადმოცემა, რომელსაც თურქთა მხრიდან დაემატა შეიარაღებული თავდასხმები, მომრავლდნენ მარბიელი რაზმებიც (ე.წ.ხუჟნები). მესხეთი უდიდესი უბედურების წინაშე აღმოჩნდა....

ქვემოთ შევეხებით ჯავახეთის ისტორიულ ძეგლებს, მოკლედ მიმოვიხილავთ მის წარსულს:

ახალქალაქის ციხე

სამცხე-ჯავახეთი საქართველოს ის მხარეა, რომელიც მდიდარია ქართული მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლებით. იგი წარმოადგენს მუზეუმს ღია ცის ქვეშ. ისტორიულ ძეგლთაგან უამრავი გადარჩა, თუმცა უფრო მეტი განადგურდა და, ალბათ, აუარებელი მინის წიაღშია დამარხული. ჯავახეთის მინა არქეულოგის ჯადოსნურ ხელს ელოდება.

თუკი ოდესმე ვინმეს ჯავახეთში ფეხი დაუდგია, არ შეიძლება არ მოხიბლულიყო მხარის ისტორიული ძეგლებით, იგი მეცნიერთა სისტემატური კვლევის ობიექტსაც წარმოადგენს. ამ მხრივ არ შეიძლება არ აღინიშნოს დიდი ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილისა და სხვა ცნობილი მკვლევარების ალექსანდრე ფრონელის, ივანე როსტომაშვილის, მარი ბროსეს, ნიკო ბერძენიშვილის, სერგი მაკალათიას, ივანე გვარამაძის, ილია ალხაზიშვილის, გიორგი ლომთათიძის და სხვათა და სხვათა მხრიდან აქტიური დაინტერესება.

სამცხე-ჯავახეთის უძველეს ციხე-სიმაგრეთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ახალქალაქის ციხე. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ქალაქის და ციხის აგებას უკავშირებენ საქართველოს მეფეების ბაგრატ III-ის (980-1014) და ბაგრატ IV-ის (1027-1072) პერიოდს: „გავიდეს ბაგრატ ჯავახეთსა და იწყოს ახალქალაქის ზღუდეთა შენებად...“ – გვაუწყებს მატიანე. იგივე „ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ ახალქალაქი ამ ორთა მდინარეთა (ჯავახეთის მტკვარი და ახალქალაქის წყალი) შესართავთა შორისაა. ეს იყო ქალაქი მოზღუდვილი და ციხე ძლიერი, არამედ შეიმუსრა მრავალგზის“...

ზოგიერთი მკვლევარის აზრით ქალაქის დაარსებას მიაკუთნებენ საქართველოში ფარნავაზის მეფობის ხანას.

ორ მდინარეთა შორის მდებარე კონცხზე მეტად გამაგრებული ციხის აგება ნაკარნახევი იყო იმით, რომ ეს ციხე სამცხე-ჯავახეთის ისეთ მრისხანე ციხესიმაგრეებთან ერთად, როგორიც ვარძია, თმოგვი და ხერთვისია, მტრისთვის მიუდგომელ ზღუდეთი ჯაჭვს ქმნიდა სამხრეთ საქართველოში. გარდა ამისა, იმ პერიოდში საქართველოს მეფეებს ციხესიმაგრეები ჭირდებოდათ კლდეკარის ურჩი ერისთავების – ორბელიანების ურჩობის დასათრგუნავად. სხვათაშორის, მათი ერთ-ერთი წარმომადგენელი ლიპარიტი დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში მესხი აზნაურის სულა კალმახელის მიერ ჯავახეთში დატყვევებული იქნა. ტყვე მეფეს მიჰგვარეს, რომელიც სოფელ ღრტილაში იყო (დღ.ახალქალაქის რაიონში).

1065 წელს ბაგრატ IV-ის მეფობის პერიოდში ახალქალაქის ციხეს შემოადგა თურქ-სელჯუკთა მრავალრიცხოვანი მხედრობა სულთან არფარსლანის მეთაურობით. როგორც მემატიანე გვამცნობს, ციხის დამცველები, რომლებიც ძირითადად მესხები იყვნენ, სამ დღეს მედგრად უმკლავდებოდნენ მომხვდურებს, მაგრამ მტერმა წყლის მომარაგების გზები გადაუკეტა ციხის დამცველებს და მაშინ მესხებმა გააღეს ციხის ჭიშკარი და მტერს უთანასწორო ბრძოლა გაუმართეს.

– „მდინარე ფარავანი სისხლისფერი მოედინებოდა“ – გვამცნობს მემატიანე. ბრძოლაში თითქმის მთელი გარნიზონი განადგურდა. მტერმა ასობით ტყვე წაიყვანა, დარჩათ აგრეთვე დიდი სიმდიდრე. XIII საუკუნეში ახალქალაქი მიწასთან იქნა გასწორებული ჯალალედ- დინის მიერ (1252) და მრავალი ტყვეც თან წაიყვანეს. საბედისწერო გამოდგა ახალქალაქისათვის XV საუკუნეში მონღოლთა შემოსევები. მტერმა ქალაქი მთლიანად გადაწვა და მოაოხრა (1186), ცეცხლითა და მახვილით მოევლინა ახალქალაქს თემურ-ლენგი. ქალაქს არ აცდიდნენ, რომ წელში გამართულიყო. დაახლოებით 1552 წელს შაჰ-თამაზმა ჯავახეთს ყიზილბაშები შეუსია, ვარძიასთან ერთად აოხრა და დაანგრია ახალქალაქის ციხე.

XVI საუკუნის მეორე ნახევარში თურქების მიერ მიტაცებული სამცხე-საათაბაგოს ყველა ციხესიმაგრე ფაქტიურად დაინგრა, მათ შორის, ახალქალაქის ციხეც.

XVIII საუკუნის დასაწყისში ახალქალაქის ციხე აღადგინეს ქართლის ერისთავებმა.

ახალქალაქის ციხემ, როგორც თავდაცვის საშუალებამ, საბოლოოდ მნიშვნელობა დაკარგა XIX საუკუნის პირველ ნახევარში, რუსეთ-თურქეთის ომის დროს. რუსეთის ჯარმა ყარის ციხე აიღო, 1828 წლის გაზაფხულზე ახალქალაქზე წამოვიდა და ახალქალაქის ციხეს მოადგა. მთავარსარდალმა პასკევიჩმა ციხის გარნიზონს სიმაგრის უბრძოლველად დათმობა მოსთხვა, ციხეს ათასამდე კაცი იცავდა, გამაჰმადიანებული ქართველი ბეგის ხიმშიაშვილის მეთაურობით, ხიმშიაშვილმა არ მიიღო მთავარსარდლის მიერ წაყენებული პირობა და შემოუთვალა: მე გურჯი ვარ და არა თურქი, დავიხოცებით და უბრძოლველად ციხეს არ დავთმობთო. უთანასწორო ბრძოლაში ქვემეხების ჭურვებს ვერ გაუძლო ციხის ქონგურებმა და ჩამოინგრა. უკლებლივ მთელი გარნიზონი განადგურდა ამ ბრძოლაში.

რუსეთის მიერ საქართველოში სახელმწიფოებრიობის გაუქმებისა და ფაქტიური ანექსიის შემდეგ, ახალქალაქის ციხემ კვლავ განიცადა ცვლილებანი, მის ტერიტორიაზე გაშენდა უზრმაზარი ყაზარმა და რიგი სხვა ნაგებობანი, მაგრამ 1918-20 წლებში ყველა ეს ნაგებობა მთლიანად დაინგრა თურქების მიერ.

1921-31 წლებში ციხის კედლების ერთი ნაწილი დაიტაცეს და სამშენებლო მასალად გამოიყენეს კერძო პირებმა, რასაც ადგილობრივი ხელისუფალნიც ხელს უწყობდნენ. მთლიანად შემოიძარცვა უნიკალური ქარვასლის ბაზალტის ქვით მოპირკეთებული კედლები.

არავითარი გასამგრებელი ან დამცველი ღონისძიებები არ ჩაუტარებიათ აქ 1960 წლამდე. ის კი არა, 1959-60 წლებში, რაიონის იმდროინდელმა მესვეურებმა არქეოლოგიურად შეუსწავლელი ძველი ნაქალაქარის და ციხის ტერიტორიაზე საავტომობილო გზის გაყვანა განიზრახეს, აფეთქების შედეგად დაიღუპა და განადგურდა დიდძალი არქეოლოგიური მასალა, საფლავები... და რომ არა იმ პირთა ჩარევა, რომლებმაც სრულიად შემთხვევით შეიტყვეს ამ ბოროტების შესახებ. შესაძლოა, დღეისთვის აღარაფერი შემორჩენილიყო; გზა უკვე მთავარ კოშკამდე იყო გასული, როდესაც ავის მზრახველებს რესპუბლიკის სამთავრობო კომისია წამოადგათ თავზე...

– ამგვარად “... წყალში ჩაიყარა ასი ათასი მანეთი აგურისა და ქვევრების ნამსხვრევების გამო“ ... – ეს სიტყვები ეკუთვნის რაიონის იმ ერთ-ერთ მესვეურთაგანს, რომელიც ციხეზე გზის გაყვანის ინიციატორი იყო. ფაქტია, რომ უძველესი ისტორიული ძეგლის ტერიტორიაზე გზის გაყვანას მთლიანად მისი დანგრევა მოჰყვებოდა და სხვა მიზანს ისახავდა.

იმჟამინდელ სამთავრობო კომისიას მალევე მოჰყვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც 1960-1968 წლებში ციხის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა, ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ღრმად განსწავლული მეცნიერი გიორგი ლომთათიძე.

1950 წელს ქალაქ ახალქალაქში საკანალიზაციო ქსელის გასაყვანი სამუშაოების შედეგად ქალაქის ცენტრში გამოვლინდა ციხის მილების წყალსადენი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს წყალსადენი სათავეს იღებდა დელიფის წყლიდან და 4-5 კილომეტრის მანძილზე მოედინებოდა ციხეში მიწის ქვეშ, რათა მტრისთვის შეუმჩნეველი ყოფილიყო. ეს ნაგებობა უნდა ეკუთვნოდეს XI-XII საუკუნეებს. ამ დასკვნის საფუძველს იძლევა ის, რომ 1065 ნლის შემოსევის პერიოდში ციხე გვირაბებით წყალს მხოლოდ ორი გზით იღებდა – სამხრეთ-დასავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. სამწუხაროდ, წყალსადენის მილები მიწაში ჩაიმარხა და მისი აღდგენისთვის აღარავის უზრუნია.

ახალქალაქის ციხე თავისი მოცულობით ერთ-ერთი უდიდესია საქართველოში, მისი ფართობი ძველ ნაქალაქართან ერთად დაახლოებით 35 ჰექტარს მოიცავდა. დღემდე შემორჩენილია სამი კოშკის ნანგრევი. ციხის კედლების სისქე 2,5 მეტრს უდრის.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად ციხის ნანგრევებზე გამოვლინდა ათამდე ეკლესიის ნანგრევი, რომელიც ახალქალაქის მტკვრის სამხრეთ ნაპირზე მდებარეობს და მთლიანად მიწაში იყო დამარხული. ძველი ქალაქის ბოლოს, ჩრდილო-აღმოსავლეთით, შემორჩენილია არც თუ დიდი ხნის წინ აფეთქებული ქართული ტაძრისა ნანგრევები.

ციხესიმაგრეში აგებული ეკლესიის ნანგრევებზე თურქებს დაუშენებიათ მეჩეთი, რომლის ასაგებად გამოუყენებიათ ქართული საფლავის ქვები, რომლებსაც, შიდა მხარეზე, წარმოუდგენელია არ ჰქონოდა ქართული წარწერები.

გვხიბლავს ციხის სილამაზე, მაღალი გემოვნებით აგებული სათოფურებისა და სათვალთვალოების სიმრავლე. არავითარი სხვა ძველი წარწერა ჯერ-ჯერობით არ აღმოჩენილა, მხედველობაში თუ არ მივიღებთ მეჩეთზე გაკეთებულ არაბულ წარწერას, რომელიც კირითაა შეღებილი. გადმოცემებით, დასავლეთის ჭიშკართან იყო სხვა ქვა,რომელსაც ჰქონდა წარწერა/სამწუხაროს ეს ქვა დაკარგულია. დასავლეთის ჭიშკრის კედელში დატანებული ქვის წარწერაში იხსენიება მარიამი, ვფიქობთ, ეს მეფე ბაგრატ III-ის დედა მარიამია. 1959 წელს წყალდიდობის შედეგად ახალქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე ხიდად გადებული ქვაზე აღმოჩნდა წარწერა, რომელიც გვაუწყებს ამ ეკლესიის აგებას XIII საუკუნეში. იგი XIX საუკუნის ბოლოს წაკითხული ჰქონია ივ. როსტომაშვილს, მაგრამ შემდეგ დაკარგულა. ეს ქვა იდო ე.წ. რუსული ეკლესიის ეზოში, რომელიც დაშენებული იყო ქართული ეკლესიის საძირკველზე. ეკლესია დაანგრიეს 60-იან წლებში.

ახალქალაქის ციხის ნანგრევებზე და ძველი ნაქალაქარის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების ჩატარების იდეა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაებადათ ქართველ მეცნიერებს, მაგრამ ეს პატრიოტული საქმე განუხორციელებელი დარჩა. უყურადღებოდ მიტოვებული და არაერთგზით დანგრეული ციხე მთლიანად ჩამოიქცა, მისი შემოძარცვული კედლები მიწასთან იქნა გასწორებული.

მცირე არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილია ციხის ძველი გალავანი, რომელიც ციხის დასაწყისში კოშკის გაყოლებით ძველ ნაქალაქარს ჩაჰყვება, სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან გალავნის დიდი ნაწილი ჩამონგრეულია. გალავანი აგებულია მკვიდრი ქვითკირით და შემოსილია გულდაგულ ნათალი ლოდებით.

ციხის გადარჩენილ ნაწილებზე დაკვირვებით დგინდება, რომ მისი მშენებლობა კაპიტალურ დონეზე უწარმოებიათ, ციხის გალავანს რამდენჯერმე განუცდია ნგრევა-განახლება. მრავალ ნაგებობათა ნაშთებს შორის აღსანიშნავია მოზრდილი ქარვასლა, რომელიც ეფუძნება ციხის უძველეს ნაშთს.

აქვე მრავლადაა აღმოჩენილი საოჯახი ნივთები, რომელთა უმეტესობას შეადგენს თიხის ჭურჭელი, რომელთაგან ზოგიერთი ადრინდელი პერიოდისაა (ტლანქი და განსხვავებული ფორმის), გარკვეული ნაწილი შუა საუკუნეების ხანას განეკუთვნება, სწორედ იმ პერიოდს (X-XI სს), როდესაც დაარსდა ქალაქი და ციხე.

თავისი არქიტექტურული ღირებულებით გამოირჩევა ე.წ. „მოჭიქული“ და ხშირად მოხატული ჯამ-ჭურჭელი, რომელიც არ განსხვავდება საქართველოს სხვა რეგიონებში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ექსპონატებისაგან. აქვე აღმოჩენილია სხვადასხვა სახის მრავალფეროვანი მინის სამაჯურები, გიშრის სამკაულები და სხვ.

საყურადღებოა წითლად გაპრიალებული, მოზრდილი ქვევრების ნატეხები, მარცვლეულის შესანახი ორმოები, ხაროები, სხვადასხვაგვარი თონეები. ეს უკანასკნელი იმ ტიპისაა, რომელთა მსგავს თონეებს ამჟამადაც იყებებენ ჯავახელები. დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ნუმიზმატიკური ექსპონატები, რომელთა უმეტესობა ასევე შუასაუკუნეების პერიოდს განეკუთვნება.

ახალქალაქის ციხის ტერიტორიაზე მოსახლეობის არსებობა ფიქსირდება ძველი წ.აღ.-ით III-II საუკუნეებიდან

ახალქალაქი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ მოიხსენიება ახალი სახელწოდებით – „აკშეპირი“, რაც თურქულად „თეთრ ქალაქს“ ნიშნავს. XVII საუკუნის თურქი ისტორიკოსის და გეოგრაფის ქათიბ ჩელების მტკიცებით „ახალქალაქი ქართული სიტყვაა, თეთრი ციხის მნიშვნელობითო“. მაშასადამე „ახალქალაქი“ სიტყვა აღიარებულია როგორც ქართული წარმოავლობის სიტყა, მაგრამ გააზრებულია თურქულად...

კუმურდო

კუმურდოს ტაძარი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია. იგი ქალაქ ახალქალაქიდან დასავლეთით, ცხრა კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ტაძრის სათვალთვალო კოშკიდან თითქმის მთლიანი ზეგანი და მტკვრის ხეობის საკმაოდ დიდი ნაწილი მოჩანს. ყოველივე ეს კი მიუთითებს ძეგლის უდიდეს სტრატეგიულ მნიშვნელობაზე. ტაძრის აგების თარიღს გვამცნობს მის კედელზე ქართული ასომთავრულით შესრულებული წარწერა: იგი აგებულია 964-967 წლებში ქართველი ხუროთმოძღვარის საკოცარის მიერ „ერისთავობისა ზვიადსა იოანე ეპისკოპოსის ბრძანებით...“ იგი დამსახურებულად დგას ფეოდალური საქართველოს ისეთ ცნობილ ხუროთმოძღვართა გვერდით, როგორებიც იყვნენ ძმები ოპიზარები, არსაკიძე, არაბაი, პარესაძე, გრიგოლ ოშკელი და სხვ.

კუმურდოს საეპისკოპოსომ გარკვეული როლი შეასრულა სამხრეთ საქართველოში კულტურის აღდგენასა და განვითარებაში. აქ შეიქმნა პირობები ცალკეული ქართული სამთავროების დაწინაურებისა, ეს სამთავროები VIII-X საუკუნეებში პირველობისთვის ერთმანეთს ეცილებიან. ერთხანს დაწინაურდა აფხაზეთი, შემდეგ კი პირველობას უთმობს ტაო-კლარჯეთს, რომლის სამხრეთის საზღვრი არაქსის ზემო ხეობამდე აღწევდა, სადაც ტაო ბიზანტიას ემიჯნებოდა. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით კუმურდოს ტაძარი არის „გუმბათიანი, ფრიად დიდნაშენი, მშვენურად ნაშენი, იჯდა ეპისკოპოსი მწყემსი სრულად ჯავახეთისა და ხერთვისის ზევითისა“.

ისარგებლეს რა არაბთა ბატონობის შესუსტებით, ტაო-კლარჯეთის მესვეურებმა, რომლებსაც ამავე დროს მხარს უჭერდა ბიზანტია, დაიწყეს ამ მხარის ტერიტორიული გაფართოება. ამ პერიოდში დაწინაურდა ქართული ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის სხვადასხვა დარგები: ხუროთმოძღვრება, მხატვრობა, ჭედური ხელოვნება და სხვ.

ამ ეპოქას ეკუთვნის ისეთი ცნობილი ძეგლები, როგორიცაა ბანას ტაძარი, იშხნის, ტბეთის, ოშკის, ხახულის და რიგი სხვა მონასტრები.

როგორც ცნობილია არაბთა საუკუნოვანი ბატონობის მძიმე უღლისაგან საქართველოს გათავისუფლების დროშა პირველად ტაო-კლარჯეთში აფრიალდა. აქედან დაიწყო ის დიდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომელსაც სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველოს ერთიანი, მძლავრი ფეოდალურ სახელმწიფოდ გაერთიანებით დაგვირგვინდა. VIII-X საუკუნეებში ტაო-კლარჯეთი იყო სარწმუნოებრივი იდეოლოგიური მოძრაობის ცენტრიც, რომლის შემადგენელი ნაწილი იყო ჯავახეთი.

ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ გიორგი მერჩულემ თავის განთქმულ ნაშრომში „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“, ნათლად ასახა ამ პერიოდის საქართველოს მდგომარეობა. ეს იყო დრო, როდესაც არაბთა მფლობელობის „ჟამთა სიავის“ შემდეგ დაიწყო დაქუცმაცებული საქართველოს „ახლად შენება“.

ნიშანდობლივია, რომ 845-850 წლებში ჯავახეთში შეიკრიბა სრულიად იბერიის ქართლის საკათალიკოსოს საეკლესიო კრება ქართლის მთავრის გვარამ მამფალის მეთაურობით, რომელიც იყო თანამმართველი ქართველთა სამეფოს მეთაურის მეფე კურაპალატის ბაგრატ პირველისა.

ჯავახეთი

კუმურდოს საკათედრო ტაძარი მომხვდურთა მიერ არაერთხელ დანგრეულა და გაძარცვულა. სოფლის ხანდაზმულებს კარგად ახსოვთ აგრეთვე 1918 წელს თურქებმა თუ როგორ დაანგრიეს ტაძრის კარიბჭე და სამრეკლო, კედლებს დღესაც ემჩნევა ნატყვიარები.

ომამდე დაიწყო კუმურდოს ტაძრის ნანილობრივი რესტავრაცია. სამწუხაროდ ეს კარგი ინიციატივა დაუსრულებელი დარჩა. გასული საუკუნის სამოციან წლებში კვლავ განახლდა აღნიშნული სამუშაოები: ტაძარს შემოავლეს ქვითკირის გალავანი, რომლის ტერიტორია 0,25 ჰექტარს აღემატება.

კუმურდოს ტაძარი ხუთიფსიდიანი (ნავიანი) ეკლესიის ტიპისაა. მისი კედლები აგებულია აბულის რუხი ტუფისა და სამსრის ბაზალტის ნათალი ქვისაგან. ტაძარი დახვეწილი და მდიდარი ორნამენტებითაა მოხატული. XI საუკუნეში საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის დედამ მარიამმა ზოსიმე კუმურდოელის ეპისკოპოსობის დროს ტაძარს სამხრეთით სტოა (კარიბჭე) მიაშენა, კარიბჭეც მდიდარი ორნამენტებით და არშიებითაა შემკული. სტოა კარგა ხანს საწყობად იყო გამოყენებული, კედლების შიდა მხარის კუთხეში გამოკვეთილია ქალის პორტრეტი. თუ იშხნის კათედრალის ფრესკულ მხატვრობაში წარმოდგენილია ქართველთა მეფის ბაგრატ ერისთავთერისთავის და ბაგრატ II-ის პორტრეტები, რატომ არ შეიძლება მოხატული ყოფილიყო ასეთ დიდებულთა პორტრეტები აგრეთვე აღნიშნულ ტაძარში? ადვილი შესაძლებელია, რომ კირით გადალესილი და დაზიანებული კუმურდოს ტაძრის კედლებზე სადმე შემორჩენილი იყოს ფრესკული მხატვრობა.

ისეთ დიდმნიშვნელოვან ტაძარს, როგორიც კუმურდოა, შეუძლებელია არ ჰქონოდა მიწის ქვეშ საიდუმლო გვირაბები, ეკლესიის ალყაში მოქცევის შემთხვევაში, თავის გადარჩენის მიზნით. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, ტაძარს ასეთი მიწისქვეშა ფარული გასასვლელი ჰქონია სამხრეთის შესასვლელთან, რომელიც ვარძიამდე აღწევდაო.

ყურადღების ღირსია ეკლესიის სამხრეთ შესასვლელთან აღმართული ოთხ მეტრზე მეტი სიმაღლის სვეტი, რომელიც ორნამენტებით და ჩუქურთმებითაა შემკული. მათივე გადმოცემით, მეორე სვეტიც ყოფილა შემორჩენილი, მაგრამ შემდეგ ის კერძო პირებს წაუღიათ და სამშენებლო მასალად გამოუყენებიათ.

უკანასკნელ ხანებში ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე უნებართოდ ააგეს საცხოვრებელი სახლიც. კუმურდოს წარწერები პირველად გამოაქვეყნა აკადემიკოსმა მარი ბროსემ, შემდეგ კი ივანე როსტომაშვილმა. ბროსე ლაკონურად მოგვითხრობს ერთი ინციდენტის შესახებ, რომელსაც მაშინ აქ ჰქონია ადგილი.

XX საუკუნის სამოციან წლებში კუმურდოს დაარსების ათასი წლისთავი საზეიმოდ აღინიშნა ტაძრის ტერიტორიაზე. ღონისძიებაში მონაწილობდნენ საქართველოს ცნობილი მეცნიერები, მწერლები, პოეტები, რომლის თაობაზე მოთხრობილია ადგილობრივ გაზეთში. ამაღელვებელი სიტყვა წარმოსთქვა მწერალმა ლევან გოთუამ. და სხვ.

ტაძრის წარწერები, რომელიც სააღაპოა, ჭეშმარიტად მხარის ცოცხალ მატეანეს წარმოადგენს. ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ თექვსმეტი ასომთავრული წარწერა. ტაძრის აღმოსავლეთის კედელზე მოთავსებული ერთ-ერთი წარწერა ასე იკითხება: „ქრისტე შეიწყალე იოვანე ეპისკოპოსი ამის ამშენებელი დღესა მას“. სამხრეთის კედელზე, თაღის ქვეშ, კარის თავზე, მოთავსებული წარწერა კი გვაუწყებს: „შეწევნითა ღმრთისაითა იოანე ეპისკოპოსმან დადგა საძირკველი ამისა ეკლესიისა, ხელითა ძემ ცოდვილისა საკოცარისათა ლეონ მეფის ზეობასა. ადიდენ ღმერთმან ქორონიკონსა რპდ (184) თუესა მაისსა, დღ“სა შაფათსა, თოარისასა ერისთაობასა ზვიადისასა ესე ბალავარი მუნ დაიდგა. ქრისტე შეენია მონასა შენსა. ამინ“.

მომდევნო წარწერა მოთავსებულია იქვე მარჯვნივ და ასე იკითხება: „წმინდაო ეკლესიაო, შენნი მუშაკნი და ყოველნი მოშენებელნი შენნი დღესა მას სასჯელაისა დაიფარენ და შეიწყალე გლახაკთა გიორგი ლოცვასა მომიხსენეთ“.

კარის საპირეს კამარაზე და იქვე კარის მარჯვენა კამარის თავზე მოთავსებული ქარაგმიანი წარწერები ასე იკითხება: „ქ.სახელითა ღმრთისაითა, ეფრემ ეპისკოპოსმან დავდე აღაპად გაბრიელ კუმურდოელისა, ... პარასკევი, დღესასწაული წმინდათა მთავარ-ანგელოზთაი და ავიღეთ მისგან ფასი სრული, ვინ შეცვალოს კრული არს ამით ხატითა და ჩემითა ჯვარითა“. წარწერა სააღაპოა. ამ წარწერის ბოლოში მოთავსებული წარწერა ასე იკითხებ: „ქრისტე, შეიწყალე სული გაბრიელ კუმურდოელისა. ამინ“.

სარკმლის კარის თავზე შემორჩენილი წარწერა გვიამბობს: „ღმერთო, შეიწყალე სული მღვდელ ზოსიმესი. ამინ“. „კამარაზე“ მოთავსებულ წარწერაში ვკითხულობთ: „სახელითა ღმრთისაითა მე გაბრიელ ეპისკოპოსმან დავდევ აღაპად ბზობის პარასკევი, მოლოზანის დღესასწაული. წმინდა მღვდელთა მოძღვართა ვინ სრულობით არ გარდაიხადოს, კრულია ამით ხატთა და ჩვენითა ჯვარითა, ფასი სრული ავიღოთ“.

შემდგომ წარწერებში ლაპარაკია იოანე და გაბრიელ ეპისკოპოსების მიერ დადებულ აღაპზე. ზოსიმე კუმურდოელის მიერ ტაძრის საკურთხევლის, ფეხშუმის, ჯვრის, ღვთაების ხატის შემოსა-შემკობის, აგრეთვე მირდატის აღაპის შესახებ ინტერესს იწვევს ტაძრის სამხრეთ დასავლეთის მინაშენზე (კარიბჭე-სტოა) კარნიზის ქვეშ არსებული წარწერა: „ადიდე ღმერთმან მეფეთ მეფე ბაგრატ და დედა მათი მარიამ დედოფალი. აღაშენა ... ესე მეფობასა მათსა მღვდელთ მოძღურობასა ზოსიმე კუმურდოელისასა“. ეკლესიის დასავლეთის კარის თავზე გაკეთებულ წარწერაში ნათქვამია ტაძრის მშენებლობის ერთ-ერთი მონაწილის პატრონი ელისბალის და მისი ოჯახის წევრების შესახებ. იქვეა მცირე წარწერა ზოსიმე კუმურდოელის და კალატოზ მიქაელის შენდობის თაობაზე.

და დგას ჯავახეთის მიწაზე კუმურდოს კათედრალი – მაცნე ქართული სულისა და ნიჭიერებისა, ერის უკვდავებისა, ნიშანსვეტი სამშობლოს სიყვარულისა და სიდიადისა... მე კი ყოველთვის ამ არქიტექტურული საოცრების ნახვისას, ყოველთვის რაღაც ღვთაებრივი ჰაეროვნების, სიწმინდის, მყუდროების შემონათებასა და სიკეთის უძლევლობის რწმენით.

1955 წლის ივლისი. დიდი გალაკტიონი კუმურდოს ტაძრის სვეტს გოლიათური ხელებით შეხებია, თითქოს ესათუთებოდა, მოჭუტულთვალებში კი შეუცნობელ სიდიადესთან ერთად კაეშნის ბინდიც მოუჩანს.

– დიდებულია, აქ ზარები უნდა რეკდნენ! – თავისთვის ბუტბუტებდა იგი...

1964 წელი... კუმურდოს სიდიადით აღტაცებული ხანდაზმული აკაკი შანიძე ბრძანებს:

– პირველად ხართ აქ, ბატონო? – ვეკითხებით.

– ნამდვილად საოცრებასთან გვქონია საქმე, ჩვენ ქართველებს...

ისმის პასუხად.

ვარდისციხე

ვარდისციხე ერთ-ერთი გამონაკლისთაგანია, რომელიც ნაკლებად არის ცნობილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ ციხის შესახებ არაფერს ამბობს თვით ვახუშტიც კი, რომლის მახვილ თვალს მიუწვდომელი არ დარჩენია ფეოდალური საქართველოს თითქმის არცერთი მხარე, პუნქტი თუ ადგილი...

ვარდისციხე მდებარეობს ახალქალაქიდან 18 კილომეტრის დაშორებით, ჯავახეთის მთის შვერილზე, სოფელ ვარევნის მახლობლად. ვეებერთელა ლოდებისაგან აგებული ბებერი ციხის ეკლესია და ჩამონგრეული ნასახლარები შორიდანვე იზიდავს მნახველის თვალს.

რა შეიძლება ითქვას ამ მივიწყებული ძეგლის შესახებ? მატიანემ ძალიან ცოტა რამ შემოგვინახა ვარდისციხის შესახებ, მაგრამ ის მცირედიც კი, რამაც ჩვენამდე მოაღწია, მეტად საინტერესო და საყურადღებოა.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, ვარდისციხე 14 კომლიანი სოფელი ყოფილა, XIX საუკუნის დასასრულს ივ. როსტომაშვილი გვაწვდის ცნობას, – „ვარდისციხე ნასოფლარია ვარევანსა და თოკს შუა“. ვარევნიდან ნახევარ ვერსზე, მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდებარეობს დაცარიელებული ვარდისციხე – ვარდისფერი ციხე. აქ შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები სამხრეთის კედელზე წარწერით. 1909 წლის ერთი საბუთი გვამცნობს, რომ ნასოფლარი ვარდისციხე 1897 წლისთვის აბაშიძეებს ეკუთვნოდათ. XVI საუკუნეში სოფელში უცხოვრიათ წამალაძეებს, მაზანასძეებს, მახარობლისძეებს, აბაშისძეებს, ვეფხვაძეებს...

არაჩვეულებრივია ციხის მდებარეობა და აგებულობა, დაბალ და იოლად მისადგომ ბორცვზე აგებული სიმაგრე მის არც თუ ისე სტრატეგიულ მნიშვნელობაზე მიუთითებს. სამაგიეროდ შეუვალია უზარმაზარი კლდეებით შემოზღუდული ციხის გალავანი. ნაგებობა თავისი პირვანდელი სახით ციკლოპური ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქვითკირის კედელს, რომელიც განახლების მიზნით გალავანზეა დაშენებული და გვიანი პერიოდისაა.

ციხის ამოსავლეთ ნანილში შემორჩენილია ერთაფსდიანი ეკლესია, რომლის კარის ზემოთ მოთავსებულ ნათალ ქვაზე ასომთავრული წარწერის მხოლოდ მცირე ნანილიღა შემორჩენილა, რომელიც XI-XII საუკუნეებს განეკუთვნება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეკლესია უფრო ახალი ნაგებობაა, ვიდრე ციხე და მისი გალავანი, ამ აზრს ადასტურებს აგრეთვე დაუმუშავებელი ლოდებისაგან აშენებული ძველი კედელი, რომელსაც თვით ეკლესია ებჯინება.

ციხის გათხრებისას აღმოჩენილი კერამიკა მიუთითებს იმაზე, რომ ვარდისციხე სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ძეგლია.

ციხეს საგრძნობლად დიდი ტერიტორია უკავია – სიგრძე დაახლოებით 400 მეტრს აღწევს. შიდა ტერიტორია ლოდებით გადახურული დარნებით არის დასერილი, გვირაბების ერთი ნაწილი დაუზიანებელია. მათში ადვილად შეიძლება შესვლა, თუ ჩამონგრეული ადგილები გაიწმინდება. სოფელ ვარევნის მოსახლეობაში დღემდე შემორჩენილია გადმოცემა, რომ ვარდისციხის მოსახლეობა თითქოს ათასამდე სულს აღწევდა. ციხის გარნიზონი ომისა და შიშიანობის დროს იზრდებოდა და იქ თავს იყრიდა ახლომახლო სოფლის მოსახლეობაც. ციხის სქელი კედლები მათთვის საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა.

ამ სოფლის მცხოვრები იოსებ მელიქიძე იგონებს პაპამისის – ნიკოლოზის ნაამბობს, რომელსაც ასევე თავისი პაპისაგან მოუსმენია, რომ ვარდისციხის ბევრ ოჯახში ოცდაათამდე აკვანი ირწეოდაო.

ერთ-ერთი გადმოცემით, ციხის მახლობლად, ლოდი ეგდო. ლეგენდა იუწყებოდა, რომ ამ ქვის მახლობლად მინაში ჩაფლული ყოფილა უდიდესი სიმდიდრე.

მთლიანად ყოფილა გადაჭრილი ციხის სასმელი წყლით მომარაგების პრობლემა. მის მთავარ ნაწილში, ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩასდევს ქვებით გადახურული ორი გვირაბი, რომლებიც ერთიმეორისაგან 400 მეტრით არის დაშორებული და გოკიოს მდინარემდე აღწევს. ამ გვირაბებით იღებდა სასმელ წყალს ციხის მოსახლეობა. არის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ციხეს ჰქონია უზარმაზარი აუზი, საიდანაც ხდებოდა მოსახლეობას წყლით მომარაგება და იგი ნანილდებოდა უხუცესთა საბჭოს მიერ.

სარწმუნო ცნობები იმის შესახებ, თუ როდის აიყარა ადგილობრივი ქართული მოსახლეობა, არ არსებობს. აღნიშნულ კითხვაზე პასუხს ნანილობრივ ერთ-ერთი გადმოცემა იძლევა. ციხე დასახლებული ყოფილა მაშინაც კი, როდესაც სამცხე-საათაბაგო ჯავახეთის უცხოელ ფეოდალებს ეჭირა ხელში. ციხეს ალყა შემოარტყა ლეკებმა. გარემოცვა თვეზე მეტხანს გაგრძელებულა, ბოლოს ლეკებს აღუთქვამთ, საქმეს მშვიდობიანად მოაგვარებდნენ თუ ქართველები ციხის კარებს გააღებდნენ. გაბრიყვებულ თავკაცებს მტერი ციხეში შემოუშვიათ, ძარცვასა და რბევაში დახელოვნებულ ლეკთა მრავალრიცხოვან მხედრობას ამოუწყვეტია ციხის მოსახლეობა და თან წაუყვანიათ ბევრი ტყვე. მაშველი ქართველი რაზმები ვარდისციხეში მისულან მხოლოდ ამ სისხლიანი ტრაგედიის შემდეგ, ასობით დახოცილი კი ეკლესიის ეზოს აღმოსავლეთ ნანილში დაუკრძალავთ. ეს შემოსევა საბედისწერო გამხდარა ვარდისციხელებისათვის. მას შემდეგ აქ საცხოვრებლად ადამიანს ფეხი აღარ დაუდგამს.

ამ მოვლენის ჭეშმარიტებაზე ღაღადებს გათხრების შედეგად ეკლესიის აღმოსავლეთით აღმოჩენილი უზარმაზარი თხრილი, რომელშიც ასობით მამაკაცისა და ბავშვის ძვლებია აღმოჩენილი.

ვინ იცის, რამდენი საინტერესო ძვირფასი ძეგლი და ნივთია დამარხული ამ ხავსმოკიდებული კედლების ქვეშ. მათი შესწავლისათვის ჯერჯერობით არაფერი არ გაკეთებულა.

მეტად უიშვიათესი და გამონაკლის ძეგლად აღიარებს ვარდისციხეს ცნობილი ქართველი მეცნიერი გიორგი მელიქიშვილი. მას ეს ციხე ამ კუთხის ყველაზე უძველეს ნაგებობად მიაჩნია. რაც შეხებაა ძველი წარწერებიდან შემორჩენილ რამდენიმე სიტყვას, მათ გასაშიფრად აუცილებელია ჩაერთოს ამ დარგის კვალიფიციური სპეციალისტები.

ამირანის გორა

ამირანი, ქართული ეპოსის გმირი, – „ამირანიანის“ მთავარი პერსონაჟი, – ქალღმერთ დალისა და უცნობი მონადირის შვილია. მას ოქროს კბილი აქვს და საცრისოდენა თვალები, მგლის მუხლი, თორმეტი უღელი ხარ-კამეჩის ღონე და ზვავის სისწრაფე. ხალხისთვის თავდადებული გმირი ღმერთმა კავკასიონზე მიაჯაჭვა. გილგამი(ე)შისა და პრომეთეს მსგავსად, ამირანიც საკაცობრიო მნიშვნელობის მხატვრული სახეა, რომელიც დაახლოებით 3500 წლის წინ უნდა ყოფილიყო შექმნილი.

ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ძეგლი „ამირანიანი“ შეიქმნა თქმულებებზე, რომელსაც საფუძვლად უდევს კავკასიონზე მიჯაჭვის სიუჟეტი. „ამირანიანის“ ამ მრავალმნიშვნელოვანი მასალის თაობაზე, მითითებულია „ქართული ენციკლოპედიის“ I ტომში, რომელიც შეიძლება ორ ძირითად – კოლხური და იბერიული ვერსიებით განვიხილოთ.. ამ უკანასკნელში შედის მესხურ-ჯავახური... ხანდაზმული ჯავახელებისგან მოსმენილი მაქვს ასეთი თქმულება: ამირანი ქრისტე ღმერთის ნათლული იყოო. იგი გოლიათური აღნაგობის და დიდი ძალის მქონე ყოფილა, დედამიწაზე მის მომრევი არავინ იყოო. თავის უძლეველობაში დარწმუნებულ ამირანს ბოლოს ნათლია-უფლისთვისაც შეუბედავს – მოდი შევერკინოთ ერთმანეთსო. ქრისტე ღმერთი განაწყენებულა ამაზე და კავკასიის მთაზე დაუსვამს რკინის პალო. პალოს, უფლის სურვილით, უამრავი ფესვი განტოტვია. – თუ ამ პალოს ამოაძრობ, – მიუმართავს ამირანისთვის უფალს, – მაშინ გექნება უფლება, შემერკინოო. ამირანი დასწდომია პალოს, მაგრამ ოდნავი ძვრაც ვერ უქნია. მაშინ ნათლია ღმერთს პალოზე მიუჯაჭვებია ნათლული, კავკასიის მთიდან მოუგლეჯია უზარმაზარი გორა და ზედ დაუმხია... თქმულება მთავრდება საყოველთაოდ ცნობილი მჭედლებისა და ყურშას შესახებ.

ჯავახეთის მთაზე, რომლის ქვეშ მიჯაჭვულია ამირანი, მიჩნეულია ამირანის გორა. ვახუშტი ბატონიშვილი „ქართლის ცხოვრებაში“ ამის თაობაზე აღნიშნავს: „ხოლო ახალქალაქს ზეით არს ამირანის გორა“ (ლაპარაკია ჯავახეთის ახალქალაქზე). ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა ოდითგანვე ამ უმშვენიერეს, გლობუსივით მრგვალ, განცალკევებულ მთას ამირანის გორას უწოდებს. ისე, როგორც სხვა ბევრი ქართული წარმოშობის ტოპონიმია XIX საუკუნის დასასრულის რიგ საბუთებში, ამირანის გორამაც ახალი სახელწოდებით – „ტავშან თაფად“ (თურქ.) მოიხსენიება. შემდეგ კი გადმოურუსებიათ – „ტავშანკად“. რაც სიტყვა-სიტყვით „კურდღლის გორას“ ნიშნავს. აქვე უნდა შევნიშნთ, რომ ასეთი სახელწოდების ნასოფლარია ქ.ახალციხის მახლობლად მდინარე ფოცხოვის მარცხენა ნაპირას. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღნიშნულ ტერიტორიაზე მოპოვებულია მდიდარი ისტორიული მასალა: სამაროვნები, ნაგებობები, თიხის ჭურჭელი, ქვისა და ბრინჯაოს იარაღები (ძვ. წ.აღ.-ით V-IV ათასწლეული), აღნიშნული ძეგლი შეტანილია საქართველოს ენციკლოპედიაშიც.

ჯავახეთის ამირანის გორის, როგორც ისტორიული ძეგლის შესახებ პირადად მე შევიტყე ორმოცდაათიან წლებში. პროფესორ გიორგი გოზალიშვილის მტკიცებით, ასეთი ფორმის მთაგორა, რომელიც მთებისაგან განცალკევებით მდებარეობს, მსოფლიოში სამი ყოფილა, ერთი ინდოეთში, მეორე – აფრიკის კონტინენტზე.

1958 წელს ამირანის გორის კალთებზე ნაწილობრივი გათხრებისას გადაშენებულ ძუძუმწოვარ ცხოველთა სამარხებს წააწყდნენ. იგი ადგილზე შეისწავლეს საქართველოს პალეობიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო ჯგუფმა (ხელმძღ. ა.ვეკუა). შემდეგ ამ აღმოჩენით დაინტერესდა ცნობილი მეცნიერი, პროფ. ლევან გაბუნია.

„ამირანის გორის“ ძირში, ტბის ნალექებში, აღმოჩნდა გადაშენებულ ძუძუმწოვარ ცხოველთა ადგილსაპოვებელი, რომელსაც სამართლიანად შეიძლება ეწოდოს „ცხოველთა სასაფლაო“. აქ დამარხულ ცხოველთა შორის აღსანიშნავია ტროგონთერიული სპილო, მარტორქა, გიგანტური ირემი, გამოქვაბულის ლომი, დათვი და სხვ. (აქ მოძიებული გამოქვაბულის ლომის კბილები და დოქი, იხვის გამოსახულებით, დაცულია ახალქალაქის სამხარეო მუზეუმში), აღმოჩენილია აგრეთვე გიგანტური ცხენის, დათვისა და მგლის კბილები.

ჯავახეთი

ყველაზე საინტერესო და მოულოდნელი იყო ამ მიდამოებში ბეჰემოტის ნეშტის აღმოჩენა, რაც პირველი შემთხვევაა მთელ კავკასიასა და ჩრდილოეთ პოლუსზე. მათი შესწავლისას დადგინდა, რომ მილიონი წლის წინათ ახალქალაქის მიდამოებში მდიდარი და ნაირფეროვანი ფაუნა იყო, რომლის გადაშენების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად მეცნიერები ხშირად ვულკანურ ამოფრქვევებს ვარაუდობენ.

ცნობილ პალეოლოგთა აზრით, ახალქალაქის „განმარხებულ ცხოველთა სასაფლაოს“ უაღრესად დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ იგი არ ჩამოუვარდება საყოველთაოდ ცნობილ ტამანისა და ტირასპოლის ადგილსაპოვებლებს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის ექსპედიციის ხელმძღვანელმა ა.ვეკუამ ადგილობრივი გაზეთის მეშვეობით მიმართა შესაბამის ორგანოებს, შეესწავლათ „ამირანის გორის“ ძირას წარმოებული თვითნებური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალა. სამწუხაროდ, ნადგურდება მეცნიერებისათვის ესოდენ საინტერესო ცხოველთა ნაშთები.

მთის ორი მესამედი წიწოვანი ტყითაა დაფარული. „ამირანის გორის“ გატყევებას საფუძველი ჩაეყარა გასული საუკუნის ოციან წლებში, შემდეგ კი სისტემატურად გრძელდება ეს სამუშაოები. გორის სამხრეთით მოკვლეულია სამაროვნები, – მიცვალებულთათვის ქვისაგან ამოშენებული სასახლეები, ქვევრები. ბოლო ხანებში „ამირანის გორის“ არქეოლოგიური გათხრებით რატომღაც აღარავინ დაინტერესებულა. იქნებ ახლა მაინც, როდესაც დადგა დრო ჩვენი ისტორიული ძეგლების აღდგენისა, მივხედოთ „ამირანის გორასაც“.

ყურადღებას იპყრობს ამირანის გორის თავზე შემორჩენილი საკულტო ნაგებობანი, ეკლესიის ნაშთები, „ამირანის გორა“ ახალქალაქის მშვენებას წარმოადგენს. ვფიქრობთ, დროა ეს წმინდა გორა მუზეუმ-ნაკრძალად გამოვაცხადოთ და მეცნიერული კვლევები გაგრძელდეს, ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა კი სპეციალური განყოფილება დაუთმოს მას.

აი როგორ უმღეროდა ნახევარი საუკუნის წინათ ფრონტიდან გამოგზავნილ ლექსში ჯავახელი პოეტი სოსო ბალახაძე ამირანის გორას:

„სად არის ჩემი აბული,
მუდამ თეთრ პერანგიანი,
სად არის „ამირან-გორა“,
რომ უყვარს სოსან-იანი“..

და რაოდენ გასაკვირია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ძეგლი გამორჩათ და საქართველოს ენციკლოპედიაში არ არის შეტანილი.

სამსარი

სამსრის მთები ჯავახეთის მთიანეთის არც თუ ისე მაღალი ადგილია. მის უხვ ბალახიან კალთებზე ზაფხულობით ათეულათასობით პირუტყვი ბალახობს. ამ მთიდან სამხრეთ-დასავლეთით, 5-6 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს სოფელი დიდი სამსარი. იგი ახალქალაქიდან 20-ოდე კილომეტრითაა დაშორებული. აქვეა პატარა სამსარიც. დიდ სამსარს აღმოსავლეთიდან ჩაუდის ხევი, რომელზეც მოედინება სამსრის ანკარა მდინარე. ხევის ორივე მხარეზე, კლდეებში, გამოქვაბულებია. სამსრის ქვაბების შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი არაფერს ამბობს.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ აღნიშნულია, რომ – არის „სოფელი ზემო და ქვემო სამსრები ღრტილასთან“.

სამსრის გამოქვაბულებს დამსახურებულად უწოდებენ „მეორე ვარძიას“. აქ გამოკვეთილია მშვენიერი სვეტებიანი მონასტერი. მიუხედავად იმისა, რომ მონასტერი კლდეშია ამოყვანილი, იგი ამჟამად დაზიანებული და დაუცავია. ეს გარემოება ხელს უწყობს ძეგლის განადგურებას.

სიძველის გამო ჩამონგრეულია მონასტრის წინა ფასადი, რომელსაც თავზე შემორჩენილი აქვს მოზრდილი ლოდი, მასზე შემორჩენილი წარწერით, ქვის ერთი ნაწილი მოტეხილი და დაკარგულია. წარწერის ნაწილი გვაუწყებს, რომ „აშენდა... ოდენ... ესე ვართ..., მაშინ დიდისა გვიხსენ და იხსენ დღესა მას განკითხვისაგან... მაშინ დავწერე ეკლესია და ხელი...“ აქედან ორი მეტრის მოშორებით დამტვრეულ პატარა ქვაზე კი ამოკვეთილია მეორე წარწერა, სადაც ვკითხულობთ: „წმინდა თევდორე“. მიწისძვრების შედეგად, რომელიც სამსარმა არაერთხელ განიცადა, ქვაბთა ნაგლეჯები და მონასტრის ნაწილები ძირსაა მიმოფანტული, რომელსაც, როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, XIX საუკუნის ბოლოსათვის ჰქონია წარწერა (ახლა ეს დაკარგულია), რომელიც წაუკითხავს ივ. როსტომაშვილს. მანვე შემოგვინახა ამ წარწერის ფოტო. აქედან ირკვევა, რომ მონასტრის აგების პერიოდში, ეს ადგილი გაუვალი ტყით ყოფილა დაფარული. წარწერა შემდეგი შინაარსის ყოფილა: „სახელითა დედისათა, წმინდისა ღმრთისმშობლისაითა. ესე წმინდაი ეკლესია ოდეს აშენდა, მაშინ ეს ადგილი ტყისგან არ ჩანდა“. სამსრის წარწერები, პალეოგრაფიული თვალსაზრისით, ერთ-ერთი შესანიშნავია, ასოების ლამაზი მოყვანილობით ძალიან განსხვავდებიან ჯავახეთის ყველა სხვა ძველი ქართული წარწერების ასოებისაგან. ტაძარს აქვს სამალავი (საიდუმლო გვირაბი), რომელიც დაზიანებულია და მისი გაწმენდის შემთხვევაში, შეიძლება გასავლელის მონახვა.

სოფლის მახლობლად, ხევში, მეორე სართულზე, გამოკვეთილია მონასტერი, რომელშიც საფეხურებიანი გვირაბით შეიძლება ასვლა. ამ ეკლესიაში ვნახეთ ძველი ქართული წარწერა: „წმინდა მიქაელ“. ეკლესიას სამხრეთ ნაწილში აქვს საიდუმლო გვირაბი, იგი ძალიან შორ მანძილზე მიდის. ადგილობრივი მცხოვრებლების გადმოცემით, ეს გვირაბი თუ დარნები, გრძელდება ოთხ კილომეტრზე და სოფელ მერენიას აღწევს.

იბადება კითხვა: რით იყო ნაკარნახევი, – ზღვის დონიდან 2000 მეტრს სიმაღლეზე ასეთი ნაგებობის აგება? სამსრის გამოქვაბულების უპირველესი დანიშნულება, ჩვენი აზრით, შემდეგში მდგომარეობს: მტრის შემოსევების დროს ღრტილა-ბარალეთისა და სხვა ახლო-მახლო ქალქებისა და სოფლების მოსახლეობა, სამსრის ქვაბებსა და საიდუმლო გვირაბებში აფარებდა თავს, რომლის ირგვლივ ხშირი ტყე იყო, ასეთი თავშესაფარ-გამოქვაბულები და გვირაბები კი მრავლადაა აღმოჩენილი იხტილასა და თოთხამში.

მურჯახეთის „ძიქვები“

სოფელი მურჯახეთი ჯავახეთის ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტია. ტოპონიმი „მურჯახეთის“ არასწორ ინტერპრეტაციას იძლევა პროფ. სერგი მაკალათია. იგი მიუთითებს, რომ სოფლის სახელწოდება წარმოშობილია ლურჯი ხევიდან, რომელშიც მოედინება დიოიფის წყალი,წყალში ლურჯი თევზებიაო და რომ აქედან წარმოდგება მურჯახეთი, ანუ ლურჯი ხევიო...

დავუშვათ, რომ ეს ასეც იყოს, მაშინ რა უნდა უკავშირდებოდეს ახალქალაქის რაიონში დასახლებანი „მურჯი“ და „მურჯიკანი“, რომლებიც მურჯახეთიდან საკმაოდ შორ მანძილზე მდებარეობენ?

სოფელ მურჯახეთთან 1535 წელს ლა, რომ დედაკაცები მას სთხოვდნენ რძის მომატებას. რძეგამშრალ ქალებს მოჰქონდათ საღამოთი შესაწირი „ძიქვასთან“. ასევე აქ უშვილო ქალებიც კი მიდიოდნენ.

ნიკო მარის აზრით „ძიქვები“ ქრისტემდე პირველ ათასწლეულს მიეკუთვნებიან. ორივე ამ ქვას თევზის მოყვანილობა აქვს.

ყველა მკვლევარმა, რომელმაც ნახა მურჯახეთის ქვის სვეტი, საკუთარი აზრი გამოთქვა წაქცეული ქვის აყენებისა და აქ არქეოლოგიური გათხრების ჩატარების თაობაზე. სამწუხაროდ, ეს არც თუ ისე ძნელი საქმე, დღემდე ვერ მოგვარდა. რამდენიმე წლის წინ, სოფელ მურჯახეთში, ერთ-ერთი ბინის საძირკვლის გათხრისას, აღმოჩენილი იქნა ქვის უზარმაზარი თევზი, რომლის ბედით ფაქტიურად არავინ დაინტერესებულა, მიუხედავად იმისა, რომ მისი აღმოჩენის თაობაზე შესაბამისი ინფორმაცია დაიბეჭდა რესპუბლიკურ პრესაში.

მურჯახეთში შემორჩენილია მცირე ზომის ეკლესია, რომელსაც შემდეგი ქართული წარწერა აქვს: „ქ: ოთო... შე...ცლი...საბა...ჯანგერიძე მღვდელი-ვინა. შენდობა ძმანთო. თქვენც“.

აბული

მთა აბული თრიალეთის მთიანეთის ყველაზე მაღალი მწვერვალია, რომელიც ფორმით ეგვიპტის პირამიდას მოგვაგონებს. მთა ახალქალაქის აღმოსავლეთით, 20-იოდე კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. მას ორი მწვერვალი აქვს – დიდი და პატარა (ზღვის დონიდან 3300 მეტრი). მწვერვალი ქვიშნარითა და ქვაკარკლითაა დაფარული. ტოპონიმი „აბული“ ზოგიერთი მკვლევარის აზრით, წარმოსდგება აპოლონისაგან („აპოლი“), რომლის კერპიც, თითქოს, ამ მიდამოებში მდგარა, ზოგს (ნ.ნათენაძე) მიაჩნია, რომ აბული წარმოსდგება „ბოლისაგან“, რომ მთა ვულკანური წარმოშობისაა და ხშირად მწვერვალს ბოლი ადგას თავზე. თუ რამდენად სანდოა მკვლევართა აღნიშნული მტკიცება, ამის შესახებ ჯერჯერობით ფერაფერს ვიტყვით. ტოპონიმი „აბული“ რომ ერთადერთია საქართველოში, ეს კი უტყუარი ფაქტია.

ყურადღების ღირსია მთის მცირე მწვერვალი, რომელიც კონუსისებური ფორმით დიდ აბულს წაგავს და მისგან სამხრეთით მდებარეობს. პატარა აბულის კალთაზე შეინიშნება ე.წ. კარკლები, რომელშიც ნაპრალ-გვირაბები და ბლინდაჟებია. ვახუშტი აღწერს რა ტაბაწყურსა და ფარავანს შორის მდებარე მთებს, მიუთითებს იმაზე, რომ აქ არის კლდე ფიქალ-ფიქლად დაწყობილი, ვითარცა კაცთა ხელით დაწყობილი და ნაშენი მთის ძირიდან თხემამდე... ესრეთი კლდე შამბიანისა ზედა ცა არს მრავალი, არამედ აქა უმეტეს უცხო, უწოდებენ „კარკნალს“,

ივ. როსტომაშვილი აბულის მთის კალთაზე ამ ქვათა გროვას უწოდებს „კარკალს“. სხვათა შორის, სოფელ ქილდის ტერიტორიაზე, ერთ ადგილსაც მოსახლეობა „კარკლებს“ უწოდებს). აბულის „კარკლების“ ქვეშ მეგალითური სისტემის ნაგებობებია დატანებული, რომელნიც კატაკომბებს წააგავს. ანალოგიური კატაკომბებია წალკის მახლობლადაც. ამას წინათ რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნდა მასალა წალკის რაიონში ციკლოპური ციხის აღმოჩენის თაობაზე. თავისთავად, ისმის კითხვა: ხომ არ გვაქვს საქმე აბულშიც ციკლოპურ ნაგებობასთან?

„კარკალი“ სულხან-საბა ორბელიანის მიერ განმარტებულია, როგორც „დიდი ქვაფნარი“ (ქვაყრილი). ცხადია, ეს „კარკალი“, ძნელბედობის ჟამს, მოსახლეობის თავშესაფარს წარმოადგენდა. მცირე აბულზე შემორჩენილია ციხე, მისი მთავარი კედლები უზარმაზარი დაუმუშავებელი ლოდებისგანაა აგებული. ციხეს სამი შესასვლელი ჭიშკარი აქვს. ერთ-ერთი ისტორიული წყაროს მიხედვით, სოფელ აბულში ქვის აკვანი ყოფილა, მაგრამ ასეთი ვერსად ვერ მივაკვლიეთ.

აბულის ციხის ჩრდილოეთით, ე.წ. მთა „ქოროღლის“ კალთებზე, შემორჩენილია ზღუდე, რომელიც შედარებით მცირე მოცულობისაა. ნაგებობის მხოლოდ აღმოსავლეთის მცირე კედელია შემორჩენილი. მთის ძირშია სოფელი აბული, რომელიც ქალაქ ახალქალაქიდან 15 კილომეტრითაა დაშორებული. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, სოფელი 12 კომლიანი ყოფილა. სოფელში ძველი ქართული ეკლესიაა,

რომელიც აგებულია ნათალი რუხი ქვისაგან. ეკლესიის დასავლეთის კედელზე ასომთავრული წარწერაა: „ჯუარი ქრისტესი“; „ქრისტე, შეიწყალე კალატოზნი“.

ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, სოფელში შემორჩენილი ყოფილა უზარმაზარი ნათალი ქვა, რომელიც სალოცავს წარმოადგენდა. ეკლესიის სახურავი ალაგ-ალაგ დაზიანებულია. ამ სოფელთან უნდა იყოს დაკავშირებული ერთ-ერთ მატიანეში დასახელებული XI საუკუნის მხედართმთავარი თევდორე აბულელი.

რამდენიმე წლის წინ სოფელში მოქალაქე დარბინიანის ბინის ტერიტორიაზე მიწა ჩაინგრა, სადაც აღმოჩენილი იქნა დარანი, რომელიც საკმაო შორ მანძილზე გრელდება. სამწუხაროდ აღნიშნული დარნის კვლევით დღემდე არავინ არ დაინტერესებულა.

ჯავახეთის ისტორიულ ძეგლთაგან საყურადღებოა სოფელ ბარალეთის ეკლესია და ძველი ციხის ნანგრევები – სოფლის მახლობლად მდებარე ე.წ. „ამაღლების ჯვარი“. სოფელში ქართული ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე ასომთავრული წარწერაა, რომლის ბოლო ნაწილი დაზიანებულია. წარწერა ასეთნაირად იკითხება: „აღაშენა ეკლესია ესე მათ ჟამთა შინა, ოდეს ლაშა მეფედ დაჯდა. ადიდენ ღმერთმან ორთავე ცხოვრებათა“. გიორგი ლაშა, დიდი თამარის შვილი, გამეფდა დედის სიცოცხლეშივე 1212 წელს. ეკლესიის აგებაც დაახლოებით ამ პერიოდში უნდა მომხდარიყო.

შედარებით უკეთესადაა შემონახული სოფელ კოთელიის წმინდა კვირიკეს სახელობის ეკლესია, რომლის შვიდ სტრიქონიანი მხედრული წარწერა გვაუწყებს მისი ამშენებლის ვინაობას. იგი XVI საუკუნეს მიეკუთვნება.

ერთ-ერთი უძველესი წარწერა, რომელიც მოთავსებულია კუმურდოს და ნასოფლარ დანკალს (დამკალს) შორის, ნასოფლარ ერეშში, აღმართულ ქვის სვეტზე, მკვლევართა მტკიცებით, წარწერა 918 წლით თარიღდება.

იხტილის (ღრტილა) ეკლესიის სამხრეთ კარნიზზე მოთავსებული ასომთავრული წარწერიდან დგინდება, რომ ეკლესია აგებული უნდა იყოს 1307-1308 წლებში, თორელთა გამგებლობის პერიოდში. ასევე ცნობილია ე.წ. სტელები, რომლებსაც ასომთავრული წარწერები აქვთ გაკეთებული. ჩუნჩხის სტელაზე ორიოდე ასოს ნაკვალევი შეიმჩნევა. წარწერები პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XIII საუკუნეზე ადრინდელი უნდა იყოს. ისე, როგორც კუმურდოს ტაძარი, განძის ეკლესიებიც მდიდარია წარწერებით. აქ ორი ეკლესიაა – ერთი სოფლის ზედა უბანში, მეორე – ქვედა უბანში. ეკლესიები დაახლოებით 1310-1334 წლებშია აგებული მხარის მფლობელის შალვა ჯაყელის პერიოდში. ხანდაზმულ ადამიანებს დღესაც ახსოვთ სოფელ ქარცების ულამაზესი ეკლესია, რომელიც გასული საუკუნის 20-იან წლებში აუფეთქებიათ. ნანგრევებზე შემორჩენილი ყოფილა ორი წარწერა, რომელიც იმხანად წაიკითხა ივ. როსტომაშვილმა. სამწუხაროდ, წარწერები დაიკარგა, მხოლოდ ორი ათეული წლის წინ ერთ მათგანს მივაკვლიე სოფელ აფნიაში, რომელიც ეკლესიის გალავნშია ჩატანებული. პირველი წარწერა შესრულებული ყოფილა ასომთავრულით, ხოლო მეორე მხედრულით და განეკუთვნება მე-14 საუკუნეს.

სამი ასომთავრული წარწერა შემორჩენილია ყაურმის ეკლესიაზე. წარწერაში მოხსენიებულია გიორგი მეფე (გიორგი I), კათალიკოსები მელქსედეკ და ოქროპირი და განეკუთვნებიან 1027-1030 წლებს. ცოტა მოგვიანებითაა აგებული ფოკას ეკლესია (1031-1053) ბაგრატ IV-ის მეფობის დროს; სათხის ეკლესიის წარწერიდან (ხუთი წარწერაა) დგინდება ძეგლის აგების თარიღი – ბემქენ ჯაყელის დროს – XI საუკუნეში; კულალისის ეკლესიის წარწერა დაახლოებით 1060-1070 წლებით

გაგრძელება გვ.32

მიხეილ თამარაშვილი

(დაბადებიდან 160 წლისთავის გამო)

მიმდინარე წელს, სექტემებერში, შესრულდება მიხეილ თამარაშვილის დაბადებიდან 160 წლისთავი. იგი იმ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიპყრეს განსაკუთრებული ყურადღება, საზოგადოების სიყვარულითა და პატივისცემით იყვნენ გარემოსილნი, სიცოცხლეშივე წილად ხვდათ დიდი აღიარება. მისი დამსახურება ქართველი ერის წინაშე განუზომელია.

მიხეილ თამარაშვილის საქმიანობის სფერო და მიმართულება განსაზღვრა XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოში და, შესაბამისად, სამცხე-ჯავახეთში შექმნილმა შიდაპოლიტიკურმა ვითარებამ და ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობის გაუარესებამ. 1878 წელს ივანე გვარამაძის წარდგენით, მამა პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებულ, კონსანტინეპოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანეში ჩავიდა. იმ მისიის შესასრულებლად, რაც მიხეილ თამარაშვილს დაევალა, საჭირო იყო ფართო განათლება და ენერგიული შრომა. სამშობლოდან გაძევებულმა მიხეილმა, საზღვარგარეთ, განათლების გაღრმავებაზე იზრუნა... დაამთავრა სასულიერო აკადემია და მოიპოვა ღვთისმეტყველების დოქტორის წოდება. შეისწავლა ევროპული ენები: იტალიური, ფრანგული, ლათინური. იგი ევროპის არქივებში მოძიებული მასალების შესახებ ცნობებს და შთაბეჭდილებებს პირველად თავის მასწავლებელს უზიარებდა. 1902 წელს გამოიცა მისი პირველი წიგნი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“. ნაშრომში თამარაშვილმა წარმოაჩინა მანამდე უცნობი და მეტად საინტერესო ცნობები საქართველოს შესახებ. ამ ნაშრომს ქართველმა ინტელიგენციამ მაღალი შეფასება მისცა. ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „მისი ქართველ კათოლიკეთა ისტორია დიდ განძად უნდა ჩაითვალოს ჩვენს მწიგნობრობის ასპარეზზედ. იგი არის ჩვენი „მეორე ქართლის ცხოვრება!“ ამ ნაშრომის გარეშე შეუძლებელია საქართველოს ისტორიის დაწერა. თვითონ მიხეილმა კი წიგნის მიმართ თავისი დამოკიდებულება მასწავლებელს – ივანე გვარამაძეს გაუზიარა: **„ვგონებ შარშან მოგწერე – სიცილიაში აღმოვაჩინე მისიონერების მიერ დახატული სურათები საქართველოს მთავრობის, ეკლესიების და სხვა. წლეულს სექტემბერს კიდევ წავედი და დიდის შრომით და ხარჯით შევიძინე ყველა. 137 ფოტოგრაფია გადავაღებინე ამ სურათებისა. ამით საქართველოს კვლავ შევსძინე საისტორიო განძი. ეს სურათები ჩემი პირველი წიგნის დაბეჭდვის წინეთ რო აღმომეჩინა და მასში ჩამერთო ყველა თავის ადგილას და საჭირო განმარტებით, მაშინ ჩემს წიგნს ფასი აღარ ექნებოდა. კიდევ კარგია ახლა მოვუსწარი, თვარა ისიც მერე დაიღუპებოდა საქართველოსთვის“** *(ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2012, მიხეილ თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი, 1906).*

მიხეილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭ ებდა თავის მესამე წიგნს „საქართველოს ეკლესიის ისტორია“ (1910 წელი). ივანე გვარამაძეს სწერდა: **„ადრე ჩემს მიერ გამოქვეყნებული წიგნები ამ წიგნთან მოსატანი და სახსენებელნიც არ არიანო“.** მიხეილ თამარაშვილმა დასახელებული ნიგნი ფრანგულ ენაზე გამოსცა. იგი **მოსე ჯანაშვილს** სწერდა: **„მ ეტად საჭიროდ დავინახე ამნაირი ისტორიის ფრანგულად გამოცემა, რადგან ევროპაში თითქმის სრულებით არა იციან რა საქართველოს ისტორიისა, და თუ იციან რამე, ისიც არეულ-დარეულად და შეცილებით თუ სომხებსა და თუ რუსების შეცდომილი წერილების წყალობით.“** მისმა ნაშრომმა უდიდესი მოწონება დაიმსახურა ევროპაში, ვატიკანმა სპეციალური პრემიაც კი მიანიჭა.

აღსანიშნავია, რომ ივანე გვარამაძეს თავისი წვლილი შეჰქონდა მიხეილის შრომების დაწერაში, რამდენადაც ხშირად უხდებოდა საჭირო წყარო-მასალებისა და ცნობების მინოდება. მათ შორის იყო სომხურენოვანი გაზეთებიდან თარგმნილი მასალები: **„ახლა გთხოვ, თუ იცით რაიმე საბუთები სომხების ძველად საქართველოში გადმოსახლების შესახებ, გთხოვ ყველა საჩქაროთ გამომიგზავნოთ, რადგან მეორე წიგნის პირველ თავში მათ გადმოსახლებაზე ვლაპარაკობ“** *(მეორე წიგნი იყო „პასუხად სომხის მწერლებს“).*

მიხეილი ხშირად თხოულობდა სომხურენოვანი გაზეთების მასალებს, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ დაედგინა ჭეშმარიტება იმ პრობლემებისა, რომელსაც ზოგიერთი სომეხი კათოლიკე მღვდელი და მოღვაწე აყენებდა რელიგიის სფეროში. ჭეშმარიტების დადგენას კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ორი მეზობელი ქრისტიანი ქვეყნის სამომავლო ურთიერთობისათვის საერთოდ და, განსაკუთრებით, სამცხე-ჯავახეთისათვის, რამდენადაც ერთმანეთის გვერდით უხდებოდათ ცხოვრება ქართველ და სომეხ კათოლიკეებს.

მიხეილი არამარტო სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა, არამედ ზრუნავდა იმ ნიჭიერ ქართველ ბავშვებზეც, ვისაც ივანე გვარამაძე გაუწევდა რეკომენდაციას. მიხეილის ხელშეწყობით ბევრმა მიიღო განათლება. იგი ერთ-ერთ წერილში ივანე გვარამაძეს სწერდა: **„ამ წერილში გაუწყებთ შესახებ ბათმანოვის ბავშვისა. თუ კარგია და ღირსად თვლით წამოვიდეს და თუ მშობლებმა გზის ფული ვერ მოიშოვეს, მაშინ ცხრა-ათ მანეთამდინ მივცემთ** *(ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ.№ 1970, „მიხეილ თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი“, 1895, კონსტანტინეპოლი).*

ივანე გვარამაძე ყოველთვის ამაყობდა და ეიმედებოდა მისი შრომა-საქმიანობა. ამიტომაც იყო, რომ მისთვის თავზარდამცემი აღმოჩნდა მიხეილის გარდაცვალების ცნობა: **„მაშინვე კალამი ხელიდან გამივარდა, თავზარი დამეცა, თავბრუ დამეხვა, გამიშრა სისხლი, გულღვიძლზედ შხამგესლით აქაფებული კაეშანი გარდამესხა და მეტად გამიმწარა უმისოდაც დანაღვლიანებული, დაშხამული სიცოცხლე მრავალნაირის დარდ-ნაღველითა ამ სნეულს მოხუცებულობას. ეს რაღა უბედურება იყო ჩემს თავზედ, არ მეყოფოდა ჩემი სამშობლო-მამულის უშველებელი ჯავრი, ნაღველი, რის გამოც ჩემი თავი დავიწყებული მაქვს და დღე-ღამ უნუგეშოდ დავსტირი“.**

მიხეილი ივანე გვარამაძისათვის იყო არამარტო საყვარელი მოსწავლე, არამედ ერის მოამაგე, მეცნიერი, ქართველ კათოლიკეთა დიდი ქომაგი. იგი იმის გამოც წუხდა, რომ არ ეგულებოდა მიხეილის საქმის ღირსეული გამგრძელებელი: **„მუხლებს ვიტყუებ და თავში ვიცემ, რომ აღარავინ მეგულება მისი მომაგიერე, მისებრ ნამდვილი განათლებული. რომ ცოტა კიდევ ეცოცხლა, ვინ იცის, რომის და ევროპის საწიგნეებში რამდენს დიდ სასარაგებლო ისტორიული ცნობით როგორ გაგვამდიდრებდა და გაგვიმაგრებდა წელ-ზურგსა“** *(ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2376, ივანე გვარამაძე, „სიტყვა თქმული მიხეილ თამარაშვილის გარდაცვალებაზე“, 1911).* ივანე გვარამაძის გოდება სამართლიანი იყო. მიხეილმა დიდი ამაგი დასდო სამშობლოს და, განსაკუთრებით, ქართველ კათოლიკეებს. ევროპის არქივებში მოძიებული მასალებით მეცნიერულად დაასაბუთა ქართველი კათოლიკე მრევლის რეალური არსებობა საქართველოში, რითაც საკადრისი პასუხი გასცა ცილისმწამებლებს. ამ ორი მამულიშვილის მოღვაწეობის უპირველესი შედეგი ის იყო, რომ მათ სამხრეთ საქართველოს ქართულ მოსახლეობაში გააღვიძეს მიძინებული ეროვნული თვითშეგნება და ამით თავიდან აიცილეს გადაგვარების რეალური საფრთხე.

მიხ ეილ თამარაშვილს განსაკუთრებით აფასებდა **ალფონს ხითარიშვილი** – სტამბოლის ქართული სავანის წინამძღვარი. მას კარგად იცნობდა, რადგან მიხეილი, ჯერ კიდევ, თბილისში ცხოვრობდა მასთან. სწორედ ასეთი მეგობრული დამოკიდებულების გამო იყო, რომ მას გაუზიარა თავისი პირველი შთაბეჭდილებები მამა ალფონსმა სტამბოლის სავანის წინამძღვრად დანიშვნის შემდეგ. იგი 1899 წელს მიხეილ თამარაშვილს სწერდა: **„მე ვერ წარმოვიდგენდი, რომ ეს სახლი ასე გლახაკი დამხვდებოდა და პადრე სტეფანე მარტო თავისი თავისთვის მზრუნველი, ხოლო შორს საქმეთა შინ ამნაირი და უხვი იქნებოდა“** *(საქ.მეცნ.აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ფონდი, №10, საქმე №47, ფ. 47).* იგი მიხეილ თამარაშვილს სთხოვდა, რომ ჩასულიყო სტამბოლში, რათა ერთად შეედგინათ „რიგიანი გეგმა“ – „მონასტრის მართვის პლანი“.ალფონსი თავის შემცვლელად სწორედ თამარაშვილს მიიჩნევდა. ამიტომ სწერდა: **„ჩამოდი, მიგიღებ კარგად. მობრძანდი შენს მონასტერში. რადგან მარტო შენზედ მაქვს იმედი, რომ ჩემს მოხუცებულობაში მინუგეშებ და ჩემს შემდგომაც მიიღებ წინამძღოლობასა და ააყვავებ ამა გვარისა უკვდავებასა განათლების წყაროსა“** *(ი. ტაბაღუა, „მაცნე“, №2, გვ.170, 1978).* სამწუხაროდ, მიხეილ თამარაშვილმა ვერ მიიღო უფროსი მეგობრისა და მოძღვრის თხოვნა, რამდენადაც ამ დროისათვის იგი ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში საქართველოზე უნიკალური მასალების მოძიებით იყო დაკავებული.

როგორც მოძიებული მასალებიდან ჩანს, მამა ალფონსს მიხეილ თამარაშვილისათვის ერთხელ კიდევ მიუმართავს თავისი მოსწავლეების გამო, როდესაც გარკვეული პრობლემები შექმნილა სტამბოლში მყოფი მოსწავლეების განათლების საკითხთან დაკავშირებით. **ალიოზ ბათმანაშვილის** მიერ ივანე გვარამაძისადმი გაგზავნილი წერილიდან ვგებულობთ, რომ მამა ალფონსს გადაუწყვეტია დროებით მასწავლებლად მიეწვია რომში მყოფი მიხეილ თამარაშვილი: **„მოდი სწავლა განაგრძობინე ჩემს შვილებს, ვიდრემდის მოვახერხებთ როგორმე მაღალ სასწავლებელში მათ მიბარებას. თან მოიტანე შენი დოკუმენტები და აქ შესაძლისად დააწყე, ხოლო შემდეგ ჩემს პატიოსან სიტყვას გაძლევ: კვლავ დიდის დიდებით გაგისტუმრებ რომშიო“** *(ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №3992, ალიოზ ბათმანაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი).* იგი ვეღარ შესძლებდა სავანეში დაბრუნებას. სწორედ ამიტომ ითხოვა, რომ გაენთავისუფლებინათ დადებული აღთქმისაგან და ეს თხოვნა სისრულეში მოეყვანა კიდეც. ეს ამბავი, როგორც ჩანს მამა ალფონსისათვის მანცდამაინც მოსაწონი არ აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, იგი მზად იყო ნებისმიერ დროს მიეღო იგი სავანეში. ალიოზ ბათმანაშვილის ზემოთ მოხსენიებულ წერილში ვკითხულობთ: **„მამა ალფონსმა შემთხვევით ინახულა თამაროვი და უთხრა: მე მუდამ მზათ ვარ ყველაფერი დავიწყებას მივცე და კვლავ სიყვარულით მიგიღო როგორც შვილი“** *(შემდგომში ს.ქ.კ.ს.მ., ალიოზ ბათმანაშვილის ფონდი).* მამა ალფონსს სურდა თავის აღზრდილი მოწაფე გვერდით ჰყოლოდა, რათა სავანის საქმიანობა ღირსეულად გაგრძელებულიყო შემდგომშიც. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თვით სტამბოლის მამათა სავანეში მოღვაწე პირები სწორად აფასებდნენ მიხეილის მოღვაწეობას და მის გადაწყვეტილებას სავანიდან წასვლის შესახებ. ალიოზ (შიო) ბათმანაშვილი 1911 წლის 13 ივნისს მიხეილ თამარაშვილს სწერდა: **„მერწმუნეთ, თქვენ ძალიან კარგად მოიქეცით, რომ მონასტრიდამ წახვედით“** *(ს.ქ.კ.ს.მ. ალიოზ ბათმანაშვილის ფონდი, წერილი მიხეილ თამარაშვილისადმი).* ასეთი შეფასება მიხეილ თამარაშვილმა თავისი ნაშრომებით დაასაბუთა. მიხეილს სავანიდან წასვლის შემგომაც არ გაუწყვეტია კავშირი, თანამშრომლობდა იქ მოღვაწე თანამემამულეებთან და მზრუნველობას იჩენდა სავანისადმი.

მიხეილ თამარაშვილს მიმოწერა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა სამშობლოში მყოფ ქართველ მოღვაწეებთანაც. მათთან თანამშრომლობდა და ზრუნავდა ქვეყნის მომავალზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბევრ მათგანს არც კი იცნობდა და, საერთოდ, არ ჰყავდა ნანახი. ამას ხელი არ შეუშლია მათი თანამოაზრეებთან თანამშრომლობისათვის და ეროვნული საქმის ერთად კეთებისათვის. ქართველი მოღვაწენი თვალს ადევნებდნენ მიხეილის სამეცნიერო შრომას. მისმა პირველივე საგაზეთო სტატიამ (1897 წელი – გაზეთი „ივერია“) მათი განსაკუთრებული ყურადღება და დაინტერესება დაიმსახურა. უცხო ქვეყანაში თამარაშვილის ტიტანური შრომა მათ პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებდა. მიხეილისადმი კეთილად და სიყვარულით განმსჭვალული ადამიანების რიცხვი ძალზედ დიდი იყო. მის არქივში ინახება ცნობილ მოღვაწეთა წერილები. კერძოდ, მას მიმოწერა ჰქონდა ილიასთან, აკაკისთან, იაკობ გოგებაშვილთან, მოსე ჯანაშვილთან, ზაქარია ჭიჭინაძესთან, დიმიტრი ბაქრაძესთან, ზუბალაშვილებთან, სიმონ ქვარიანთან, გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილთან და ა.შ. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ რომში მყოფმა მიხეილმა და ქართველმა სტუდენტებმა დიდი ყრადღება გამოიჩინეს იუბილარ აკაკისადმი. მათ იტალიელ მხატვარს დაახატვინეს აკაკის პორტრეტი და საჩუქრად გამოუგზავნეს საქართველოში წარწერით: „აკაკი წერეთლის იუბილესათვის ძღვენი პატრი თამარაშვილისა და რომის ქართველ სტუდენტთა გუნდისაგან“. 1909 წელს კი, როდესაც აკაკიმ იმოგზაურა ევროპაში, მიხეილთან შეთანხმებით უნდა მომხდარიყო მათი შეხვედრა. რაც, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა და ორივე მათგანი დარჩა გულნატკენი.

უნდა აღინიშნოს, რომ აკაკი წერეთელი მიხეილის სიცოცხლეშივე მოითხოვდა დაწერილიყო ფუნდამენტური მონოგრაფია ქართველი ხალხის ამ უდიდეს მოღვაწეზე. სწორედ ასეთი დამოკიდებულება იყო, რომ მიხეილის გარდაცვალება იმთავითვე უდიდეს ტკივილად და დანაკარგად აღიქვა ქართველმა ხალხმა, იმთავითვე დაისვა მისი ნეშტის გადმოსვენების საკითხიც.

მიხეილ თამარაშვილის გარდაცვალება დიდი დანაკლისი იყო ქართველი საზოგადოებისათვის. ივანე გვარამაძის მსგავსად ყველას მიაჩნდა, რომ მისი საქმის გამგრძელებელი ვერ მოიძებნებოდა. **„მოგვაკლდა ადამიანი, რომელიც საკმაოთ მუშაობდა ჩვენთვის რომში. ახლა არ ვიცით ვინ გამოჩნდება მის სამაგიერო იმ ქალაქში“,** – წერდა მიხეილ ანტონოვი ივანე გვარამაძეს. *(ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №3297, მიხეილ ანტონოვის წერილი ივანე გვარამაძისადმი, 24/IX, 1911).*

მიხეილ თამარაშვილის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი მრავალ ეკლესიაში იქნა გადახდილი. 22 სექტემბერს თბილისის ქართველ კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში გადახდილ პანაშვიდს ფართო საზოგადოება დაესწრო. პანაშვიდის შემდეგ გაიმართა თათბირი. თათბირზე **გრიგოლ დიასამიძემ** აღძრა საკითხი იტალიიდან მიხეილის ნეშტის გადმოსვენების შესახებ. ამასთანავე, საჭიროდ ჩათვალა, რომ ალექსანდრე ყიფშიძეს წაეკითხა საჯარო რეფერატი მიხეილ თამარაშვილის მოღვაწეობის შესახებ, რათა ფართო საზოგადოებას გაეცნო ღირსეული მამულიშვილი *(გაზ. „თემი“, №38, 1911, მიხეილ თამარაშვილის გარდაცვალების გამო).* თათბირზე მიღებულ იქნა მიხეილ თამარაშვილის სამშობლოში გადმოსვენების გადაწყვეტილება. შესაბამისად ჩამოყალიბდა კომიტეტი, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ეს გადაწყვეტილება. დასახელებული კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეული იქნა მღვდელი ანტონაშვილი (მიხეილ ანტონოვი *(გაზ. „თემი“, №46, 1911, მიხეილ თამარაშვილის გვამის საქართველოში გადმოსვენების გამო).*

იტალიელმა ხალხმა გარდაცვლილი მიხეილის მიმართ იმთავითვე დიდი მზრუნველობა გამოიჩინა. წმინდა იოსების კოლეგიის ძმობის წევრებმა მიხეილ თამარაშვილი დიდი პატივით დაკრძალეს იტალიაში, ჩივიტა-ვეკიაში. იტალიის საზოგადოებამ კი მის საპატივსაცემოდ მისი ძეგლის აგება გადაწყვიტა.

ქართველ საზოგადოებას გულწრფელად სურდა მიხეილ თამარაშვილის საქართველოში ჩამოსვენება: **„ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობა ვერ მოისვენებს ვიდრე სამშობლო მიწა არ ჩაიკრავს გულში თავის საუკეთესო შვილის გაციებულ გვამს. ყოველი ქართველი ზნეობრივად ვალდებულია დააყაროს მამა მიქიელს ის მიწა, რომელმაც დაჰბადა იგი, აღზარდა და დაავაჟკაცა სამოღვაწეოდ და სამოქმედოდ განსადიდებლად საქართველოს ერის სახლისა“.** ქართველი ინტელიგენციის დიდი სურვილის მიუხედავად, იმ პერიოდში, საქართველოში შემდგარმა კომისიამ ვერ მოახერხა მიხეილ თამარაშვილის ნეშტის იტალიიდან გადმოსვენება. იტალიაში შექმნილმა კომისიამ კი თავის დასახულ მიზანს მიაღწია და მიხეილის დაღუპვიდან წლისთავზე აღმართა მისი შესანიშნავი ძეგლი სანტა-მარინელაში. ქართველ ერს თავის განზრახვაზე ხელი არ აუღია. 1978 წელს **რეზო თაბუკაშვილის** უდიდესი ძალისხმევით შესაძლებელი გახდა დიდი მამულიშვილის სამშობლოში ჩამოსვენება. იგი დიდი პატივით დაკრძალეს დიდუბის პანთეონში.

მიხეილ თამარაშვილმა – სტამბოლის ქართველ მამათა სავანეში აღზრდილმა და განსწავლულმა პიროვნებამ, უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოს ისტორიის მეცნიერულ კვლევაში. მისი შრომები ფასდაუდებელია ქართველი ერისათვის. იგი აღიარეს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ უპირველეს მკვლევარად. ყველამ სწორად შეაფასა მის მიერ გაწეული სამსახური და ის უდიდესი მისია, რაც მან ქართველი ერის წინაშე აღასრულა. მან ერთ-ერთმა პირველმა აზიარა ევროპელი მკითხველი საქართველოს ისტორიასა და კულტურას.

ნატო ყრუაშვილი

ახალციხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის 80 წლისთავისთვის!

მუზეუმი – ისტორიის ხარაჩო

„არს ციხე ქალაქის თავს... ქალაქი არ მოზუდვილი ციხიდამ ქვიტკირის სამის ზღუდით... ჰავით არს მშვენი, ზამთარს ცივი და თოვლიანი, ზაფხულს არა ეგოდენ ცხელი. გარემოს ქალაქისა წალკოტნი, ვენახნი და ხილნი მრავალნი“, – წერდა ვახუშტი ბაგრატიონი ახალციხეზე.

კარგა ხანია ამ სამ ზღუდე-გალავნიანმა ციხე-ქალაქმა ვალი მოიხადა ქვეყნისა და ხალხის წინაშე, შეწყდა ბრძოლის ყიჟინა ამაყი ახალციხელებისა, ბოლო მოეღო მტერთა თარეშსაც, კინოკადრებივით გაირბინეს საუკუნეებმა, რამდენიმე წლის წინათ კი დიდი ალაყაფის კარი გაიხურეს მესაზღვრეთა უკანასკნელმა რაზმებმა, მაგრამ ბობოქარ ცხოვრებას შეჩვეული ეს ბუმბერაზი, რომელიც ერთბაშად ვერ ეგუებოდა ასეთ სიმშვიდეს და სიცარიელეს, ელოდა ახალმოსახლეობას, ახალ მფარველებს, ახალ მეციხოვნეებს.

და აი, 1972 წლის გაზაფხულში ხსენებულ ციხესიმაგრის ტერიტორიაზე, ე.წ. „ჯაყელების სასახლეში“, სამუდამო ბინა დაიდო ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა.

სამუზეუმე მოძრაობის იდეა მესხეთში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ჩაისახა. მუზეუმში დაცული საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ცნობილი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი და ფოლკლორისტი **ივანე გვარამაძე** („ვინმე მესხი“) 80-იან წლებში შესდგომია ფართო შემგროვებლობით საქმიანობას. იგი, როგორც ჩანს, გრძნობდა და მოელოდა, რომ ადრე თუ გვიან, ახალციხეში მუზეუმი გაიხსნებოდა და ამისთვის წინასწარ იჭერდა თადარიგს. „ვინმე მესხი“ გულმოდგინედ ეძიებდა და იძენდა საკუთარი სახსრებით ადგილობრივი მოსახლეობისაგან ძვირფას ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ მასალებს და ამით კიდევ უფრო ამდიდრებდა ისედაც მდიდარსა და მრავალმხრივ საინტერესო პირად არქივს.

მშობლიური მხარის დიდი პატრიოტი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა მატერიალური კულტურის ძეგლების მიმართ, წერდა მათი სავალალო მდგომარეობის შესახებ, კითხულობდა წარწერებს, თავს უყრიდა აქა-იქ მიმობნეულ წარწერიან-ჩუქურთმიან ქვებს, მუზეუმისთვის საჭირო მასალებს. ივ.გვარამაძე ჩქარობდა ხალხური მარგალიტების – ლექსების, ლეგენდების, ლექსიკური და ტოპონიმიკური მასალების შეგროვებას, დრო და დრო მათ გამოქვეყნებას.

1912 წელს ივანე გვარამაძე გარდაიცვალა და მის მიერ ნამოწყებული ეს საშვილიშვილო საქმე, იმავე გულმოდგინებით და ენთუზიაზმით, გააგრძელა მისმა შვილმა **კოტე გვარამაძემ**. კოტე გვარამაძის დაუცხრომელი მეცადინეობის შედეგად, 1923-24 წლებში, ახალციხის სამაზრო აღმასკომთან ყალიბდება არქივ-მუზეუმი, რომლის გამგედ დაინიშნა **ი.ღვინიაშვილი.** არქივ-მუზეუმის ფონდებში ამ დროისათვის თავმოყრილი იყო 10000 მანეთის ღირებულების სამუზეუმო ექსპონატი და 100 ფუთამდე წონის საარქივო მასალა, რომელიც ძირითადად ქართველ მენშევიკთა მმართველობის პერიოდს ეხებოდა. ეს მასალა, ისე როგორც ექსპონატთა დიდი ნაწილი, ძირითადად კ.გვარამაძის მიერ იყო შეგროვებული.

მალე კოტე გვარამაძემ თვითონ გადაიბარა ი.ღვინიაშვილისაგან არქივ-მუზეუმი და შეუდგა მის მოწესრიგებას. არქივ-მუზეუმი კი გადავიდა საქმით დაინტერესებული კაცის ხელში, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოხერხდა მისთვის შესაფერისი ბინის გამონახვა. რაიონის ხელისუფლებისადმი თავისი არაერთგზის მიმართვაში, კ.გვარამაძე ხაზს უსვამდა შეგროვებული მასალის დიდ მნიშვნელობაზე და იქვე გამოთქვამდა გულისტკივილს მათი უპატრონობისა და უბინაობის გამო. დაჟინებული თხოვნისა და თუ მოთხოვნის მიუხედავად, კ.გვარამაძემ ვერ მიიღო დადებითი პასუხი, რის გამოც დიდი რუდუნებით მოძიებული ექსპონატები 1925 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადაეგზავნა, არქივი კი გაუქმდა.

უსამსახუროდ დარჩენილი კ.გვარამაძე (თუმცა იგი რაიონის სიძველეთა დაცვის რწმუნებულად მაინც რჩებოდა) 1929 წლიდან კვლავ იწყებს ბრძოლას მუზეუმის ხელახლად გახსნისათვის ახალციხეში, კვლავ აგროვებს სამუზეუმო ექსპონატებს ადგილობრივ მოსახლეობაში და... ისევ იმ ბინისა და საშტატო ერთეულის უქონლობას ედავება რაიონის ხელმძღვანელობას, მაგრამ ამაოდ.

ახალციხის მუზეუმი განაგრძობდა ბოჰემურ ცხოვრებას: ის ხან ქალაქის ფურნის თავზე მოწყობილ ორ პატარა ოთახში მოათავსეს, ხან ნავთის საწყობის მეზობლად, ხან კიდევ ბნელ და ნესტიან სარდაფში. მარტო 1924 წლიდან 1937 წლამდე მუზეუმმა 12-ჯერ გამოიცვალა ადგილსამყოფელი, თითქოს მესხთა უბედურებას იმეორებდაო, ისეთი უპატრონობა და მიუსაფარობა იყო მის გარშემო დასადგურებული.

ბოლოს კეთილმა საქმემ მაინც გაიმარჯვა. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1937 წლის 10 იანვრის N25 დადგენილებით ახალციხეში უკვე ოფიციალურად გაიხსნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. დირექტორად დაინიშნა შესანიშნავი პატრიოტი და მოქალაქე **დავით ლობჟანიძე,** მეცნიერ-მუშაკად – **კოტე გვარამაძე.** მუზეუმი მოთავსდა ყოფილ კიროვის ქუჩაზე (N3), სამუსიკო სკოლის მეზობლად მდებარე „ფირალიშვილების სასახლის“ პირველ სართულზე. მართალია მისთვის მთელი სართული არ დაუთმიათ, მაგრამ ის 4-5 დარბაზი, რომელიც ახლადდაარსებულმა მუზეუმმა მიიღო, დიდი შეღავათი იყო მუშაობის შემდგომი გაშლა-გაფართოებისათვის. მუშაობა კი მართლა გაიშალა: მუზეუმს დაუბრუნდა 1925 წელს თბილისში ნაღებული ექსპონატების მნიშვნელოვანი ნაწილი. მხარის მოსახლეობისაგან შემოწირულ-შეძენილი იქნა ახალი საინტერესო სამოზეუმო მასალა, აგრეთვე ცნობილი მესხი მოღვაწეებისა და ისტორიკოსების – ივ.გვარამაძის, მიხეილ თამარაშვილის, პავლე შაჰყულიანისა (ჭილიმუზაშვილი) და სხვათა პირადი არქივები, ხელნაწერები, საინტერესო გამოცემები.

დ.ლობჟანიძემ და კ.გვარამაძემ მალე საშტატო ერთეულის გაზრდასაც მიაღწიეს. მათ გვერდში ამოიყენეს ახალგაზრდა ენთუზიასტები– **ილია მაისურაძე, ვახტანგ სუდაძე, გიორგი გოგოლაძე, ბესარიონ ტაბიძე, კოტე სამსონიძე.** ისინი ხშირად გადიოდნენ მოსახლეობაში, იწერდნენ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, აგროვებდნენ სხვა სამუზეუმო მასალებს, ამდიდრებდნენ მუზეუმის ფონდებს, აწყობდნენ გამოფენებს.

გადიოდა წლები. იზრდებოდა და მდიდრდებოდა მუზეუმის ფონდები ახალ-ახალი ექსპონატებით, ხელნაწერებით, ფოტომასალით. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო რუსთაველის 800 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა (1966).

რა ექსპონატები იყო გატანილი მაშინდელ ექსპოზიციაში? დავინყოთ თუნდაც დიატომიტის ნატეხებით. მრეწველობის ამ ძვირფას ნედლეულს, რომელსაც ხარისხისა და მარაგის ოდენობით პირველი ადგილი ეკავა ყოფილ სსრ კავშირში, მესხეთში, კერძოდ, ურავლის ხეობაში, წყორძის ზემოთ, ნასოფლარ კისათიბის მიდამოებში მოიპოვებდნენ. აქ მოპოვებული დიატომიტის ნატეხებზე ფიქსირებულის თევზებისა და ბაყაყების, აგრეთვე ვაზისა და სხვა მცენარეთა ფოთლებისა და ტოტების ანაბეჭდები, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს ადგილები ოდესღაც წყლით ყოფილა დაფარული.

საინტერესოა აგრეევ „კურდღლის გორის“ („ამირანის გორის“) არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული თიხის სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების ჭურჭელი, ხელსაფქვავები, კაჟის დანები... რომელთაც არქეოლოგი **ტარიელ ჩუბინაშვილი** ძვ.წ-აღ.-ით მე-3 ათასწლეულით ათარიღებდა.

ძვ.წ-აღრიცხვით პირველ ათასწლეულს ეკუთვნის მესხეთის ტერიტორიაზე (ანდრიაწმინდა, ზველი, თელოვანი, უდე, ბორჯომის ხეობა) აღმოჩენილი ბრინჯაოს განძი, სადაც წარმოდგენილია კოლხური (იქნებ მესხური?) ტიპის ცულები, თოხები, ტყავის საფხეკები, შუბისა და მშვილდისრის წვერები, სამაჯურები, ქამრის ბალთები ირმების გამოსახულებით და სხვ.

აქვეა სლესის ციხესთან ნაპოვნი VII საუკუნის ქვის დიდი ჯვარი ძველი ქართული წარწერით (წარწერის ამოკითხვა ჟამგადასულობის გამო არ ხერხდებს). ვეცნობით ქრისტიანობის გავრცელების ამსახველ მასალებს, მესხეთში ნაგები ეკლესია-მონასტრებისა და ციხე-კოშკების ფოტოსურათებს.

ახალციხის მუზეუმშია დაცული „ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე ადრინდელი (XVI ს.) ხელნაწერის ფრაგმენტი, რომელიც აღმოაჩინა ცნობილმა მკვლევარმა **ილია აბულაძემ** 1963 წელს ახალციხის მუზეუმის ხელნაწერებზე მუშაობის დროს.

გამოფენებში ფართოდ იყო წარმოდგენილი ასპინძის ომისა (1770) და ახალციხის განთავისუფლების (1828) ამსახველი ექსპონატები, ამ ბრძოლებში გამოყენებული იარაღები, ახალციხის გათავისუფლების აღმნიშვნელი თუჯის დაფა. აქვე ფოტო სურათი 5 მეტრიანი ობელისკისა, რომელიც დაიდგა ომში დაღუპულთა (რუს-ქართველთა) პატივსაცემად 1861 წელს ახალციხის საბარგო დასახლების ტერიტორიაზე. 1919 წელს მესხეთში შემოჭრილმა თურქებმა, შურისძიების მიზნით, ობელისკი ააფეთქეს.

აღსანიშნავია აგრეთვე ტყვიის დაფაც სომხური წარწერით, რომელიც იუწყება არზრუმისა და ყარსის ლტოლვილ სომეხთა გადმოსახლებას სამცხე-ჯავახეთში ახალციხის განთავისუფლების შემდეგ – 1828-30 წლებში არზრუმის ეპისკოპოს კარაპეტას წინამძღოლობით.

გამოფენის ერთი დარბაზი დათმობილი ჰქონდა თოფის დამამზადებელ სახელოსნოს – ახალციხეში ამზადებდნენ თოფებს, ხმალ-ხანჯლებს, სახელოსნო მოწყობილი იყო ახალციხელი ფაშიკ ჩივთალარიანის მიერ.

დამთვალიერებელთა დიდ მოწონებას იმსახურებდა სახელგანთქმული ნამუშევრები – ძვირფასი თვლებით მოჭედილ-მოჩუქურთმებული ჯვარი, ვერცხლის ხანჯალი, ქალისა და მამაკაცის სარტყელები, ბეჭდები, სამკაულები, ნაქსოვ-ნაქარგი ხურჯინები, წინდები, საფულეები. ამ ნაქსოვ-ნაქარგთაგან განსაკუთრებულია ახალციხელი მანდილოსნის **როზალია მეფისაშვილის** ნამუშევარი: „რუსთაველი თამარს მიართმევს „ვეფხისტყაოსანს“ (უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის ნახატის მიხედვით), რომელსაც დიდხანს ვერ „ელეოდნენ“ თბილისში, მაგრამ ბოლოს მაინც დაუბრუნდა „კანონიერ“ პატრონს – ახალციხის მუზეუმს.

როგორც ითქვა, ფართოდ იქნა წარმოდგენილი რუსთაველის 800 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენები და სხვ. რაც დამთვალიერებელთა დიდ მოწონებას იმსახურებდა. ამაზე მეტყველებს „შთაბეჭდილებათა წიგნის“ არაერთი ჩანაწერიც:

„საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლები გამოთქვამენ უდიდეს აღტაცებას და კმაყოფილებას ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ახალი ექსპოზიციის მიმართ. მასალის სიმდიდრე შესანიშნავად არის გამოვლინებული და გამოფენილი. დახვეწილი გემოვნება იგრძნობა თითოეული ვიტრინის გაფორმებაში, ექსპოზიცია ღრმა შთაბეჭდილებას ტოვებს“. – ხელოვნების მუზეუმის თანამშრომლები.

„განსაკუთრებული ყურადღებას იმსახურებს მუზეუმის გაფორმება. დიდი მხატვრული გემოვნება, თანამედროვე ხედვის უნარი მხატვრების –ციციშვილისა და კენჭაძის დამახასიათებელი ნიშანია“, – წერდა თსუ-ის დოცენტი ო.გაბიძაშვილი,

„განახლებულ მესხეთში ყველაფერი საინტერესოა დღეს... ამ შთაბეჭდილებას აღრმავებს და ამდიდრებს ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომლის დანიშნულებაა ასახოს ქართველი ერის დიდებული წარსული... მუზეუმი – ეს ნამდვილი სკოლა უნდა იყოს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, სადაც თანამედროვე თაობა შეისწავლის მესხეთის ნამდვილ ისტორიას – ეს კი ქართველი ერის ისტორიის შესწავლა, მისი ყველაზე საინტერესო, ყველაზე სასახელო ტომის ისტორიის შესწავლაა. ამართლებს დღევანდელი მუზეუმი ამას? – დიდად, ძალიან დიდად“! – ეს სიტყვები ეკუთვნის პედაგოგს, ვეტერანთა საბჭოს თაავმჯდომარეს **ვარლამ ნადარეიშვილს.**

აი რას წერდნენ იმდროინდელი ცნობილი მესხები – აკად. **შალვა მიქელაძე,** პროფ. **მერაბ მიქელაძე** და **ნიკო ლომსაძე:** *„დიდი კმაყოფილებით და სიყვარულით დავათვალიერეთ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელიც ასახავს საქართველოს ამ უძველესი კუთხის, მისი კულტურისა და ცივილიზაციის აკვნის, მესხეთ-ჯავახეთის ისტორიას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მიზანშეწონილია მუზეუმის გაფართოება და მისი გადაკათება მესხეთ-ჯავახეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმად.“* თბილისში მოღვაწე მესხი სწავლულები „მუზეუმის გაფართოებისა და გადაკეთების“ აუცილებლობას უსვამდნენ ხაზს და აკი აღსრულდა კიდეც მათი და ყველა ჩვენთაგანის სურვილი: 1972 წელს, როგორც ითქვა, ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი გადავიდა რაბათის ციხის ტერიტორიაზე, ხოლო 1976 წელს – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში და ეწოდება სამცხე-ჯავახეთის აკად. ივ.ჯავახიშვილი სახელობის ისტორიული მუზეუმი (ივ.ჯავახიშვილის სახელს ატარებს 1941 წლიდან). აქვე გავიმეორებ – **სოფიო ორჯონიკიძის** შემდეგ მუზეუმს დირექტორებად მოევლინნენ ჯერ დოცენტი **სერგო ხოსიტაშვილი,** ხოლო შემდეგ გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი **გიორგი კაპანაძე,** პირადად მე სწავლული მდივნის მოვალეობის შემსრულებელი ვიყავი. 1984 წლიდან მუზეუმს სათავეში ჩაუდგა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი **ციური ლაფაჩი.** მუზეუმში მოვიდნენ შრომისმოყვარე, ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც დღეისათვის არაერთი სერიოზული წიგნისა და მონოგრაფიის ავტორები არიან – **ნატო ყრუაშვილი, მელანო გოგოლაძე, გრიგოლ ჯვარიძე,** თავად მუზეუმის მენეჯერი **ციური ლაფაჩი** და სხვ.

აქვე მინდა ჩემი სათქმელი ერთსტროფიანმი ლექსით დავასრულო, რომლის უშუალო ადრესატები ჩვენი მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლები არიან:

ასი მწერალი, ასი მკვლევარი,
სჭირდება მესხეთს, დიდებულ მესხეთს, –
გვაქვს ისტორია დაუტევარი,
თავს ვერ დავაღწევთ მის ვალს
და სესხებს!..

ვაჟა სამსონიძე

ისევ ბიეთის ქტიტორ ხუაშაქის

თამაზ ჩიკვაიძე

2018 წლის იანვარში გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთში“ გამოქვეყნდა პროფ. **რომან გოგოლაურის** საინტერესო სტატია სათაურით – „ბიეთის ქტიტორ ხუაშაქის ვინაობის საკითხისათვის“. ავტორმა დეტალურად გააანალიზა ბიეთის ტაძრის გარშემო ყველა არსებული მასალა და მისი ქტიტორის ვინაობის შესახებ საინტერესო მისებური ვერსია წარმოადგინა. სანამ სტატიაში წარმოდგენილ არგუმენტებს და დასკვნებს განვიხილავდეთ, რამდენიმე სიტყვით თვით ბიეთის ეკლესიის შესახებ უნდა ითქვას.

სამცხის ჩრდილო-აღმოსავლეთით, აწყურიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, მდ.წინუბნის წყლის მარცხენა მხარეს, მდებარეობს ბიეთის გუმბათოვანი ტაძარი. საფარასთან, ზარზმასთან, ჭულესთან ერთად იგი სამცხის კულტურულ-რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა და სამცხის ძლიერი ფეოდალების გურკელების საგამგებო მხარეში მდებარეობდა. მეცნიერები ერთხმად აღნიშნავენ, რომ იგი **უნდა იყოს აგებული XIII საუკუნის მიწურულს. XIX საუკუნის პირველ ნახევარში** *(ვ.ბერიძე, შ.მესხია, გ.კუტალაძე).*

პროფ. რ.გოგოლაური სტატიაში აღნიშნავს: *დღეისათვის ბიეთის ტაძრის ორი სამშენებლო წარწერა შემორჩა. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკურთხეველში გამავალი კარის თავზე ორ ქვაზე გამოკვეთილი წარწერა, რომელიც ისტორიკოს ბოჭორიძეს ასე აქვს წაკითხული:* **„ქრისტე, ადიდე ხოშაი, რომელმან ესე საყდარი აღაშენა“. „ქრისტე, წმინდაო ღვთისმშობელო, მეოხ ეყავ ხოშასა შვილითურთ ორთავე შინა ცხოვრებასა“.**

აკად. ვ.ბერიძე ასე კითხულობს წარწერას: **„ქრისტე, ადიდე ხოშაი, რომელ ესე საყდარი აღაშენა, წმინდაო ღვთისმშობელო მეოხ ეყავ ხოშასა შვილითურთ ორსავე შინა ცხოვრებასა“.**

ამრიგად, ბიეთის ტაძრის აღმშენებელია ვინმე **ხოშა**, რომელსაც ერთი შვილი ჰყავს და, რომელიც, საერთოდ, არ იხსენებს მეუღლეს. ამასთან ერთად მკვლევარები თანმხდებიან იმაზე, რომ „ხოშა“ ქალის სახელია. ბუნებრივია ისმის კითხვა, მაინც ვინ უნდა იყოს ბიეთის აღმშენებელი „ხოშა“?

გაანალიზა რა XII-XIII საუკუნეების პერიოდში ყველა სავარაუდო ხოშაქის ვინაობა, **პროფ. შ.მესხია** მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბიეთის წარწერის ხოშა უნდა იყოს ათაბაგ **ივანე მხარგრძელის** შვილისშვილი, ათაბაგ **ავაგ სარგისის ასული ხოშაქი.** თავის ნაშრომში *„საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში“,* მან ქართული და სომხური წყაროების, ეპიგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით მოგვცა როგორც მხარგრძელთა უფროსი თაობის *(სარგისი, ზაქარია, ივანე),* ისე უმცროსი თაობის *(ავაგი, შანშე)* მოღვაწეობის ამსახველი ფაქტები და მათი როლი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

შეეხო რა ბიეთის ეკლესიის ამმშენებლის ვინაობის საკითხს, იგი წერს: „როგორც ჩანს, ბიეთის წარწერის ხოშა უნდა იყოს ავაგ, სარგისის ასული ხოშაქი. იგი საკმაოდ კარგად არის ცნობილი ქართულ (ჟამთააღმწერელი) და სომხური *(კირაკოსი, სტეფანოსი)* წყაროებით. იგი, მისი დედის, რაჭის ერისთავთა, კახაბერის ძეთა ასულის, გვანცას ულუ-დავითზე გათხოვების შემდეგ დარჩა „მამულსა თჳსსა ზედა“ **სადუნ მარკაბერდელის** მეურვეობით. მალე სადუნი ხოშაქის ეჯიბად იქცა, ხოლო თვით ხოშაქი ჯერ **ხულაგუ** (1256-1265), ხოლო შემდეგ **აბაღა** (1265-1282) ყაენის ვაზირს, საჰიბ დივანს, **ხოჯა შამსადინს** მისთხოვდა. ეს, **სტეფანოს ორბელიანის** მიხედვით, 1269 წელს, **სუმბატ ორბელიანის** ინიციატივით მომხდარა. ხოჯა შამსადინი არღუნის გაყაენების (1284 წ) დროისთვის უკვე ცოცხალი აღარ იყო. ამით აიხსნება, რომ არღუნმა *„სახლი ავაგ ათაბაგის, რომელ აქუნდა საჰიბ დივანს“,* მისცა **დემეტრე II-ს,** მაგრამ საჰიბ დივნის მეუღლე ხოშაქი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო: დემეტრე II ურდოში წასვლის წინ *„მოვიდა ქვეყანასა ხვაშაგისა ავაგის ასულსა, მუნ დახუდა ძე მისი დავით, რომელი იგიცა წარიტანა“.* ამის შემდეგ ხვაშაგ ავაგის ასულის ხსენება ჟამთააღმწერლის თხზულებაში წყდება. როგორც ჩანს, იგი XIV საუკუნის დამდეგისთვის უკვე ცოცხალი აღარ უნდა იყოს. ამ დროს XIV საუკუნის პირველ წლებში **გიორგი ბრწყინვალეს** გამეფებასთან დაკავშირებით, პირველად მოიხსენიება საქართველოს მთავართა შორის *„ზაქარია, ავაგის ასულს ხუშაქის ნაშობი“.* ასე, რომ, ზაქარია, ხოშაქის შვილი, XIII ს. მიწურულსა და XIV ს. დამდეგის მოღვაწეა ბიეთის წარწერებში. როგორც ვნახეთ, ხოშა (ხოშაქი) შვილითურთ იხსენიება. ამას გარდა, აქ არაა დასახელებული ხოშაქის მეუღლე. ეს შემთხვევითი არ არის: ცხადია, ხოშაქი მონღოლთა ვაზირის, **ხოჯა შამსადინის** დღეგრძელებას თუ სულს ვერ შეავედრებდა ბიეთის მართლმადიდებლურ საყდარს.

ასეთია პროფ. შ.მესხიას მოსაზრება ბიეთის ტაძრის ქტიტორის ვინაობაზე.

პროფ. რომან გოგოლაური არ იზიარებს ამ მოსაზრებას (იგულისხმება *„მივიდა ქვეყანასა ხუაშაგისა ავაგისა ასულისა“.* ჩვენ ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან არა თუ XIV საუკუნის დამდეგისათვის აღარაა ცოცხალი ხუაშაგი, არამედ, სათუოა მისი ცოცხლად მოხსენიება XIII-საუკუნის 80-იან წლების ბოლოსთვის, რადგანაც წყაროში მოხსენებულია *„მოვიდა ქვეყანასა ხვაშაგსა ავაგის ასულსა“* . ჩვენი აზრით, *„იგი უფრო გეოგრაფიული პუნქტის განმარტებისთვის არის ნახმარი და არა ხუაშაგის ცოცხლად აღნიშვნის გამო“.* სამართლიანი შენიშვნაა, მაგრამ ამ პერიოდისათვის არც სათუოა ხუაშაქის ცოცხლად ყოფნაა სწორი.

აკად. ნ.ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ 1245-46 წლებში ავაგ მხარგრძელს გვანცა ჯერ კიდევ ცოლად შერთული არ უნდა ჰყოლოდა. ამ ხანებში მას ურდოში შერთეს ცოლი, ამიტომ 1260 წელს ხუაშაქი მხოლოდ 11-12 წლის უნდა ყოფილიყო. ამრიგად, XIII საუკუნის 80-იან წლების მიწურულს (თუნდაც 1289 წელს) იგი 41 წლის იქნებოდა. (გვ.107)

1284 წელს ხუაშაქის მეუღლე **ხოჯა საჰიბი** დაიღუპა არღუნ ყაენის ხელით. ამ დროს ხოშაქი 12+24=36 წლის უნდა იყოს. რატომ არის ამ ხნის ქალის სიცოცხლე სათუო?

პროფ. რ.გოგოლაური სვამს ლოგიკურ კითხვას: *„რა ხელი ჰქონდა ლორე-ტაშირის დიდი ფეოდალის და საქართველოს ათაბაგ-ამირსპასალარის ქალიშვილს ხუაშაგს (ხოშა) სამცხეში, ნუთუ ქვემო ქართლში არ მოიძებნა შესაბამისი ადგილი მონასტრის ასაგებად? სამწუხაროდ, ჩვენ არანაირი საბუთი არ გაგვაჩნია ამ კითხვაზე არგუმენტირებული პასუხის გასაცემად“.* მართლაც, თუ პროფ. შ.მესხიას ყველა არგუმენტი დასაბუთებულია, ამ კითხვაზე პასუხის გასაცემი საბუთი არ არსებობს. სტატიის ბოლოს შევეცდებით დეტალურად შევეხოთ ამ საკითხს.

პროფ. რ.გოგოლაურის აზრით, ბიეთის აღმშენებელი უნდა იყოს ამირსპასალარ **ზაქარია მხარგრძელის** შვილიშვილის, **შანშე** მანდატურთუხუცესის შვილის **ზაქარია ამირსპასალარის** ქალიშვილი, რომელსაც თავისი ბებიის, **შანშე-I-ის** მეუღლის ხოშაქის სახელი უნდა რქმეოდა. ეს არის სტატიის ავტორის ვარაუდი.

არცერთი ისტორიული წყარო არ აღნიშნავს, რომ ზაქარია ამირსპასალარს და მის მეუღლეს ჰყავდათ ქალიშვილი. კიდევ ვიმეორებთ, რომ ეს სტატიის ავტორის ვარაუდია. ასევე ვარაუდობს ის, რომ ამ ქალიშვილის სახელი ხოშაქია, რადგან მას ბებიის სახელი უნდა რქმეოდა. ეს აზრი ავტორს გაუჩნდა სომხეთის ტერიტორიაზე, ლორეს რაიონში მდებარე ქობერის ქართული ეკლესიის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, რომელიც 2012 წელს საისტორიო კრებულში **გიორგი კალანდიამ** და **ქეთევან ასათიანმა** მოგვაწოდეს.

სომეხი ისტორიკოსის **კირაკოს განძაკეცის** ცნობით, XIII საუკუნის შუა წლებში შანშე მანდატურთუხუცესის მეუღლემ ხოშაქმა (ხორიშაჰმა) სომხებისგან იყიდა ქობერის მონასტერი. ამის შემდეგ მონასტერი შანშე მანდატურთუხუცესის მრავალრიცხოვან საგვარეულოს საძვალედ იქცა.

„და მოჰკლეს მონღოლებმა ზაქარია შანშეს-ძე მხარგრძელი და როდესაც ესმა სიკვდილის ამბავი მამასა მისსა შანშეს დაბა შინა ოძუნს, შეწუხდა ფრიად და მოკვდა და აიღეს და დაფლეს იგი ქობაირს, რომელიც წარუღო მისმა ცოლმა სომხეთისაგან“. პროფ. **გიორგი კალანდია** წერს, რომ XIII საუკუნის ისტორიკოსის კირაკოს განძაკეცის ზემოთ აღნიშნული ცნობა ცხადყოფს, რომ საქართველოს სახელოვანი ამირსპასალარი ზაქარია შანშეს-ძე მხარგრძელი ქობერის მონასტერში დაიკრძალა.

პროფ. რ. გოგოლაური წერს, რომ იმ მრავალრიცხოვან საფლავის ქვებიდან მისი ყურადღება მიიპყრო ერთმა საფლავის ეპიტაფიამ *„სარდალს ჯაყელის ასულს რუსუდანს შეუნდოს ღმერთმან“.* წარწერას იგი XIII საუკუნის II ნახევრით ათარიღებს. მისი აზრით, სარგის I ჯაყელის ასულის ვინაობა აქამდე უცნობი იყო, მაგრამ ქობერში აღმოჩენილმა ეპიტაფიამ, რომელსაც კირაკოსის ცნობაც ამყარებს, საშუალება მოგვცა გაგვერკვია, რომ ის იყო ზაქარია ამირსპასალარის მეუღლე **რუსუდან ჯაყელი.** რუსუდანი ქობერშია დაკრძალული. სტატიის ავტორის აზრით სწორედ ზაქარია ამირსპასალარის და რუსუდან ჯაყელის ასული უნდა იყოს ბიეთის აღმშენებელი ხუაშაგი (ხოშა).

ზაქარია შანშეს-ძე ამირსპასალარს სარგის ჯაყელის ქალიშვილი რომ ჰყავდა ცოლად, ამას კირაკოს განძაკეცი ადასტურებს. ეყრდნობა რა ამ ცნობას პროფ. შ.მესხია აღნიშნავს: *„შანშეს უფროსი შვილი ზაქარია, როგორც კირაკოსის ცნობიდან ჩანს, დაქორწინებული იყო უხტიაცის მფლობელ სარგისის ასულზე. უხტიაცის (ოლთისის) მფლობელი სარგისი, რომელმაც კირაკოსის სიტყვითვე ულუ-დავითთან ერთად უარყო მონგოლებისადმი მორჩილება, რა თქმა უნდა არის დიდი ქართველი ფეოდალი სარგის ჯაყელი“.*

ცოლი რომ ქმრის საგვარეულო სასაფლაოზე დაკრძალულიყო, ეს ჩვეულებრივი ამბავია, ამიტომ რამე განსაკუთრებული ამ ამბავში არაფერია. ეს ეპიტაფია მხოლოდ მის სახელს თუ გვეუბნევა. თუმცა არის ზოგიერთი დეტალი, რომელიც ეჭვს იწვევს. მაგალითად, იგი საფლავის ქვაზე თავის მამას, სარდალს ასახელებს და არა თავის მეუღლეს, ისეთ გამოჩენილ პიროვნებას, როგორიც იყო ზაქარია ამირსპასალარი, იმავე ქობერის მონასტრის სასაფლაოზე არის ერთი საფლავის ქვა, რომელზეც მოხსენიებულია შარშე მანდატურთუხუცესის შვილის ივანე მანდატურთუხუცესის ქალიშვილი თამარის ეპიტაფია, სადაც ის გვაუწყებს, რომ ის არის სულა გურკნელის მეუღლე.

გარდა ამისა რატომ არ შეიძლება სარგის ჯაყელში ვიგულისხმოთ ბექა მანდატურთუხუცესის ძენი სარგისი, ყვარყვარე და შალვა, რომლებიც სამცხის სპასალარები და სარდლები იყვნენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ შანშე მხარგრძელს რამდენიმე ვაჟი ჰყავდა, ადვილი შესაძლებელია რუსუდანი მათი რძალი იყო. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს **პავლე ინგოროყვას** მოსაზრება, რომელმაც იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპების განხილვის დროს აღნიშნა, რომ **XIII-XIV საუკუნეებში ჯაყელ-ციხისჯვარელთა სახლი და მხარგრძელთა სახლი ოჯახურად იყვნენ დანათესავებულნი** *(ტ.I. 771 გვ.).*

არის კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც თავისუფლად შეიძლება სინამდვილეს ასახავდეს. აკად.

ვინაობის საკითხისათვის

ივ.ჯავახიშვილი დავით ულუს და სარგის ჯაყელის ამბოხზე ასე წერს: *„რაკი დავით ულუ ვერასგზით ხელში ვერ ჩაიგდეს, მონღოლებმა ჯავრი მის ცოლზე იყარეს, დედოფალი გვანცა 1261-62 წ. სიკვდილით დასაჯეს. საქართველოს დიდ ხელისუფლებასაც ცუდი დღე დაუყენეს: ამირსპასალარ ზაქარია შარშეს-ძეც სიკვდილით დასაჯეს, რადგან მას თავის სიმამრ სარგის ჯაყელთან და მამასთან შეხიზნულ თავის ცოლთან საიდუმლო კავშირი დასწამეს“ (ტ.3 72 გვ).*

ამრიგად, იცოდა რა მონღოლთა წეს-ჩვეულება, დაეხოცათ დამნაშავეთა ოჯახის წევრები და ნათესავები, წინდახედულ სარგის ჯაყელს თავისი ქალიშვილი სამცხეში გადაუყვანია. რატომ არ შეიძლება სამცხეში შეხიზნული ქმარმოკლული ქალი სამცხეშივე დარჩენილიყო, სადაც მამა სარგისი და ძმა ბექა მანდატურთუხუცესი არაფერს დააკლებდნენ.

სტატიის ავტორი შემდეგ წერს: *„ყაენისაგან ხასინჯად შეწყალების შემდეგ ეს მხარე მთლიანად ჩამოსცილდა საქართველოს. გურკელთა მამული სოფ.გურკელთან ერთად გაძლიერებულმა ჯაყელთა სახლმა*

შეიერთა. ეს უნდა მომხდარიყო 1266 წელს. ამ დროიდან, ჩვენი აზრით, გურკელი უნდა გადაქცეულიყო სამზითვო მამულად, რომელიც სარგის ჯაყელმა ქალიშვილს უბოძა. რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ მისი ქალიშვილი ხოშაგი თავის შვილთან (ასეა ბიეთის წარწერაში) გადმოდის სამზითვე მამულ გურკელში და აქ აშენებს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიას“.

ამის შემდეგ, სტატიის ავტორი აგრძელებს: *„საინტერესოა ვინ იყო ხოშაქის მეუღლე? შესაძლოა ის იყო რომელიმე მონღოლი მოხელე ან ნოინი, რომელიც მიზეზთა გამო ვერ მოხვდა ბიეთის წარწერაში“.*

შევაჯამოთ სტატიის ავტორის მოსაზრებები:

ზაქარია შარშეს-ძე მხარგრძელს და მის მეუღლეს ვარაუდით უნდა ჰყოლოდათ ქალიშვილი, რომელსაც, ალბათ, ბებიის სახელს დაარქმევდნენ. ამ ნავარაუდევ ხოშაქს ვარაუდით უნდა ჰყოლოდა მხოლოდ ერთი შვილი (ასეა წარწერაში). სარგის ჯაყელს მზითებში უნდა მიეცა თავის ქალიშვილისთვის გურკელთა მამული. დედის გარდაცვალების შემდეგ ხოშაქი გადმოდის სამცხეში და აშენებს გურკელში ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიას. ამ ნავარაუდევ ხოშაქს, ალბათ, უნდა ჰყოლოდა მეუღლე მონღოლი ნოინი ან დიდმოხელე. ძალიან ბევრი ვარაუდი ხომ არ არის? არცერთ ამ მოსაზრებაზე ავტორს დამამტკიცებელი საბუთი არ წარმოუდგენია, ხოლო ეპიტაფიაზე მოხსენებული რუსუდან ჯაყელი, რომელიც არის მთელი ამ თეორიის საწყისი, შეიძლება სულ არ იყოს სარგის ჯაყელის ქალიშვილი.

შემდეგ სტატიის ავტორი წერს: „ყურადღებას მივაქცევ ჟამთააღმწერლის თხზულების ერთ ადგილს, კერძოდ, გიორგი ბრწყინვალეს მეფედ დამტკიცების შემდეგ, მასთან ვხედავთ ჩვენთვის საინტერესო პიროვნებას ზაქარიას, რომელსაც უცნობი მემატიანე *„ავაგის ასულის, ხუაშაგის ნაშობს“* უწოდებს. *ჩვენი აზრით, აქ ნახსენები ავაგი არ უნდა გავაიგივოთ ივანე ათაბაგისძე ავაგ სარგისში. თუ წყაროში ნახსენები ხუაშაგი მართლა ავაგ სარგისის (ათაბაგ ამირსპასალარის შვილია, თანაც ერთადერთი), მაშინ რატომ არ უნდა დაერქვა თავისი შვილისთვის პაპის სახელი ავაგი, ან თუნდაც, დიდი პაპის ივანეს (ათაბაგი, მანდატურთუხუცესი, სპასალარი) სახელი“.*

საქართველოს ისტორიაში ძალიან ხშირად არქმევდნენ შვილებს პაპისა და ბებიის სახელებს, მაგრამ გააკეთო ისტორიული დასკვნები ამის მიხედვით, არ იქნება სწორი. მაშინ რატომ არ დაარქვა დავით აღმაშენებელმა თავის ორ ვაჟს მამის და პაპის სახელი, ან, თუნდაც, თავისი აღმზრდელის, მწიგნობართუხუცესის გიორგი ჭყონდიდელის სახელი, რომლის გარდაცვალებით გამოწვეული ხანგრძლივი გლოვა მხოლოდ მეორე ვაჟის – ვახტანგის დაბადების გამო შეწყვიტა. გარდა ამისა, ზაქარია სარგისის-ძე მხარგრძელი მისი პაპის ძმა იყო და გაცილებით უფრო სახელოვანი. ვიდრე მისი მამა და პაპა.

პროფ. რ. გოგოლაურის აზრით, ჟამთააღმწერელთან მოხსენებული ზაქარია უნდა იყოს ზაქარია ამირსპასალარის და რუსუდან ჯაყელის შვილიშვილი, ბიეთის აღმშენებლის – ხოშაქის ვაჟი, რომელიც ტაძრის სამშენებლო წარწერაში ხოშაქთან ერთად მოიხსენიება. *„ზაქარია, რომელმაც ჩვენი ვარაუდით აღზრდა მიიღო სამცხეში პაპის – სარგის (უნდა იყოს დიდი პაპის თ.ჩ.) ჯაყელის კარზე, თანაშეზრდილი უნდა ყოფილიყო ასევე სამცხეში აღზრდილ გიორგისთან (გიორგი V) და, როგორც ჯაყელთა და მხარგრძელთა გვარის წარმომადგენელს, არ უნდა გასჭირვებოდა სამეფო კარზე რაიმე თანამდებობის მოპოვება. ჩვენს მიერ გამოთქმულ ვარაუდს ეწინააღმდეგება ჟამთააღმწერლის მიერ ხუაშაქის მოხსენიება ავაგის ასულად. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში, საქმე უნდა გვქონდეს გარკვეულ ხარვეზებთან, რომელიც ან ჟამთააღმწერლის, ან კიდევ გადამწერთა მიერ დაშვებული შეცდომების წყალობით დამახინჯებული სახით მოაღწია ჩვენამდე. „ასწლოვანი მატიანე“ მართალია ძირითადად მაინც ისტორიული წყაროების მიხედვით არის შედგენილი, მაგრამ სავარაუდოა მას ზეპირი გადმოცემებითაც ესარგებლა, რის კვალიც აშკარად ჩანს თქზულებაში. მაგრამ ნარატიულ წყაროთა მონაცემების საფუძვლიანი შესწორება და შევსებაც შესაძლებელი ხდება ეპიგრაფიული მონაცემებით. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი დახმარება გაგვიწია ქობერში აღმოჩენილმა უცნობი საფლავის ეპიტაფიამ, რომელიც რუსუდან ჯაყელს ეკუთვნის. სწორედ ამ წარწერამ საშუალება მოგვცა გადაგვეფასებინა ბიეთის ტაძარზე არსებული წარწერის შესახებ ისტორიოგრაფიაში მიღებული დებულება“.* ასეთია სტატიის ავტორის მოსაზრება ამ საკითხზე, რომელიც შესაბამის გენეოლოგიურ სქემასაც გვთავაზობს, სადაც ავაგ ამირსპასალარის ქალიშვილს საერთოდ არ ჰყავს შვილი. საქართველოს ისტორიის არცერთ მკვლევარს არ გამოუთქვამს ეჭვი „ჟამთააღმწერლის“ ტექსტში აღნიშნულ წინადადების მცდარობის გამო. მართლაც ის არ გავს ქართლის ცხოვრების ტექსტში დაშვებულ შეცდომებს. აქ არ არის გამოტოვებული რომელიმე სიტყვა ან არ არის შეცდომით ჩამატებული ზოგიერთი სახელი. ამაზე ბევრი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია.

ახლა პროფ. შ.მესხიას მოსაზრების მთავარ საწინააღმდეგო არგუმენტს, რომელსაც სტატიის ავტორი ზემოთ აღნიშნავს: – *„რა ხელი ჰქონდა ლორეტაშირის დიდი ფეოდალისა და საქართველოს ათაბაგ-ამირსპასალარის ქალიშვილს ხუაშაგს (ხოშა) სამცხეში, ნუთუ ქვემო ქართლში არ მოიძებნა შესაბამისი ადგილი მონასტრის ასაგებად? სამწუხაროდ ჩვენ არანაირი საბუთი არ გაგვაჩნია ამ კითხვაზე არგუმენტირებული პასუხის გასაცემად“*, – ამაზე მართლაც არავითარი საბუთი არ არსებობს და კითხვაც ლოგიკურია.

იმისათვის, რომ ეს საკითხი გავარკვიოთ, საჭიროა ავაგ მხარგრძელსა და მისი ოჯახის შესახებ ყველა ცნობა შეძლებისდაგვარად გავაანალიზოთ. ავაგ მხარგრძელი გარდაიცვალა 1250 წელს. იგი დაკრძალეს ახტალის მონასტერში, რომელიც სომხეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. კირაკოს განძაკეცის ცნობით, მისი სამფლობელო გადაეცა ზაქარია შანშესძეს, ავაგის ბიძაშვილს, რაკი ავაგს არ ჰყავდა შვილი, გარდა ერთი მცირეწლოვანი გოგოსი“. კირაკოსის მიერ ზემოთ დასახელებულ „პატარა გოგო“ იყო ავაგის ასული ხოშაქი, თავისი ბებიის მოსახელე.

XIII საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ასპარეზზე გამოდის რეაბილიტირებული ორბელთა გვარის წარმომადგენელი **სუმბატ ორბელი.** ყარაყორუმს შეწყალებული და არღუნაღას მფარველობის ქვეშ მყოფი სუმბატი დიდი გავლენით სარგებლობს საქართველოს მეფის კარზედ 1256-1259 წლებში. ამავე ხანებში იწყება **სადუნ მანკაბერდელის** აღზევებაც. ორივე ტიპიური მედროვეა და ორივეს უჭირავს თვალი როგორც ათაბაგობაზე. ისე ავაგის მემკვიდრეობაზე. სომეხი ისტორიკოსის სტეფანოს ორბელიანის ცნობით, გვანცას წამოყვანისას მეფემ სადუნს შეჰვედრა *„სახელი ავაგისი და ხვაშაქი“.* გვანცას შერთვით მეფე უშუალოდ დაეპატრონა *„ათაბაგის სახლს“.* სუმბატი „ერთგული სამსახურით“ ცდილობს მეფისაგან მიიღოს ეს საგამგეო. მეფე უპირატესობას სადუნს ანიჭებს, ავაგის სახლის ყმას.

1260 წელს დავით მეფე ყაენს აუჯანყდა, რის გამოც დედოფალი გვანცა და უფლისწული დემეტრე ბიჯნისს დატყვევებულნი ურდოში წაიყვნეს, სადაც გვანცა სიკვდილით დასაჯეს. სტეფანოს ორბელიანის ცნობით, ამ საქმეში სუმბატ ორბელმა გარკვეული როლი ითამაშა. სწორედ ამ დროს უნდა მოევერაგა სუმბატს „ავაგის სახლი“ და ხვაშაგზედ მზრუნველობა არღუნ-აღას წყალობით.

1269 წელს სუმბატ ორბელის ინიციატივით ხვაშაქი დიდ **ხოჯა საჰიბზე** გათხოვდა. 1273 წელს სუმბატის სიკვდილის შემდეგ, ხვაშაქის ქმარმა ხოჯა საჰიბმა „ავაგის სახლი“ საგამგეოდ სადუნს გადასცა, რომელიც ხვაშაქმა თავის ეჯიბად გაიხადა. ამ ხანებში მეფე დავით ულუ გარდაიცვალა, ტახტის მემკვიდრე დიმიტრი ყრმა დარჩა. ყაენმა საქართველოს საქმეები ხოჯა საჰიბის წყალობით სადუნს ჩააბარა.

ივანე შანშას-ძის, მანდატურთუხუცესის და სუმბატ ორბელის მემკვიდრის **ტარსაიჭ ორბელის** ინიციატივით ყაენმა საქართველოს მეფედ 12 წლის **დიმიტრი** დაამტკიცა. **სადუნი** ათაბაგი იქმნა და დიმიტრი მეფე სავსებით მის ხელში მოექცა. მან შესაფერისად ისარგებლა თავისი მდებარეობით და ამ საერთო გაღატაკების დროს აურაცხელი სიმდიდრე შეიძინა. მთელი ათი წლის განმავლობაში მისი სწორი საქართველოში მეფის შემდეგ აღარავინ იყო.

თელავის, ბელაქნის, დმანისის შემდეგ მან ქ-კარის (ყარსი) ციხე ჩაიგდო ხელში და თავის საჯდომათ აქცია. იქ, სადაც სხვა გზით სასურველი უძრავი ქონების ხელში ჩაგდება შეუძლეებელი ხდებოდა, იქ ის ფულით ყიდულობდა მას. ჟამთააღმწერლის სიტყვით, სადუნმა **„იყიდა, მრავალნი ქვეყანანი“.** სადაც ვერც ამით ხერხდებოდა საქმე, იქ ამ მარჯვე ადამიანს მოყვრობის გზაც ჰქონდა გამოყენებული. კარის მახლობელი სანახები, მაგ. სადუნმა იმ საშუალებით მიიღო, რომ ახალციხელის ასული ითხოვა ცოლად და ამით კარის „მიმდგომი ქვეყანა მოივერაგა ახალციხელთაგან“.

1284 წელს სადუნის მფარველი ხოჯა საჰიბი დაიღუპა არღუნ ყაენის მიერ. ახლად ტახტზე ასულმა ყაენმა ყმას – დიმიტრის, სახელმწიფო დაუმტკიცა და აქამდის ხოჯა საჰიბის სარგებლობაში მყოფი „ათაბაგის სახლიც“ მისცა, რომელიც მეფემ საუფლისწულოდ დაამტკიცა.

რატომ არ შეიძლება იმ მრავალ ნაყიდ ქვეყანაში გურკელის მამულიც ვიგულისხმოთ. სადუნი 1281 წელს გარდაიცვალა და დემეტრე II მის შვილს ხუტლუბუღას მართალია ათაბაგობა არ მისცა, მაგრამ მამის მამული შეუნარჩუნა.

სახელმწიფო ღალატში დადანაშაულებულ ხვაშაქის მეუღლეს ბუნებრივია მეუღლის სამემკვიდრეოს ჩამოართმევდნენ და ის იქ ვერც ეკლესიას ააშენებდა.

პროფ. რ.გოგოლაური სტატიაში წერს, რომ პირდაპირი წყაროების უქონლობის გამო საბოლოო ჭეშმარიტების დასადგენად აშკარად იგრძნობა ახალი წყაროებისა და არგუმენტაციის მოპოვების საჭიროება, რაშიც ავტორს სავსებით ვეთანხმებით, მიუხედავად საკამათო და საპოლემიკო მოსაზრებისა, ბიეთის ეკლესიის შესახებ შეკრებილი მასალები ძვირფასია და საქართველოს ისტორიის მოყვარულთათვის კარგი შენაძენია.

ქართული ტიტულატურა ტაო-კლარჯეთის სამეფოს ძმათოვლ ბაგრატიონთა დინასტიაში

მიხეილ ბახტაძე

ტაო-კლარჯეთის სამეფოს მმართველი დინასტიის, ბაგრატიონების წარმომადგენლები ატარებდნენ როგორც ქართულ, ასევე ბიზანტიურ ტიტულებს. ბიზანტიური ტიტულების ბოძება ბიზანტიის იმპერატორის პრეროგატივა იყო. ის ამ ტიტულებს თავისი შეხედულებისამებრ ანიჭებდა. **„საკარისკაცო პატივის გაცემა ის კონკრეტული საშუალება იყო, რომელიც გარკვეულ ურთიერთობას ამყარებდა კეისარსა და ბაგრატიონ მფლობელებს შორის“** *(შ.ბადრიძე, „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, „თსუ შრომები“, 1965, ტ. 113; გვ. 261).*

ქართული ტიტულატურა ბიზანტიურის პარალელურად და მისგან დამოუკიდებლად არსებობდა. ბიზანტიის იმპერატორს ქართული ტიტულების ბოძებასთან კავშირი არ ჰქონდა და, სავარაუდოდ, იმპერია ქართულ ტიტულებს არც ცნობდა.

ბაგრატიონთა საგვარეულოში დაფიქსირებულია შემდეგი ქართული ტიტულები: მეფეთ-მეფე *(ჩნდება ყველაზე გვიან X საუკუნის ბოლო მეოთხედში)*, მეფე, ქართველთა მეფე, ერისთავთერისთავი, ერისთავი და მამფალი.

მეფეთ-მეფის საკითხს ბოლოს შევეხებით, განხილვას კი მეფის ტიტულით დავიწყებთ. პირველად პ. ინგოროყვამ გამოთქვა მოსაზრება, რომ **აშოტ ბაგრატიონმა** აღადგინა მეფობა. **„809-813 წლებში აშოტმა აღადგინა „მეფობაჲ ქართლისაჲ“** *(პ.ინგოროყვა, გიორგი მერჩულე 1954 წ. თბ. გვ. 42)*. მეცნიერი ეყრდნობოდა გიორგი მერჩულეს თხზულებას და ოპიზის საოსტიგნეს წარწერას. **გიორგი მერჩულე** აშოტ ბაგრატიონს ძირითადად კურაპალატობით მოიხსენიებს, თუმცა რამდენჯერმე იყენებს ტერმინებს „ხელმწიფე“ და „მეფე“.

რაც შეეხება „ხელმწიფეს“, ცხადია, აქ რაიმე კონკრეტული ტიტულის ძებნა ზედმეტია. **„და მათ ჟამთა მფლობელი იყო ამათ ქვეყანათა ღმრთისმსახური ხელმწიფეჲ დიდი ბაგრატუნიანი “; აშოტ კურაპალატი, კეთილად მორწმუნეჲ, რომლისა გამო დაემტკიცა ქართველთა ზედა მთავრობაჲ მისი და შვილთა მისთაჲ ვიდრე უკუნისამდე ჟამთა. და ხელმწიფისა მის წინაშე და შვილთა მისთა, დიდებულთა მათ ხელმწიფეთა, წინაშე შეუსწავლელ იყო წმიდაჲ გრიგოლ“** *(გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. ქართული პროზა ტ. I 1982 წ. თბ. გვ. 229)* **„და ვითარცა მოიწინეს ტაოს, ესმა მუნ მყოფთაგან კაცთა, ვითარმედ აშოტ კურაპალატი მოიკლა და მის წილ ხელმწიფებენ ძენი მისნი. მაშინ ტკივილისა ცრემლითა აღივსნეს ღმრთისმსახურისა მის ხელმწიფისა დაცემისათვის და ტირილითა სავსენი ულოცვიდეს მიცვალებულსა მას მეფესა. ხოლო ნეტარი გრიგოლ ჰმადლობდა ღმერთსა და გლოით იტყოდა: - ჰოჲ, მეფეო ჩემო ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტეანეთაო, სადაჲთ-მე მოგელოდი, აღმოსავალით-მე ანუ დასავალით, ჩრდილოჲთ-მე ანუ სამხრით? რამეთუ ყოველთა ზედა ნათესავთა მფლობელი იყავ, რომელიცა წყობით ხელმწიფეთა დაიმორჩილებდი, საკვირველი ეგე დიდებული, ღმრთისმსახური ხელმწიფეჲ“** *(იქვე. გვ. 238);* **„აღდგა და მიეგება წინა გაბრიელ, აზნაური მეფისაჲ** *(იქვე. გვ. 230);* **„ამისა შემდგომად ღმრთისმსახურსა მეფეისა აშოტ კურაპალატსა აუწყა გაბრიელ ერისმთავარმან სანატრელისა მამისა გრიგოლის ღირსებაი“** *(იქვე.გვ. 234).*

ძალიან საინტერესოა ოპიზის საოსტიგნეს წარწერა - **„ქესემ / ეატმნ / დწელს / აგვა“**. პ. ინგოროყვა წარწერას შემდეგნაირად კითხულობს: **„ესე მე აშოტმან ოთხ წელსა გავაშჱნე“** *(პ.ინგოროყვა გვ. 342).* ქართველი მეცნიერების უმეტესობა არ ეთანხმება ამგვარ წაკითხვას და მას საეჭვოდ მიიჩნევს. **ნ. შოშიაშვილის** აზრით, წარწერა შემდეგი სახით იკითხება: **„ესე მე აშოტმან დ წელსა გავასრულე“**. გარდა ამისა, მეცნიერის აზრით, წარწერა X საუკუნისაა და, ცხადია, არ ეკუთვნის აშოტ კურაპალატს *(ნ.შოშიაშვილი ქართული წარწერების კორპუსი ტ. I 1980 წ. თბ. გვ. 287)*. ჩვენი ვეთანხმებით იმ მკვლევარებს *(ნ.მარი, პ.ინგოროყვა, ექ.თაყაიშვილი, პ.ინგოროყვა)*, რომლებიც წარწერას აშოტ ბაგრატიონს უკავშირებენ. რაც შეეხება წარწერის გაშიფრვას, დანამდვილებით რაიმეს მტკიცება ძნელია. სავსებით დასაშვებია ტერმინ - მეფის ამოკითხვაც. (შესაძლოა ასეც წავიკითხოთ: ესე მ[ეფ]ე ა[შო]ტმ[ა]ნ დ წელსა გ[ა]ვა[სრულე]).

ზემოთ მოტანილ წყაროებს შეიძლება დავამატოთ „მატიანე ქართლისაჲში“ დაცული ერთი ცნობაც: **„შემდგომად სიკუდილისა ადარნასესისა განადიდა უფალმან მეფობა აშოტ კურაპალატისა: ხოლო ეუფლა ქართლს და საზღვართა მისთა“** *(ქართლის ცხოვრება, მთავარი რედაქტორი რ.მეტრეველი 2008 წ. თბ. გვ. 255)*. მართალია მატიანეს ამ ფრაგმენტში აშოტი პირდაპირ მეფედ მოხსენიებულ არ არის და „მეფობა“ შესაძლოა ზოგად ფრაზად განვიხილოთ, თუმცა, სურვილის შემთხვევაში, ეს ცნობა აშოტის მეფობის დამადასტურებელ არაპირდაპირ მინიშნებითაც შეგვიძლია მივიჩნიოთ.

უკანასკნელ ხანს აშოტ კურაპალატის მეფობის საკითხს **ლ.თავაძე** შეეხო თავის დისერტაციაში. მკვლევარი წერს: **„აშოტი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც მეფედ იწოდა ერისმთავართა შორის ... ის, რომ აშოტ კურაპალატი მეფედ იწოდება, ამას რიგი ქართული წყაროები უდავოდ ადასტურებენ. რეალურად აშოტი მესხეთისა და შიდა ქართლში მეფობს, ხოლო ოფიციალურად კი მისი „მეფობა“ ქართლის მეფობას უნდა გულისხმობდეს“** *(ლ.თავაძე, „ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში“ გვ. 82)*. ამასთანავე ლ.თავაძე ერთადერთ წყაროს იმოწმებს. ეს არის ჩვენს მიერ „მატიანე ქართლისაჲდან“ მოტანილი ცნობა - **„შემდგომად სიკუდილისა ადარნასესისა განადიდა უფალმან მეფობა აშოტ კურაპალატისა: ხოლო ეუფლა ქართლს და საზღვართა მისთა“**.

მოსაზრება აშოტ ბაგრატიონის მეფობის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებად არის გაზიარებული.

ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებთან მიმართებაში ტერმინ „მეფეზე“ საუბრისას აუცილებლად გასათვალისწინებელია თავის დროზე **მ.ლორთქიფანიძის** მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ **„ზოგადად „მეფე“ და კონკრეტულად „ქართველთა მეფე“ ერთი და იგივე არ არის. „მეფე“, „ხელმწიფე“ შეიძლება საერთოდ ხელისუფლების აღმნიშვნელ ტერმინად ეხმარათ, მაგრამ „ქართველთა მეფე“ უკვე გარკვეულ შინაარსს გამოხატავს“** *მ(.ლორთქიფანიძე, ტაო-კლარჯეთი. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ.2 1973 წ. თბ. გვ. 458).*

საკითხის გადაწყვეტისას ბევრი რამ წყაროებში დაცული ცნობების ინტერპრეტაციაზეა დამოკიდებული. გადაჭრით რაიმეს მტკიცება ძნელია. ორივე მოსაზრება (იყო მეფე, თუ არ იყო) გარკვეულ არგუმენტებს ემყარება.

ჩვენი აზრით სადავო არაა, რომ ტერმინი „მეფე“ არსებობს ბაგრატიონთა საგვარეულოში. გადასაწყვეტია ერთი, მაგრამ მნიშვნელოვანი საკითხი. „მეფე“ არის კონკრეტული ტიტული, რომელიც მიემართება ზოგადად ბაგრატიონ ხელისუფალს? **შ.ბადრიძემ** წყაროთა მონაცემებზე დაყრდნობით აჩვენა, რომ „მეფედ“ ბაგრატიონთა საგვარეულოს არაერთი წარმომადგენელი იწოდება, იმ დროს როდესაც ის სხვა ტიტულსაც ფლობდა (შ.ბადრიძე, გვ. 244-245).

ტერმინ „მეფესთან“ დაკავშირებული პრობლემის გადასაწყვეტად ძალიან მნიშვნელოვანია ქვემოთ მოტანილი წყაროების მონაცემების გათვალისწინება: ადიშის სახარების 897 წლის მინაწერი “; **„სალოცველად მეფეთა ჩუენთა ღმრთივ დიდებულისა ადარნასე კურაპალატისა და ღმრთით ბოძებულთა ნაშობთა მათთა დავით ერისთავისა და [. . .]“** (ა.შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია 1945 წ. თბ. გვ. 014)' ოშკის წარწერები “; „მონაჲ ღმრთისაჲ მეფეი ჩუენი ბაგრატ ერისთავთა ერისთავი ადიდენ ღმერთმან“; „მეფესა ჩუენსა ბაგრატ ერისთავთ ერისთავსა მეოხ ეყაე“ *(ნ.შოშიაშვილი გვ. 50)*. ოშკის სტელის წარწერა “; „მეფენი ჩუენნი, ადარნერსე კურაპალატი, ბაგრატ ერისთავთერისთავი და დიდებულმცა არს მეფობაი დავითისი“ *(ვ.სილოგავა, ოშკი X ს. მემორიალური ტაძარი, 2006 წ. თბ. გვ. 72)*. 973 წლის პარხლის სახარების მინაწერი - „სალოცველად მეფეთა ჩუენთათვის ღმრთივ დიდებულისა ბაგრატ ქართველთა მეფისა, დავით მაგისტროსისა და სუმბატ ერისთავთ-ერისთავისა ...“. (ა.შანიძე გვ 034). აშკარაა, რომ ზემოთ მოტანილ შემთხვევებში „მეფე“ არის საპატიო ტიტული, რომლითაც მოიხსენიებიან კურაპალატიც (ადარნასე), მაგისტროსისც (დავითი), ქართველთა მეფეც (ბაგრატი), ერისთავთ-ერისთავიც (ბაგრატი, სუმბატი) და ერისთავიც (დავითი).

რა თქმა უნდა, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ აშოტ კურაპალატის დროს ასე არ იყო და ვითარება IX საუკუნის ბოლოს შეიცვალა, როცა ტაო-კლარჯეთში სხვა ქართული ტიტულებიც გაჩნდა. ჩვენი აზრით, ტაო-კლარჯეთის რეალობაში „მეფე„თავიდანვე იყო ზოგადი, საპატიო ტიტული, რომელიც შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო ნებისმიერი ბაგრატიონის მიმართ.

განსხვავებით „მეფისგან“ „ქართველთა მეფე“ უკვე სრულიად კონკრეტული ტიტული იყო. „ქართველთა მეფის“ ტიტული შექმნის დროსთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

ხოლო ეუფლა ქართლს და საზღვართა მისთა“ *(ქართლის ცხოვრება, მთავარი რედაქტორი რ.მეტრეველი 2008 წ. თბ. გვ. 255)*. მართალია მატიანეს ამ ფრაგმენტში აშოტი პირდაპირ მეფედ მოხსენიებულ არ არის და „მეფობა“ შესაძლოა ზოგად ფრაზად განვიხილოთ, თუმცა, სურვილის შემთხვევაში, ეს ცნობა აშოტის მეფობის დამადასტურებელ არაპირდაპირ მინიშნებითაც შეგვიძლია მივიჩნიოთ.

უკანასკნელ ხანს აშოტ კურაპალატის მეფობის საკითხს **ლ.თავაძე** შეეხო თავის დისერტაციაში. მკვლევარი წერს: **„აშოტი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც მეფედ იწოდა ერისმთავართა შორის ... ის, რომ აშოტ კურაპალატი მეფედ იწოდება, ამას რიგი ქართული წყაროები უდავოდ ადასტურებენ. რეალურად აშოტი მესხეთისა და შიდა ქართლში მეფობს, ხოლო ოფიციალურად კი მისი „მეფობა“ ქართლის მეფობას უნდა გულისხმობდეს“** *(ლ.თავაძე, „ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში“ გვ. 82)*. ამასთანავე ლ.თავაძე ერთადერთ წყაროს იმოწმებს. ეს არის ჩვენს მიერ „მატიანე ქართლისაჲდან“ მოტანილი ცნობა - **„შემდგომად სიკუდილისა ადარნასესისა განადიდა უფალმან მეფობა აშოტ კურაპალატისა: ხოლო ეუფლა ქართლს და საზღვართა მისთა“**.

მოსაზრება აშოტ ბაგრატიონის მეფობის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებად არის გაზიარებული.

ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებთან მიმართებაში ტერმინ „მეფეზე“ საუბრისას აუცილებლად გასათვალისწინებელია თავის დროზე **მ.ლორთქიფანიძის** მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ **„ზოგადად „მეფე“ და კონკრეტულად „ქართველთა მეფე“ ერთი და იგივე არ არის. „მეფე“, „ხელმწიფე“ შეიძლება საერთოდ ხელისუფლების აღმნიშვნელ ტერმინად ეხმარათ, მაგრამ „ქართველთა მეფე“ უკვე გარკვეულ შინაარსს გამოხატავს“** *მ(.ლორთქიფანიძე, ტაო-კლარჯეთი. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ.2 1973 წ. თბ. გვ. 458).*

საკითხის გადაწყვეტისას ბევრი რამ წყაროებში დაცული ცნობების ინტერპრეტაციაზეა დამოკიდებული. გადაჭრით რაიმეს მტკიცება ძნელია. ორივე მოსაზრება (იყო მეფე, თუ არ იყო) გარკვეულ არგუმენტებს ემყარება.

ჩვენი აზრით სადავო არაა, რომ ტერმინი „მეფე“ არსებობს ბაგრატიონთა საგვარეულოში. გადასაწყვეტია ერთი, მაგრამ მნიშვნელოვანი საკითხი. „მეფე“ არის კონკრეტული ტიტული, რომელიც მიემართება ზოგადად ბაგრატიონ ხელისუფალს? **შ.ბადრიძემ** წყაროთა მონაცემებზე დაყრდნობით აჩვენა, რომ „მეფედ“ ბაგრატიონთა საგვარეულოს არაერთი წარმომადგენელი იწოდება, იმ დროს როდესაც ის სხვა ტიტულსაც ფლობდა (შ.ბადრიძე, გვ. 244-245).

ტერმინ „მეფესთან“ დაკავშირებული პრობლემის გადასაწყვეტად ძალიან მნიშვნელოვანია ქვემოთ მოტანილი წყაროების მონაცემების გათვალისწინება: ადიშის სახარების 897 წლის მინაწერი “; **„სალოცველად მეფეთა ჩუენთა ღმრთივ დიდებულისა ადარნასე კურაპალატისა და ღმრთით ბოძებულთა ნაშობთა მათთა დავით ერისთავისა და [. . .]“** (ა.შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია 1945 წ. თბ. გვ. 014)' ოშკის წარწერები “; „მონაჲ ღმრთისაჲ მეფეი ჩუენი ბაგრატ ერისთავთა ერისთავი ადიდენ ღმერთმან“; „მეფესა ჩუენსა ბაგრატ ერისთავთ ერისთავსა მეოხ ეყაე“ *(ნ.შოშიაშვილი გვ. 50)*. ოშკის სტელის წარწერა “; „მეფენი ჩუენნი, ადარნერსე კურაპალატი, ბაგრატ ერისთავთერისთავი და დიდებულმცა არს მეფობაი დავითისი“ *(ვ.სილოგავა, ოშკი X ს. მემორიალური ტაძარი, 2006 წ. თბ. გვ. 72)*. 973 წლის პარხლის სახარების მინაწერი - „სალოცველად მეფეთა ჩუენთათვის ღმრთივ დიდებულისა ბაგრატ ქართველთა მეფისა, დავით მაგისტროსისა და სუმბატ ერისთავთ-ერისთავისა ...“. (ა.შანიძე გვ 034). აშკარაა, რომ ზემოთ მოტანილ შემთხვევებში „მეფე“ არის საპატიო ტიტული, რომლითაც მოიხსენიებიან კურაპალატიც (ადარნასე), მაგისტროსისც (დავითი), ქართველთა მეფეც (ბაგრატი), ერისთავთ-ერისთავიც (ბაგრატი, სუმბატი) და ერისთავიც (დავითი).

რა თქმა უნდა, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ აშოტ კურაპალატის დროს ასე არ იყო და ვითარება IX საუკუნის ბოლოს შეიცვალა, როცა ტაო-კლარჯეთში სხვა ქართული ტიტულებიც გაჩნდა. ჩვენი აზრით, ტაო-კლარჯეთის რეალობაში „მეფე„თავიდანვე იყო ზოგადი, საპატიო ტიტული, რომელიც შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო ნებისმიერი ბაგრატიონის მიმართ.

განსხვავებით „მეფისგან“ „ქართველთა მეფე“ უკვე სრულიად კონკრეტული ტიტული იყო. „ქართველთა მეფის“ ტიტული შექმნის დროსთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

მეცნიერთა უმეტესობა თვლის, რომ „ქართველთა მეფის“ ტიტული პირველად ადარნასე დავითის ძემ მიიღო 888 წელს (ივ.ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, თხზ. ტ II 1983 წ. თბ. გვ. 114. ნ.ასათიანი, საქართველოს ისტორია 1999 წ. თბ. გვ. 132; ქ.ნადირაძე, „ქართველთა“ მეფეები, წიგნში საქართველოს მეფეები 2007 წ. თბ. გვ. 102; მ.ლორთქიფანიძე, ქართველთა სამეფო (ტაო-კლარჯეთი), საქართველოს ისტორია ტ. II 2012 წ. თბ. გვ. 215ისინი ეყრდნობიან სუმბატ დავითის ძესთან დაცულ ცნობას, რომ 888 წელს გაიმართა ბრძოლა **ნასრ გუარამის ძესა** და **ადარნასე** დავითის ძეს შორის. **„შეიპყრეს და მოკლეს ნასრა ჴევსა სამცხისასა,სოფელსა ასპინძასს, ქრონიკონსა რ~ე. და არა დაუშთა შვილი ნასრას, და აღიჴოცა საჴსენებელი მისი. ადარნასე, ძე დავით კურაპალატისა, დასუეს ქართველთა მეფედ [ნაცვლად] მის მოკლულისა“**. იგივე სახის ინფორმაცია, თუმცა თარიღის გარეშე, დაცულია „მატიანე ქართლისაჲშიც“ – **„და დასუეს ქართველთა მეფედ ადარნასე, ძე დავით კურაპალატისა“** *(ქართლის ცხოვრება გვ. 243).*

ლ.თავაძის აზრით, „სუმბატთან მითითებული თარიღის გათვალისწინებით, ტიტული „ქართველთა მეფე“ 888 წელს შემოიღეს. ეს ბუნებრივია და არ ნიშნავს იმას, რომ ქართველთა მეფის ტიტული ჰაერიდან იქნა მოტანილი ან ყველანაირი წინასწარი ნიადაგის შექმნის გარეშე მოხდა ამ ტიტულის დამკვიდრება. ადარნასეს ქართველთა მეფედ კურთხევას უკვე ჰქონდა შემზადებული ნიადაგი აშოტის მიერ მეფის ტიტულის მიღებით ... ადარნასეს მეფედ ხელდასმა, ერთის მხრივ, სომხეთში მომხდარმა **აშოტ I-ის** მეფედ კურთხევამ განაპირობა (885 წელი), ხოლო, მეორე მხრივ კი, უკვე არსებულმა ტრადიციამ, რომ ადარნასეს მამა **(დავით I)** და ბაბუა **(ბაგრატ I)** გვარის მეთაურები და ტიტულ **„მეფის“ მფლობელები იყვნენ“** (ლ.თავაძე გვ. 82;88); აშოტ კურაპალატის შესაძლო მეფობის შესახებ უკვე ვისაუბრეთ. რაც შეეხება ბაგრატ I-სა და დავით I-ს, ჩვენ მათი მეფობაც ნაკლებ სავარაუდოდ მიგვაჩნია.

ადიშის სახარების 897 წლის მინაწერში ადარნასე მხოლოდ კურაპალატობით იხსენიება. ამიტომ **ექ.თაყაიშვილმა** ივარაუდა, რომ ადარნასემ ქართველთა მეფის ტიტული 897 წლის მერე მიიღო (898 ან 899 წელს) *(Е.Такаишвили, Археологическая экспедиция в южние провинции Грузии. Тб. 1952 г. гвг. 31).*

ეს მოსაზრება გაიზიარა შ.ბადრიძემაც (გვ. 224).

ა.აბდალაძის აზრით, შესაძლოა „ქართველთა საკურაპალატოში“ ადარნასე მეფედ სწორედ 888/89 წლიდან მიეჩნიათ, მაგრამ ოფიციალურად ბიზანტიის კეისარს და მის კვალდაკვალ სომეხთა მეფე **სმბატ I-საც** „ქართველთა სამეფოს“ შექმნა-დაფუძნება, ადარნასეს მეფობა მხოლოდ მოგვიანებით, დაახლოებით ათი წლის შემდეგ ეცნოთ“ *(ამირკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში 1988 წ.თბ.გვ.192).*

თუ ადარნასე ბაგრატიონმა „ქართველთა მეფის“ ტიტული 888 წელს მიიღო, რატომ მოიხსენიება 897 წლის მინაწერში მხოლოდ კურაპალატობით? შესაძლოა იმ დროს კურაპალატობა გაცილებით უფრო დიდი პატივი იყო და ადარნასეც ამიტომაა მოხსენიებული კურაპალატად (თუმცა ცხადია, ეს ხელს არ შეუშლიდა იმას, რომ ადარნასე მეორე ტიტულითაც, ქართველთა მეფედ, მოეხსენიებიათ). აქ შეიძლება გამოგვადგეს ადარნასეს ძეების: ბაგრატისა და სუმბატის მაგალითები. ბაგრატიონთა მემატიანე **ბაგრატს** მხოლოდ **მაგისტროსობით**, ხოლო **სუმბატს კურაპალატობით** მოიხსენიებს. ამავე დროს, ბაგრატი, გიორგი მერჩულეს მიხედვით, ერისთავთერისთავიც იყო **„რომელთა შორის იპოვა ძეჲ დიდისა ადარნერსე კურაპალატისაჲ, ბაგრატ ერისთავთა ერისთავი“** *(გვ. 308)*, ხოლო სუმბატს გიორგი მერჩულე 951 წლისთვის ერისთავთერისთავობით მოიხსენიებს: **„დაიწერა ცხორებაჲ ესე ... ერისთავთა ერისთვობასა სუმბატისსა, ძისა ადარნერსე მეფისასა„** *(გვ. 323)*.

როგორც ვხედავთ, არაა აუცილებელი, რომ პიროვნება ყოველთვის მოხსენიებული ყოფილიყო ყველა იმ ტიტულით, რომელსაც ფლობდა.

შევხედოთ საკითხს მეორე პოზიციიდანაც. თუ ადარნასემ „ქართველთა მეფის“ ტიტული 897 წლის მერე მიიღო, მაშინ როგორ გავიგოთ სუმბატ დავითის ძესთან დაცული ცნობა, რომ **„ადარნასე, ძე დავით კურაპალატისა, დასუეს ქართველთა მეფედ [ნაცვლად] მის მოკლულისა“**?

შესაძლოა გვევარაუდა, რომ სუმბატ დავითის ძის მიერ ნათქვამი „დასუეს“, დროში „განგრძობადი“ მოვლენაა და გულისხმობს, რომ დროის რაღაც მომენტში დასვეს მეფედ და არა უშუალოდ 888 წელს. ასე თვლიდა შ.ბადრიძე, **„ჩვენ შეიძლება დავასკვნათ, რომ სუმბატ დავითის ძეს ... მხედველობაში აქვს მხოლოდ ზოგადი ფაქტი მისი მეფობისა და ამ შემთხვევაში მას არ აინტერესებს აჩვენოს ქართველთა მეფედ გახდომის კონკრეტული თარიღი“** (გვ. 223-224).

სუმბატ დავითის ძესთან არის შემთხვევები, როდესაც ზმნა „დასუეს“ გულისხმობს პერიოდს უშუალოდ მომხდარი ამბის შემდგომ.

1. **„დავით ... მოიკლა იგი ჴელითა მამის ძმის-წულისათჳსისა ნასრა გუარამის ძისითა, სიცოცხლესა-ვე შინა გუარამისსა, ქრონიკონსა რ~ა ... ნასრ მკლველი ივლტოდა სამეფოსა კოსტანტინეპოლედ და იყო მუნ მრავალ წელ. და ამისსა შემდგომად დასუეს გურგენ ძე ადარნასესი კურაპალატად, დიდისა აშოტ კურაპალატის ძისა“** *(ქართლის ცხოვრება გვ. 366).*

2. **„გარდაიცვალა ესე აშოტ კუხი ქრონიკონსა რ~ლ~Ჩ, და არა ესუა შვილი. და ამისსა შემდგომად გურგენ, ძმის-წული მისი, ძე ადარნასესი, დასუეს ერისთავთაერისთავად“** *(გვ. 367).*

3. **„და შემდგომად აშოტ კურაპალატისა ძმა მისი დასუეს კურაპალატად, სუმბატ“** *(გვ. 368).*

ბაგრატიონთა მემატიანის თხზულებებში არის შემთხვევებიც როდესაც „დასუეს“, მომხდარი ამბისაგან გარკვეული დროით დაშორებულ ფაქტს გულისხმობს. თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხდება გარკვეული სახის განმარტების გაკეთება.

1. როდესაც მემატიანე საუბრობს აშოტ კურაპალატის მოკვლის (826 წელი) შემდეგ ტაო-კლარჯეთში შექმნილ ვითარებაზე აღნიშნავს, **„და იყვნეს ძენი უხუცესისა მის ძმისა მათისა, აშოტის ძისა ადარნასესნი, სამნი: გურგენ, რომელი-იგი დღეთა სიბერისა მისისათა კურაპალატად დასუეს“** *(ცხოვრება გვ. 365)*.. გურგენი კურაპალატი ხდებ 881 წელს *(ლ.თავაძე გვ. 87* ამ შემთხვევაში **„დასუეს“** გამოყენებულია მომავალში მოხდარი მოვლენის აღსანიშნავად, თუმცა მას განმარტავს სიტყვები **„დღეთა სიბერისა მისისათა“**.

2. „გარდაიცვალა ადარნასე, ქართველთა მეფე, ძე დავით მოკლულისა, ქრონიკონსა რ~მ~გ და დაუტევნა ძენი ოთხნი, დავით რომელი შემდგომად მამისათჳსისა ქართველთა მეფე იქმნა, აშოტ კურაპალატი, და ბაგრატ მაგისტროსი, და სუმბატ, რომელი ძმათა შემდგომად კურაპალატად დასუეს“ *(ქართლის ცხოვრება გვ. 368).* ქართლის ცხოვრება გვ. 368 ამ შემთხვევაში „დასუეს“ განმარტებულია სიტყვებით **„ძმათა შემდგომად“**.

3. **„ხოლო აშოტ კეკელაჲ, ძე ადარნასესი, გარდაიცვალა ქრონიკონსა პ~ზ, და დაუტევა გურგენ, რომელი შემდგომად კურაპალატად დასუეს“** *(ქართლის ცხოვრება გვ. 365).* აქაც ყველაფერს ხსნის სიტყვა **„შემდგომად“**.

არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ზუსტად ძნელი განსასაზღვრი დროის რა პერიოდი მოიაზრება **„დასუეს“** ქვეშ.

გაგრძელება იქნება

ხევისბერები



დავით ახლოური

ქართველებს რომ არ გვყოლოდა ვაჟა, ტარიელ ხარხელაური იქნებოდა ჩვენი ვაჟა-ფშაველა! - ბრძანა ბატონმა თამაზ ჭეიშვილმა.

ბევრი რამ ითქვა ამით,
ამიტომაც იმეორებენ ასე ხშირად.
მეც გავიმეორე...

ვაჟას არ ყოფნას წამითაც ვერ დავუშვებთ...

ტარიელ ხარხელაურიც ყველა დროში და ეპოქაში ის იქნებოდა, ვინც არის...

უბრალოდ, ეს ფრაზა საუკეთესო საზომი აღმოჩნდა თანამედროვე ქართული პოეზიის ხევისბერისა...

ბევრი რამე აქვთ საერთო ამ ორ დიდ პოეტს;

ორივე ფხოველია, ფშავ-ხევსურეთიდან მოდიან...

ორივე ცამდე მართალია საკუთარი ხალხის და ქვეყნის წინაშე...

ორივე ღვთის კაცებად მიიღო ქართველობამ...

რამდენი ქება-დიდება ესმოდა ვაჟას, როგორ აღმერთებდნენ სიცოცხლეშივე...

მაინც ვერაფერმა შეცვალა მისი „უბრალოება."

ტარიელიც ხომ ასეთია - ყუჩი, თავმდაბალი... ყოველთვის დარცხვენილი და მოკრძალებული საკუთარი სიმაღლის შეხსენების გამო.

„ხარს ვგავარ ნაიალაღარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ:
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! -
მძინარიც იმას ვდუდუნებ..."

ძილშიც ახსოვს ვაჟას სამშობლო, მის დღეგრძელობაზე ლოცულობს, მისი დარდი და სიხარულია, კაცობის გვირგვინია...

სამშობლოსთვის მთვარესაც კი ცვლის ტარიელი, მზადაა დიდგორზე დაიქუხოს, ბებერი კრწანისი ააღელვოს, არაგველები წამოშალოს, სისხლიანი ამინდებით აქეთ დააპუროს ერის მოშუღარი:

„მე შევცვალე მთვარე წუხელ,
დავცქეროდი ნარიან მთას!
სთქვი, მამულო! რა გაწუხებს
და დავდგები დარიალთან."

დაჭრილი არწივის ბედი აწუხებს ვაჟას, გულს უკაწრავს მტრისგან შერჩეული ავი დრო... დამხობილია მისი სათაყვანო მამულის სიძლიერე, ზეიმობენ ყვავ-ყორნები, მაგრამ წამითაც არ კარგავს იმედს:

„ეღირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა!"

მგლისფერ ვერკვლის ციხეს მაგონებს ტარიელ ხარხელაურის საქართველო, დიდგორთან მტრის რისხვად მდგარს, შვიდპირად რომ გადაკვრია ღრუბელი, ლიბოს გველი რომ ულოკავს, მაგრამ მაინც დგას მტკიცედ და შეურყეველად:

„ვერკვლის ციხე ვარ მგლისფერი,
ამოზიდული დიდგორსა,
შვიდპირად მაკრავს ღრუბელი,
გველი მილოკავს ლიბოსა.
ვერ იქამს წუთისოფელი,
ფეხებზე დამიკიდოსა."

ვერც ვაჟა გაექცა მთას, მის ბუნებას,
ვერც ტარიელი.

ან რატომ უნდა გაქცეოდნენ გრძნობათა სათავეს,

იგი ხომ „მბრძანებელია, იგივ მონაა
თავისა."

ვაჟას უმწეო, უმანკო იის ბედი აღელვებს:

„იას უთხარით ტურფასა:
მოვა და შეგჭამს ჭიაო,
მაგრე მოხდენით, ლამაზო,
თავი რომ აგიღიაო!"

ტარიელი ამოვარდნილ ქარს წუხს, თოვს წუხს, ქართან და თოვასთან პირისპირ დარჩენილი ფოთლის გამო:

„გაიცრიცება საღამოს ბინდი,
ვიცი, ამ დილით უნდა მოთოვოს,
ვიცი,
ჩემი გზა საითაც მიდის,
შენ საით მიხვალ,
ხმელო ფოთოლო!"

რის პოეტი ხარ და, მითუმეტეს, რის გენიოსი, თუ სამყაროს შენეული ფილოსოფიური გააზრებით არ ჩააფიქრებ მკითხველს:

„შენი ჭირიმე სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა!" - ბრძანა ვაჟამ... არავინ მოფერებია ასე სიკვდილს, არავის შეუფასებია ასე სიცოცხლე, ჯერაც ვერავინ გადმოგვცა უფრო ცხადად სამყაროს მისტიკური არსი.

სიცოცხლე გიყვარდება, სიკვდილს ეახლობლები...

„ცუდას რად უნდა მტერობა კარგია მუდამ მტრიანიო" - როცა ამ ფრაზას იხსენებ, მტრის სივერაგე აღარ გაფიქრებს, იმისთვისაც მზად ხარ, მადლობა უთხრა, ჩემი სიკარგე რომ ქვეყანას აჩვენეო.

ტარიელსაც თავის სამყარო აქვს, უფრო ზუსტად, სამყაროს თავისებური ფილოსოფიური გააზრებაა მისი შემოქმედება. ხანდახან, თურმე, ქარიც ვერ ბედავს მთებიდან ღრუბლების აყრას, ხანდახან თელებიც ასდევენ ხშირ სუნთვას, ხანდახან მაშინ მიდიხარ, როცა დგახარ...

„რას იზამ სამყარო რთულია,
იმდენად რთულია სამყარო
და ღელავ, რაც უფრო მშვიდი ხარ,
ისვენებ, რაც უფრო იღლები..."

და კიდევ:

„სიცოცხლე სიკვდილი როდია,
რომ მხოლოდ შეიცნო ცრემლებით"...

სიკვდილს ტარიელიც ეფერება, ვერ იმეტებს, ახლობელივით უფრთხილდება, თითქოს მის გადარჩენას ცდილობს... ჭირისუფალია მისი:

„წუხელ სიკვდილი მეწვა მუხლებზე
და მე და ქარი ვჭირისუფლობდით."

„რა იოლია სხვისი ტკივილი, რა ადვილია სხვისთვის სათქმელად!" - ესეც ტარიელია, ისევ გულწრფელი, ისევ მართალი...

ნურც სატრფიალო პოეზიას ავუვლით გვერდს. ქალის წინაშე რაინდულად მუხლმოხრილს ვხედავთ ვაჟას...

„შენმა სურვილმა დამლია,
შენზე ფიქრმა და სევდამ,
შორს წასვლამ, ხშირად გაყრამ,
გულის თვალებით ხედვამ;"

შეუძლებელია შეჩვეული გრძნობის ძლევა, როგორ დაივიწყებ მას, ვინც მთელი ხმელეთის სწორია, „ვინა სთქვა: ტრფობა ბერდება და სატრფიალო საგანი"...

არც დაბერება, არც სიკვდილი... საფლავშიც მასზე უნდა იფიქრო, იქაც მან უნდა გაცოცხლოს...

დედას აღმერთებს ვაჟა, დედა ქალზე მეტია:

„ლამაზად შვილის აღმზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა"...

ქალისადმი კრძალვა და თაყვანისცემაა ტარიელის შემოქმედებაც, გული როგორ ექნება მშვიდი, თუ ვინც უყვარს, მზერა არსად წამოაწია. იმისთვისაც მზადაა, მასთან ერთად ცეცხლში აბრიალდეს. ხანდახან ეჭვიც გაივლის გულში და წყევლას შეუთვლის ნაღვლიან თვალებს - „მე თუ არ მეტრფის დაინვასო," მაგრამ წყევლის იქით დიდი სიყვარულია. ვინც გიყვარს, როგორ გაიმეტებ, როგორ გასწირავ... ისე არაა, ჩვენ რომ გავიფიქრებთ, არც ისე - პოეტმა რომ გაიფიქრა:

„შენ ჩემო დიდო ტკივილო,
დილაო - ავდრიანაო,
ძლივს აჩენილო ღიმილო,
ღიმილო - დარდიანაო.
შენ რომ ფიქრობდი, არც ეგრე...
რომ ვფიქრობ, აგრეც არაო.."

იმისთვისაც მზადაა, ათასჯერ უამბოს ყველას ამ სიყვარულზე. თუ დასჭირდა, სიცოცხლესაც ბევრჯერ ანაცვალებს, ამიტომაც აწუხებს კითხვა:

„რამდენჯერ უნდა მოგიკვდე,
განა რამდენჯერ შევძლებ?!"

და მერე - „მანძილი შენამდე დიდია, შენიდან ჩემამდე - არც ისე"... ისევ გაოცება, ისევ განცვიფრება... შორეულია პოეტის სიმაღლე, ბოლომდე ამოუცნობი მიუვალი მწვერვალივით, მაგრამ ტარიელი ახერხებს, რომ ძალიან ახლოდან შეხედო მის სიდიადეს, მას უფრო მეტიც შეუძლია - სამყაროს თავის „ჭკვაზე გადმოიყვანა."

საოცარია ტარიელის „ჩემო დედილო," დედას დიდი წინაპარივით ისიც აიდიალებს... ამიტომაც გადავყავართ რაღაც არაამქვეყნიურ მისტიურ ტკივილში იმის წარმოდგენას, რომ ოდესღაც დედა ჩვენს გვერდით აღარ იქნება:

„ჩემო დედილო,
როგორ მტანჯავს ჟამის სიყრუვე,
მზეს ვეკამათე,
ვერ შევთანხმდით ცათა ღიობზე,
აქ კი ეზოში ხვალ ბებერი ძაღლი იყმუვლებს,
რომ მთელ სამყაროს ბრალად დასდოს ჩემი სიობლე."

„ტახტზე ფიქრია იოლი, დავითობაა ძნელიო" - ამასაც ტარიელი ბრძანებს... ამ ორი დიდი პოეტის შემოქმედებას რომ ვაანალიზებ, ასე მგონია, შედეგრების შექმნა მათთვის არ უნდა ყოფილიყო რთული, შეფასება კი ურთულესია...

ვფრთხილობ, ძალიან ვფრთხილობ...
მითუმეტეს - ჯერ ვაჟა,
მერე ტარიელი...

საოცარია მთა, თავისი ფშავით, თავისი ხევსურეთით...

სხვაც ბევრი გაიზრდება, სხვაც მოვა და თვალწინ კიდევ ერთხელ გადაგვიშლის იქ გადანახული ქართული სულის საგანძურს...

მანამდე კი ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს ჩვენი პოეზიის ცოცხალი ხევისბერი!

ბიბიჭაო ფიქრია სამყაროზე

ვახტანგ გურგენიძე

ადამიანები ოცნების ღვთაების დასახსნელად უფრო მეტ დროს საკუთარ თავთან საუბრობენ. მათ ფიქრების ხომალდით შეუცნობელ სამყაროში უხდებათ მოგზაურობა...

სიამოვნების მომგვრელია არგამხელილი და ტყვედქმნილი ოცნება, – სიზმრისეული ფიქრები...

ამათგან, ყველაზე მიმზიდველი, ყველაზე საოცნებოა სიჭაბუკის პერიოდის ფიქრები და სიბერის ჟამს ზმანება... მათი გამხელა დაკარგვას ნიშნავს.

ოჰ! ჩემი არგამხელილი ფიქრების ოკეანე!... ახალგაზრდობის ჩემეული ფრთაშეტეხილი ოცნებანი... ისინი დიდ და ყველაზე სათუთ საუნჯედ დარჩებიან ჩემი ფიქრების საგანძურში, ჩემი აზროვნების მატეანეში... ბევრი, ძალიან ბევრია ხელუხლებელი, გადამალული, გაუმხელელი... ისინი ღვთაებრივ და ჯვართმიცემისთვოს მამზადებენ...

ოცნებები მზეზე ძლიერად ანათებენ ადამიანის დაბნელებულ სამყაროს, შეუცნობელ მომავალს... აღვიძებენ ჭეშმარიტებისადმი ლტოლვას მდუმარებით აღსავსე სამყაროს ასაფეთქებლად...

ადამიანთა მოდგმა დაიღალა, გადაგვარდა...

მათი ფიქრი, დაბინდულ გარემოში, კუჭის მონად იქცა... ხანდახან იმედდაკარგული ფიქრები თუ ჩაუქროლებენ ქარიშხალივით...

ჩემთანაც ამოტივტივდებიან ეროვნული სასოებანი, – რა სიმრავლეა, რა მიმზიდველი იმედი ოცნებისა.

„კეთილ არს სასოებაი უფლისაი!"

ჩემი ფიქრების კორიანტელი თავს დასტრიალებს წინაპართა ლანდებს, რომლებიც ოცნების გარეშე „ცხოვრობენ" უხილავ ქვეყანაში... ისინი არასდროს იხრჩობიან ჩვენსავით ოცნების ოკეანეში...

მათთვის არ არსებობს, გაუგებარიცაა, თავისუფლებისა და სიყვარულის საპყრობილე, არც ტრიბუნებია და არც სიმდიდრე, არც სასაფლაოა... და არც სანაგვე ყუთი. მათი პატივისცემის ასევე უხილავ სუფრაზე შარავანდედით მოსილია ყველა, ვინც თავი დასდო სამშობლოსათვის, ენისათვის, რწმენისათვის... მათ არ იცოდნენ ამაოება და არც ამაოებისათვის ტანჯვა... იქ აფრენილი რწმენისა და ფრთაშესხმული სიმარტოვის სამყაროა... უსიტყვო და უსაზღვროა იგი. ამიტომაც იქ ყველა ბატონია თავიანთი თავის და ყველა მონაა სულთამხილავის, რომელიც განაგებს შეუცნობელი ქვეყნის ფიქრთა მარადისობას...

... გმადლობთ, შენ, უფალო, რამეთუ ადამიანის სიცოცხლეში უწილადე ფიქრთა სამყარო!!!

ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲘ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲞᲢᲘ

„ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲨᲘ“ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐ

ᲚᲘᲐ ᲙᲐᲠᲘᲭᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ფილოლოგიის დოქტორი

საბედისწერო ალტერნატივა – **„თუ საწუთრომან დამამხო“** – სიკვდილის მოლოდინია. რა უნდა იყოს უკანასკნელი სურვილი მორწმუნე კაცისა, თუ არა სულის ხსნა. სწორედ ეს მიზანი აქვს ავთანდილის ვედრებას მეფისადმი, გასცეს მისი საგანძური გლახაკებზე, გაათავისუფლოს მონები, რათა ლოცვით იხსენიებდნენ მის სახელს: **„მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“**. რაც მთავარია, მათი ლოცვა უნდა შეეწიოს ავთანდილს სასუფევლის დამკვიდრებაში. სწორედ ესაა მისი უმთავრესი და საბოლოო სურვილი:

„ღმერთსა მვედრებდეს მრავალი
გლახაკი გულმხურვალები,
დამხსნას ხორცსა და სოფელსა,
სხვად ნურად შევიცვალები,
კვლა ცეცხლი ჯოჯოხეთისა, ნუმცა
მწვავს იგი ალები,
მომცეს მკვიდრივე მამული, მუნ
ჩემი სასურვალები“.

(812)

სამოთხე – **„მკვიდრივე მამულია“, „მუნ სასურვალები“**. რასაკვირველია, ამგვარი სახელდება მამულისა გვახსენებს ადამის უპირველეს სამკვიდროს, ედემს, რომელიც მან დაკარგა და მისი კვლავ დამკვიდრება ადამიანის ესქატოლოგიურ მიზნად იქცა. ეს ტაეპი ისეთივე ბიბლიური ალუზიაა, როგორიც მეფე როსტევანის ნათქვამი: **„იგივეა მხსნელი ჩემი, ვინცა მიწა გამაკაცა“**. აქ ჩანს ადამის, ზოგადად ადამიანის და პიროვნების ეგზისტენციალური მეს გადაკვეთა, ერთობლიობა. ასევე განმსჭვალავს ადამის სახება ავთანდილის ვედრებას: **„მომცეს მკვიდრივე მამული“**.

სინტაგმა **„მკვიდრი მამული“** პოემაში ორჯერ დასტურდება. ზემომოხმობილ სტროფში თუ ის სამოთხის ალეგორიაა, ტაეპში **„ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ არცა დრამასა“**, მიწიერ მამულს – სამშობლოს აღნიშნავს. ეს სიტყვები ნესტან–დარეჯანის შთაგონებით ტარიელმა უნდა განუცხადოს მეფეს.

გამომცემელთა ნაწილი მოცემულ სტროფს ჩანართად მიიჩნევს. ნ. ნათაძემ, ჩვენი აზრით, სამართლიანად დააბრუნა იგი „ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემებში, რადგან იგი აზრობრივად და პოეტიკურად წინა სტროფების ლოგიკური გაგრძელებაა.

ამდენად, **„მკვიდრი მამულის“** სემანტიკა ბინარულია. მას აქვს პირდაპირი და გადატანითი, საერო და საღვთისმეტყველო მნიშვნელობები.

ცალ-ცალკე „მკვიდრი“ (სამკვიდრო) და „მამული“ – შინაარსობრივად ახლოს არიან ერთმანეთთან. ძირითადად მათი განმარტებები ასეთია:

„მამული – მამისეული.

დამკვდრება – სანიადაგოდ დაპყრობა, სანიადაგოდ დასახლება“ (ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული)

„მამული – სოფელი, სამშობლო, მამა–პაპა, ტომი.

მამული – მამაპაპური, მამეული, მამობრივი, მშობლიური“ (ი. აბულაძე, „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“).

„მამულს“ აქვს როგორც ვიწრო (კერძო მამული), ასევე ფართო გაგება (სამშობლო).

„დამკვიდრებაში“, ისევე როგორც *„მამულში“, „იკითხება“* მიწა, ნიადაგი, როგორც ამას მიანიშნებს სულხან–საბასეული განმარტება. როდესაც სიტყვა **„დამკვიდრება“** უკავშირდება **„საუკუნოს“**, როგორც *„უფამო ჟამს“ („ცხორებაჲ საუკუნო დავიმკვიდრო“ მრ.10.17)*, ხდება მიწის *„განსულიერება“*. აქ ქრონოტოპი ზესივრცული და ზედროულია. სწორედ *„სულიერი მიწის“* განცდა ჩანს გურამიშვილის ვედრებაში უფლის მიმართ:

„გეაჯები, ნუ გამწირავ, მოვკვდე, შენ
კერძ დამმარხეო,
ჯოჯოხეთში ნუ ჩამაგდებ, მიწყალობე
სამოთხეო“ *(გვ.85)*.

დამარხვა (ასოციაციურად მიწა, მატერია) უფლის „კერძ“ გულისხმობს დამკვიდრებას სამოთხეში. ზოგჯერ „მამულს“ ახლავს ეპითეტი „მიწიერი“, რაც იპოზიციურად მის არამიწიერ განზომილებაზეც მეტყველებს *(„პირველხსენებულისა ქუეყანისაგან მომღებელ არს ნათესაობისა მიწიერისა მამულისა სანატრელი ესე კაცი“)*, ზეციურ და მიწიერ მამულთა ურთიერთმიმართება ისეთივეა, როგორიც იდეასა და მის მატერიალურ განსახოვნებას შორის.

„ქართულში სიტყვათა სემანტიკურ ბინარულობას ხშირად ქრისტიანული ენობრივი მსოფლხედვა განაპირობებს. ამ მხრივ, მიზანშეწონილია დაკვირვება სულიერ სფეროთა აღმნიშვნელ სიტყვებზე, რომლებსაც მეორე, ყოფითი მნიშვნელობაც აქვთ“ – აღნიშნავს **რევაზ სირაძე** და საილუსტრაციოდ ასახელებს „სიტყვას“ *(ლექსიკური ერთეული და ლოგოსი)*, „ერთს“ *(რიცხვითი სახელი და ღვთიური ყოვლისმთლიანობა)*, „სახეს“ *(პირისახე და არსობრივი ფორმა)*, „სამოთხეს“ *(ბაღი და სულეთი)“ („ქართული კულტურის საფუძვლები“, გვ. 348)*. ამ სიტყვათა რიგში მოიაზრება მამულიც.

რას ეყრდნობა „მამულის“ ბინარული სემანტიკა, აქვს თუ არა მას „ვეფხისტყაოსნის“ წინარე ლიტერატურული ტრადიცია?

სასულიერო მწერლობაში სასუფეველი ხშირად მოიხსენიება ზეციური ქალაქის, იერუსალიმის სახელით. ის არის ქრისტიანი სულის სამშობლო და საბოლოო სამკვიდრებელი, ისევე როგორც ქრისტიანის „თუსი“ უპირველესად სულიერი ნათესაობაა. *„რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ, იგი არს ძმაჲ და დაჲ და დედაჲ ჩემი“* (12.50).

„გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების“ ენა ასე განსაზღვრავს სასუფეველს: *„ღვთისმსახურებასა საიდუმლოსა შინა ერთი მამული პატივცემულ არს, რომელ არს სამოთხე, პირველისა მის მამისა ჩუენისა საყოფელი, და ერთი ქალაქი, რომელ არს ზეცისა იერუსალემი, ცხოველთა მათ ქვათა მიერ აღშენებული, რომლისა შემოქმედ და ხუროთმოძღვარ ღმერთი არს, და ერთი ნათესაობაჲ, რომელ არს თჳსებაჲ ღმრთისაჲ“.*

გიორგი მცირე სულიერ თვალს მიადევნებს გიორგი მთაწმიდელის განსვლას ხორცთაგან: *„განიძარცვნა უკუე ტყავისა იგი სამოსელნი და რამეთუ სამოთხისა მკჳდრთა არცა თუ ეხმარებიან ესევითარნი სამოსელნი. არამედ იგი სამოსელნი ჰმოსიან მას, რომელნი იგი სიწმიდითა ცხორებისა თჳისისაათა უსოვნა თავსა თჳსსა და მოიხვნა ღვთისაგან... განტევებულ იქმნა და განთავისუფლებულ იქმნა საკრველთაგან ხორცთაჲსა. საბრხე შეიმუსრა, ხოლო სირი აღფრინდა, დაუტევა ეგვიპტე, რომელ არს ცხორებაჲ ესე ნივთიერი და წიაღვლო არა თუ ზღვაჲ იგი მეწამული, არამედ შავი ესე და წყვდიადი ზღვაჲ ამის საწუთრისაჲ. შევიდა ქუეყანასა მას აღთქმისასა, რომელ არს ზეცათა იერუსალიმი ... წარიხადა ხამლი სულისაჲ, და რათა საღმრთოჲთა მით სლვითა გონებისაჲთა წმიდისა მის ქუეყანასა შინა უნივთოდ იმოთხვიდეს, რომელსა იგი შინა იხილვების ღმერთი და თჳსთა საკუთართა ხედავს და განუსვენებს“.*

წმინდა მამები სამოთხის აღსანიშნავად ხშირად მიმართავენ სამშობლოს ცნებასაც. *„რა დიდი ზღვარი ძევს თვითგანდიდებასა და თვინიერებას შორის, ან რა განასხვავებს ერთმანეთისგან იმას, ვინც ხედავს ჭეშმარიტ გზას და მის ვერმხედველს, გზას, რომელსაც ჩვენს კურთხეულ სამშობლოში მივყავართ, რათა არამარტო ვიხილოთ, დავიმკვიდროთ კიდევაც იგი“ (ნეტარი ავგუსტინე „აღსარებანი“).*

ცნობილია, რომ ნეტარი ავგუსტინეს დედას, მონიკას, სამშობლოდან შორს უნია სიკვდილმა. უკანასკნელ დღეს შვილებს მოულოდნელად განუცხადა: *„აი, აქ დამარხავთ დედათქვენს.“* ნეტარი ავგუსტინე იხსენებს: *„ჩემმა ძმამ სანუგეშოდ წაილულლუღა: ღმერთმა გვარიდოს ეს სიმწარე, რომ სამშობლოდან ასე შორს, უცხო მხარეში დაიმარხოო. ამის გაგონებაზე, ცოტა არ იყოს შეკრთა, ვედრებით შეხედა მას, მერე ჩემზე გადმოიტანა მზერა და მითხრა: „გესმის, რას ამბობს?“ შემდეგ კი ორივეს მოგვმართა: „სულერთია სად დასვენებთ ამ სხეულს, ერთსა გთხოვთ მხოლოდ, სადაც არ უნდა იყოთ, უფლის საკურთხეველთან მოიხსენიეთ დედათქვენი“.* ამ სიტყვებმა გააკვირვა და აღაფრთოვანა ნეტარი ავგუსტინე. დედის ღრმამორწმუნეობასთან ერთად სულიერი სიმამაცეც დაინახა: *„მე კი, ღმერთო უხილავო, ვფიქრობდი ყველა იმ ნიჭზე, შენს ერთგულთ რომ უნერგავ გულში, მიხაროდა და მადლს გწირავდი. აკი ვიცოდი, რარიგ ღელავდა ყოველთვის თავისი დაკრძალვის თაობაზე, წინასწარ იჭერდა თადარიგს და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ქმრის გვერდით დამარხულიყო. არ ვიცი, როდის ჩაქრა მის გულში შენი უსაზღვრო მადლის წყალობით ეს ფუჭი სურვილი. .... უკითხავთ, ნუთუ არ გეშინია, მშობლიური კუთხიდან ასე შორს დატოვო შენი სხეულიო? „ღმერთისთვის არაფერია შორს, უთქვამს დედაჩემს, და არც ისაა საშიში, რომ ქვეყნის დასასრულს ვერ გაიხსენებს, სად აღმადგინოს.“*

რადიკალურია გრიგოლ ღვთისმეტყველის პოზიცია: *„ჩვენ ყველას ... ერთი სამშობლო გვაქვს – ზეციური იერუსალიმი, რომელშიც დაცულია ჩვენი საუკუნო ცხოვრება. ყოველნი ერთი გვარ-ტომისა და წარმოშობისა ვართ. თუკი ქვენას, ამქვეყნიურს მოვიხილავთ, – ესაა მიწა, მტვერი, ხოლო თუკი უზენაესისადმი მივაპყრობთ მზერას, ეს ღვთაებრივი სულია, რომლის თანაზიარიც ჩვენ შევიქენით, რომლის შენარჩუნებაც ჩვენ აღთქმად მოგვეცა და ... ხოლო ეს ქვენა, ამქვეყნიური სამშობლონი და გვაროვნული კეთილშობილებანი მხოლოდ ერთგვარი თავშესაქცევია ამ ჩვენი წარმავალი ცხოვრება–წუთისოფლისა. აქ, ამქვეყნიურ სამშობლოებში, ჩვენ ყველანი ერთნაირად უცხონი და მსხემნი – ებრაელნი ვართ, რაოდენ სხვადასხვა სახელებსა და წოდებებს არ უნდა ვიგონებდეთ და წალმა-უკულმა ვატრიალებდეთ. ქრისტე მეუფეო, შენა ხარ ჩემი ერთადერთი და ნამდვილი სამშობლო, ჩემი სიმტკიცე და ნეტარება, შენ ყოველივე ხარ ჩემთვის“.*

ამიტომაც წმინდა მამათათვის თითქოს უმტკივნეულოა (პატივი საღმრთო მისიისა ადამიანურ გულისტკივილს გადაფარავს) უფლის მონოდებით დატოვონ თავიანთი სამშობლო და სულიერი ღვაწლი აღასრულონ სრულიად უცხო მხარეში (როგორიც იყო, მაგალითად, ასურელ მამათათვის საქართველო).

ამდენად, სასულიერო მწერლობაში დიფერენცირებულია „მკვიდრი მამული“, როგორც სამშობლო და სამოთხე – ზეციური სამშობლო. მათ შორის ცხადია, ღრმა შინაგანი კავშირია, მიწიერი სამშობლო ზეციურს განასახოვნებს, თავის მხრივ სასუფეველი მიწიერი სამშობლოს ღვთაებრივი იდეაა. ორთოდოქსული ქრისტიანული აზროვნებისთვის ცალსახაა, რომ უპირატესი სნორედ ზეციური სამშობლოა. ეს კარგად გამოჩნდა სასულიერო მწერლობასა და წმინდა მამათა ნააზრევში. ამგვარი დამოკიდებულება წმინდა წერილს ეფუძნება: *„და შექმნა ერთისგან სისხლისა ყოველნი ნათესავნი კაცთანი დამკვდრებად ყოველსავე ზედა პირსა ქუეყანისასა, განაჩინნა დაწესებულნი ჟამნი და საზღვრის დადებანი დამკვდრებისა მათისანი მოძიებად ღმრთისა და უკუეთუმცა ვინ ეძიებდა, პოამცა იგი“ (საქმე მოციქულთა, 17. 26)*. ადამიანი იბადება განსაზღვრულ დროსა და ადგილას *„მოძიებად ღმრთისა“*. მიზანი მისტიურია და მისი გაცნობიერება პიროვნების თვითშემეცნების კვალობაზე ხდება *(„ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო“)*, ამიტომაც ზეციურ და მიწიერ სამშობლოთა შორის ერთგვარი უხილავი ხიდი რწმენაა.

„მკვიდრის“ ბინარულ მოაზრებას ინარჩუნებს აღორძინების ხანის მწერლობა. საგულისხმოა, რომ სამშობლოს აღმნიშვნელ ცნებად „მამული“ არ ჩანს **„დავითიანში“** (მას ენაცვლება *„ქვეყანა“* ან *„სამკვიდრო“ – „მოვიტიროთ ჩვენ სამკვიდრო თავში ხელის შემოკრებით“*), მაგრამ „მკვიდრი“ ალეგორიული საზრისით საკმაოდ აქტიურია, მიემართება მარადიულ, საუკუნო ცხოვრებას და უპირისპირდება წუთისოფელს:

„რომელი ჩნდეს უფრო მკვიდრად,
მას ეპლაუჯეო“,
„მკვიდრ მიჯნურს ზურგსა შეაქცევს,
წუთს გულზე დაიკონებსა“
„ნუ აჭმუნვებ მკვიდრ მიჯნურსა,
წუთი დალრიჯეო“.
„წუთ მოყვარესა დამოყვრდნენ,
მკვიდრსა დაუწყეს მტრობაო.“

ქართლის ჭირი, გურამიშვილის კონცეფციით, პირდაპირი შედეგია ქართველთა რწმენის შერყევისა, ისინი ასცდნენ ჭეშმარიტების გზას („რაც ცოდვის ბურმან მონისა“). წაეფარა რა მათ ცნობიერებაში ჩრდილი ზეციურ მამულს, მიწიერი სამშობლოს კონტურებიც დაირღვა. ჰაგიოგრაფიაში ცნობილია უკუპროცესიც: გაძლიერებულ რწმენას (და ლიტურგიკულ ენას) შეუძლია ამ დარღვეული კონტურების (საზღვრების) აღდგენა (შემოწერა): *„ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების...“ (გიორგი მერჩულე)*. აქ უკვე ჩანს როგორ მჭიდროდაა დაკავშირებული მამული, ენა და სარწმუნოება, რომელთაგან ბოლო ორი – ენა და სარწმუნოება (იმ ისტორიულ ვითარებაში) მამულისა და ეროვნული იდენტობის ფუნდამენტად იქცა.

ეს კონცეპტი თავისთავში გულისხმობს პოტენციას ზეციური და მიწიერი მამულის იდეათა დაახლოებისა, რომელთა სიმბოლური სინთეზიც განხორციელდა 60-იანელთა შემოქმედებაში მამულისა და უფლის, როგორც უმაღლეს ღირებულებათა, გათანაბრებით.

XIX საუკუნეში ქვეყნის პოლიტიკურ - სოციალური მდგომარეობის ფონზე გარკვეული იდეოლოგიური კრიზისი ასახა ენობრივმა სინდრომმა – „მამულის“ სემანტიკა დავიწროვდა. ამის შესახებ ილია შენიშნავდა: *„ძრავალი წელინადია, რაც ჩვენ საზოგადოებას ერთი ცოცხალი აზრი, ერთი ფხიზელი გრძნობა არ ჩავარდნია გულში. ასეთნაირად დავნამცეცდით, რომ დიდი სიტყვა „მამულიც“ დავნამცეცეთ. მამული ერთობ ჩვენ სამშობლო ქვეყანას კი არ ნიშნავდა, არამედ თვითეულს სოფლის საკუთრებას“*. თუმცა რომანტიკოსთა შემოქმედებაში მამული იკითხება „სამშობლოს“ მნიშვნელობით, მასზე ლოცულობენ და მზად არიან მსხვერპლად შეეწირონ:

„დავნატრი მათ, ვინც თვისი
სიცოცხლე თვისსა მამულსა
შეჰსწირა მსხვერპლად,
დავნატრი დროთა, როს აქვნდათ
ტრფობა მამულისადმი
გულს აღბეჭდილად“.

(გრ. ორბელიანი, „იარალის“)

„ვინ გიხილოს დროთა საშიშს, არ
დასთხიოს თვისი სისხლი,
არ დააკლას თავი თვისი, შენ დიდებად,
ვითა მსხვერპლი!“

(გრ. ორბელიანი „სადღეგრძელო“)

„დღეს გამოჩნდება ვინ არს ერთგული,
ვის უფრო გვიყვარს, ძმანო, მამული“.

(ნ. ბარათაშვილი, „ბედი ქართლისა“)

ამ საკითხს ეხება **ზურაბ კიკნაძე** წერილში „ილიას მამული„: *„ეს ცნება (და მცნება) უკვე არსებობს ილიას დაბადებამდე და, თუ ილია სამოციან წლებს მიაწერს მის „გამობრწყინებას“ იგი ამ სიტყვის არა პირველ „ბიოლოგიურ“, არამედ ახალ სულიერ დაბადებას უნდა გულისხმობდეს„*. რომანტიკოსთა შემოქმედებაში უკვე არსებობს ერთგვარი რელიგიური მიმართება მამულისადმი, მაგრამ 60–იანელებმა და, უპირველესად, ილიამ, ამ დამოკიდებულებას შესძინეს რაღაც სხვა, უფრო შინაგანი და ინტიმური, რასაც ზ. კიკნაძე უწოდებს მიჯნურობას, რომელსაც „ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან“. *„ილიას მიჯნურობასაც მცირედნი თუ მიხვდნენ. რაციონალურ, ჭკვიანურ საუკუნეში ილიამ მიჯნურობის ირაციონალური საწყისი დაუკავშირა პატრიოტიზმს. მამული ისეთივე საგანი ხდება სიყვარულისა, როგორიც ძვირფასი ქალია. ეს რაღაც უჩვეულო რამ იყო. ამგვარ სიყვარულს ერთეულები თუ მიხვდებოდნენ და გაიზიარებდნენ“ (ზ. კიკნაძე)*. ყველაზე უკეთ თვითონ ილია გრძნობდა, რომ მისი სიყვარული მამულისადმი უმრავლესობისთვის გაუგებარი იყო. „ჭკვიანნი“ მის ლექსში „ბრიყვად“ გარდაისახა: *„ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს ... („ჩემი კალამი“)*.

დაუძლურებული მამული (მცნება მამულისა) და შეგნება მამულიშვილობისა, უნდა აზიდულიყო ისეთ სიმაღლეზე, შერაცხულიყო იმგვარ ღირებულებად, რომლისთვისაც თავგანწირვა პატივია, უზენაესი დანიშნულება და მოწოდებაა, ამიტომაც მოხდა მისი საკრალიზება.

„ქართვლის დედაზე“ დაკვირვებით **ზ. კიკნაძე** შენიშნავს, რომ პოემის სულისკვეთების, მთავარი საზრისის გაგება შესაძლებელია მაშინ, თუ მამულში ღვთის სახელს ამოვიკითხავთ. *„ჩავსვათ ყველგან მამულის ნაცვლად „ქართვლის დედაში“ (ან მშობელი მხარის ნაცვლად აკაკის „ვანთიადში“) ღმერთი და ყველაფერი გასაგები იქნება.“*

გაჩნდა შესაბამისი პოეტური სახეები: *„როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“ (რ. ერისთავი); „ჩემი ხატია სამშობლო“ (აკაკი); „დავიწყებიათ, რომ ქვეყნად ცასა ღმრთად მოუცია მარტო მამული“ (ილია); „ვნახე სამოთხე ამქვეყნად, რა ტურფა სანახავია: ხელთ ეპყრა კონად შეკრული ჩემის სამშობლოს ხატია“ (ვაჟა)*. სამშობლო და უფალი თითქმის იდენტურ უნივერსალიებად, დაუნაწევრებელ მთლიანობად მოიაზრება, ამიტომაც სამშობლოს მიწაში განსვენება სამოთხეში დამკვიდრების ტოლფასია:

„ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც
ცოცხალს, ზე კალთა დამაფარეო,
და რომ მოვკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:
დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ,
შენს მიწას მიმპბარეო,
ცა – ფირუზ, ხმელეთ – ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო.“

(„ვანთიადი“)

ვფიქრობთ, აქ სამშობლოს მიწა „მკვიდრი მამულის“ (სამოთხის) რემინისცენციაა ეპოქალური ნიშნით აღბეჭდილი (შდრ. *„მომცეს მკვიდრივე მამული, მუნ ჩემი სასურვალები“*, ან *“ გეაჯები ნუ გამწირავ, მოვკვდე, შენ კერძ დამმარხეო“)*. აქ მამულის საერო და საღვთისმეტყველო მნიშვნელობებმა, შეიძლება ითქვას, ერთმანეთი გადაფარა. მათ შორის არ შეიძლება იგულისხმებოდეს რომელიმეს უპირატესობა – **ჭეშმარიტება თუ სამშობლო; სამშობლო თუ უფალი,** არამედ ესაა სიმბოლური იგივეობა – **ჭეშმარიტებაა სამშობლო.**

შემდგომმა ეპოქამ **„მკვიდრი მამული“** ან უბრალოდ **„მამული“** თავისებური ინტერპრეტაციით გადაიაზრა. ამიერიდან ცნება აღარ არის ბინარული, მისი საღვთისმეტყველო საზრისი ათეისტური ლიტერატურის საზღვრებს ვერ გადალახავდა.

„სექტემბრის წვიმები“

ბონდო არველაძე

ამჟამინდელ ლიტერატურულ ცხოვრებას, შეძლებისდაგვარად, თვალს ვადევნებ და მონიშნული მყავს რამდენიმე პოეტი. ჩემ ნარჩევ პოეტთა რიცხვს მიემატა **რუსუდან გოგიბერაშვილი**, რომლის ლექსების და თარგმანების კრებული ახლახან გამოვიდა. პოეტს მისივე ლექსის „სექტემბრის წვიმები“ გაუტანია კრებულის სათაურად. უნდა ითქვას, სწორადაც მოქცეულა, რადგან ამ ლექსის ფონზეა გაშლილი და ამოზიდული სხვადასხვა თემაზე შექმნილი ლექსები, რომელნიც ქმნიან პოეტის მთლიან პოეტურ სამყაროს.

ნაკლებად მეგულება ადამიანი, რომელსაც არ განეცადოს შემოდგომის ნისლიან დღეებში ციდან ცვარად წამოსული თქეშის დროს აშლილი სევდანარევი ფიქრები.

უხდება სექტემბერს წვიმები
წვიმაა და გზაზე ნისლია,
ხეებს დაუველდა წვივები,
ნელ-ნელა ჭრელ სამოსს იცვლიან.
არ გინდა, თქვა, რომ არ გხიბლავდა,
იანვრის ფრთათეთრი ვარდები,
ან ცაზე ცრემლიან ღრუბლების
ფორიაქს არაფრად აგდებდი.

ძველი, მშობლიური სახლის ხილვით გამოწვეული სევდა ლექსში – „ძველი სახლი“ ისე რელიეფურად და ტკივილიანი გრძნობით არის გადმოცემული, რომ გული მოგემწუხრება:

წაქცეულ ღობეს, მორღვეულ ჭიშკარს,
ჩამტვრეულ სარკმელს, კარებში ღვიას,
დანაცრულ კერას და დედის თვალებს
ჩუმი კივილის კვალი რომ უჩანს...

პოეტი გარდასულ დღეებს პიტნის არომატივით ხარბად შეისრუტავს და ძველი სახლის ხილვით შეძრული, თრობამორეული იტყვის:

...და გადამალულ ბოლო სიგარეტს,
ვიზოგავ, როგორც ერთადერთ ტყვიას.

აქვე მსურს ვთქვა – რუსუდან გოგიბერაშვილი რომ გავიცანი, შთაბეჭდილება ასეთი დამრჩა: იგი იყო მარტოსული და მოცული მარადიული სევდით. არც შევმცდარვარ. ეს სევდა მის ლექსებში იკითხება. იკითხება ისე, რომ მკითხველს მძაფრად განაცდევინებს და სულის ძირამდე შესძრავს.

მარტოობის სიცივე
ვერა, ვერ მოვიცილე,
მწუხარების აჩრდილი
ჩემი დანიშნულია,
ის ცისფერი ოცნება
ჩემზე დიდხანს იცინებს,
გულს რა ვუყო, მითხარი,
მთავარი ხომ გულია?!

ამ თემას ეძღვნება აგრეთვე ლექსი „სიმარტოვის კუნძული„:

შორს, ზღვის ზვირთებთან
იბრძვის თოლია,
და მწუხრის სევდამ
გული დალია,
ქარი ეხვევა სიჩუმის დალალს,
სიცარიელეც
მხოლოდ ქარია...
აფრქვევს ფლეიტა
მელანქოლიას,
იასამნების ყრუქვითინი
გამოჰყოლია.

ხალხურ მოტივზეა გაწყობილი ერთი უსათაურო ლექსი:

დილით ღრუბლის ლეჩაქს იძრობს
ნისლი – მთების საპატარძლო,
გამიღიმე, მაინც, ვინძლო,
შენზე დარდმა არ დამადნოს.
მთა უნისლოდ ვით იქნება,
მე უშენოდ როგორ გავძლო?!

რუსუდან გოგიბერაშვილი ემიგრაციაში მრავალი წელი იმყოფებოდა. ამიტომაც ეს თემა მისთვის სისხლხორცეულია. მის ლექსებში მკვეთრად და ხელშესახებადაა გადმოცემული ემიგრანტი ქალის მწარე ხვედრი. არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ ეს ლექსი – „ემიგრანტ ქალებს“ – ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესოა არა მარტო რუსუდან გოგობერაშვილის შემოქმედებაში, არამედ, საერთოდ, ამ თემაზე შექმნილ ლექსთა შორის. შვილების გამოსაკვებად აღებული ვალის გამო დიასახლისები სამუშაოდ უცხოეთში გადაიხვეწნენ, დამცირების, ტანჯვა-წამების ხარჯზე აღებულ დოლარებს ოჯახებს უგზავნიან, რათა ვალები გადაიხადონ:

ვალს ვერ ვიცილებო,
წერ და თითებს უჭერ
ხელში მოცახცახე კალამს,
ნაღველნაწებს;
შიშობ, უცხო მხარეს
მოვა სიკვდილი და
ჩემო დარდის ქალო,
ვალებს ჩამოგანერს.
უცხო ოჯახების
დარდის პურით ნაკვებს,
შენი ქვეყნის ხილვაც
აღარ გეღირსება,
უკვე მერამდენედ,
ასე უმოწყალოდ,
გგესლავს მონატრება
მთების დანისლულის...

მაგრამ გულს არ იტეხს ქალი-ემიგრანტი და იმედით და ოპტიმიზმით შეჰყურებს ხვალინდელ დღეს:

იცი, ამაოა ქართან
ბრძოლის გაბმა –
მაინც ფარად იხმობ
იმედის ჯარებს;
მაინც დაამარცხებ,
მაინც გადალახავ,
მაინც დაამშვიდებ
ამ აბეზარ ქარებს.

აფხაზეთის, გაგრის დროებითი დაკარგვით გამოწვეული სევდაა გადმოცემული ლექსში „გაისად, გაგრაში„:

ახლა იქ ლაჟვარდი მზის
დაიკოცნება,
ზღვასთან სურს თამაში...
ჩურჩულით ჩამძახის
დამფრთხალი ოცნება,
გაისად გაგრაში.
.....
ახლა მყვირალობა
ძარღვებს აჰყოლია,
იცეკვებს თარაში...
ისევ აყვავდება
თეთრი მაგნოლია
გაისად, გაგრაში!..

პოეტი ულმობელი სიბერის ნიშნებს ხედავს საკუთარ ფოტოში, რომელმაც მასში ნაღვლიანი ფიქრები აღძრა:

დავბერებულვარ,
ულმობელ წლებს დაუსვამს დაღი,
გადაუვლია ქარიშხალს და
სულში ჩამცხრალა,
განძარცულია
ნამქერივით თმაში ჭაღარა,
თუმც არ გამყვება, ამ ქვეყნიდან,
მე ცრემლის თქეში,
თეთრ იასამნებს
მაინც ვინმე
ჩამიდებს ხელში.

რუსუდან გოგიბერაშვილი სრულყოფილად ფლობს ფრანგულ, ესპანურ და ბერძნულ ენებს, ამ ენებიდან აქვს შესრულებული არაერთი თარგმანი, ყველაზე მეტი კი შესრულებული აქვს ფრანგული პოეზიიდან – პოლ ვალერი, ივ ბონფუა, გიომ აპოლონერი და ვიქტორ ჰიუგო.

მე, დედანთან მიმართებაში, როგორ არიან ეს თარგმანები, ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ისინი, ქართულად, დიდებულად ჟღერენ და არ იგრძნობა, რომ თარგმანები არიან.

პოეტის ლექსთა კრებული „სექტემბრის წვიმები“ გამოსცა გამომცემლობა „ივერიონმა“. რედაქტორია **მზია ხაჩიძე**, რედაქტორ-გამომცემელი – ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი **ზაურ ნაჭყეპია.**

რუსუდან გოგიბერაშვილის ლექსების კრებული, შეიძლება ითქვას, პოეტის შემოქმედებითი გამარჯვებაა. ვუსურვებთ დიდებულ პოეტს ხანგრძლივ სიცოცხლეს და, იმედია, გაისად გაგრაში შევხვდებით!

დასაწყისი გვ. 2

ძველი მეტყველების კენტურის (ეზოესის) ელემენტები „ვეფხისტყაოსანში“

ლამაზეს არ შეედრებოდა არც მზისა და არცა მთვარის მომხიბვლელობაო. მაშასადამე, ქალს არცა მზე ჰგავდა და არცა მთვარე, რადგან ეს ასული ბევრად უკეთესი იყო იმ მნათობებზე!

სწორედ ამ რიგის გამოთქმაა მომარჯვებული ხვარაზმელი სასიძოს ეპიზოდში. ინდოელნი უფლისწულ ნესტანს ათხოვებენ. ერთობ გახარებულნი არიან, რაკიღა დიდებული სასიძო იშოვეს. ხორეზმი უზარმაზარი, მძლავრი და კულტურულად დაწინაურებული ქვეყანაა. ამგვარი სახელმწიფოს დამოყვრება ხუმრობა როდია! თანაც სასიძო მშვენიერი ყმაწვილია.დგას „ზეიმი და ზარები“. სიხარულისაგან ბევრი მთვრალსა ჰგავდა. და, აი: „მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე ჰგავდა არ აღვსებისა“(რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, გვ. 555).

ეს პოეზიაა, სალექსო სტრიქონია და ყველაფერი ვერ ჩაეტევა მასში, თანაც სიტყვა „დღე“ ავტორმა ტავტოლოგიის არიდების მიზნით მეორეჯერაც აღარ გაიმეორა, თორემ პროზის ენაზე ტაეპი ასე გადმოვიდოდა:

დღე ჰგავდა არ აღვსებისა (დღესა).

ესე იგი, ისე საზეიმო დღე იდგა, რომ აღვსების (აღდგომის) დღესაც კი არა ჰგავდა! აღდგომის დღეზე უკეთესი რომ იყო, იმიტომ არა ჰგავდა აღდგომის დღესო!

ამრიგად, ინდოელნი ისე მხიარულობდნენ, რომ ის დღე აღდგომის დღეზე უკეთესი გამოდგა და ამიტომ აღარ ჰგავდა ჩვეულებრივი აღდგომის საზეიმო დღეს. სხვაგვარად, ჰგავდა აღდგომის დღეს, ოღონდ პლუსითო.

ასე რომ, სწორია, რუსთველის მხატვრული სტილის დასტურია და ქართულ ხალხურ თქმას (ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა – ქალამნად) სავსებით შეესაბამება ფიგურა:

მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე ჰგვანდა არ აღვსებისა.

ყველაფერი ეს ვერ გაითვალისწინა აკად. კ. კეკელიძემ და ამ „ბუნდოვანი“ ტაეპის გასწორება ხელოვნური ხელყოფით (კონიექტურით) სცადა. მან შემოგვთავაზა ვარიანტი, რომელსაც არც ერთი ხელნაწერი არ უჭერს მხარს:

დღე, ჰგვანდა, არს აღვსებისა.

ეს ნიშნავს: ეს დღე ისეთივე იყო, როგორც აღვსების დღეო.

ეს არის კოსმიური ჰიპერბოლის მიწაზე ჩამოგდება და ღვთაებრივი სახე-ხატის ტლაპოში ამოვლება. კონიექტურა საზოგადოდ მიუღებელია და ამ შემთხვევაში - განსაკუთრებით!

როგორცა ვხედავთ, უზუსური მოვლენის მართებულად გათვალისწინება ტექსტოლოგიური მკრეხელობისაგანაც დაგვიცავს.

ახლა ვისაუბროთ იმის თაობაზე, თუ რად ემატება რუსთველის სტროფს მეოთხე, დამამთავრებელი, ტაეპის წინ „ზედმეტი“ სიტყვა „და“.

ძველ ქართულ ტექსტებში ბევრი აბზაცი იწყება უცნაურად.მათ წინ უძღვის უცნაური კავშირი „და“.სინამდვილეში ეგ „და“ სულაც არ ყოფილა კავშირი, რადგან ბევრგან ამ „და“ ბგერათკომპლექსის წინ არავითარი სიტყვა ან ტექსტი არ იგულისხმება. სხვათა შორის, ასე უცნაურად იწყება პირველი ლიტერატურული ძეგლი „შუშანიკის წამება“.

ამგვარი შემთხვევები შეინიშნება როგორც სასულიერო, ისე საერო შინაარსის თხზულებებში.

გაირკვა, რომ ეს „უცნაური“ მოვლენა შედის „უზუსის“ (სამეტყველო ადათის, წესის, ჩვეულების) სფეროში და წარმოადგენს ძველი სამეტყველო კულტურის ფორმას (თავდიშვილი მურმან, ერთი უზუსური მოვლენა და ძველი სამეტყველო კულტურა, ჟურნ. „განათლება“, №3, 2017, გვ 34).

ამგვარი მოვლენა შეინიშნება რუსულ ენაშიც. იქ ფრაზები ხშირად იწყება „უშინაარსო“ ფორმებით а და ну.ესენი გარკვეულ კონტექსტებში სასიგნალო, გამაფრთხილებელ ფუნქციას ასრულებენ. ქართულში ასეთებია და, ხოლო, არამედ.

საგულისხმოა, რომ ეს ჩეულება, ანუ სამეტყველო ადათი, მოუმარჯვებია რუსთველსაც. პოემა „ვეფხისტყაოსანი“ აგრძელებს მეტყველების კულტურის ძველ ტრადიციებს და ყოველი სტროფის მეოთხე, დამამთავრებელი, კადენციის წინ სვამს ამ სასიგნალო ფიგურას – „და“.

ამგვარი სასიგნალო დაგრძელება შაირისა (თექვსმეტმარცვლიანი ლექსისა) ერთი სრული ხმოვნით კიდევ უფრო აძლიერებს საგანგებო სასიგნალო ეფექტს. აქ „და“ ორმხრივ ფუნქციას ასრულებს: ა) მსმენელს ყურის საშუალებით აგებინებს, რომ სტროფი სრულდება, რომ ამჟამად მკითხველი მოისმენს ერთი პოეტური მონაკვეთის საბოლოო ფრაზას; ბ) ხელნაწერის თვალით აღმქმელს კი მზერის საშუალებით აჩვენებს, რომ სტროფის სამი წინარე ტაეპისაგან სიგრძით გამორჩეული მეოთხე ბწკარი საბოლოო, დასკვნითი კადენციაა, რომლის წარმოთქმისთანავე უნდა გაკეთდეს ხანგრძლივი ყოვნი, პაუზა. ეს აუწყებს მკითხველს, რომ ერთი აზრობრივ-ემოციურად დამოუკიდებელი მონაკვეთი დასრულდა.

მოვიყვანოთ სათანადო ნიმუში:

არდავიწყება მოყვრისა აროდეს მოგვცემს ზიანსა;
ვჰგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა.
ვერ ვეცრუები, ვერ ვუზამ მას ხელმწიფესა მზიანსა,
დარა უარეა მამაცსა სულდიდსა, წასლვაგვიანსა! (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, გვ. 800).

ასე, „და“ საგანგებო სიგნალია, ძახილია, „პოზივნოია“, ესოდენ ხშირად რომ გამოიყენებოდა ძველ ქართულ ტექსტებში, როგორც სამეტყველო კულტურის ელემენტი.

რეზიუმე

თავისებურია ძველი ქართული მეტყველება.მასში შეინიშნება უზუსის ფაქტები. ზოგი მათგანი გადავიდა „ვეფხისტყაოსნის“ (XIII საუკუნის დამდეგი) ტექსტში. ეგ ფაქტები უფრო სახალისო საკითხავს ხდის ამბავს; მეორე მხრივ, ავტორის ენას აახლოებს სახალხო-სალაპარაკო ქართულთან, ანიჭებს მას ხალხურობის იერს. კერძოდ, გამოყენებულია ქართული ზღაპრის დასაწყისი ფორმულა „იყო და არა იყო რა“. არაბეთის ამბავი სწორედ ასე იწყება „იყო არაბეთს. . . “ სხვა უზუსური ელემენტებია ადგა, ლახვარი, და, მოდი, მომკალ და სხვები.არც ერთი მათგანი არ შეიცავს უშუალო შინაარსს, რაც ამ სიტყვების პირდაპირი გაგებით იგულისხმება. „ადგა“ არ გულისხმობს პიროვნების მართლა ფეხზე წამოდგომას: „ლახვარი“ არასოდეს არ გამოიყენება ომსა და შეტაკებაში; „მოდი“ არავის ავალდებულებს სადმე მისვლას; „მომკალ“ არ არის სიკვდილის მოწოდება, „და“ არ არის კავშირი.იგი ერთგვარი სასიგნალო უზუსური ელემენტია.

საგულისხმოა ერთი დაკვირვება:

თვით უზუსური ელემენტების მომარჯვების მიხედვითაც ე.წ. „ინდო-ხატაელთა ამბავი“, რომელიც სადავო მონაკვეთია, რუსთველის სტილში ჯდება.კერძოდ, ორი უზუსური ელემენტი „მომკალ“ და „ადგა“ ერთნაირადაა გამოყენებული ორივე ნაწილში.

საკვანძო სიტყვები: უზუსი, მეტყველების კულტურა, იყო, ადგა, ლახვარი, მოდი, მომკალ, და, ვეფხისტყაოსანი, ინდო-ხატაელთა ამბავი.

ქება შოთას

შოთავ, ცისკარო დილისა,
ქართული მიწის შობილო,
ხალხისთვის მართლის მძებნელო,
მგოსანთა მეფედ ხმობილო!

მნათობთა გუნდში ადგილი
ნაპოვარი გაქვს სწორისა,
მინაზე რატომ გეძებენ,
გნახონ ვარსკვლავთა შორისა!

მთელ ქვეყანაზე ნაქებო,
ჭირში და ლხინში მხლებელო,
სიყვარულის და სიწმინდის
მგზნებარედ მქადაგებელო.

შორს რად გეძებოთ ნეტავი,
ხალხის გონების მფლობელი, –
ჩვენსავ გულებში ანთიხარ
ლამპარი ჩაუქრობელი!

ჩვენი ცხოვრების სარკე ხარ,
სიმღერა მოგდევს ფრთოვანი
და ხარობს შენი სიბრძნითა
ახალგაზრდაც და მხცოვანიც!

შოთას სახელის ხსენება
ჩემთვის რარიგად ტკბილია, –
„ვეფხისტყაოსნის“ აზრები
სხივნათლით შემოსილია.

შენი ფრთიანი სტრიქონი
დედის რძესავით ტკბილია, –
მწკრივ-მწკრივად მოყოლებული
მიჯრითვე გაწყობილია.

მისით შევიქენ მე კაცად,
თუმცა ვიყავი შავბედა
სანდალამ ლექსი წარმოსთქვას,
ამითი რა დაშავდება.

ლხინში ზედმეტებს არა ვიქმნ,
ჭირში არ ვიწყებ გოდებას,
რადგანაც სიბრძნე შოთასი
მაშინვე მომაგონდება.

ავტორ-მთქმელი **სანდალა**
1966 წელი

ჩემო მესხეთო და მესხელებო!

სიტყვას ვეძებ და ვერ ვპოვებ მე შენი შექებისასა,
აღელვებულ ზღვას გამსგავსო თუ ციხეს ქაჯეთისასა,
მთები ფრთებს გიგავს, ველი – მკერდს, მთის ლაღი
არწივისასა,
პატარა მტკვარმა გიჯობა დიდ ნილოსს ეგვიპტისასა.

ღმერთი ქანდაკად გეწვია, მხატვრებად ფიროსმანები,
შეგქმნეს უზადო, უბიწო, ძვირფასი სათაყვანები,
ღვაწლმოსილს ხოტბა გეკუთვნის, ჩვენგან
არ დასანანები,
მთელი სამყარო დაძებნონ, ვერ ნახონ შენისთანები.

ღირსო ყოველთა მგოსანთა, ლექსებით საქებარითა,
მრავალჯერ გულდასერილო ხმლებით,
თოხით და ბარითა,
უხვი ნაყოფის მომცემო მაღლა მთით, დაბლა ბარითა,
დიდთა ქართველთა აკვანო სხვა შეგედრება შენ რითა.

ედემს ვამსგავსე ვარძია, თმოგვი, ასპინძის მთა-ველი,
აწმყო მახარებს, მომავალს გულით ვუმღერი და ველი,
სალამს გიძღვნიან მოძმენი – კახი, იმერი, ფშაველი,
შენად დიდებად გვეყოფა თმოგველი და რუსთაველი.

საუკუნეებს ხვდებოდნენ ციხენი – პირის ბანითა,
მესხი მტრებს მტრულად, პირქუშად,
მოყვრებს – ქორწილის ბანითა,
ავსა და კარგსა ზიარად მიწური ერდო-ბანითა,
„ვეფხისტყაოსანს“ ატანდნენ პატარძლებს კიდობანითა.

დღეს არ დაგითმოს მესხელმა ჭაშნიკი დაულეველი,
მოგეწონება, დაჯდება, დალოცავ, დაულევ, ელი,
ყოველმხრით მოდის სიკეთე, სიუხვე დაულეველი,
ადიდოს მისი ბარაქა, უშრეტი და ულეველი.

მამაცსა შვენის – მხნეობით ეფერებოდეს ყანასა,
ვით დასტაქარი ვენახში მარჯვედ ხმარობდეს დანასა,
მამული შვილად მოუხმობს, მდინარე ეტყვის ნანასა,
სამშობლო ქებას შეჰკადრებს ვაჟკაცსა ამისთანასა.

არ ვარგა კაცი ლაქლაქა, პირგახეული, ყიალა,
მოშურნე, ფლიდი, გულცივი, უსაქმური და ტიალა,
არმად შეერგოს უმსგავსოს პური, მარილი, ფიალა,
ორგული კაცობრიობის ცხოვრებამ გაატიალა.

სჯობს წყალი შესვა ანკარა თუ ღვინო, არის გმობილი,
ნამუსი გქონდეს სპეტაკი, სინდისი – გამოწრთობილი,
უფროსი დედად იწამო, უმცროსი იყოს დობილი,
ირჩიოს ერთხელ სიკვდილი, რაკი ერთხელ ხარ შობილი.

ავტორ-მთქმელი **შალვა ჩიტაძე**, ახალციხე,
1966 წელი

ვარძია ვნახე

ვარძია ვნახე ლამაზი,
თამარის გამოჭრილია,
სხვა მონასტრებიც ააგო,
გაკუთხული და თლილია.

ააგო ციხე-ქალაქნიც
უწყლოს ადინა წყალია,
სუყველანი გააკვირვა,
რა არის თამარ ქალია.

იმ დროს ცხოვრობდა უკვდავი
ჩვენი მელექსე შოთაო,
აჯობა სიბრძნით სუყველას,
მათ შეუყენა შფოთვაო,

იმათ შეუქმნეს ქვეყანას
სახელოვანი ხანაო,
შოთას ვინ შეედრებოდა,
ვინ იყო იმისთანაო.

რუსთაველის იუბილეს

ფილოსოფოსნი შემოკრბნენ,
შენზე აქვთ დიდი ყრილობა,
შენი სამშობლო აღმდგარა,
აღარ აწუხებს ჭრილობა.
წალკოტად იქცა რუსთავი,
კლდეკარი, კაპან-კორდები,
„ვეფხისტყაოსნის“ ფესვებზე
წამოიზარდნენ ყლორტები.

ბერმუხავ, 800 წლისავ,
ჩვენო ბრძენო და მხცოვანო,
მზეთა მნათობო, უჭკნობო, ოქროს სხივების მთოვარო.
შენმა გენიამ სამშობლო მრავალგზის გადაარჩინა,
– სიბრძნე და ხმალი ქართველმა დიდებით გამოაჩინა.

შენი ტკბილი ხმის ჟღერანი, მესხეთის გულში დნებოდა,
თამარს აქებდა მეფესა, სამშობლო ფეხზე დგებოდა,
„ვეფხისტყაოსნის“ გენიით მუდამჟამს გვეცნაურები,
ვით დედო ზარის გუგუნი სამშობლოს ეხმაურები.

მოსჩქეფს რუსთველის გენია, სიტკბო-სიკეთის
მთოვარი,
ხალხს მიაგებე სიკეთე, სიმართლე მუდამ იცოდი,
შენ გწვავდა ინკვიზიცია, მაგრამ არასდროს იწვოდი.

საუკუნეებს რვაასი ვით ცეცხლი მოეკიდება,
დაე, იქუხოს რუსთველმა, ივერთა გულის დიდებამ.
დღეს გეგებება მსოფლიო, ზურმუხტით გადაბურული,
შენა ხარ ძმობის სიმბოლო და ბრძენთა დიდი ქურუმი.

შენა ხარ ხალხთა მნათობი, ბრძნული აზრების მისანი,
საწუთროს მუდამ აღავსებს შენი სხივების ისარი.
შენია დიდი საუნჯე, ხალხის აზრი და მიზანი,
იბრწყინე მრავალჟამიერ, ვითა ვარსკვლავნი ცისანი.

ბრძენი მესხეთი მასპინძლობს დიდებულ
ქართულ ზნეობით,
მტერსაც დავხვდებით, მოყვასსაც,
რუსთველის პირიმზეობით.

ავტორ-მთქმელი **სერგო ბერიძე**,
1966 წელი

შვიდი წლის ქალი თამარი

შვიდი წლის ქალი თამარი
მეფედ თქვეს, დედოფალია,
ზღვის პირზე შევიყარენით,
შეგვექნა საომარია!
ზღვასა გადაჰკრა ჩიქილა,
გადააქანნა წყალნია,
შუა ზღვას ჩადგა ნიშანი,
არ გამოსცილდეს ცხვარია!
შიგ ააშენა სიონი,
დაადგა ოქროს ჯვარია,
სახელი თამარ მეფისა
ზედ დააწერა გვარია,
ურჯულოსი და თათრისა
ყველას სარწმუნო არია.

თამარის საფლავი

თრიალეთს დიდსა საყდარში
თამარი ასაფლავია:
მისებრი ქალი ერთგული
ქართველებს არა გვყოლია.
ჩიტებმა იწყეს ჭიკჭიკი
სიმღერა თამარისაო.
ჩვენ იმას ვიღან გვაჩვენებს
ის არის სამარესაო.

მთქმელი **ბასილ გოგოლაძე**, სოფელი ბარალეთი, 70 წლის, ჩაიწერა **გიორგი გოგოლაძემ** 10.10.37 წ.

ახალ მესხეთზე

შენი ჭირიმე, მესხეთო,
მაგ შენი მწვანე ველისა,
საამაყო ხარ ქართველის
აღმზრდელი რუსთაველისა.

შენ მრავალ წლობით ნატანჯო
დიდო ნაბრძოლო მტერისა,
გიდასტურებენ ნაშთები
ციხის ნანგრევნი ძველისა.

დღეს კი ხელახლა აყვავდი,
ვით გაზაფხულის ვარდია,
გმირი მებრძოლნი, ვაჟკაცნი,
შენ გალავანად გარტყია.

ყველა მეტყველებს ნაშთები
ჩვენი მამა და პაპისა
და რუსთაველმაც განაგრძო
დაწერა ვეფხის ტყავისა.

თამარის ნაცხოვრები ხარ,
კლდეო ქალაქო, ვარძია,
დღეს ამეტყველდი უსულო,
ძველთაგან დანამარხია.

ყველა ხალისით მუშაობს,
ყველას სიცოცხლე სწყურია
და ამისათვის ცხოვრება
შეგვექმნა საამურია.

დღეს ჩვენი მტერი დამარცხდა,
ახლა ქვეყანა ყვავისა
ამ საამური ყოფისთვის
ვაშა, დიდება სტალინსა.

ახალციხის რაიონის სოფელი აწყური, მთქმელი **მოსე სოლომონის ძე ოქროშელიძე**. *ჩასწერა* **გ.გ. ასატუროვმა** *1948 წლის 25 აგვისტოს.*
ქ. თბილისი, ფოლკლორის ეროვნული ცენტრი

შენი ჭირიმე მთვარეო

(ურმული)

შენი ჭირიმე მთვარეო,
გზა გამინათე მალეო,
ვარძიას მივალ დღეობას,
მაინც მივიდე ხვალეო;
ამოდი, ნუღარ გვიანობ,
ამოდი, გენაცვალეო,
რატომ სინათლეს არ მოჰფენ
ამ ჩვენსა არემარესა,
სიბნელე მოგვაშორევი,
ნაღველს ნუ გვასმევ მწარესა,
ალალო ჩემო ხარებო,
მე თქვენს ქედს ვენაცვალები,
ვარძიას მივალ დღეობას,
ურმით მიმიდის ქალები.

ვარძია ვნახე

ვარძია ვნახე ლამაზი,
თამარის გამოჭრილია,
სხვა მონასტრებიც ააგო,
გაკუთხული და თლილია.
ააგო ციხე-ქალაქნიც
უწყლოს ადინა წყალია,
სუყველანი გააკვირვა,
რა არის თამარ ქალია.
იმ დროს ცხოვრობდა უკვდავი
ჩვენი მელექსე შოთაო,
აჯობა სიბრძნით სუყველას,
მათ შეუყენა შფოთვაო,
იმათ შეუქმნეს ქვეყანას
სახელოვანი ხანაო,
შოთას ვინ შეედრებოდა,
ვინ იყო იმისთანაო.

მთქმელი **როსტომ წინწკალაძე**, 82 წლის, სოფელ მურჯახეთი, ჩაიწერა **გიორგი გოგოლაძემ**
1936 წლის 7 მარტს

ქართველი ეროვნული პატრიოტიზმი?!

ოდითგანვე ქართველებს სამშობლოს სიყვარული, ანუ პატრიოტიზმი ასულდგმულებდა და სიცოცხლეს სწირავდნენ მის გადასარჩენად. მარტო ჩვენი მირონცხებული მეფეების გმირობის და თავგანწირვის ჩამოთვლაც იკმარებდა იმისთვის, რომ თვალნათლივ გვეჩვენებინა თუ რა სასწაულებს ახდენდნენ ისინი სამშობლოსათვის. ქვეყნის წინაშე მეფეთა თავდადება ერმა და მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ღირსეულად შეაფასა და არაერთი მათგანი წმინდანად შერაცხა.

სამშობლოს ბედნიერებისათვის მებრძოლი და თავგანწირული ადამიანები არასდროს მოკლებია ჩვენს ბედკრულ საქართველოს. ყველა ეპოქაში იყვნენ ერის სახელოვანი შვილები, რომლებიც ერთგულად იდგნენ მამულის, – საყვარელი სამშობლოს დამცველებად. გონიერი, მოაზროვნე, შემოქმედი, იდეების ერთგული, პატიოსანი და მოუსყიდველი პიროვნებები ალამაზებდნენ და ამკობდნენ ქვეყნის, ერის იმიჯს, ზრუნავდნენ სამშობლოს მომავლისათვის. ღვაწლმოსილ მამულიშვილთა შორის აუცილებლად უნდა დავასახელოთ „ერის მამად“ აღიარებული **ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, სარაჯიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი** და ვინ მოსთვლის სახელოვან მამულიშვილებს, მეცნიერებს, მწერლებს, მსახიობებს, რეჟისორებს, კომპოზიტორებს, რიგით ადამიანებს, რომლებმაც თავიანთი ცოდნა, გამოცდილება, ინტელექტი და შემოქმედება სამშობლოს წინსვლას და ერის კეთილდღეობას შესწირეს.

ეს მცირედი შესავალი იმიტომ დაგვჭირდა, რომ მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენოთ წარსული და იმაზეც ვთქვათ, თუ რა პროცესები მიმდინარეობს საზოგადოებაში, როგორ ვითარდება ახალგაზრდობა, ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი მომავალი, როგორი იქნება ჩვენი ბედკრული სამშობლო XXI საუკუნის ბოლოს, გაუძლებს თუ არა სრულიად საქართველო მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებს.

ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ ინტელიგენციამ, საზოგადოების მოწინავე ნაწილმა უნდა თქვას გადამწყვეტი სიტყვა სამშობლოს გადასარჩენად.

და აი, სათქმელს მივადექით. ვინ შეიძლება ჩაითვალოს ინტელიგენტად?

ინტელიგენტი ინტელიგენციის შემადგენელი პიროვნებაა, რომელიც გამოირჩევა გონიერებით, აზროვნებით, შემოქმედებით, პრინციპულობით, იდეების ერთგულებით, პატიოსნებით, მოუსყიდველობით. საზოგადოებაში სარგებლობს დამსახურებული ავტორიტეტით. სამწუხაროდ, ნებისმიერი ინტელექტუალი არ არის ინტელიგენტი, ამის კლასიკური მაგალითია, რომ იტყვიან, ნაწვიმარზე სოკოებივით მომრავლებულ პოლიტიკურ პარტიებში მოკალათებული ინტელექტუალური პიროვნებების საქმიანობა **(„გირჩი“, „ნაცმოძრაობა“, „ევროპული საქართველო“, „რესპუბლიკური პარტია“** და სხვები), რომლებიც, ერთი შეხედვით, სამშობლოს მომავლის გულდათუთქული გულშემატკივრები არიან, მაგრამ, სინამდვილეში, რევანშისტული ფსიქოლოგიით, ხელისუფლებაში მოსვლის სულისკვეთებით არიან განმსჭვალულნი. ისინი ავანტიურისტული აზროვნების ადამიანები არიან, ამასთან საქართველოს ხვალინდელი დღე ჩირადაც არ უღირთ. ეს ჭეშმარიტება მათ განვლილ წლებში თვალნათლივ დაამტკიცეს და მკითხველებს არ გადავღლი პარტიების ლიდერთა „საგმირო“ საქმეებით.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, ყველა ქვეყანაში, ინტელიგენციას, ანუ საზოგადოების მოწინავე ნაწილს, უდიდესი გავლენა შეუძლია მოახდინოს ქვეყნის განვითარებაზე, გონივრული რჩევა მისცეს ხელისუფლებას. ამიტომაცაა, რომ ბევრ სახელმწიფოში ხელისუფლება ღირსეულად აფასებს ინტელიგენციის ღვაწლს და ყოველმხრივ ცდილობს შექმნას ინტელიგენტთა ერთობა, ანუ სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც გვერდში დაუდგება ხელისუფლებას და ერთგული, მოუსყიდველი რჩევებით დაეხმარება ქვეყანის აღმშენებლობის პროცესში.

რა ვითარებაა ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში და, კონკრეტულად, ბორჯომის ხეობაში. ვგრძნობთ თუ არა ინტელიგენციის როლს სამშობლოს საკეთილდღეო ბრძოლაში?

თუ გულახდილები და გულწრფელები ვიქნებით, ვიტყვი, რომ, სამწუხაროდ, დღეს ჩვენში, ნაღდი ინტელიგენციის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ იგრძნობა. დღეს არც რესპუბლიკაში და არც ჩვენს ხეობაში სამოქალაქო საზოგადოება ვერ ჩამოყალიბდა, ამიტომაცაა, რომ, ზოგადად, სახელმწიფო მმართველობას უჭირს ქვეყნის მართვა, უჩინო ნაწილი ყოველმხრივ ცდილობს, დააკნინოს ნაღდი ინტელიგენციის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ათასნაირი ეპითეტებით ამკობს მის ღირსებას და დამსახურებას, ხან „ჩარეცხილებია“, ხან „კრემლის აგენტები“, მოითხოვენ ჭეშმარიტი ინტელიგენტებისაგან ქვეყნის განმენდას, რათა გზა გაითავისუფლონ ხელისუფლების სათავეებისაკენ, ქვეყანაში დაამკვიდრონ ქაოსი და განუკითხაობა „თავისუფლების“, „დამოუკიდებლობის“ და „ჯოს“, „ჯოს“ ძახილით, აქციებით, სამშობლოს სიყვარული მეათე ხარისხში გადაიყვანონ, კიდევ უფრო მოამრავლონ ნარკომანები (თითქოს გვაკლდეს ამ კატეგორიის ადამიანები, მსოფლიოში მესამე ადგილზე ვართ და 300 ათასი ნარკომანი დღეს მოითხოვს ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციას და ლეგალიზაციას). ფართო გზა გაუხსნან პროსტიტუტკების და გეების, სხვა აღვირასხსნილ ცხოვრებას. ახალგაზრდობას დაავიწყონ ერის წარსული, ტრადიციები, მემკვიდრეობითობა, მართლმადიდებლური წეს-ჩვეულებები, სარწმუნეოებისადმი უპირველესი სიყვარული, სულიერების, ზნეობისა და პატრიოტიული გრძნობებისადმი პატივისცემა.

ახლა ხშირად გაიგონებთ, ახალგაზრდობა გაირყვნაო, საზოგადოებამ დაკარგა უფროს-უმცროსობისადმი პატივისცემაო. ალბათ, ამ თვისებების უგულებელყოფის გამო ამბობდა ზვიად გამსახურდია : **„თუ გსურს ერი, ან ადამიანი გახრწნა და გადააგვარო, მას არა მარტო უნდა დაავიწყო წარსული, არამედ უნდა გაუყალბო კიდეც იგი, თავისი ჭეშმარიტი გმირები ბოროტმოქმედებად და უნიათო კაცუნებად უნდა დაუსახო, მედროვენი და მოღალატეები კი – გმირებად“.**

პატრიოტიზმზე, ანუ სამშობლოს ერთგულ სიყვარულზე და თავდადებაზე საუბარი მეტად საძნელო საქმეა, რადგან სიტყვასა და საქმეს შორის ზღვარი დიდია. თვითონ განსაჯეთ, ხშირად „ჩვენობით“ საუბარი მოგვწონს, არადა „მეთი“ საუბარი ჯობია. არცთუ იშვიათად წარსულით ვამაყობთ, (ეს ხშირად მაშინ გვემართება, როცა სუფრასთან ვიმყოფებით), არადა, ჯობდა კონკრეტულად გვეფიქრა, რას ვაკეთებთ, როგორ ვზრუნავთ, თითოეული ჩვენთაგანი ჩვენი უბნისთვის, სოფლისთვის, ქალაქისთვის და, ბოლოს, სამშობლოსათვის. თუ პატრიოტი ხარ, ეს უნდა იყოს მთავარი განმსაზღვრელი ჩვენი ყოველდღიური საქმიანობისათვის.

„მხოლოდ უვიცობა, უკულტურობა, თავის თავზე დიდი წარმოდგენა და სიზარმაცეა ჩვენი შეურიგებელი და დამაბრკოლებელი მტერი ცოდნისაკენ მიმავალ ფართო შარაგზაზე“, – წერდა ერის დიდი განმანათლებელი **იაკობ გოგებაშვილი** და როცა ამ სტრიქონებს კითხულობ, ალბათ, გაოცებულები რჩებით, რესპუბლიკური პარტიის ყოფილი თავმჯდომარის, პარლამენტის ყოფილი სპიკერის ბატონ **დავით უსუფაშვილის** ნათქვამით: **– „ჩვენ ჩვენს შვილებს არ ვეუბნებით, რომ შენ, ჩემო შვილო, დაიბადე და გაგაჩინეთ იმისათვის, რომ სამშობლოს გმირად უნდა შეეწირო. მე ამას არ ვეუბნები შვილებს. მე ვეუბნები, რომ, შვილო, თქვენ დაიბადეთ, შეიქმენით და გაჩნდით ამ ქვეყანაზე, იყო თავისუფალი და ბედნიერნი“.**

სამწუხაროა, რომ კაცი, რომელიც საკუთარ შვილებს არ ასწავლის სამშობლოსათვის თავდადებას და მის სიყვარულს, წერილს უგზავნის ქვეყნის პრეზიდენტს და **„სამშობლოს გადასარჩენად“** გაერთიანებისაკენ მოუწოდებს კაცს, რომელსაც ქართველი ერი დებილებად და გონებაჩლუნგებად მიაჩნია, უფრო მეტი მკრეხელობა შეუძლებელია წარმოიდგინო, მაშინ, როცა ქვეყნის მართვის უმაღლეს საფეხურზე მყოფი ადამიანები ასე მსჯელობენ.

ცოტა ხნის წინათ, თბილისში, ღამის კლუბების მხარდამჭერთა გამომსვლელების დედააზრი მოკლედ შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს, – ჩვენ, ახალგაზრდები, თავისუფალ მოქალაქეებად დავიბადეთ და რასაც გვინდა იმას გავაკეთებთ და როგორც გვინდა ისე ვიცხოვრებთ. ჩემი თავი და სიცოცხლე მე მეკუთვნის, თუ მინდა ნარკოტიკს მოვწევ და თუ მინდა, ჰომოსექსუალებს დავუმეგობრდები, ჩემს სიცოცხლეს როგორც მინდა ისე მოვიხმარო და ა.შ.

ამ ადამიანებს ავიწყდებათ, რომ ამ ქვეყანაზე ნებისმიერის სიცოცხლე ღმერთს და სამშობლოს ეკუთვნის და მისი ერთგული შვილი უნდა იყოს, მის სამსახურს უნდა შეალიოს საკუთარი სიცოცხლე.

თავისუფლება არ ნიშნავს, თავგასულობას და არც დემოკრატია უნდა გადავზარდოთ დემაგოგიაში. სამწუხაროდ, ამ ჭეშმარიტებას ადამიანები ივიწყებენ და ხშირად, როგორც იტყვიან, „მოუკრეფავში“ გადადიან, მათთვის სამშობლო, დედაეკლესია, ზნეობა, სულიერება, წარსულის ტრადიციები და უფროს-უმცროსობა დევალვირებულია. ნამდვილ ინტელიგენციას, საზოგადოების მოაზროვნე და გულშემატკივარ პიროვნებებს სამშობლოს მოღალატის, გამყიდველის, ჩარეცხილის, რუსეთის აგენტის, უნიათოს სახელს არქმევენ. ბრბოს ინსტიქტი მძლავრობს და სამშობლოს საკეთილდღეო საქმეებისთვის კი არაა შემართული, არამედ ხელისუფლებაში მოსასვლელად იბრძვის.

არ ვიცი, რა სახელი მოვუძებნო „გირჩის“ ლიდერის **ზურაბ ჯაფარიძის** ქმედებას, რომელმაც საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა პარლამენტის წინააღმდეგ, – გინდათ თუ არა, მარიხუანას ლეგალიზაცია და დეკრიმინალიზაცია დააკანონეთ და ადამიანებს თავისუფლება მიანიჭეთ, როგორც უნდა ისე მოიქცნენო. „ელიტურმა“ მოსამართლეთა კორპუსმა ჯაფარიძეს მხარი დაუჭირა და დაადგინა, – მარიხუანა „უმტკივნეულოა“ და რამდენიც გინდათ, მოწიეთო. არადა, მედიცინის მუშაკები, ექსპერტები და სწავლული ადამიანები ხმამაღლა ამბობენ, მარიხუანა ჩვეულებრივი ნარკოტიკიაო!

მოდით ახლა და, თქვენ განსაჯეთ, ძვირფასო მკითხველო, „გირჩის“ მეთაური, რომელმაც სამი უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა და ინტელექტუალია, შეიძლება ჩაითვალოს ინტელიგენტად?! იგი ჩვეულებრივი მედროვე პიროვნებაა და იმის ცდაშია, როგორმე არჩევნებში 300 000 ნარკომანმა მხარი დაუჭიროს და ხელისუფლებაში მოვიდეს ან პარლამენტში დეპუტატის მანდატი მოიპოვოს, რა სიკეთეს მოუტანს ასეთი „სახელმწიფო მოღვაწე“ ქვეყანას? ცხადია, არანაირს! ასეთი პიროვნებისათვის საქართველოს სიყვარული, მომავალი და განვითარება, ანუ პატრიოტიზმი, ფუჭი სიტყვებია. გთხოვთ ასეთებს არ დაუჯეროთ!

წერილის დასაწყისში აღვნიშნე, თანდათანობით ქართველები კარგავენ სამშობლოს სიყვარულს, პატრიოტულ სულისკვეთებას, უფრო მეტიც, არ უფრთხილდებიან სამშობლოს ღირსებას, მის სახელს, რომლითაც ასე ვამაყობდით ათეული წლების წინათ.

ვიცი კვლავ მომთხოვთ კონკრეტულ მაგალითებს.

ასეულობით ქართველი საზღვარგარეთის ქვეყნებში გადაიხვეწა სამუშაოს საძებნელად, ლუკმა-პურის საშოვნელად, ოჯახების, შვილების გადასარჩენად. ძნელია უცხო ქვეყანაში ცხოვრების აწყობა, დამკვიდრება. გახსოვთ „დათა თუთაშხიაში“ მამა რომ შვილებს ესაუბრება, – შენს ქვეყანაში შენი ოჯახის ღირსეული დამცველი უნდა იყო, ხოლო სხვა ქვეყანაში შენი სამშობლოს დესპანობა გევალებაო.

მრავალი ქართველი თავისი კეთილსინდისიერი შრომით და ქცევით ნამდვილად ითვლება საქართველოს ღირსეულ პატრიოტად, სოციალური ქსელები სავსეა სამშობლოზე მონატრებული ადამიანების წერილებით, მაგრამ პატრიოტებს ვერ უწოდებ იმ ადამიანებს, რომლებმაც ქურდობა-მამაძაღლობით შეირცხვინეს თავი და შეარცხვინეს საქართველო, ევროპის ქვეყნების ციხეები სავსეა უღირსი ქართველებით. ალბათ, ამიტომ წერდა ცნობილი ფილოსოფოსი კანტი: **„ყველაზე დიდი უბედურება აღვირახსნილი თავისუფლებაა“**-ო. დიდი განმანათლებელი ვ. ბერკი წერდა: **„ადამიანებს ზუსტად იმ ზომით აქვთ უფლება მოქალაქეობრივ თავისუფლებაზე, რამდენადაც მზად არიან, თავიანთ ლტოლვებს მორალის ბორკილები დაადონო“**, ხოლო არისტოტელე ამბობდა – „ნებისმიერი საზოგადოებისათვის შესაბამისი განათლება უპირველესი ამოცანაა“.

რუსეთში ერთი თვე მიმდინარეობდა მსოფლიო პირველობა ფეხბურთში. ყველამ თვალნათლივ ვნახეთ თუ როგორი პატრიოტული მუხტით თანაუგრძნობდნენ გულშემატკივრები თავიანთ სახელმწიფოს გუნდებს, როგორ ერთხმაში მღეროდნენ საყვარელი სამშობლოს ჰიმნს (ჩვენში კი ორსტროფიანი ჰიმნიც არ ვიცით ბოლომდე). ხორვატიელმა ფეხბურთელებმა ნამდვილად გამოავლინეს სამშობლოს სიყვარული და პატრიოტიზმი. თურმე, ხორვატიაში, უცხოელებზე მინა არ იყიდება და ჩვენსავით მცირერიცხოვანი ერი ერთმუშტადაა შეკრული და სასწაულებს ახდენს ქვეყნის განვითარების ყველა სფეროში. ფეხბურთელებმა ჯილდოდ მიღებული მილიონები ღარიბ თანამემამულეებს დაურიგეს.

ჩვენთან როგორაა საქმე ამ კუთხით? ჩვენ, მართლაც, კურიოზების ქვეყანაში ვცხოვრობთ. ყველა სფეროში მოგვიმრავლდნენ ექსპერტები, პოლიტოლოგები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები, წინასწარმეტყველები, პოლიტიკოსები, ელგეტეტეს მიმდევრები, გეები, ნარკომომხმარებლები და ა.შ. სამაგიეროდ აღარ ჩანს ინტელიგენცია, ვისაც ნამდვილად მოეკითხება სამშობლოს სიყვარული და გონივრული რჩევა. თბილისი ალბათ მალე უცხოტომელთა ქალაქად გადაიქცევა, თურმე ბინების 70%-ს ირანელები და არაბები ყიდულობენ. ქართველთა დემოგრაფიულ, კატასტროფულ ვითარებაზე ადრეც ვწერდი.

ამას წინათ სოციალურ ქსელში ამოვიკითხე“ **„მაჩვენეთ თუნდაც ერთი მინისტრი, დეპუტატი, პარტიული თუ საჯარო მუშაკი, რომელსაც თავისი ნიჭი, სიცოცხლე, უნარი ზვარაკად მიაქვს სამშობლოს სამსხვერპლოზე, თავის სამსახურეობრივ მოვალეობას ასრულებს კეთილსინდისიერად, უარს ამბობს უზარმაზარ ხელფასებზე, კიდევ უფრო მეტ პრემიაზე, ვკითხავ, თუ იმყოფინებს 180 ლარს თვიდან თვემდე და თუ დადებით პასუხს გამცემს, ძეგლს დავუდგამ“.**

სამწუხაროდ, ქართველებს (უმრავლესობას) სამშობლო მხოლოდ სადღეგრძელოებში გვიყვარს. შეგახსენებთ, რას წერდა ვაჟა-ფშაველა „ღმერთო, ქართველს ქართველი შეაყვარე და ორივეს – საქართველო“.

მიმოიხედეთ და დარწმუნებით, 30 წელიწადში რამდენი რამ დავკარგეთ ტერიტორიებთან ერთად, ქვეყნის სიმდიდრე ჯართად გავიტანეთ თურქეთში. დღე არ გავა, საგანგაშო ცნობა არ შევიტყოთ მკვლელობის, ხანძრის, ავარიისა და სხვათა შესახებ. თვალი, ყური, გონება მიეჩვია ქვეყნის ნგრევის ფაქტებს და ეპიზოდებს. ახალი საქართველოს ასაშენებლად არაერთი ხელისუფლება გამოვცვალეთ, მაგრამ წინსვლა არ იგრძნობა...

ჩვენ ის ერი ვართ, ვისაც უყვარს დიდი ხმაური, ჩვენ შეგვიძლია ხმამაღლა ვიმღეროთ „სამშობლოს ვერავინ წაგვართმევს“-ო, გახსოვთ, გვმოძღვრავდნენ, თავისუფლები და დამოუკიდებლები ვიყოთ და „ბორჯომი“ და ჩაი გადაგვარჩენსო, არადა, სამშობლო დიდი ხანია უკვე წართმეულია, „ბორჯომი“ უცხოელებზეა გაყიდული, ხოლო ჩაი საერთოდ აღარ გვაქვს.

ქართველებს აღარ შეგვიძლია საქმე ვაკეთოთ პომპეზურობის გარეშე, ჩვენ გვიყვარს ჩურჩული ყვირილით, ეგებ ასეცაა ჩვენი დაცემის და გადაგვარების ერთ-ერთი მიზეზთაგანი.

გახსოვთ, ილიას უკვდავი ლექსი-შეგონება „ბედნიერი ერი“, თუ დაგავიწყდათ კიდევ ერთხელ შეგახსენებთ.

ვალერიან ლომიძე,
გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორი,
საქართველოს დამსახურებული
ჟურნალისტი

როგორ იქმნებოდა გიორგი ლეონიძის პოემა „ბავშვობა და ყრმობა“

გიორგი ქავთარაძე

გიორგი ლეონიძე შვილიშვილთან – გიორგი ქავთარაძესთან ერთად

ერთხელ, ჯერ კიდევ სკოლის მოწაფეობის დროს, მკითხა: ჩემი პოემა „სამგორი“ თუ წაგიკითხავსო. მივუგე: მთლიანად არა, გული ვერ დავუდე, ძნელი წასაკითხია, ერთფეროვანი მეჩვენა-თქო. მიპასუხა: შენ ჯერ ვერ ხვდები, რა არის „სამგორიო“, როცა გაიზრდები, მაშინ წაიკითხე და მიხვდებიო.

გავიდა ნახევარი საუკუნე, წავიკითხე და ეჭვი გამიჩნდა: ხომ არ იყო *„სტალინის ბავშვობა და ყრმობის“* მნიშვნელოვანი ნაწილი *„ვახტანგ გორგასლის ცხოვრებად“* ჩაფიქრებული პოემის ნამსხვრევები?

სიტყვა „ნამსხვრევებს“ იმიტომ ვხმარობ, რომ **1948** წლის გაზეთ **„კომუნისტში“** გამოქვეყნდა წერილი **„სიმბოლიზმის ნამსხრევები“**, რომელშიც წინა, 1947 წელს გამოქვეყნებული ისტორიული პოემა „სამგორი“ და მისი ავტორიც კრიტიკის ქარ-ცეცხლში იყო გატარებული. არადა, მოგებული ომის შემდეგ, თითქოს შედარებით უფრო ტოლერანტული გარემო უნდა შექმნილიყო; თუმცა, ისიც გასათვალისწინელია, რომ სწორედ ამ დროს ჰქონდა ადგილი საბჭოთა იმპერიაში მორიგ „ლაშქრობას“ ფორმალიზმის წინააღმდეგ.

ვფიქრობ, რომ მოახლოებულმა, გარდაუვალმა საფრთხემ (რისი შეგრძნების უნარი, საჭიროების დროს, საქართველოში ყოველთვის იყო ხოლმე და დღესაც არის!) აიძულა პოეტი „დაემსხვრია“ თავისი ოცნება – შეექმნა საქართველოს ისტორიის პოეტური ვერსია (ამის შესახებ თვით უთქვამს), – და ამით გადაერჩინა სიცოცხლეც და თავისი შემოქმედებაც. ეს უნდა მომხდარიყო 1933 წელს, ამაზე თითქოს მიგვანიშნებს ერთსა და იმავე წელს დაწერილი ორი ლექსი, – ჯერ **„ნიტას“** და შემდეგ **„სტალინს“**. აღსანიშნავია, რომ 2012 წელს პრინსთონის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ **ნიკოს კაზანძაკის** ეპისტოლარული მემკვიდრეობისადმი მიძღვნილ 875-გვერდიან წიგნში *„ნიკოს კაზანძაკისის რჩეული წერილები“*, ავტორი **პიტერ ბიენი** აღნიშნავს, რომ პოემამ – **„ბავშვობა და ყრმობა“– გადაარჩინა ლეონიძე საბჭოთა რეჟიმის რეპრესიებისაგან“** *(ბიენი, 2012, 289).*

მაგრამ, რა უნდა ყოფილიყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის პოემა „სამგორის“ მიუღებლობის ძირითადი მიზეზი? პირველ ყოვლისა, თვით პოემის პათოსი; იმ ხელისუფლებისათვის, რა თქმა უნდა, ძნელად მისაღები იყო ლეონიძისეული სტრიქონები:

„მაგრამ გულისთქმა საქართველოში
ყველასი ერთი იყო უკლებლად:
– ნემსში გავძვრებით, ცეცხლში
დავდნებით
და მოვიპოვებთ თავისუფლებას!...“

ან კიდევ:

„ჩვენ კი სხვა ქვეყნად არ ვეძებთ
ოქროს,
არ გაგვიშლია მისთვის აფრები,
თავისუფლების ვართ მაძებარი,
ზედ მშობელ მიწას დავეკაფებით!“

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ლეონიძის მიერ დაწერილი ყოველი პწკარი, მათ შორის იძულებით ნაწერი და მისი ყოველი ნაბიჯი, საქართველოს ინტერესებს ემსახურებოდა. თვით 1936 წლის დასაწყისში ქვეყნის გასაბჭოების მეთხუთმეტე წლისთავთან დაკავშირებით სტალინისადმი ქართველი მწერლების სახელით ლექსად მიწერილი წერილსაც კი ამისთვის იყენებს:

„...რუსის მეფემ, სისხლის მსმელმა,
ქრისტეს ჯვარზე ჰფიცა ჯერა,
მერე ცეცხლით შემოვიდა,
სიკვდილივით დაგვეძგერა, –
ხიშტებით და ბორკილებით
კავკასია მოამტვერა.
მას უნდოდა ოქრო, ვერცხლი,
მიწა, მსხვერპლი ყველა მხრიდან,
ჰგვიდა, თხრიდა ყოველივეს,
თავს რომელიც არ უხრიდა.
საქართველო წინ გაიდო
აზიისკენ გზად და ხიდად...
ამოგვართო მეფემ ენა,
სიტყვის კარი ამოჰქოლა,
ათასწლოვან ჩვენს კულტურას
მოეხვია ცეცხლის რგოლად...“

ლექსის ზემო მოყვანილი სტრიქონი, **“ საქართველო წინ გაიდო აზიისკენ გზად და ხიდად...“** აშკარად ავლენს პოეტის ინტერესს გეოპოლიტიკის მიმართ და ეს სავსებით ესადაგება მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში არსებულ განწყობილებებს.

არც გეოპოლიტიკით პოეტის დაინტერესება იყო შემთხვევითი. ჯერ კიდევ 1920 წლის გაზეთ „ნაციონალისტში“ (№20) გამოქვეყნებულ წერილში „ვახტანგ მეექვსე“, ლეონიძე 18 საუკუნის ადრეული პერიოდის შესახებ წერდა, რომ **„ამ საუკუნის დრამაში მრავალი საშინელი აკტია, მაგრამ ყველაზე ის აკტია სისხლეური, რომელსაც ეწოდება: „საქართველოს პოლიტიკის დუელი საქართველოს გეოგრაფიასთან“**. წერილიდან ვგებულობთ, რომ ავტორს მხედველობაში აქვს საქართველოს სტრატეგიული, პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობის გამო პეტრე პირველის დროინდელი რუსეთის სწრაფვა ჩვენი ქვეყნის დასაუფლებლად, რაც შავი ზღვის აუზისა და სპარსეთ-ინდოეთისაკენ მიმავალი სავაჭრო გზის ხელში ჩაგდების ტოლფასი იყო. გარდა ამისა, საკუთრივ გეოპოლიტიკური თვალთახედვითაც რუსეთისათვის დაუშვებელი იქნებოდა კავკასიონის ქედის გადაღმა დამოუკიდებელი და ძლიერი სახელწიფოს არსებობა, თუნდაც იგი მისი ერთმორწმუნე და მოკავშირე ყოფილიყო. ეს უნდა იყოს ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ყოველგვარი „მოკავშირეობა“



თუ „მეგობრობა“ რუსეთსა და საქართველოს შორის უკანასკნელის ოკუპაციითა და ანექსიით თუ ინკორპორაციით მთავრდებოდა. საქართველოს მოსახლეობის ერთმორწმუნოება და სიმპატიები რუსეთისათვის მხოლოდ ხელსაყრელ გარემოებას წარმოადგენდა საქართველოს „თავისებისათვის“ და შემდგომი ექსპანსიისათვის პლაცდარმად გადასაქცევად.

გიორგი ლეონიძის თქმით, აღმოსავლეთში თავისი ვრცელი პოლიტიკური გეგმის განსახორციელებლად რუსეთის საშიშარ ქირურგს, სვინდისსა და ღვთიურ თავშეწირვას მოკლებულ პეტრე იმპერატორს, საშიშარი ოპერაცია გაუკეთებია საქართველოსათვის. ვახტანგ მეექვსე – ლეონიძისეული დახასიათებით, ქართული ისტორიის მარკუს ავრელიუსი და ქართული ლირიკის გოლგოთაზე ჯვარცმული უბედო მეფე – პეტრე პირველმა სპარსეთის წინააღმდეგ მოკავშირედ მიიწვია და, ამასთანავე, მრავალი პოლიტიკური კომბინაციებით გამუდმებით მოტყუებული თბილისის სამეფო კარი მოჰქანცა ელჩების გაგზავნითა და უთავბოლო დაპირებებით. ავტორის სიტყვებით: **„არასდროს არ ყოფილა საქართველო თავის დასასრულთან ასე ახლოს, როგორც ამ ბაგრატიონის დროს“**. ვახტანგ VI-ის შეცდომაში შეყვანით, **„ამ ქრისტეს საფლავზე მთებარეკანდელმა“**, როგორც ვახტანგი უწოდებდა თავის მოკავშირეს, საქრისტიანო ქვეყანა იანიჩრებს მისცა სათარეშოდ. თვით მეფე კი, მთელი თავისი ტაძრეულით და უმაღლეს არისტოკრატიის თანხლებით, რომელიც ორი ათასი თავად-აზნაურისაგან შესდგებოდა, რუსეთს გაიწვია, ე.წ. მოკავშირის „საფარველის“ ქვეშ საცხოვრებლად. ავტორის თქმით, **„ამ გადახვეწამ ქართულ რასას საუკეთესო სისხლი დაუკარგა“**.

იმავე საუკუნის დამლევს, ამ „სისხლმა“ საბედისწერო როლი ითამაშა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის დროს. რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებული ვახტანგის მემკვიდრეების ქართლის ტახტზე უფლებების გამოყენებამ, რუსეთს საშუალება მისცა, თავისი შანტაჟის ქვეშ მოექცია ერეკლე მეორე, იმავე ტახტზე მისი უფლებების ვითომდა არალეგიტიმურობის მომიზეზებით და ამ უფლებების ლეგიტიმაციისათვის შესძლო მისგან გეორგიევსკის ტრაქტატზე ხელმოწერა გამოეძალა, რაც, როგორც ვიცით, გახდა ორიათასწლოვანი ქართული სამეფოს დასასრულის დასაწყისი.

მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს ლეონიძისეული სიტყვები საქართველოს პოლიტიკის „დუელის“ შესახებ საქართველოს გეოგრაფიასთან? თუ რა უნდა ყოფილიყო, ლეონიძის აზრით, იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკა, ნათელი ხდება იმავე წერილიდან. ავტორი გვამცნობს: **„ამ დროს ჩვენი სარდლები ატაცებულნი იყვნენ ეკლესიური შთაგონებით, ხოლო ვეზირები იამბიკოებს სწერდნენ. სამეფო პოლიტიკაში კი, როგორც იტყვის სოლომონ ლეონიძე: „ჯვარი იყოს კიპტრის საფუძველი“**. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ დიდი ერთმორწმუნე ქვეყნისაგან მომდინარე საფრთხე იმ დროინდელი საქართველოს პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელ პირებს ვერ დაენახათ.

თუ რას წარმოადგენდა იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური აზროვნების დონე, კარგად აქვს გადმოცემული გასული საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილ ქართველ პოლიტიკოსს **ზურაბ ავალიშვილს.** იგი მართებულად შენიშნავს, რომ XVIII საუკუნის ქართული პოლიტიკა გასაოცარია თავისი აღმოსავალი პრინციპებისა და შეცდომების უცვლელობით – ვახტანგის კატასტროფამ მათ ვერაფერი ვერ ასწავლა, ვინაიდან მათი ინტერესები და კულტურა იგივე დარჩა. ქართველების პოლიტიკური მისწრაფებანი შეფერილი იყო რელიგიური წარმოდგენებით, ისინი სრული გულუბრყვილობით იყვნენ დაფუძნებულნი მართლმადიდებლობისა და „ურჯულოთა წინააღმდეგ ბრძოლის“ იდეებზე; **მათ არ მიეცათ შესაძლებლობა ამაღლებულიყვნენ უფრო რთული პოლიტიკური იდეების აღსათქმელად, ვინაიდან არ გააჩნდათ უფრო რთული ინტერესები – პრიმიტიული წყობა იწვევდა პრიმიტიულ აზროვნებას და პრიმიტიულ პოლიტიკას *(Avalov 1901,76).*** ხომ ნიშანდობლივია დღევანდელი გადასახედიდანაც. ინგლისელი ისტორიკოსი **დეივიდ ლენგიც** შენიშნავს, რომ **ქართველი მმართველები რუსეთის მიმართ ავლენდნენ ბრმა და გულისამაჩუყებელ ოპტიმიზმს (Lang 1957,102).**

ხოლო, თუ რა უნდა ყოფილიყო ზემოთ მოყვანილი წინადადების, მეორე „დუელანტი“ მხარე – საქართველოს გეოგრაფია, ამაზე მინიშნებას იძლევა გიორგი ლეონიძის ზემოდასახელებული პოემის „სამგორის“ სტრიქონები, მიძღვნილი **გურამ ბივრიტიანისა** და **ვახტანგ გორგასლის** გასაუბრებისადმი. პოემის მიხედვით, ბივრიტიანი მეფეს შემდეგნაირად ამცნობს, მისადმი რომის იმპერატორის მიერ შეთავაზებულ წინადადებას:

“– რომ შევკრათ კავკასიონი,
ჰონნი, ძურძუკნი, სარაგურები,
არ გადმოუშვათ დასავლეთისკენ,
გავხადოთ ცეცხლით დადაგულები!..“

საყურადღებოა ვახტანგ გორგასალისადმი მიწერილი სიტყვებიც:

„მაგრამ რამდენჯერ დაგვიცავს
სისხლით,
ახსოვს დასავლეთს ჩვენი ამაგი?!
რამდენ ნიაღვარს გადავარჩინეთ
და ახლაც ჩვენი მკლავით და
მკერდით
დარაჯად ვდგავართ კავკასიონზე,
ამდენ ველური ტომების გვერდით!“

აშკარაა, რომ პოეტის აზრით, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის ძირითადი, პოლიტიკურად განმსაზღვრელი ნიშანი კავკასიონის გადასასვლელების შეკვრის, ანუ დაცვის საჭიროება ყოფილა ჩრდილოეთიდან შემოჭრილი ველური ტომებისაგან და ამ ფუნქციის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, მე-18 საუკუნის საქართველოს პოლიტიკა, წინააღმდეგობაში, ანუ მისი თქმით, „დუელში“ მოდიოდა საქართველოს გეოგრაფიასთან.

ჩემი დაკვირვების სისწორეს უნდა მოწმობდეს გიორგი ლეონიძის მეორე წერილი, **„ჩაბნელებული არმაზი“**, დაწერილი პირველ წერილზე უფრო ადრე, 1917 წელს წმ.ანტონის მონასტერში ყოფნისას („საქართველო“ 216-217).

ახალგაზრდა ლეონიძის აზრით:

„ყველაზე დამზარალებელი ჩვენთვის ჩრდილოეთის წყვდიადი გამოდგა. ჩვენ გავაღეთ დარიალი იმ ფიქრით, რომ იგი მზეს იჭერდა. მაგრამ მზის ნაცვლად სიცივე შემოიჭრა. მართალია სული ჩვენი არ ემონა ციმბირის ღმერთებს, მაგრამ მოიშხამა და გაუწმინდურდა. ჩვენ წაგვართვეს მზე და ველარც ვიტყოდით მზის სიტყვას,... რადგან... მთელი საუკუნე ჩვენში არ თქმულა ლამაზი სიმღერა, იგი ჩაჰკლა საქართველოს მონურმა სულმა“.

ქართული სახელმწიფოებრიობის ბედის კავშირი კავკასიონის გადასასვლელების გაკონტროლების მოთხოვნასთან მართლაც მკაფიოდ იკვეთება მთელი მისი ისტორიის განმავლობაში. ჩემი აზრით, ძირითადად, ქვეყნის ამ ფუნქციის არსებობით უნდა იყოს გამოწვეული სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე დიდი ხნის წინ შემჩნეული ის გარემოება, რომ, საქართველო წარმოადგენდა ერთადერთ სახელმწიფოს მთელ ქრისტიანულ სამყაროში, რომლის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული განვითარება უწყვეტად შეიძლება ჩაითვალოს კლასიკური ხანებიდან დაწყებული XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ მისი ანექსიის ხანამდე (შდრ. Toumanoff 1943).

საქართველოს ხელისუფალნი ქმედითად იყენებდნენ ქვეყნის ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობით ბოძებულ უპირატესობას, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთიდან ძალთა გადმოყვანა მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა, რათა ქვეყნის უსაფრთხოებას ზიანი არ მისცემოდა და, არც არასოდეს, თითქმის მე-19 საუკუნემდე, საქართველოს ხელისუფალთ არ გადაუციათ კავკასიის ზეკარისა და შემოსასვლელი გზების კონტროლის უფლება ჩრდილოეთის მხარისათვის, რაც, თავისთავად, ცხადია, საკუთარი ქვეყნისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის ტოლფასი იქნებოდა, ვინაიდან სახელმწიფო დაკარგავდა თავის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას. თუ რომ ის იმპერიისა და პართიის, ბიზანტიისა და ირანის, ოსმალეთისა და სპარსეთის ურთიერთ ბრძოლისას კავკასიონის ზეკარებზე ადგილობრივი ამიერკავკასიელი/ქართველი მოსახლობის კონტროლი ძირითადად მისაღები იყო ორივე დაპირისპირებული მხარისათვის, სრულიად სხვა მდგომარეობა იქმნება რუსეთის იმპერიის კავკასიაში ექსპანსიის დროს. რუსეთს

→

იოანე ნათლისმცემელი

იუდეაზე ჰეროდეს მეფობისას ცხოვრობდა ხანშიშესული ცოლ-ქმარი ზაქარია და ელისაბედი. ისინი ზედმიწევნით პატიოსანი და ღვთის უსაზღვროდ პატივისმცემელნი იყვნენ.

ზაქარია მღვდელი გახლდათ. ტაძარში საკმევლის კმევისას, მას უფლის ანგელოზი – გაბრიელი გამოეცხადა, რომელმაც აუწყა, რომ მის ცოლს ვაჟი შეეძინებოდა და მისთვის სახელად იოანე უნდა დაერქმიათ, **„და იქნება შენი სიხარული და სიხალისე, და მრავალნი გაიხარებენ მისი შობით. ვინაიდან დიდი იქნება უფლის წინაშე, ღვინოსა და სიკერას არ დალევს, და სულისთ წმინდით აღივსება დედის საშოშივე და მრავალ ძეს ისრაელისას მოაქცევს უფლის – მათი ღმერთის მიმართა“**. რაზედაც ზაქარიამ ეჭვით მიუგო: **„მერედა, რითი გავიგებ ამას? რადგან მე მოხუცი ვარ და ჩემი ცოლიც ხანშია შესული“.**

უფლის ანგელოზმა გაბრიელმა გადაწყვიტა ურწმუნოებისათვის ყოველივეს ახდენამდე დაემუნჯებინა ზაქარია.

ტაძრიდან მოგვიანებით გამოსული ზაქარია ვეღარ ელაპარაკებოდა ხალხს **„და მიხვდნენ, რომ ხილვა ეხილა ტაძარში. მხოლოდ ანიშნებდა მათ და იყო უხმოდ“.**

გაიხარა უფლის მადლიერმა ცოლ-ქმარმა, ელისაბედმა მუცლად იღო. იმ ამბიდან რამდენიმე თვის შემდეგ ღვთისმშობელი მარიამი იუდეაში ჩავიდა ელისაბედის მოსანახულებლად.

მოხდა სასწაული.

მარიამის ხმის გაგონებისთანავე ელისაბედმა მუცელში ყრმის ამოძრავება იგრძნო და გაოცებულმა წარმოსთქვა: **„ვინ გამხდარა იმისი ღირსი, რომ ჩემთან მოვიდა უფლის ჩემის დედა?“**

ღვთისმშობელი მარიამი სამი თვე დარჩა ელისაბედთან, **„ხოლო ელისაბედისათვის მოაწია შობის ჟამმა, და შობა ძე.“**

რვა დღის შემდეგ ყრმა წინადაცვითეს.

მშობლებმა ახალშობილს იოანე დაარქვეს.

ბავშვმა სახელის დარქმევისთანავე **„ამოიდგა ენა, ხმა ამოიღო და აკურთხევდა ღმერთს.“**

ხალხი შიშმა მოიცვა.

იუდეას სასწრაფოდ მოედო ის უცნაური ამბავი.

ზაქარია აღივსო სულით წმინდით და წინასწარმეტყველებდა, რომ ყრმა ერს იხსნის ყველა მტრისა და მოძულესაგან, **„ხოლო ყრმა იზრდებოდა და მტკიცდებოდა სულით, და იყო უდაბნოში, იმ დღემდე, როცა გამოეცხადა ისრაელს.“**

როდესაც პილატე იუდეის მთავარი იყო, ჰეროდე – გალილეის, ხოლო ანა და კაიფა მღვდელთმთავრები, ესაიას წინასწარმეტყველებისამებრ **„გაისმა სიტყვა ღმრთისა იოანეს, ზაქარიას ძის მიმართ, უდაბნოში. და მოიარა იორდანეს მთელი შემოგარენი, და ქადაგებდა ნათლისცემას სინანულისას ცოდვათა მისატევებლად.“** ის კეთილი საქმეებისაკენ მოუწოდებდა ხალხს და ქადაგებდა, რომ ვისაც ორი ხელი სამოსი ჰქონდა, ერთი დაეთმო არაფრის მქონესათვის, ხოლო ვისაც საჭმელი ჰქონდა გაენაწილებინა მშიერისათვის, ხოლო ვისაც საჭმელი ჰქონდა გაენაწილებინა მშიერისათვის. გარდა ამისა, მშვიდობიანი ცხოვრებისკენ მოუწოდებდა ყველას.

გამოჩნდა იუდეის უდაბნოში საქადაგებლად იონე ნათლისმცემელი აქლემის ბეწვით, წელზე ტყავის სარტყელით შემოსილი, რომელიც საკვებად მხოლოდ ველურ თაფლსა და კალიებს იღებდა და ხალხს ცოდვების მონანიებას ურჩევდა, **„ვინაიდან მოახლოვდა ცათა სასუფეველი“** და **„რადგან ეს არის, ვისთვისაც ითქვა ესაია წინასწარმეტყველის მიერ: ხმა უდაბნოში მღაღადებლისა: გაამზადეთ გზა უფლისა, გაასწორეთ მისი ბილიკნი.“**

უამრავი ადამიანი მიდიოდა მასთან და ცოდვათა აღიარების შემდეგ იონე მდინარე იორდანეში ბანდა ხალხს. ხალხი კი ფიქრობდა: **„ქრისტე ხომ არ არისო იგი. მიუგო იონემ და უთხრა: მე გნათლავთ თქვენ წყლით, მაგრამ მოდის ჩემზე უძლიერესი და მე იმის ღირსიც არა ვარ, რომ შევხსნა მისი ხამლის საკვრელი. და ის მოგნათლავთ თქვენ სულით წმინდითა და ცეცხლითა.“**

სამართლიანობით სახელგანთქმული იონე ნათლისმცემელი ყველას ამხილებდა ჩადენილ ცოდვათა გამო, მათ შორის თვით ჰეროდესაც კი, რომელმაც შემდეგ საპყრობილეში ჩააგდო იგი.

ცოდვების მოსანანიებლად იონესთან მრავლად მოდიოდნენ იერუსალემის, იუდეასა და იორდანეს შემოგარენში მცხოვრებნი.

და აი, მობრძანდა იესო ქრისტეც მოსანათლად გალილეიდან იორდანესთან. გაოცებულმა იონემ მიმართა მაცხოვარს: **„მე მმართებს შენგან მონათვლა და შენ მოდიხარ ჩემთან? ხოლო იესომ მიუგო და უთხრა: დაე, ასე იყოს ახლა, რადგან ჩვენ გვმართებს აღვასრულოთ ყოველი სიმართლე.“**

მოინათლა იესო.

სწორედ იმ დროს ზეცა გაიხსნა და სულიწმინდა მტრედის სახით თავზე ადგა იესოს: გაისმა ხმა ზეციდან: **„ეს არის ძე ჩემი საყვარელი, რომელშიც კეთილად გამოვჩნდი მე.“** იმ დროისათვის მაცხოვარი ოცდაათი წლისა იყო.

„სახარება იონესი“ გვასწავლის, რომ **„დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა. ის იყო დასაბამიდან ღმერთთან. ყველაფერი მის მიერ შეიქმნა, და უმისოდ არაფერი შექმნილა, რაც კი შეიქმნა.“**

იონე, ღმერთის მიერ მოვლენილი კაცი მოვიდა ამქვეყნად, რათა გაენათლა ხალხი, ერწმუნათ მისგან, ის მოვლენილი იყო ნათლის სამოწმებლად, ხოლო ნათელი – ყველა კაცის გასანთლებლად.

ნათელმა შექმნა ქვეყანა **„და ქვეყანამ იგი ვერ შეიცნო. თავისიანებთან მოვიდა, და თავისიანებმა იგი არ შეიწყნარეს,“** ხოლო რომელმაც იწამა ის, მის მიერვე მიეცვა **„ხელმწიფება ღმრთის შვილებად წოდებულიყვნენ.“**

იონე მაცხოვარზე ამბობდა: **„ჩემს შემდეგ მომავალი ჩემი წინამორბედია, ვინაიდან ჩემზე უწინარეს იყო.“** რჯული მოსეს მიერ მოგვეცა, მადლი და ჭეშმარიტება კი – იესო ქრისტეს მიერ; მანვე ბრძანა, რომ ღმერთი უხილავია და **„მხოლოდშობილმა ძემ, რომელიც იყო მამის წიაღში, მან გაგვიცხადა.“** სწორედ ამიტომ, იუდეველებმა წარგზავნეს იერუსალიმიდან მღვდლები, რომლებიც ეკითხებოდნენ იონეს: **„ვინა ხარ შენ?“** და მან აღიარა, რომ არ არის ქრისტე, არც ელია ან სხვა რომელიმე წინასწარმეტყველი. წარგზავნილებში ერივნენ ფარისეველნიც, რომლებმაც ჰკითხეს, მაშ ვინ მისცა ნათლისღების უფლება, თუ არც ქრისტეა და არც წინასწარმეტყველი? იონემ მიუგო მათ: **„მე ნათელს ვცემ წყლით, მაგრამ თქვენს შორის დგას ის, ვისაც არ იცნობთ,“** სწორედ ის არის მთავარი, მართალია ჩემს შემდეგ მომავალი, მაგრამ ჩემზე უწინარესი... ეს მოხდა ბეთაბარაში, იორდანეს გადაღმა, იქ, სადაც ნათელს სცემდა იონე.

როცა იესო თავის მოწაფეებთან ერთად იუდეას მხარეში ჩავიდა და ნათელს სცემდა ხალხს, იონე ენონში ნათლავდა ხალხს, სადაც მის მოწაფეებს დავა მოუვიდათ იუდეველებთან გაწმენდისათვის და უთხრეს, რომ ვინც თავითონ განინათლა, ახლა თავად სხვას სცემს ნათელს **„და ყველანი მიდიან მასთან“.**

იონემ ასეთი პასუხი გასცა მათ: **„ვერაფერს მიიღებს კაცი, თუკი ზეცით არ მისცემია. თქვენ თვითონვე დამემოწმებით, რომ ვთქვი: არა ვარ მე ქრისტე, არამედ მის წინაშე ვარ მოვლინებული“** და კარგად დაიმახსოვრეთ: **„ის უნდა იზარდოს, მე კი დავკნინდე,“** არც ის დავივიწყოთ: **„მაღლით მომავალი ყველაფერზე უმაღლესია; მიწისმიერი მიწიერია და მიწისას იტყვის, ხოლო ზეცით მომავალი ყველაზე უზენაესია.“** სწორედ ამიტომ, ვისაც სწამს ღმერთის ძე იესო ქრისტე, უკვდავია და, ვინც არ იწამებს **„ვერ იხილავს სიცოცხლეს და რისხვა ღმრთისა არ დაუტოვებს მას.“**

იონე ღვთისმეტყველი თავის სახარებაში აღწერს მაცხოვრის ჯვარცმას და გვიამბობს, რომ მეომრებმა, რომლებმაც ის აღასრულეს **„მისი სამოსი ოთხ ნაწილად გაიყვეს,“** ხოლო მაცხოვრის ნაქსოვი კვართი წილისყრით მათგან ერთს ხვდა.

ჯვართან ახლოს იდგა უფლის დედა, – ღვთისმშობელი მარიამი, მისი და, მარიამ კლეოპასი და მარიამ მაგდალელი. იესომ **„დაინახა დედა და იქვე მდგომი მოწაფე, რომელიც უყვარდა, უთხრა დედას: დედაო, აჰა, შენი ძე! მერე კი მოწაფეს უთხრა: აჰა, დედა შენი! და იმ საათიდან მოწაფემ თავისას წაიყვანა იგი;“** მოწაფე იონე ღვთისმეტყველი იყო.

აქ, რამდენიმე სიტყვით გავიხსენოთ იონე ნათლისმცემლის თავის მოკვეთის ისტორია. აღდგა ჯვარცმის შემდეგ იესო და ჰეროდემ იონედ მიიჩნია, ჩათვალა, რომ მკვდრეთით აღდგა, რადგან საკუთარი ბრძანებით მას ხომ თავი მოჰკვეთეს, ჰეროდიადას, – მისი ძმის ფილიპეს ცოლის სურვილით, რომელიც ახლა უკვე მისი ცოლი გახდა.

იონე გულახდილად მიუთითებდა ჰეროდეს ცოდვაზე, რადგან ძმის ცოლი, შეირთო ცოლად, მაგრამ ეშინოდა მისი, ვინაიდან იცოდა, როგორი წმინდა კაცი იყო და ვერ სჯიდა.

ერთხელ, ნადიმზე იმდენად მომხიბვლელად იცეკვა ჰეროდიას ასულმა, რომ მეფემ წინადადება მისცა, ეთხოვნა რაც სურდა.

ქალწული დედას შეეკითხა, რა ეთხოვნა მეფისათვის.

დადგა ჰეროდიადასათვის ნანატრი მომენტი, – შეეძლო შური ეძია იონეზე და დაუფიქრებლად დაავალა ქალიშვილს... მეფისთვის იონეს მოკვეთილი თავი მოეთხოვა.

შეწუხდა ამაზე მეფე, თუმცა რაღას იზამდა, სიტყვის გატეხვას ყველაფერი არჩია, ჩადგა დიდ ცოდვაში და გაგზავნა ხალხი ბრძანების შესასრულებლად. მიადგნენ იონეს საპყრობილეში და თავი მოჰკვეთეს, შემდეგ კი ლანგარზე დადებული ქალწულს მიართვეს. იონეს მოკვეთილი ტანი მისმა მოწაფეებმა დამარხეს. დიდი ტკივილითა და პატივისცემით.

პატიოსნისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა და ნათლისმცემლისა **იონეს თავისკვეთის დღედ დაკანონებულია 11 სექტემბერი.** მართლმადიდებლები ამ დღეს ვმარხულობთ, ხოლო ეკლესიებში აღევლინება დიდი წირვა-ლოცვა.

თვით იესო ქრისტემ სწორედ მისგან მიიღო ნათლობის უმაღლესი მადლი და ამიტომაც ეწოდა „ნათლისმცემელი“. ის გახლდათ უდიდესი წინასწარმეტყველი, ბრძენკაცი, მაცხოვრის წინამორბედი, შემდეგ მისი უძვირფასესი მოწაფე, რომელმაც სამოღვაწეო ასპარეზი განუმზადა კაცობრიობის მხსნელ ღმერთკაცს!..

ლევან გვეტაძე

როგორ იქმნებოდა გიორგი ლეონიძის პოემა „ბავშვობა და ყრმობა“

ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, სულაც არ ესაჭიროებოდა კავკასიონის გადასასვლელების დამცველი ძალა. ჩრდილოეთიდან მომდგარი რუსეთის სულ უფრო მზარდი გეოპოლიტიკური ინტერესები კავკასიონის მთავარი ქედის გადალახვას ისახავდნენ მიზნად; ამ ქვეყანას ესაჭიროებოდა კავკასიონის ზეკარებზე არა „ტიხრებისა“ თუ „რკინის კარების“ აგება-მოწყობა, არამედ მათი „მოშლა“ და „შემტვრევა“. ცხადია ეს საქართველოს საკუთარი ისტორიული ფუნქციის, „არსებობის არსის“, დაკარგვით ემუქრებოდა. მე-19 ს-ის დასაწყისში აღნიშნული ფუნქციის დაკარგვამ საქართველოს დამოუკიდებელ არსებობას აზრი დაუკარგა და თითქმის ორი საუკუნე ქვეყანა აღარ ჩანდა მსოფლიოს რუკაზე.

„კავკასიონის კარიბჭეთა მფლობელის“ ფუნქცია ხატოვნად არის განსაზღვრული დავით აღმაშენებლისადმი მიწერილი ანდერძისეულ საქართველოს ცნების განსაზღვრებაში, როგორც ქვეყნისა „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“, ანუ დაახლებით თანამედროვე ტუაფსედან დერბენტამდე, ხოლო მათ შუაგულში ხომ დარიალია! როგორც ჩანს, სწორედ ეს მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია არსებითად განაპირობებდა და მომავალშიც განაპირობებს საქართველოს სვე-ბედს.

პოემა „სამგორში“ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის პოლიტიკურ დანიშნულებას ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლა რომ წარმოადგენს, მკაფიოდ არის გამოვლენილი თვით ამ პოემის მთელი პათოსით, რომელიც, თუმცა, მძაფრ წინააღმდეგობაში მოდიოდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის საქართველოში გაბატონებულ საზოგადოებრივ მსოფლმხედველობასთან, ვფიქრობ, სწორედ ამის გამო ლეონიძემ პოემის დაწერიდან ერთი წლის შემდეგ, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, 1948 წელს, მძაფრი კრიტიკა დაიმსახურა გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში – **„სიმბოლიზმის ნამსხვრევები“.**

ადრე ვწერდი და აქაც განვმეორდები: გიორგი ლეონიძემ, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა, რომ სიცოცხლეში ვეღარ მოესწრებოდა თავის ოცნებას, დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს, ამიტომაც ნიშანდობლივია „ნატვრის ხის“ ჩორეხზე გადატანილი მისი სიტყვები:

„ვერ მოესწრო ნასურვილარის გაცხადება, ვერ იხილა სამშობლო გაცისკროვნებული; არ ეღირსა თავისი ქვეყნისა და ხალხის კარგად ყოფნის სიხარული..., „იგი ხომ თვითონ იყო **„სამშობლოს დარდით მოავადე“ ჩორეხის პროტოტიპი!** ეს „ავადობა“ არც მის პოეზიას დაკლებია და დღესაც ისევ ძირითად მაცოცხლებელ ძარღვად გასდევს:

„გმინავს წარსული ხანჯალ-გაჩრილი,
მისი ნაღველი, მომეხურება...
ვინ მომაშოროს ძველი აჩრდილი,
დღეს შორეთიდან ვინ მემდურება?

ამ გულს სიმწარით კლდეს ვინ მიახლის,
ვინ დამცა სევდა განუკურნელი?
დამწვარ დროშების, დამწვარ
იალქნის,
დამჭკნარ ვარდების მიყვარს
სურნელი...“

(ვინ მემდურება? 1964 წ.).

საღლეობრი

ქორწილი

დღეობებსა და ხატობებში, რომელსაც ჯერ კიდევ საკმაოდ მისდევს ხალხი ჯავახეთში. დასაქორწინებელი (აქაურულად „დასასახლებელი“) ვაჟის მშობლები და თითონ ვაჟიც, მიდიან დღეობებზე, სადაც შეუძლიანთ გასათხოვარ ქალებში ნახონ და ამოირჩიონ სასძლო, თვით ვაჟის თანხმობითაც. დღეობაზე გასინჯავენ კარგად სასძლოს: თვალ-ტანათ და სხვა. იკითხავენ, ვინ არის, სადაური, ვისი შვილია: მამა როგორი ჰყავს, დედა და სხვა ნათესავნი და რაკი შეიტყობენ, კარგი დედ-მამის და კარგი ოჯახის შვილიაო, მოიცდიან შემოდგომამდის და მერე ქალის მშობლებს მიუგზავნიან მაჭანკალს, რომელსაც აქ „მოციქულნი“ და „შუაკაციც“ ეწოდება. მოციქული კი უფრო ის იქნება, ვინც ქალის (და აგრეთვე ვაჟისაც) მშობლებთან რაიმე ნათესაურ კავშირში იმყოფებიან, ანუ აქაურულად „მოკეთეები“ არიან.

სანამ ქალს მოციქულს მიუგზავნიდნენ, მანამდის მას ოჯახში ჰპატიჟობენ: გაუმასპინძლდებიან კარგი სასმელ-საჭმელით და მერე ამასა გაჰგზავნიან ქალიენთასა მოციქულად.

მოციქული ქალიენთისა იქამდის „პურს არა სჭამს“, სანამ საქმეს არ გაარიგებს, ვითომ იმიტომ, რომ „სიტყვა არ გამიჭრიაო“. მოციქული ქალის მშობლებს, რა თქმა უნდა, ვაჟის ოჯახს და თვით ვაჟს და მის მშობლებსაც, იმდენად მომხიბვლელად ესაუბრება, რომ იგინი ამით მალე დაითანხმოს ქალის მითხოვებაზე.

ქალს მშობლებიც (როგორც ვაჟისა) დაწვრილებით იკითხავენ: ვაჟის გვარეულობას, ჩამომავლობას, შეძლებას და სხვ. და თუ მოეწონათ, მოციქულს მაინც ეტყვიან: „მოგიცადონ რამდენიმე დღე, კიდევ მოვიფიქრებთ, შევეკითხებით ჩვენ სხვა მოკეთეებსაც და მერე გეტყვით, მოგცემთ თუ არაო“.

ამასობაში გადის რამდენიმე დღე, მოციქული მაინც არ ეშვება და ყოველ ღამე (უფრო ღამე იციან მისვლა) აბეზრებს ლაპარაკით თავს ვაჟის თუ მისი ოჯახის ქებით. ხშირად ყოფილა, რომ ვაჟის მოციქული თუ ოდესმე იგი მისი მშობლებისგან ნაწყენი ყოფილა, ამ საქმის დროს ეს გახსენებია და ქალის მშობლებისთვის უთქვამს: „მართალია მოციქულად ვარ გამოგზავნილი, მაგრამ რა უყო, პატივი მცეს და იმიტომაო, ეგენი თქვენი ქალის ღირსნი არ არიან და მე გთხოვთ, ნუ მისცემთო. ამგვარად საქმე ბევრჯერ ჩაშლილა. ზოგი მოციქული კი იმდენად ერთგული ამსრულებელია თავისი მოვალეობისა, რომ თუ ვინიცობაა მშობლებმა ვაჟს ქალი მაინც არ მისცეს, რა გინდაც დიდი მოკეთეობა ჰქონდეს ქალის მშობლებთან, ვაჟის გულისათვის მაინც გაებუტება მათ: როგორ თუ ჩემი ხათრი გატეხეს და ქალი არ მისცესო. მთელი წელიწადი ხმას არ გასცემს ქალის მშობლებს და განზეც დადის და მათთან შეხვედრისაც კი ერიდება.

დაქორწილება ხდება ქალის თანხმობითაც: თუ ქალმა ვაჟი ან მისი ოჯახი არ მოიწონა, შეიძლება საქმე ჩაიშალოს და ქალი აღარ მისცენ, მაგრამ აქ, საზოგადოდ, მთავარი მათი მშობლებია: თუ მოიწონეს ვაჟი და მისი ოჯახი, ქალს სულაც რომ არ უნდოდეს, მშობლები იმას არ დაუყურებენ და ქალს მას მისცემენ. ისეც მომხდარა, რომ ქალი გათხოვილი ყოფილა, მისი სურვილის წინააღმდეგ სხვა ვაჟისთვის გაუყოლებიათ. თუ ქალს სხვა უყვარს, ადგება და ღამით თავის „თვალნაჭერ“ ბიჭს გაჰყვება და მშობლებს ამ რიგად „შეარცხვენს“, მაგრამ მესხეთ-ჯავახეთში, საზოგადოდ, ეს იშვიათად ხდება და ქალი მუდამ მონაა მშობლების: ვისაც მისცეს, უნდა კიდეც წაჰყვეს, მორჩა და გათავდა! ეს, თქმა არ უნდა, რომ ქალის სვინდისზეც არის დამოკიდებული: თუ ქალს მშობლების დიდი სიყვარული და ხათრი აქვს, თავისი სურვილის წინააღმდეგ, მაინც მათ მოწონებულ ვაჟზე გათხოვდება და მშობლებს კი წინააღმდეგობას არ გაუწევს. ისე, რომ თავისუფალი სიყვარული მესხეთ-ჯავახეთში აქამდის უცნობი ხილი იყო და ყველა გასათხოვარი ქალი ბრმად ემორჩილებოდა „ბედს“. ახლა ეს წესი შეიცვალა და ახლა თუ ამ საქმეში ქალის სურვილიც არ არის, მშობლები ძნელად გაათხოვებენ იმ ვაჟზე, რომელიც მათ ქალს არ მოსწონს.

მოციქული, როგორც იქნება „სიტყვას გამოიტანს“, ე.ი. ქალის მშობლებიდან პასუხს მოიტანს: აძლევენ თუ არა ქალს. თუ თანახმა არიან, ე.ი. მივცემთო ჩვენ ქალსო, გახარებული მოციქული მიდის ვაჟიენცა და ულოცავს საქმის გამარჯვებას: „მოგვილოცამს, საქმე კარგად არისო“. ამის შემდეგ მოციქული და ვაჟის მამა მიდიან ქალიენთა „ბეის გასაცვლელად“ (თუ ვაჟს მამა არ ჰყავს, თვით მიდის ან ბიძას გაგზავნის ან კიდევ სხვა ახლობელს). თან მიაქვთ: ერთი ჩარექი არაყი, საპატარძლოსთვის, ოქროს ბეჭედი ან ბაღდადი, ვისაც რა შეძლება აქვს (ზოგი ორივეს ერთად წაუღებს). მივლენ ქალიენთას, მიესალმებიან და დასხდებიან. ამის მერე ქალის მამა მოიწვევს თავის მოკეთეებს: „მობრძანდით ქალის ბედნიერება გვაქვს“-ო. როცა მივლენ, ვინც მისასვლელია, მიუსხდებიან ერთმანეთს გვერდით და გამოაცხადებენ, რომ ორივე მხარის სურვილით დღეიდან ვხდებით მოკეთეებიო. ამ დროს ვაჟის მამა ამოიღებს ჯიბიდან ჩარექით არაყს და დასდგამს სუფრაზე, მასპინძელიც თავის მხრიდან მოიტანს: არაყს და პურს. დაასხამს არაყს სტაქანზე და მიაწვდის ვაჟის მამას. ის უარზეა: „ჯერ შენ თითონ მიირთვი, იქნება შენი არაყი წამალიაო“. ისიც აიღებს და დაილოცება: „ღმერთო დიდებულო, ფეხებ ჩამოკიდებულო, ღმერთო, შენ გაუმარჯვე ჩვენს ოჯახსა, აქ მყოფნებსა, დიდსა და პატარას, ჩვენ დაწყებულ საქმესაო“ და დალევს არაყს. შემდეგ ყველას ჩამოურიგებს ასე და ისინიც ილოცებიან ისე, როგორც მასპინძელი.

(უწინ ასე ყოფილა, რომ „ბეის გაცვლის“ დროს, ვაჟს თან არ წაიყვანდნენ და მხოლოთ მოყვრები შესცვლიდნენ ბეის. ახლა კი ვაჟიც თან მიჰყავთ და ისა და ქალი ერთმანეთს შეუცვლიან ბეის).

როცა თითო არაყს ყველა დალევს, მოიყვანენ საპატარძლოს, რომლის მომყვანი იქნება ქალის ძმა ან ბიძაშვილი, ან სხვა ახლობელი.

ქალს წინ უძღვის მოსიმღერე, იმას მოსდევს ერთი სხვა ქალი, იმას კი საპატარძლო, მივლენ და სუფრაზე მსხდომთ მიესალმებიან და ხელს ჩამოართმევენ. ჯერ პირველად ვაჟის მამას, მერე ქალისას და მერე სხვებს ამ სიტყვებით: „მოგვილოცნია ბედნიერება, გაგვიბედნიეროს ორივე როგორც თავითი გული სთხოვდეთო“. – „ამინ, გაგიბედნიეროსო!“ – უპასუხებენ დანარჩენები.

საპატარძლო ყველას ხელზე მოიკითხავს: პირველად კი, რა თქმა უნდა, სამამამთილოს, მერე თავის ძმას და ასე ყველას უფროსობით. ამის შემდეგ თავზე ადგება მამამთილს, რათა ემსახუროს.

შემდეგ მოიტანენ და გასცვლიან ბეის. მამამთილი ამოიღებს ჯიბიდან ოქროს ბეჭედს ან ბაღდადს და დასდებს სუფრაზე, საპატარძლოს დედა კი თავის მხრივ, მოიტანს: თავზე მოსახვევ ქიშმირს და შესცვლიან ამ რიგად ბეის. ბეჭედს გადასცემენ საპატარძლოს, ქიშმირს კი მამამთილი ჩაიდებს ჯიბეში. შემდეგ ამ ბეის „ქიშმირს“ ვაჟის და იხურავს თავზე, რადგან ასეთია წესი, რომ „რძლის ბეის ქიშმირი მუმლა უნდა გაცვითოსო“.

მეორე დღეს გამოესალმებიან ერთმანეთს და მიდიან: ვაჟი, სამამამთილო და სხვები. ვაჟი და სამამამთილოც საპატარძლოს „გამოსალმების“ ფულს აძლევენ, წინედ 20 კაპიკი და ახლა სამ და ხუთ მანეთსაც.

მოსაკითხი

ამის შემდეგ, დაახლოებით, გავა ორი კვირა ან ერთი თვე და ვაჟის მხრიდან ქალიენთსა მიდიან „მოსაკითხად“. წამსვლელები არიან: ვაჟის ბიძა (დედის ძმა) ან დეიდა, ან მამიდა. ერთი სიტყვით, რომელიმე მოკეთე. ორზე მეტი კი არ შეიძლება. თან მიაქვთ: საპატარძლოსთვის ერთი ხელი „თავით ფეხებამდის“ ტანისამოსი, ქადა-ნამცხვარი, ორი თუნგი (8 ბოთლი) არაყი და საკლავად ერთი თოხლი. პატარძლიენთი თავის მხრივ მიიპატიჟებენ სახლი კაცებს, მოკეთეებს და სხვ. რა თქმა უნდა, „თავის მოკეთეებს“ და იწვევენ უფრო 5-6 კაცს. თვით ქალის ოჯახიც, თავის მხრივ, მოუმატებს ცოტა-ცოტა არაყს, ქადა-ნამცხვარს, რის შემდეგაც გაიმართება „ქეიფი და დროისტარება“ და სადღეგრძელოები. პირველად დალევენ მოციქულის სადღეგრძელოს, რომელმაც ეს ორი ოჯახი შეაერთა და იტყვიან: „ეს ღმერთმა ადღეგრძელოს ამ ოჯახის მოციქული, რომელმაც ეს ორი ოჯაღი დაამოყვრაო“ და სხვა.

– „ამინო“! – ეტყვიან სხვები. ამ სადღეგრძელოს ჩამოურიგებენ ყველას, რის შემდეგ გადავლენ „ორივ მოყვრის“ სადღეგრძელოზე. სადღეგრძელოს თამადა ამბობს, მერე სხვებიც ისე იქცევიან.

მოყვრების შემდეგ მძახლების სადღეგრძელოს დალევენ და სულ ბოლოს კი ორივე ოჯახების მოკეთეების და სხვათა სადღეგრძელოებს და სულ ბოლოს კი „ღვთისმშობელ ერთ არსებას“ და ამით გათავდება ქეიფი. სადღეგრძელოების დროს საპატარძლო მათ თავზე ადგია, რომელიც სტაქანს დასცლის, მას იმ დროს თავი უნდა გადუკრას უსიტყვოდ: „რაც იმას ნიშნავს, რომ „გაამოსო“, რადგან საპატარძლო ამ დროს „მუნჯია“, ხმას არ იღებს, რადგან სირცხვილად ითვლება ხმის ამოღება და ლაპარაკი.

ნიშნობა

„მოსაკითხის“ შემდეგ გაივლის კიდევ ერთი თვე და წავლენ ქალიენთსა „ნიშნობას“, ოთხ-ხუთ კაცამდის (10 კაცამდისაც შეიძლება, მაგრამ ეს ვაჟის შეძლებაზეა დამოკიდებული). წამსვლელებში უნდა იყვნენ: ვაჟის ნათლია, მამა, ბიძა და ორიოდეც სხვა განაყოფებიდან, ანუ სახლიკაცებიდან (თუ ვაჟს სიძე ჰყავს, ისიც აუცილებლად უნდა წავიდეს). ამათ თან მიაქვთ საპატარძლოსთვის სამი ხელი ტანისამოსი „თავით ფეხებამდის“, არაყს წაიღებენ იმდენ თუნგს, რამდენი კაცითაც მიდიან. ერთ დაკლილ ცხვარს, ქადა-ნამცხვარით ორ გატენილ ხურჯინს და სხვა ტკბილეულს საპატარძლოსათვის. იციან კიდევა: ბოხჩის ქადა, რომელიც შეხვეულია საპატარძლოს ტანისამოსში და ფართლის სახით მიაქვთ.

საპატარძლოს ოჯახმა იცის, თუ რა დროს უნდა მივიდნენ და მიიტანონ იქ „ნიშანი“, ამიტომ, ისინიც, თავის მხრივ, ემზადებიან – ჰპატიჟობენ „ნიშანში“ შორეულ თუ ახლობელ მოკეთეებს და სხვ.

საღამოთი გაიმართება მეორე „ქეიფი“. წესია, რომ ამ დროს საპატარძლო არ უნდა გამოჩნდეს იქამდის, სანამ მიიყვანენ, მაშინ კი, როცა მიიწვევენ სოფლიდან საპატარძლოს მშობლები, თავიანთ „მოკეთეებს“, ანუ ნათესავებს და გაიმართება რიგიანი „ქეიფი“ და ჩამოივლის რამდენიმე ჭიქა არაყი, მაშინ სამამამთილო მიაკითხავს საპატარძლოს, ჩვენ აქ დანაკარგი გვაქვს და ამიტომ მოვსულვართ „ცხრა მთისაგან“ (ხუმრობს), გვიშველეთ, მოიყვანეთ, რომ ჩვენც გული საგულეში დაგვიდგეს და უფრო კარგად ვიმხიარულოთ, – „ახლავე, ჩვენო მოყვარეო“, – ეტყვიან და ნავლენ საპატარძლოს მოსაყვანათ, რომელიც იქვე სხვა სახლში იცდის.

ტაბაკზე დასდგამენ ორ ბოთლ წითლად შეღებილ არაყს, რომელიც უჭირავს ქალის ძმას ან ბიძაშვილს, გამოუძღვება ამნაირად საპატარძლოს წინ. მას მისდევს საპატარძლოს რომელიმე მოკეთის ქალი და ამ ქალს კი საპატარძლო.

საპატარძლოს მოყვანა ხდება სიმღერით, რომელსაც მღერის მომყვანი კაცი, სიმღერა უფრო თათრული იციან, ზოგან კი ქართულიც.

მოვლენ მოქეიფეებით და სამივენი თავს გადაუკრავენ, მერე სათითაოდ ყველას ხელს ჩამოართმევენ, საპატარძლო კი ვალდებულია ყველას ხელზე მოიკითხოს, რის შემდეგ თავზე ადგება სამამამთილოს.

ამოირჩევენ მერე თამადას და გაიმართება ლაზათიანი ქეიფი. აქაც სადღეგრძელოებს ისე ამბობენ, როგორც „მოსაკითხის“ დროს.

ცოტა ხნის შემდეგ მამამთილი ამოიღებს უბიდან ქისას და პატარძლის მომყვანებს, როგორც კაცს, ისე ქალსაც და თვით საპატარძლოს აძლევს საჩუქარს ფულად. მამამთილის მხრიდან, ვინც არიან მოყოლილი, ისინიც ისე იქცევიან: დაასაჩუქრებენ როგორც საპატარძლოს, ისე მოსიმღერე კაცს და მომყოლ ქალსაც. ამ ფულს ჯერ სხვას გადასცემენ, როგორც საპატარძლოს, ისე ცალკე მომღერალს და მომყვანი ქალისას, აიღებს ხელში და იტყვის: „ღმერთმა ადღეგრძელოს ჩვენი მოყვრები, თავიათ პატარძლისთვის უჩუქებიათ ... (იტყვის რიცხვს) მანეთი, გაუბედნიეროთ და ასახელოს ღმერთმაო“. – „გაუბედნიეროს და ასახელოს“! – ისმის სხვების ხმები. იგივე კაცი იტყვის კიდევ – „ასახელოს ჩვენი მოყვრები, მომღერლებისთვის და ქალის მომყვანისთვის უჩუქებიათ ... (კიდევ იტყვის რიცხვს) მანეთი. ასეთი ბედნიერება ყველას ოჯახში მიიღონო“. – „ამინ, ასახელოს“! – ისმის ხმები. ამის მერე ფულს გადასცემს მათ. ისინიც მადლობას ეტყვიან, თავს დაუკრავენ ყველას, მხოლოდ პატარძალი ხმას არ იღებს – „სირცხვილია“ და ისე უსიტყვოდ თავს დაუკრავს, ფულის მჩუქნებლებს კი ხელზეც მოიკითხავს, პირველად კი, რა თქმა უნდა, მამამთილს, ამის მერე კეთილის ხმით დაიწყებენ მღერას:

„მრავალ ჟამიერ...
მრავალ ჟამიერ...
მრავალ ჟამიერ, ღმერთმა
გაცოცხლოთ.
მეორე მხარე ჩამოართმევს
სიმღერითვე:
„ინებოს ღმერთმა...
ინებოს ღმერთმა...
ინებოს ღმერთმა... თქვენი
და სიცოცხლე!
ისევ პირველნი იტყვიან:
„ოთხი წყარო სდის... ოთხივ
მხრივ მოდის...
მეორენი ჩამოართმევენ:
„მითი მოირწყვის... მითი
მოირწყვის...
მითი მოირწყვის ყოველი
მხარე“...

და ასე გრძელდება ისევ თავიდან, კარგა ხანს. ამის შემდეგ თამადა დალევს და სხვებსაც ჩამოურიგებს „ყოვლად წმინდა ღვთის მშობელს“ და გაიმართება ნიშნობაც.

ნიშნობა

საღამოს საპატარძლო ვალდებულია მამამთილს და მის მომყოლებს თბილი წყლით თავები დაბანოს და ხელმანდილები თავზე შემოაკრას, რომ თავზე არ შესცივდეთ. თავდაბანილნი ვალდებულნი არიან საპატარძლოს ფული აჩუქონ. თავები რომ შეუშრებათ, მოხსნიან ხელმანდილებს, ფულს გამოჰკრავენ და გადასცემენ ასე. საპატარძლოსგან როცა წავლენ, მაშინაც კიდევ აჩუქებენ პატარძალს ფულს. „გამოსალმებისას“ წინედ ათ შაურს (50 კაპიკს) აძლევდნენ, ახლა კი ხუთ მანეთამდის. მჩუქებლები, რა თქმა უნდა, ისევ ვაჟის მხრიდან არიან. საპატარძლოს მხრიდან მოწვეულები კი ფულს არ იხდიან.

ტანისამოსის დაჭრა

„ნიშნობის“ შემდეგ საპატარძლოს დედა ან და თავს მოუყრიან მოკეთე ქალებს, ახალ რძლებს, გასათხოვრებს, ამ სიტყვებით: „ჩვენ (იტყვიან საპატარძლოს სახელს) ტანთი უნდა დაუჭრათ და მობძანდით, ნახეთ, ჩვენ სიძეს რა და რა მოუტანიაო“.

როცა ყველანი მოვლენ, მოიტანენ საპატარძლო „ბოხჩას“ (ბოხჩა არის სხვადასხვა ფერადი ნაჭრებისგან შეკერილი), რომელიც უნდა გახსნას „დედმამიანმა“, ე.ი. ვისაც დედა და მამა ცოცხალი ჰყავს. გახსნისას ის ასე ამბობს: „ღმერთო, გააბედნიერე ჩვენი ... (იტყვის სახელს) და მათი გვირგვინი უცვლელები იყვესო“. „ამინ“! იტყვიან დანარჩენები. გასინჯავენ ყველა მატერიას (ქსოვილს) და იგივე „ბოხჩას“. გამხსნელი ქალი აიღებს ხელში მაკრატელს და უნდა რომ დაჭრას საკაბე. მოიმიზეზებს, ვითომც „მაკრატელი არ სჭრის: და სხვას ითხოვს. ამ დროს იქ იქნება ვაჟის მხრიდან რომელიმე და ის მისცემს ამას „გასაჭრელს“ – სამ მანეთს. ამის შემდეგ „მაკრატელიც გასჭრის“ და ერთს მაინც გამოუჭრის, დანარჩენს კი თვით საპატარძლო გამოჭრის მონარჩენიდან. საპატარძლო გასათხოვარ ქალებს ურიგებს ამ დღის მოსაგონებლად, რომელნიც სახლში დაბრუნების შემდეგ სხვა გასათხოვარ ქალებს უჩვენებენ ამ ნაკუწებს: „აი ასეთი საკაბეები მიუტანეს (იტყვიან). ყველა გასათხოვარი ქალი ამ რიგად აგროვებს ნაკუწებს და ამით იკეთებს „ბოხჩას“.

ტანისამოსის დაჭრის შემდეგ მოიტანენ დიდ ქადას, რომელსაც „ბოხჩის ქადას“ ეძახიან, გულად უდებენ ერბოში მოშუშულ ფქვილს, რომელსაც სიტკბოსთვის თაფლსაც უშვრებიან (თუ თაფლი არა აქვთ, მაშინ შაქრის წვენს). მასთან ერთად დიდ თეფშში არის გაკეთებული ტკბილი ალვაც. ორივეს ნაწილ-ნაწილად დასჭრიან ისე, რომ თითო ნაჭერი ქადა და ალვა ყველას შეხვდეს. თითო-ოროლა სტაქან არაყსაც დააყოლებენ და უსურვებენ ბედნიერებას, სიხარულს, ისიც საპასუხოდ ეტყვის გასათხოვარ ქალებს: – „ტაროსი თქვენო“, – ვითომ შენც ქმრიანი გახდიო.

დამავიწყდა მეთქვა, რომ როცა პირველად დედ-მამიანი გასჭრის მაკრატლით, იტყვის: „ეს ძველი და სხვა ახალიო, ბედნიერებაში და სიხარულში, გარდა ამისა, ისიც გამომრჩა, რომ „ნიშნობის შემდეგ“ სამამამთილო და მასთან ერთად სხვებიც მათ საპატარძლოს, თითო წყვილ წინდას და ხელთათმანს, კიდევ ხელსახოცებს და მძივის ქესებსაც აჩუქებს.

გადასაწყვეტი

ნიშნობის შემდეგ გაივლის რამდენიმე ხანი (3-4 თვე) და სამამამთილო და მოციქული წავლენ ქალისასა, თან წაიღებს მცირედ არაყს და ნამცხვარს, ცოტაოდენ ხორცს და მივლენ ქალიენთა. ქალის მამა ამ დროსაც იწვევს თავის „გულის მოკეთეებს“, რადგან უნდა გადუწყვიტონ ვაჟის მამას: თუ როდის სურთ ქორწილი და სავარაუდოდ, რამდენი სასმელი და საკლავი უნდა მოიტანოს. წესია, რომ ვაჟის ოჯახმა სასიმამროს უნდა მისცეს ხორცეულობიდან: სამი ცხვარი, სასმელიდან 5-6 თუნგი არაყი, დანარჩენი სხვა ხარჯი, ე.ი. პურისა, ყველისა და სხვა ეკისრება ქალის მამას.

თუ ქორწილი ქალიენთსა არ დადგებოდა ღამე (ეს კი ჰკიდია როგორც სოფლის სიშორეზე, ისე შეძლებაზეც), მაშინ ვაჟიენი საკლავად ერთ ცხვარს და ერთ თოხლს წაიყვანდნენ ხორცეულად, არაყს კი 3 თუნგს. ეს მოლაპარაკება ხდება, საერთოდ, მოწვეულ ხალხთან ერთად. ამასთან ერთად დანიშნავდნენ ქორწილის დროსაც, რის შემდეგ გათავდება მოლაპარაკებაც. ყოფილა შემთხვევა, რომ ქალის მამას ძალიან ბევრი უთხოვნია, როგორც სასმელი, ისე ხორცი (რადგან აქ ამისთვის მტკიცე წესი არ არსებობს) და ამაზე მომხდარა ბევრი დავიდარაბა და ლაპარაკი.

აქვე გადასწყვეტდნენ თუ ნეფიენი რამდენი კაცით უნდა მივიდნენ ქორწილში, მაგრამ ეს ხშირად არ გადის და თუ ათ კაცზე მეტი არ უნდა ყოფილიყო, ნეფიენი ქორწილში ხშირად 18-20 კაციათაც მისულა. რაკი ყოველივე ეს გათავდება და ქორწილის დროსაც დანიშნავდნენ, ამის შემდეგ საპატარძლო ხდება სახლის ტყვედ: არ შეუძლია ურიგ-მარიგოდ იაროს სადმე, არც წყალზე შეუძლია წავიდეს, არც არსად, რადგან ამას ვაჟიენი „შეიტყობენ“, ეწყინებათ და „თავის მოჭრად“ ჩათვლიან ამას. ისე კი, თუ ვინმემ დაჰპატიჟა, იგი ამაზე დათანხმდება და წაჰყვება სახლში, ეს არც სირცხვილად ითვლება.

ქორწილის მოახლოების ერთიორი დღით ადრე, ვაჟის მხრიდან ქალიენთ მიუვათ „გადაწყვეტილი“ საკლავი (რომელიც ცოცხალი უნდა წაიყვანონ) და სასმელი მიაქვთ. ამის შემსრულებელი იქნება ვაჟის რომელიმე მოკეთე (ძმა, ბიძაშვილი), საპატარძლოს ვერც ის ნახავს, რადგან იმალება და არ ჩნდება. მას ქალიენთსა წინდებს აჩუქებენ და სასმელ-საჭმელსაც მიუტანენ. მის მოყვანილ ცხვრებს სინჯავენ სიმსუქნეზე და არაყსაც დარწყავენ და თუ დააკლდა, გადაწყვეტილს აუცილებლად მოატავინებენ.

ქორწილი

ორივე მხარე გაფაციცებით ემზადება ქორწილისათვის. მოიწვევენ ყველა შორეულს თუ მახლობელ მოკეთეებს, იქირავებენ მეზურნეებს (ორი მეზურნე და ერთი მედაფე), პურის გამოცხობაზე მოიწვევენ ქალებს და გამოაცხობენ, რაც საქორწილოდ სჭირდებათ პურს (მრავალნაირს), ქადას და სხვ.

ყველაზე უწინ სოფლის გარეშე, მოკეთეებს იწვევენ, მათ შემდეგ ნათლიას (მეჯვარეს), რომელსაც პატიჟობენ დაფი-ზურნით, თავისი ოჯახობით, მერე სახლი კაცებს, განაყოფებს და მეზობლებს. გამოიყვანენ დასაკლავ საქონელს – ხარი იქნება თუ ძროხა და დაფი-ზურნით დაჰკლავენ. მეზურნეები ამ დროს უკრავენ საგმირო ყაიდას – „ქოროღლის“.

ამის შემდეგ შეუდგებიან ვახშმის მზადებას, მოხარშავენ ხორცს, მიიტანენ პურს, არაყს და სხვას. დასხდებიან სუფრაზე. ამოირჩევენ თამადას, გაიმართება ვახშამი და ჩამოივლის სადღეგრძელოები. მათ შემდეგ ამოირჩევენ „მაყარბაშს“, ანუ თავ მაყარს, „ეჯიბს“, მერე თა-

მადა იტყვის: „აბა, მაყრებათ ვინ მისდევთ, ადექით ფეხზეო“, ვისაც მაყრად წაყოლის სურვილი აქვს, ადგება ზეზე. ამის შემდეგ დალევენ ნეფისა და მაყრების სადღეგრძელოს: „კარგი მაყრობა გაგეტარებინოთო“. ყოველივე სადღეგრძელო რომ გათავდება და სუფრებიც ალაგდება, მერე გაიმართება ცეკვა-თამაშობა.

ამ დროს მოიყვანენ დალაქსაც, რომელიც მაყრებს რიგრიგობთ პირებს დაპპარსავს, მერე ნათლიას მოპპარსავს და მერე კი რიგი მიდგება თვით ნეფეზე: დალაქი რომ მას კარგა საპონს შეუსვებს სახეზე, გაჩერდება და იტყვის: „სამართებელი არა სჭრისო“, ვითომც იმიეთმა რომ საჩუქრები მისცენ. ნეფიენთგან მას მიუტანენ ნახევარ ჩარექ არაყს და ერთ წყვილ წინდას, რომელსაც მხარზე გადაჰკიდებენ, მერე კი „ვითომ სამართებელიც გასჭრის“ და ნეფეც პირმოპარსული ადგება.

პირს რომ მოპპარსავს დალაქი, მერე ტიტველა სახეზე არაყს წაუსმევს ნეფეს, რომ სახე გაუწითლდეს და პრიალი დაუწყოს.

ჩვეულებანი

იმ საღამოს ცოტა ადრე დაიძინებენ, რომ დილით ადრე გზას გაუდგნენ პატარძლის მოსაყვანად.

საქორწილოდ წასვლა იციან ურმებით, ფურგუნებით და, ამასთან, ცხენებითაც. ზამთრობით კი მარხილებით, მეტწილად მაყრები, ცხენოსნები არიან.

როდესაც წასასვლელად ემზადებიან, ნათლიას შეუკაზმავენ ლამაზად ხის ჯვარს, რომელსაც ვაშლების ჩამოსაგებად გაკეთებული აქვს წვერში მავთულის ლურსმნები. გარდა წითელი ვაშლებისა, მასზე აგებენ აგრეთვე ქათმის ბუმბულებს, რომელიც შეღებილია სხვადასხვა ფერად. ჯვარს კმაზავენ ნეფის დები ან სხვა მოკეთე გასათხოვარი ქალები, ან კიდევ ახალი მოსული პატარძლები, რომელნიც ნათლიას ჯვარს გადასცემენ. ნათლიამ მას საჩუქარი (ფული) უნდა მისცეს.

მეორე დილით ადრე გზას გაუდგებიან, პატარძლის მოსაყვანად უფროსები მექორწინეებს გზას დაულოცავენ, დალევენ თითოოროლა არაყს და მაყრებს მიუჩენენ ამორჩეულ უფროსს, ანუ „მაყარბაშს“ („ვეფხისტყაოსანში“ ეჯიბი ეწოდება), რომელმაც წესრიგი უნდა დაიცვას მაყრებს შორის და თვალ-ყური ადევნოს, ყოველივე ცუდი არაფერი ჩაიდინონ, არავის უბრალოდ არ აწყენინონ და მრავალი სხვა. ნეფის სახლშივე იციან „მახარობლის“ ამორჩევაც, რომლის მოვალეობასაც ის შეადგენს, რომ ნეფის ოჯახიდან მიიღებს ერთ ქადას, ჩაიდებს უბეში და გაჰყვება მექორწილეებს. როცა ქორწილი სადედოფლოს სოფელს ერთოორ ვერსზე (ზოგი მახარობელი თავხედობას იჩენს და უფრო წინ გარბის და ამნაირად წესრიგს არღვევს) მიუახლოვდება, ის ცხენს გააჭენებს და „მახარობლად“ მიდის ქალიენთსა, რომ ქორწილის მისვლა აცნობოს. თუ მას ქალიენთ სახლი არ იცის, სხვებს ეკითხება. თუ გზა აერევა, მას ქვას დააყრიან ხუმრობით. ისეც კი ყოფილა, რომ ამ „ხუმრობით“ მახარობლისთვის თავიც კი გაუტეხიათ „ჯიელ“ ბიჭებსა და ხნიანებსაც კი და ამის გამო მერე ერთი აყალ-მაყალი ატეხილა.

მახარობელი რომ სადედოფლოს კარზე მივა, ჩამოხდება ცხენიდან, გადასცემს დამხვდურებს, თითონ კი შევა და მიესალმება იქ მყოფნელებს, სამჯერ გაივლგამოივლის სახლში და თან ამბობს:

„მე ვარ მახარობელი,
სახლის გამხარებელი,
მოგვყამს ნეფე ლამაზი,
დაგვილოცეთ დარბაზი“.

გაათავებს ამას, იქ მყოფნელებს ხელს ჩამოართმევს სიტყვებით: მოგვილოცამს, ქორწილი მოგივიდათო და მეც მახარობელი ვარო, ისინი ვითომ არ ერწმუნებიან: თუ მახარობელი ხარ, აბა მისი რაიმე ნიშანი გვიჩვენეო. ისიც ამოიღებს იმ ქადას, რომელიც ნეფიენთგან წამოიღო და გადასცემს მათ. მაშინ მახარობელს მიუტანენ ჯამით არაყს, ისიც აიღებს ხელში და იტყვის: „გაგიმარჯოთ, იცოცხლეთ, ღმერთი შეგენიოთ, შინ მშვიდობა მოგეცეთ, გარეთ გამარჯვება, თვალი მშრალი მოგცეთ, გული მხიარული, გაგვიბედნიეროს თქვენცა და ჩვენცაო. შესვამს ჯამიდან არაყს და დანარჩენს ჯამიანად დაახლის მიწას და ჯამს ლუკმა-ლუკმა აქცევს: „ასე მტერი დაგიმარცხდეთო“!., – „იცოცხლეთ, გაამოთო“! – უპასუხებენ სხვები.

მერე მას საპატარძლოს დაქსოვილი წინდებიდან ერთ წყვილ წინდას გადასცემს, რომელსაც ის ქამარზე ჩამოიკიდებს, რათა სხვებმაც დაინახონ, რომ სამახარობლო მიუციათ. სანამ ისინი ლაპარაკში არიან, შინაურები მას შამფურზე მწვადს შეუწვავენ, ლუკმა-ლუკმად დაჭრილს, ამ მწვადზე ერთ პურს და ერთ ლავაშსაც დაადებენ და გადასცემენ მახარობელს. მეორეც ბოთლით არაყს დაიჭერს და ამგვარად დაწყობილნი გავლენ გარეთ ქორწილის მისაგებებლად, რომელიც სოფელთან იქნება უკვე. ისმის დფა-ზურნის ხმა, მაყრები აქეთ-იქით დააჭენებენ ცხენებს... წესია, რომ მახარობელმა ქორწილს სოფლის გარეთ უნდა მიუსწროს, თუ არ მიუსწრო და დედოფლიენსა რაიმე მიზეზით დააგვიანა, მას ამისთვის გაჰკიცხავენ.

მიახლოებული მახარობელი შესძახებს: „ჩვენ ნეფიენთ გაუმარჯოს. პასუხად დანარჩენები იგრიალებენ: „გაუმარჯოს!“ და ასე გრიალ-გრიალით და ცეკვა-თამაშით მივლენ დედოფლიენთ კარზე, სადაც დახვდებიან ქალის მხრიდან მოკეთეები. კარებზეც საკმაოდ ითამაშებენ და შემდეგ შევლენ დედოფლიენსა. შესვლის დროს ნეფის მაყრები ხანჯლებს იშიშვლებენ, ამოუდგებიან ნეფეს გვერდში და კარებს აუყენებენ ჩახა-ჩუხს. სახლში დალაგების შემდეგ მამამთილი კითხულობს რძალს, რომელიც ამ დროს დაპატიჟებულია რომელიმე მოკეთესთან. მოკეთე გააგებინებს, რომ სადედოფლო მის ოჯახში არის დაპატიჟებული, გაუძღვება წინ და მაყრიენიც მიდის დფა-ზურნით. სახლში რჩება ნეფე და ნათლია.

სადედოფლოს დაპატიჟება იციან წინა ღამით. მას დაპატიჟებულ ადგილზე თბილი წყლით აბანებენ. წესია, რომ აუცილებლად უნდა იბანოს. შეიძლება სადედოფლო გაჯიუტდეს და არ იბანაოს, ვითომ „რცხვენია“, მაშინ მასპინძელი არც ძალას დაატანს, მაგრამ უბანებლად ქალის წაყვანა იქ მიღებული არ არის და ვინც დაპატიჟებულ ადგილს არ იბანავებს, შინ თავის სახლში მაინც უნდა უეჭველად იბანაოს.

ქალეგის შეყრა

წინა საღამოს დაპატიჟებულ სარძლოს მასპინძელი მის გასართობად და გასამხიარულებლად ტოლ-სწორ ქალებს და ახალ ქალ-რძლებს უწვევს, რომელსაც „ქალების შეყრა“ ეწოდება. ესენი საპატარძლოს ართობენ, ეხუმრებიან, მერე დაირას დაუკრავენ და ყველანი თამაშობენ (საზოგადოდ ცეკვას აქ „თამაშობას“ უწოდებენ) და საპატარძლოსაც ათამაშებენ. როცა მექორწილენი შემოვლენ მის გასაყვანად, ნინ ეფარებიან, რომ თვალი არავინ შეასწროს. მასპინძელი შეყრილ ქალებს კარგ სუფრასაც გაუწყობს და ამნაირად დროს ატარებს ყველა ქორწილის მოსვლამდის.

მოვა ქორწილიც, რომელსაც საპატარძლოს მასპინძელი „სახელდახელო“ სუფრას გაუშლის. მცირე ხანს შემდეგ საპატარძლოს მამამთილი მონახავს მოგროვილ ქალებში, რომელიც ზის და სხვები აფარებენ მასპინძლის გასათხოვარ ქალს ან რძალს სადედოფლოს თავზე მარჯვენა ხელს, რომ სამამამთილომ მას ფული ჩაუდოს. მამამთილიც იღებს და სამ ან ხუთ მანეთს ჩაუდებს ხელში. მერე მოჰკიდებს ხელს სადედოფლოს, მაგრამ იგი არ ადგება: წესია, რომ ორჯერ უნდა წამოიწიოს და ისევ დაჯდეს. მესამე წამოწევაზე კი ადგება, მამამთილს ხელზე მოიკითხავს, მასპინძლის ვაჟი ამოუდგება მას გვერდში და გამოიყვანენ. მამამთილი ამ ოჯახს დიდ მადლობას უხდის, რომ მისი პატარძალი „გააპატიოსნა“, ე.ი. დაჰპატიჟა. გამოთხოვების დროს მასპინძელის მეუღლეს ფულს აჩუქებს 10 მანეთამდის, უნინ კი 3 მანეთს აჩუქებდნენ.

მივლენ ქალიენთსა, საპატარძლო მიჰყავთ ქალებში, მაყრიონი კი ადის ნეფისა და ნათლიის გვერდით აჯლაზე (აჯლა ჰქვიან ნეფისა და ნათლიისთვის ცალკე შეკრილ ტახტს) და შესძახებენ: „ჩვენ ნეფიენთ გაუმარჯოს“! – „გაუმარჯოს“! – უპასუხებენ ნათლია და თვით ნეფეც.

გაივლის ცოტა დრო და მამამთილი იძლევა განკარგულებას, რომ პატარძალს ჩააცვან საქორწინო ტანისამოსი. ვინც ტანისამოსს აცმევს, მამამთილი მას ფულით ასაჩუქრებს. ჩაცმა აქ იციან ქართულად, ჩიხტი-კოპით. ქართული კლავებ გაშლილი (ყურთმაჯიანი) კაბით, სარტყელებით, გულის პირით და სხვა. ფეხებზე იციან მაღალი ქუსლიანი „ბაშმაკები“, ტანსაცმლის ჩაცმაში მამამთილი აიღებს ხელში სუფრას, ჩაახველებს და დაიწყებს: ხალხნო, სმენა იყვეს და გაგონება, რომ იცოდეთ, რა ვიშოვნე და რა ვიპოვნე: ეს ღმერთმა გაუბედნიეროს ამ ოჯახს დღევანდელი ნეფეც და დედოფალიც, ღმერთმა ადღეგრძელოს ჩვენი პატარძლის დედა, მოურთმევია თავისი სიძისთვის ერთი ურემი ქადა, ტაფა-მწვარი (ერბო-კვერცხი), ერთი ხოხობი, ე.ი. ქათამი) ერთი ხელი საცვალი, წინდები, თათმანები, მძივის ქისა და სხვა მრავალი. გაუბედნიეროს და დანარჩენი შვილების ბედნიერებასაც შეასწროს“! – „ამინ, გაუბედნიეროს და ასახელოს“! – ისმის ხმები. ამ სუფრას ნეფე-დედოფალს ნინ დაუდებენ და მაყრებიც გარშემო შემოუსხდებიან, თეთრეულს და წინდებს, თათმანებს და სხვას „იბარებს“ „მაყარ-ბაში“ და შემდეგ ყველა სუფრებისას ერთად გადასცემს თვით ნეფეს.

ასევე დაიძახებენ ყველა დანარჩენ სუფრებსაც, რაშიც „დამძახებელი“ იღებს გასამსჯელოს ერთ წყვილ წინდას და ამის შემდეგ დედოფალს დააშორებენ ნეფეს, რომ სამგზავროდ რამე აჭამონ, შემდეგ კი გაიმართება საერთო, „სიტყვა იმუშავებს“.

ჯვრის წერა

„ჩაბრის“ შემდეგ უნინ იცოდნენ „ჯვრის წერა“, ახლა ესენი აღარ არსებობს და ნეფე-დედოფალი „ზაქსში“ ტარდება, მორჩა და გათავდა „ჯვრისწერაც,“ ეს არის და ყველაფერიცა.

მეზურნეებით წავიდოდნენ, მთელი მაყრიონი ჯვრის საწერად. ქრიატიანულის წესით ეკლესიაში ჯვარს იწერდნენ ცოლქმარი, რაშიც მღვდელი იღებდა წინედ 10 მანეთს, ერთ მოხრაკულ ქათამს, ნახევარ ჩარექსაც არაყს და რამდენიმე ქადასაც.

ჯვრის წერის შემდეგ, ისევ ქალიენთსა მიდიან, კარებზე გაიმართება ცეკვა-თამაში, ქალის დედა სუფრით ხელში გამოეგებება, ახალჯვარდაწერილ ცოლ-ქმარს, რომელზედაც არის: ერბო-კვერცხი, ალვა, ქადა და სხვ. მოულოცამს ბედნიერებას და თვალებში ჩაჰკოცნის ნეფე-დედოფალს, მერე მიაწოდებს სუფრას, რომ ქადა ან ალვა აიღონ, დედოფლის გარდა ყველა იღებს, ის კი ვითომ „მორცხვობს“ და „სირცხვილადაც“ ითვლება, რომ დედოფალმა ამ დროს სუფრიდან რამე აიღოს და შესჭამოს. შემდეგ ამისა, შევლენ სახლში, რომლის კარებიც შიგნიდან ჩაკეტილი აქვთ პატარა ბიჭებს, სანამ ნათლია მათ ფულს არ აჩუქებს, იქამდის კარებს არ გააღებენ.

სახლში შესვლის დროს ნათლია მარჯვედ უნდა მოიქცეს, თორემ მოსეირნე ხალხი ვაშლებს დასტაცებენ, მაყრები კიდევ ხანჯლებს იშიშვლებენ და კარებს შეუყენებენ ჩახა-ჩუხს.

სახლში აჯლაზე დახვდებათ კიდევ ბიჭები, რომელნიც ნეფის ტახტზე პირქვე წვანან და ხელები

ზურგზე აქვთ დაწყობილი, ვითომ „სძინავთ“, ისე იქცევიან, რომ ნათლიამ ფული უნდა აჩუქოს მათ, თორემ არ ადგებიან. ნათლია ყველას ფულს ჩაუდებს ხელში და ეტყვის: „აბა, ჩქარა, ადექითო“, ისინი საჩქაროთი წამოცვივიან და გარბიან, რადგან ეშინიათ, რომ მაყრებმა არ სცემონ (თითქმის ასეთივე ჩვეულება ჰქონიათ მთიულებსაც. იხ. სერგი მაკალათიას წიგნი „მთიულეთი“, ტფილისი, 1930 წ. გვ. 116-117). ყოფილა შემთხვევა, რომ მაყრებს ბიჭებისთვის ფულის მაგიერ უბრალო ქაღალდი ჩაუდიათ ხელში და ისინიც ამნაირად მოტყუებულნი ტახტიდან „სიხარულით“ წამომხტარან.

ნეფე-დედოფალი ტახტზე რომ ავლენ, მიდის დანარჩენი ხალხი და დიდი - პატარა „ბედნიერებას ულოცავს“. პატარძალი ყველა მომლოცავს ხელზე მოუკითხავს. მაყრები ამ დროს გაიძახიან: „მოულოცეთ! კიდევ და კიდევ მოულოცეთ!“ ამავე დროს ქორწილში წვეულებს საკუთარი სახლიდან შემოაქვთ მოკმაზული სუფრები, რომელზედაც არის მოხარშული ქათამი, ქადა-ნამცხვარი, ერბო-კვერცხი, ნეფისათვის საჩუქრად მოტანილი წინდები, ხელსახოცი და სხვა. ამოირჩევენ რომელიმე ენა მახვილ კაცს, რომელმაც სუფრები უნდა „დაიძახოს“. პირველად დაიძახებს იგი საკუთარი დედოფლის ოჯახის სუფრას, რომელიც შემკულია სიდედრისგან, მისი სუფრა დანარჩენ სუფრებისგან განსხვავდება იმით, რომ მასზე ზედმეტად არის (სხვა სუფრებთან შედარებით) ნეფისათვის ნიფხავ-პერანგი. დამძახებელი აიღებს ხელში სუფრას, ჩაახველებს და დაიწყებს: ხალხნო, სმენა იყვეს და გაგონება, რომ იცოდეთ, რა ვიშოვნე და რა ვიპოვნე: ეს ღმერთმა გაუბედნიეროს ამ ოჯახს დღევანდელი ნეფეც და დედოფალიც, ღმერთმა ადღეგრძელოს ჩვენი პატარძლის დედა, მოურთმევია თავისი სიძისთვის ერთი ურემი ქადა, ტაფა-მწვარი (ერბო-კვერცხი), ერთი ხოხობი, ე.ი. ქათამი) ერთი ხელი საცვალი, წინდები, თათმანები, მძივის ქისა და სხვა მრავალი. გაუბედნიეროს და დანარჩენი შვილების ბედნიერებასაც შეასწროს“! – „ამინ, გაუბედნიეროს და ასახელოს“! – ისმის ხმები. ამ სუფრას ნეფე-დედოფალს ნინ დაუდებენ და მაყრებიც გარშემო შემოუსხდებიან, თეთრეულს და წინდებს, თათმანებს და სხვას „იბარებს“ „მაყარ-ბაში“ და შემდეგ ყველა სუფრებისას ერთად გადასცემს თვით ნეფეს.

ასევე დაიძახებენ ყველა დანარჩენ სუფრებსაც, რაშიც „დამძახებელი“ იღებს გასამსჯელოს ერთ წყვილ წინდას და ამის შემდეგ დედოფალს დააშორებენ ნეფეს, რომ სამგზავროდ რამე აჭამონ, შემდეგ კი გაიმართება საერთო, ჭამა-სმა, კაცები ცალკე სხდებიან სუფრაზე, ქალები კიდევ ცალკე.

ქორწილებში იციან საქმლებიდან: ხორცი ღვინით, ქადა, ალვა, ერბო-კვერცხი, ფლავი და სხვა. პირველი გამასპინძლების შემდეგ იციან „სუფრების გაახლება. შემოიტანენ დაძახებული სუფრების ქადა-ნამცხვარს და ყველას გაუნაწილებენ, ამოირჩევენ თამადას და გაიმართება „დროსტარება“. ჩამოივლის მრავალნაირი „სადღეგრძელოები“, „ნეფე-დედოფლისა“, „ნათლიისა“, ორივე „მოყვრებისა და მძახლებისა“, „სახლიკაცებისა“ და სხვა.

„ორივე მძახლების“ სადღეგრძელოს რომ დალევენ, მათ სამადლობელო უნდა გადაუხადოს პატარძლის დედამ, რომელსაც მიაწოდებენ არაყით სავსე სტაქანს, ის წადგება წინ და იტყვის: „იცოცხლეო, იცოცხლეო, კარგად გამყოფოთ ღმერთმა, გაგაბედნიეროს სიძეცა და ქალიც, ასეთი ბედნიერება ყველას ჰქონდეს, ვინაც ჩვენი ორივე მძახლების სადღეგრძელო ინებეთო და მადლობა მამიხდია ღვთის პირითო“. ამას მოჰყვება „მადლობელი ვართ“ – სიმღერა:

„მადლობელი ვართ,
მადლობელი ვართ,
მადლობელი ვართ...
სადღეგრძელოსთვის“...

მეორე გუნდი ჩამოართმევს:

„განა ჩვენგნითა, განა
ჩვენგნითა...
განა ჩვენგნითა... ღვთის
შეწევნითა...“

და სხვა.

სიდედრის სამადლობლის გადახდის დროს ნეფე და ნათლია ფეხზე დგანან. როცა სიმღერას გაათავებენ, საპატარძლოს დედა მექორწილეებს ეტყვის: „ჩარიგებული ღვთის წყალობა“, „ღმერთმა მოგცეს თავის წყალობა“! – ისმის ხმები, რის შემდეგ იგი სტაქნით არაყს დასცლის, ისევ აავსებინებს მერიქიფეს სტაქანს არაყით, ჩააგდებს შიგ ვერცხლის ბეჭედს და გადასცემს სიძეს, რომელიც მადლობას გადაუხდის სიდედრს პატივისცემისთვის და ისმის ისევ „სამადლობელო“ და „მრავალ ჟამიერი“. სიძეც, სამაგიეროდ, სიდედრს არაყით სავსე სტაქანს მიუძღვნის და 20 მანეთ ფულს (ძველად 5-6 მანეთს) აძლევს.

ქეიფის დროს თან დუდუკი, აქაურულად „მეი“, უკრავს და თან ცეკვა-თამაშია. ხშირად სუფრიდან გადმოხტება რომელიმე ახალგაზრდა, კოხტად უვლის და სხვასაც გაიწვევს სათამაშოდ. ამ დროსვე ასახელებენ პატარძლის გამოყოლილ მაყრებს, რომელიც არ შეიძლება 3-4-ზე მეტი იყოს. ჩამოივლის „სააყოველ წმინდასაც“ და ალაგდება სუფრები, რის შემდეგ „დაიძახებენ“ ქალის მზითევს. მზითევში გატანება იციან: ერთი ხელი ლოგინი (საპირეებით), ფიჩვი, ხალიჩა, ნაბადი, ჯეჯიმი, ხურჯინი, ჭილი და სხვა.

ჩასაცმელი: ორი-სამი ხელი ტანისამოსი (თუ შეძლებულის ქალია, მეტსაც). 20 წყვილამდე მატყლის წინდა, 10 წყვილი ხელთათმანი და ხელსახოცი. ჭურჭლიდან: ქვაბები, – ორ-სამს დიდს თუ პატარას, ტაფას, გუგუმებს, ანუ თუნგებს, მაშრაყას და სხვ. ეს მშობლებისგან, რაც შეეხება სხვა მოკეთეებს, ისინიც ეწევიან პატარძალს ფულით თუ სხვა რამით, რომელსაც „სანიარი“ ჰქვია. ყველა ესენი მიაქვს ქმარს სახლში.

ტანისამოსს და სხვა ჭურჭელს ჩაულაგებენ კიდობანში და დაადებენ კლიტეს, რომლის გასაღებსაც აბრიან რძლის ძმას. ამ კიდობანზე დაჯდება იგივე რძლის ძმა და მინამ არ ადგება იქიდან, სინამ ნეფის მამა საჩუქარს არ მისცემს. ძველად „კიდობანზე“ აძლევდნენ 6-7 მანეთს, ახლა 4-5 თუმნამდის.

როცა ყველაფერი ეს გათავდება, მიიყვანენ პატარძალს და მიუყენებენ ნეფეს გვერდზე. დაუკრამენ მეზურნეები „სატირალ ყაიდას“ და ამით აატირებენ პატარძლის დედას, მოკეთე ქალებს და თვით პატარძალს, რადგან მიდის უცხო ადგილას, სადაც სულ ახალ ცხოვრებასა შეუდგება და ენანება დატოვება შეჩვეული სახლ-კარისა, სოფლისა, ტოლ-სწორისა და სხვა. მივლენ ყველანი, გამოესალმებიან, დაჰკოცნიან და ამ რიგად გააცილებენ სოფლიდან.

პატარძალს მისდევენ საკუთარი ძმა (ან ბიძაშვილი), ორი მაყარი და ქალებიდანაც ერთი „მდადე“. უნინ „მდადეს“ გაყოლა დიდ სირცხვილად ითვლებოდა. როგორც კი ქორწილი ვაჟის სოფელს მიუახლოვდებოდა, გაგზავნიდნენ „მახარობელს“, რომ ქორწილის მისვლა შეატყობინოს. მახარობელი ახლა მიდის არა ნეფის მხრიდან, არამედ დედოფლის და მას აქაც ისე ექცევიან, როგორც მისულს ქორწილის ნინ (სახლის კარზე), ფერხულს გააგებებენ ვინც ქორწილში ჰყავთ მიწვეული. ნეფე-დედოფალი რომ ცხენებიდან ჩამოსხდებიან, პატარძალს დიდ სპილენძის ქვაბზე შეაყენებენ და ისე უნდა იყვეს, სანამ ქორწილი სახლში შევიდოდეს. წესია, რომ რაკი დედოფალი ცხენიდან ჩამოჯდება, დედოფლის ძმამ იმ ცხენზე სამჯერ უნდა გადალაჯოს და ესე ჩამოჯდეს.

ვაჟის დედაც (როგორც ქალისა), სუფრას გამოაგებებს ნეფე-დედოფალს, მიულოცამს, დაჰკოცნის და სამივეს – ნათლიას და ნეფე-პატარძალს თითო ნატეხ შაქარს ჩაუდებს პირში. სწორედ სუფრაზე ვაჟის დედა წყვილად სანთელს აანთებდა და სუფრით ისე გავიდოდა მისალოცად.

ამ დროს ვაჟის დედაც და მამაც, წესია, რომ რაგინდაც ხნიანები იყვნენ, შვილის ბედნიერებისთვის მაინც სათამაშოდ უნდა გავიდნენ.

კარებზევე იციან ცხვრის ან ძროხის „ფეხქვეშ გავლა“. წესია, რომ პატარძლის ძმამ ერთი ხანჯლის დაკვრით თავი უნდა მოაშოროს ცხვარი იქნება იგი თუ ძროხა. თუ ერთი დაკვრით თავი ვერ გააგდებინა, მოსეირნე ხალხი მას სიცილს დაუყრის.

შესვლის დროს პატარძალმა ის ქვაბი, რომელზეც იდგა, ხელით უნდა გადააბრუნოს, თუ მან ვერ მოახერხა, მაშინ მისმა ძმამ უნდა გადააბრუნოს. ისეც მომხდარა, რომ პატარძალი გაბედული ყოფილა და ქვაბ-ხელის მაგიერ ნიხლის კვრით გადაუბრუნებია, რის გამოც ხალხს დაუცინია და უთქვამთ: „ვირმა წიხლი გაისროლაო“.

სახლში შესვლის დროს მეზურნეები კარებში დგებიან, თან ზურნას აჭყვიტინებენ და შიგნით არავის უშვებენ იქამდის, სინამ ნათლია „შესაშვებს“ (ფულს) არ მისცემს. ამ არეულობაში მოსეირნე ბიჭები დაეცემიან ნათლიას და უნდათ ჯვრიდან ვაშლები დასტაცონ (წესია), მაგრამ მაყრები ხანჯლებს იშიშვლებენ და ისინიც იძულებულნი არიან, გაშორდნენ. სახლში რომ შევლენ, დასდგამენ ორ ქოთანს შუაზე, ვითომ: „ცალი ხელი თაფლში ჰქონდეთ, ცალი ერბოშიო“.

ნეფე-დედოფალი რომ ტახტზე ავა, დიდი და პატარა მიდის და „ბედნიერებას ულოცავენ“. მილოცვა რომ გათავდება, მცირე ხანს შემდეგ უფროსები სთხოვენ „დაჯდომას“ და ისინიც დასხდებიან. ამ დროს მოიყვანენ 3-4 წლის ბავშვებს: ორ ვაჟს და ერთ ქალს. პატარძალს კალთაში უსმენ, რომ „ორი ვაჟი და ერთი ქალი მიეცესო“. თუ ნათლიას ვაჟი ჰყავს ერთი, უეჭველად მისი ვაჟი უნდა ჩაუსვან კალთაში ყველაზე უნინ.

პატარძალი ბავშვებს ხილით და წინდებით (მხარზე გადაჰკიდებს) ასაჩუქრებს. ცოტა ხნის შემდეგ პატარძალს აშორებენ ნეფეს და ცალკე მიჰყავთ „მოსასვენებლად“, რომელსაც ძმაც გაჰყვება ხანჯალ ამოღებული.

გაივლის ცოტა ხანიც და „გაიმართება სუფრები“, სადაც დაიწყებენ „ქეიფს“. ამის შემდეგ აქაც გაიმართება „სუფრების დაძახება“, როგორც დაიძახებს დედოფლიენთისა: პირველად ნეფის ოჯახიდან, მერე ნათლიისა და ასე ყველასას. წინდები, ხელთათმანები, ქისები და სხვა აქაც ნეფის კუთვნილობა არის. „დამძახებელს“ კი აქაც ერთ წყვილ წინდას აჩუქებენ.

ნაამბობი სოფელ ბარალეთში
რახიელ ესტატეს ასულ გოგოლაძის
მიერ 1937 წელს. ახალციხის სახელმწიფო მუზეუმის ფონდი. მოგვაწოდა ლევან ლაფაჩმა და გრიგოლ ჯვარიძემ.
ჩაწერილია გიორგი გოგოლაძის
მიერ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

„შოთა რუსთაველი იგივე საქართველოა და საქართველო იგივე "ვეფხისტყაოსანი"

ფარა - ოქმაძეა

მატიანე

ქართველი და ამერიკავკასიის მწერლები. გასული საუკუნის 30-იანი წლები. სურათი მოგვაწოდა იოსებ გრიშაშვილის დისშვილმა ნიდარ გრიგოლაშვილმა

თქმულებები

შოთას საფლავი

როგორც კი სოფელ მინაძეს გავცდებით, მტკვრის მარჯვენა მხარეს, გაშენებულია სოფელი რუსთავი, შოთა რუსთაველის სამშობლო. ამ რუსთავშია დაბადებული რუსთაველი. აქვეა შუასაუკუნეების დროინდელი კოშკი, მაგრამ ყველაზე საინტერესო, სოფელში, შოთას სიმბოლური საფლავია, რომელიც, შორიდანვე, ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ არაბუნებრივი წარმოშობის მთა-გორაკია. გორაკს, ადამიანის ჩასასვენებელის, ანუ ჩვენ, მესხეთში რომ ვეძახით, სასახლის ფორმა აქვს. გამიგია, შოთა რუსთაველი რომ გარდაცვლილა და მისი საფლავი არ სცოდნიათ, ხალხს დიდი პოეტის საპატივსაცემოდ და უკვდავსაყოფად, თვითონ აუგიათ ასეთი მთა-საფლავი. ეს კი შემდეგნაირად მომხდარა: მამაკაცებს ქუდები მოუხდიათ შოთას უკვდავი სულის წინაშე და ძირს, მიწაზე დაუდიათ. მაშინ ერთ-ერთს აზრად მოსვლია, ყველას, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ქუდით (მ ხ ო ლ ო დ ქუდით!) მიწა მიეზიდათ და შოთას საფლავი აეგოთ. სწორედ ასე აიგო შოთას სიმბოლური საფლავი სოფელ რუსთავში.

იმდენად დიდი იყო მთელ საქართველოში რუსთაველის სახელი და სიყვარული, რომ დედები, ვისაც ვაჟი გაუჩნდებოდა, მივიდოდნენ ამ სიმბოლურ საფლავზე, დაიჩოქებდნენ, რამდენიმე მუჭა მიწას გამოჰკრავდნენ ლეჩაქში და ბავშვს თავქვეშ ამოუდებდნენ, რუსთაველს ცოტა მაინც მიემგსავსებაო!

მთქმელი ოთარ ნარიმანიშვილი, 75 წლის, ქ. ვალე.
ჩაიწერა ციური მესხიშვილმა 2018 წელს

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ!

შეგახსენებთ გაზეთის საბანკო რეკვიზიტებს:
შპს გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“
დ.ასპინძა, თამარის ქ. №3
ს/კ 223100908
„ლიბერთი ბანკის ასპინძის ფილიალი“
ბანკის კოდი: 220101451

ჯავახეთი

◀ დასწყ. იხ. გვ. 14

თარიღდება.

დაბოლოს. მკითხველს მინდა შევახსენო ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვები ერის წარსულის შესწავლა-დადგენის მნიშვნელობის თაობაზე: „რამეთუ მატიანე მოგვახსენებს დასაბამისაგან ჟამსა, წელსა და საუკუნისა, მატიანე განარჩევს კეთილსა და ბოროტსა, მატიანე აღამაღლებს კეთილის თქმულებასა, მატიანე მეტყველებს ჭეშმარიტსა და... მოწმობს სხუათა და სხუათა, მატიანე განამხობს კაცსა და ერთგულ ჰყოფს ქუეყნისად. მატიანე იცნობს ნათესავთ ჩამომავლობასა და დასდებს თავსა სარწმუნოებისათვის მოყუასსა მოყუსისა მიმართ“.

აქედან გამომდინარე, ჩვენი ვალია გავუფრთხილდეთ და დავიცვათ ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილი უმდიდრესი მემკვიდრეობა.

მამია ვარშანიძე

მესხეთი

მესხეთი მიყვარს,
მესხეთს ვუგალობ,
ცხადში ის მახსოვს,
ძილშიც ის მახსოვს,
შენ შემოგევლე ათიათასჯერ
ჩემო მესხეთო,
ასე ძვირფასო!

გულით იქა ვარ,
სულით იქა ვარ,
ნეტავი რატომ?
ნეტავი რატომ?
სადაც არ ვიყო,
ჩემი ფიქრია,
მისი სახელი მეყოფა მარტო.

თითქოს და გულზე მაწერია მე
მისი წარსული,
მისი ოხება,
ვიცი,
ხანჯალი ვინ გაგიყარა,
ვინ გაგიყარა,
რომელ ოხერმა.

შენი მომა ვლის დღენი დიდია,
როგორ გაკადრო
სიტყვა პატარა,
მე სალოცავად სულ მეყოლება
ჩემი მესხეთი,
ჩემი აჭარა!

ელდარ ზაზაძე

ავარა

შლის ეფემერულ პეიზაჟს ქარი,
ნანგრევი ოდა მოჩანს ზმანებად,
არ მინდა გერქვას შენ ნასოფლარი,
ჩემს ბედისწერის წმინდა სალოცავს.

მსურს შენს წინაშე დავხარო თავი.
შევიგრძნო შენი სითბო და ეშხი,
შენ, პაწაწინა მარგალიტი ხარ,
შემორჩენილი მესხეთის მთებში.

გაუძელ მრავალ ურდოთა თარეშს,
შემოინახე ქართული სული,
ვერ დაგამონეს, ვერ დაგაჩოქეს,
იყავი მუდამ წელგამართული.

არ დამიცხრება შენზე ფიქრები.
თუნდაც გავიდეს წლები მრავალი,
დავდგები შენი ციხის მედროშედ
მე, ზაზას ძეთა შთამომავალი.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.shti@il.co
lit_meskheti@yahoo.com